

# გზა საკურთხევლისაკენ

ნიკოლას სპარკსი

## საგანგებო მადლობა<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს მეუღლეს, ქეითს. ბედნიერი ვიყავი, როცა იგი ცოლობაზე დამთანხმდა. ახლა კი, ათი წლის მერე, კიდევ უფრო ბედნიერი ვარ, რადგან მასთან დღესაც ისეთივე გრძნობა მაკავშირებს, როგორიც მაშინ. გმადლობ იმისათვის, რომ ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები მაჩუქე.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მადლობას ვუხდი მაილზს და რაიანს, ჩემს ვაჟებს, რომლებსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ჩემს გულში. ორივე მიყვარხართ. მათთვის მე მხოლოდ „მამიკო“ ვარ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მადლობა ტერეზა პარკს, ჩემს აგენტს „სენფორდ გრინბურგერ ასოციატეში“, ჩემს მეგობარსა და მესაიდუმლეს. სიტყვები არ მყოფნის იმის აღსაწერად, რაც ჩემთვის გააკეთე.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ბოლო ოთხი წლის გამო გულითადი მადლობა მინდა გადავუხადი ჯიმი რააბს, ჩემს რედაქტორს „ვორნერ ბუქსში“. საუკეთესო რედაქტორი ბრძანდებით.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

არიან სხვებიც, რომელთა თანადგომასაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობდი, მათ შორის: ლარი კირშბაუმი, მორინ ეგენი, ჯონ აჰერნი, დან მანდელი, ჰოუი სანდერსი, რიჩარდ გრინი, სკოტ შვიმერი, ლინ ჰარისი, მარკ ჯონსონი და დენის დი ნოვი - თქვენთან მუშაობა ჩემთვის ღმერთის წყალობა იყო.

## პროლოგი <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჩვიდმეტი წლის ვიყავი, ჩემი ცხოვრება სამუდამოდ რომ შეიცვალა.

<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ზოგს უკვირს, როცა ამას ვამბობ. ისე უცნაურად მიცქერენ ხოლმე, თითქოს უნდათ გამოიცნონ, მაინც რა შეიძლებოდა მომხდარიყო მაშინ, მაგრამ მე იშვიათად ვინუხებ თავს რამის ახსნით. თითქმის მთელი ცხოვრება აქ მაქვს გატარებული და ამიტომ ვიცი, რომ არაფრის ახსნა არ არის საჭირო, მით უმეტეს, რომ ამას გაცილებით მეტი დრო დასჭირდება, ვიდრე ვინმეს შეუძლია დამითმოს. ჩემს ამბავს ორ-სამ წინადადებაში ვერ ჩაატევ, ვერც ისე მარტივად და დალაგებულად მოყვები, ყველამ ყველაფერი უცებ რომ გაიგოს. მართალია, უკვე ორმოცი წელია გასული, მაგრამ ყველა, ვინც დღესაც აქ ცხოვრობს და მაშინაც მიცნობდა, გაგებით ხვდება ჩემს დუმილს და არაფერს მეკითხება. ჩემი ამბავი რალაცნაირად მათი ამბავიცაა, რადგან ჩვენ ის მეტ-ნაკლებად ერთად გადავიტანეთ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მაგრამ ეს ისტორია ყველაზე მჭიდროდ მაინც მე მიკავშირდება. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ორმოცდაჩვიდმეტი წლის ვარ, მაგრამ ახლაც წვრილმან დეტალებამდე მახსოვს ყველაფერი, რაც იმ წელს მოხდა. გონების თვალით ხშირად ვუბრუნდები იმ წელიწადს, ვაცოცხლებ ყველაფერს და ვხვდები, რომ ამ დროს უცნაური გრძნობა მეუფლება - სევდისა და სიხარულის ნაზავი. ხანდახან ვნატრობ, ნეტავ, დროის უკან დაბრუნება და იმ წარსულიდან მთელი ჩემი სევდის გაქრობა შემიძლოს-მეთქი, მაგრამ მერე იმასაც ვხვდები, რომ სევდას თან ის სიხარულიც

გაჰყვებოდა. ამიტომ ყოველთვის, როცა მოგონებები მენწვევიან, ვღებუღობ მათ მთელი გულით და ისინიც თავის ნებაზე დამატარებენ. ეს კი იმაზე ხშირად მემართება, ვიდრე ვამჟღავნებ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

დღეს 12 აპრილია - ამ ათასწლეულის ბოლო 12 აპრილი. სახლიდან გამოვდივარ და აქეთ-იქით ვიხედები. ცა მოქუფრული და ნაცრისფერია, თუმცა დაღმართზე დაშვებისას ვამჩნევ, რომ შინდი და იელი აყვავებულა. ქურთუკს ცოტათი ვიკრავ. გრილა, მაგრამ ვიცი, რომ სულ რამდენიმე კვირაში გამოიღარებს, ნაცრისფერი ცა მოინმინდება და ისეთი დღეები დადგება, ჩრდილოეთ კაროლინას მსოფლიოში უღამაზეს ადგილად რომ აქცევს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ვობრავ და ვგრძნობ, რომ ყველაფერი ისევ თავიდან მახსენდება. თვალებს ვხუჭავ და დროც ნელ-ნელა უკან ბრუნდება, თითქოს საათის ისრები უკუღმა დაატრიალესო. თითქოს შორიდან ვაკვირდები ჩემს თავს და ვხედავ, როგორ ვახალგაზრდავდები; ჭალარა თმა მინაბლისფრდება, თვალებთან ნაოჭები მისწორდება, ხელ-ფეხის კუნთებში ძველებური ძალა მიბრუნდება. ყველაფერი, რაც ცხოვრებამ მასწავლა, უკვალოდ ქრება და იმდროინდელი უმანკობა მიბრუნდება, ისევე, როგორც ის თავგადასავლებით სავსე ნელინადი. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ამ დროს სამყაროც ჩემსავით იცვლება: გზები ვინწროვდება და ხრეშით იფარება, ქალაქის ქუჩების ადგილს სოფლური ბაღები იკავებს, ცენტრალურ ქუჩებში ადამიანები დაფუთფუთებენ, სვინის საფუნთუშის ფანჯრებსა და პალკას საყასბოს ვიტრინებში იჭყიტებიან.

კაცებს ქუდები ახურავთ, ქალებს კაბები აცვიათ. ქუჩის ზემოთ, სასამართლოს შენობის თავზე, ბარი რეკს...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თვალეებს ვახელ და ვჩერდები. ბაპტისტურ ეკლესიასთან ვდგავარ, ფრონტონს შევყურებ და ზუსტად ვიცი, ვინც ვარ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ლენდონ კარტერი გახლავართ, ჩვიდმეტი წლისა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

გიაბობთ, რა გადამხდა თავს; გპირდებით, პატარა წვრილმანსაც არ გამოვტოვებ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჯერ გაგელიმებათ, მერე კი იტირებთ - ოღონდ არ თქვათ, რომ არ გამიფრთხილებიხართ.

## თავი 1 <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

1958 წელს ჩრდილოეთ კაროლინის ქალაქი ბიუფორტი, რომელიც მორიჰედ სითის მახლობლად მდებარეობს სანაპიროზე, სხვა პატარა სამხრეთული ქალაქებისაგან არაფრით განსხვავდებოდა. ბაფხულში აქ ტენიანობა ისეთ დონეს აღწევდა, რომ ფოსტის ყუთიდან გაბეთების ამოსაღებად გასულ ადამიანს შინ შებრუნებისას შხაპის მიღება სჭირდებოდა, ბავშვები კი აპრილიდან ოქტომბრამდე ფეხშიშველები დატანტალებდნენ ესპანური ხავსით დაფარული მუხების ჩრდილში. იქაურები მანქანის ფანჯრებიდან ხელის აწევით ესალმებოდნენ ყველას, უცნობსა თუ ნაცნობს. ჰაერში ფიჭვის, მარილის და ზღვის სუნი იდგა, მხოლოდ კაროლინისთვის დამახასიათებელი სუნი. იქ მცხოვრებ ბევრ ადამიანს პამლიკოს სრუტეში თევზაობა ან მდინარე ნიუზში კიბორჩხალების ჭერა ცხოვრების წესად ჰქონდა, მთელი

სანაპიროს გაყოლებაზე ყველგან ნავები იყო მიბმული. ტელევიზიაში მხოლოდ სამ არხს აჩვენებდნენ, რადგან ტელევიზია ჩვენთვის, იქაურებისათვის, მნიშვნელოვანი არ იყო. სამაგიეროდ, ჩვენი ცხოვრება მჭიდროდ უკავშირდებოდა ეკლესიას, ჯერ მარტო ქალაქის ფარგლებში თვრამეტი ეკლესია გვქონდა. თითოეულს თავისი სახელი ერქვა, მაგალითად, ქრისტიან მეგობართა ეკლესია, შენდობილთა ეკლესია, ცოდვების გამოსყიდვის საკვირაო ეკლესია; რალა თქმა უნდა, მრავლად იყო ბაპტისტური ეკლესიებიც. ჩემს ბიჭობაში ბაპტიზმი ყველაზე გავრცელებული აღმსარებლობა გახლდათ და ბაპტისტურ ეკლესიებს ქალაქის ყველა კუთხეში ნახავდით; ყოველი მათგანი საკუთარ თავს სხვებზე მნიშვნელოვნად მიიჩნევდა. აქ ყველა ტიპის ბაპტისტური ეკლესია მოქმედებდა - თავისუფალი არჩევანის ბაპტისტების, სამხრეთელი ბაპტისტების, სამრევლო ბაპტისტების, დამოუკიდებელი ბაპტისტების... ზოგადი წარმოდგენა, ალბათ, უკვე შეგექმნათ. [P SEP]

იმ წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენის ორგანიზატორი ქალაქის ცენტრში მდებარე ბაპტისტური - თუ ზუსტად გინდათ, იცოდეთ - სამხრეთელი ბაპტისტების - ეკლესია გახლდათ, ადგილობრივ საშუალო სკოლასთან ერთად. ისინი ყოველ წელს მართავდნენ საშობაო წარმოდგენას ბიუფორტის თეატრში. პიესის ავტორი ჰეგბერტ სალივანი გახლდათ, მღვდელი, რომელიც ამ ეკლესიაში უხსოვარი დროიდან მსახურობდა, აი, იმ დროიდან, მოსემ რომ წითელი ზღვა გააპო. შესაძლოა, მთლად ასე გადამნიფებულიც არ იყო, მაგრამ

სიბერისგან იმდენად გალუული კი გახლდათ, რომ კანქვეშ ძვლებს დაუთვლიდა კაცი. სულ მუდამ განეპილს ჰგავდა და თან ისეთი სიფრიფანა იყო, რომ პირდაპირ ლანდი გასდიოდა - ბავშვები იფიცებდნენ კიდევ, ჩანს, მის ვენებში სისხლი როგორ მოძრაობსო. თმა იმ ბოცვრებივით თეთრი ჰქონდა, სააღდგომოდ მაღაზიებში რომ ყიდიან. [SEP]

ერთი სიტყვით, ჰეგბერტმა ეს პიესა, სახელწოდებით შობის ანგელოზი, იმიტომ დაწერა, რომ აღარ სურდა კლასიკის - ჩარლზ დიკენსის საშობაო საგალობლის - დადგმა. მისი აზრით, სკრუჯი იყო ურჯულო, რომელმაც ცოდვების გამოსყიდვა მხოლოდ იმიტომ დაიწყო, რომ მოჩვენებები დაინახა და არა ანგელოზები - და ვინ დაამტკიცებდა, რომ ისინი მართლა ღმერთის მიერ იყვნენ მოვლენილი? ან იმას ვინ იტყოდა დანამდვილებით, რომ იგი ისევ უწინდებურ ცოდვიან ცხოვრებას არ დაუბრუნდებოდა, ეს მოჩვენებები პირდაპირ ზეციდან რომ არ ყოფილიყვნენ გამოგზავნილი? პიესის დასასრული ამაზე პასუხს არ იძლეოდა - ამ ყაიდის პიესები რწმენაზეა გათვლილი - ჰეგბერტს კი არ სწამდა მოჩვენებების, თუ ისინი ღმერთის მიერ არ იყვნენ მოვლენილი, რაც მისი აზრით, პიესაში გასაგებად არ იყო ახსნილი. სწორედ ეს არ აკმაყოფილებდა ჰეგბერტს. რამდენიმე წლის წინ მან პიესის დასასრული თავისებურად გადააკეთა - მოხუცი სკრუჯი მქადაგებლად გამოიყვანა, რომელიც მრავალი სირთულის გადალახვის შემდეგ იერუსალიმში მიდის იმ ადგილის მოსანახულებლად, სადაც ერთხელ იესომ მწიგნობარნი

დამოძღვრა. პიესას დიდი წარმატება არ ჰქონია - დარბაზში შეკრებილი მრევლი, რომელიც გაფართოებული თვალებით შესცქეროდა სცენაზე განვითარებულ მოვლენებს, გულნაკლული დარჩა, გაზეთები კი წერდნენ: „ნამდვილად საინტერესოა, მაგრამ ეს ის პიესა არ არის, რომელიც რამეს გვასწავლის და უნდა გვიყვარდეს...“<sup>[17]</sup>

მერე ჰეგბერტიმ გადაწყვიტა, თავისი ნიჭი სხვა მხრივ გამოეყენებინა; ადგა და საკუთარი პიესა დაწერა. ქადაგებების ტექსტებს მთელი ცხოვრება ისედაც თავად წერდა და უნდა ვაღიარო, რომ ზოგჯერ ეს საკმაოდ საინტერესოდაც გამოსდიოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საუბრობდა „ღვთის რისხვაზე, რომელიც თავს დაატყდებოდა მრუშებს“ და ამგვარ რამეებზე. ასეთ დროს, ანუ მაშინ, როდესაც მრუშებზე ლაპარაკობდა, პირდაპირ სისხლი უდუღდებოდა. ეს მისი სუსტი წერტილი იყო. ყმანვილობისას, ქუჩაში მომავალ ჰეგბერტს რომ დავინახავდით, მე და ჩემი მეგობრები ხეებს ამოვეფარებოდით ხოლმე და იქიდან ვუყვიროდით: „ჰეგბერტ, შე მრუშო!“ მერე კი იდიოტებივით ვხითხითებდით, გეგონება, ძალიან სასაცილო რამე გვეთქვას; ისე გვიხაროდა, თითქოს დედამიწის ბურგზე ჩვენზე გონებამახვილი არავინ დადიოდა.<sup>[18]</sup>

ამის გაგონებაზე მოხუცი ჰეგბერტი ადგილზე ქვავდებოდა, ყურებს ცქვეტდა - გეფიცვებით, ყურები მართლა აუდ-ჩამოუდიოდა - და ჭარხალივით წითლდებოდა, გეგონება, ეს-ესაა ბენზინი გადაჰკრაო; კისერზე ამომჭდარი მსხვილი მწვანე ვენები მთელ სიგრძეზე



ებერებოდა და მდინარე ამაზონის რუკებს ემსგავსებოდა - აი ისეთს, „ნაციონალურ გეოგრაფიაში“ რომ ხატია. თვალებს წკურავდა და აქეთ-იქით იხედებოდა, გვეძებდა, მერე უცბად კარგავდა ფერსდა პირდაპირ ჩვენ თვალწინ კანი ისევ თევზის ქერცლივით უხდებოდა. მაგარი სანახავი იყო. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მოკლედ, ხეს ვეფარებოდით, ჰეგბერტი (ისე, რომელი ჭკუათამყოფელი მშობელი დაარქმევს შვილს ჰეგბერტს?) კი იდგა და გველოდა, როდის გავცემდით თავებს. არც ეგეთი ბრიყვები ვიყავით. ჩვენი სიცილი რომ არ გაეგონა, პირზე ხელებს ვიფარებდით, ის კი იდგა და ადგილიდან არ იძვროდა. ხან აქეთ შეტრიალდებოდა, ხან - იქით, ბოლოს შეჩერდებოდა და იმ თავის პანია, მძივისებრ თვალებს პირდაპირ ჩვენ დაგვასობდა, თითქოს ხის მიღმა დაგვინახაო. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- ვიცი, ვინც ხარ, ლენდონ კარტერ, - იტყოდა იგი, - და უფალმაც იცის. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მერე ერთ-ორ წუთს დაიცდიდა, სულს მოითქვამდა და ისევ თავის გზას დაადგებოდა. საკვირაო ქადაგების დროს კი პირდაპირ მოგვაშტერდებოდა და რალაც ამდაგვარს ჩაილაპარაკებდა: <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- ღმერთი მონყალეა ბავშვების მიმართ, მაგრამ ბავშვები ამას უნდა იმსახურებდნენ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ამ დროს ჩვენ სკამებში ვძვრებოდით, იმიტომ კი არა, რომ თავს უხერხულად ვგრძნობდით და ამ უხერხულობის დამალვა გვსურდა, არამედ იმიტომ, რომ ისევ ვხითხითებდით და არ გვინდოდა, დაენახა. რაც არ უნდა უცნაური იყოს, ჰეგბერტს ჩვენი არ ესმოდა, თუმცა, შვილი

თვითონაც ჰყავდა. გოგონა იყო. თუმცა, ამაზე ცოტა მოგვიანებით.

ასე იყო თუ ისე, როგორც უკვე გითხარით, ერთხელაც ჰეგბერტმა შობის ანგელოზი დანერა და, ძველის ნაცვლად, ამ პიესის დადგმა გადაწყვიტა. პიესა ცუდი ნამდვილად არ იყო და მისმა პრემიერამ ყველა გააოცა. ეს იყო ერთი კაცის ისტორია, რომელმაც რამდენიმე წლის წინ ცოლი დაკარგა. ეს კაცი, ტომ ტორნტონი, ჭეშმარიტად რელიგიური ადამიანი იყო, მაგრამ უფლის რწმენა მაშინ დაკარგა, როცა მისი ცოლი მშობიარობას გადაჰყვა. მას მერე კაცი პატარა გოგონას მართო ზრდიდა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ სანაქებო მამა იყო. გოგონას საშობაოდ ერთადერთი რამ სურდა - მუსიკალური ზარდახშა, რომელსაც სახურავზე ანგელოზი ექნებოდა ამოტვიფრული, აი ისეთი, ძველი კატალოგიდან ამოჭრილ სურათზე რომ იყო დახატული. კაცი ამ საჩუქარს დიდხანს და გულმოდგინედ ეძებდა, მაგრამ ვერ შოულობდა. და აი, შობის ღამეც დგება, კაცი კი კვლავ ამაოდ ეძებს საჩუქარს და მაღაზიების თვალიერებისას მოულოდნელად ერთ ძალიან უცნაურ ქალს გადაეყარება, რომელიც აქამდე არასოდეს უნახავს. ქალი ჰპირდება, რომ საჩუქრის პოვნაში დაეხმარება. მაგრამ მანამდე ჯერ ერთ უსახლკარო კაცს (იმ დროს მათ მანანნალებს უწოდებდნენ) დაეხმარებიან, შემდეგ ობოლ ბავშვთა თავშესაფარს მიაკითხავენ და ბავშვებს მოინახულებენ, მერე ერთ მარტოხელა მოხუც ქალს ეწვევიან, რომელსაც შობის ღამეს მარტო ყოფნა არ უნდა. ამ დროს ეს იდუმალებით მოცული ქალი ტომ ტორნტონს ეკითხება, თავად რა გსურს საშობაოდო, ის კი პასუხობს, ჩემი ცოლის დაბრუნების გარდა,

არაფერი მინდაო. ქალს იგი ქალაქის შადრევანთან მიჰყავს და ეუბნება, შიგ ჩაიხედე და იმას დაინახავ, რასაც ეძებო. კაცი წყალში თავისი პატარა გოგონას სახეს დაინახავს და მწარედ აქვითინდება. სანამ ტომ ტორნტონი ცრემლებს ღვრის, იდუმალებით მოსილი ქალბატონი სადღაც გაუჩინარდება. ტომი ეძებს, მაგრამ მის ასავალ-დასავალს ვერ აგნებს. ბოლოს შინისაკენ მიდის, იმ საღამოს განცდილი გონებიდან არ ამოსდის, ბავშვის ოთახში შედის და მძინარე გოგონას დანახვაზე ხვდება, რომ ცოლისგან მხოლოდ ეს პატარა არსებალა დარჩენია; კვლავ ატირდება, რადგან ესმის, რომ ბავშვისათვის სანაქებო მამა ნამდვილად არ არის. მეორე დილით, რაღაც ჯადოსნობის წყალობით, ნაძვის ხის ქვეშ მუსიკალური ბარდახშა ჩნდება, რომელზეც ანგელოზია ამოტვიფრული; ანგელოზი ბუსტად წინა ღამით ნანახ ქალს ჰგავს. [P SEP]

მოკლედ, პიესა ცუდი ნამდვილად არ იყო. სიმართლე თუ გინდათ, მისი ყურებისას ხალხი ყოველ ჯერზე მდუღარე ცრემლებს აფრქვევდა. ყოველ წელს ყველა ბილეთი იყიდებოდა; წარმოდგენა სრული ანშლაგით მიდიოდა. ასეთი პოპულარულობის გამო ჰეგბერტმა სპექტაკლი ეკლესიიდან ბიუფორტის თეატრში გადაიტანა, რადგან თეატრში გაცილებით მეტი ადგილი იყო. მე რომ საშუალო სკოლის დამამთავრებელ კლასში გადავედი, სპექტაკლს უკვე ორჯერ აჩვენებდნენ და დარბაზიც ორივეჯერ სავსე იყო. სხვა საქმეა, ვინ თამაშობდა. ეს ცალკე მოსაყოლია. [P SEP]

იცით, ჰეგბერტს უნდოდა, რომ სპექტაკლში თეატრალური დასის

მსახიობებს კი არა, ახალგაზრდებს - საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს - ეთამაშათ. ალბათ იმიტომ, რომ მისი აზრით, ამით უფროსკლასელები სასარგებლო ცხოვრებისულ გამოცდილებას შეიძენდნენ კოლეჯში შესვლამდე და მრუშებთან პირისპირ შეყრამდე. ხომ გესმით, ეს კაცი ერთი იმათგანი იყო, ვინც მუდამ ცდილობს, ყველანაირი ცდუნებისაგან გიხსნას, გაგაგებინოს, რომ ღმერთი ყოველთვის ზევიდან დაგყურებს, მაშინაც კი, როდესაც შინ არ ხარ, და თუ ღმერთს მიენდობი, ბოლოს არ ინანებ. დროთა განმავლობაში მე ამაში თავადაც დავრწმუნდი, თუმცა, ცხოვრებამ მასწავლა ეს და არა ჰეგბერტის შეგონებებმა. <sup>[55]</sup>

ადრეც გითხარით, ბიუფორტი ერთი ჩვეულებრივი სამხრეთული ქალაქია-მეთქი, თუმცა ძალიან საინტერესო ისტორია კი აქვს. აქ ერთ დროს მეკობრე ბლექბერდს ჰქონია სახლი და მისი გემიც, სახელად დედოფალ ანას რევანში, შესაძლოა, სადღაც აქვე, სანაპიროსთან იყოს სილაში ჩაფლული. ამას წინათ ვიღაც არქეოლოგებმა თუ ოკეანოგრაფებმა, მოკლედ, ასეთი რაღაცეების მაძიებლებმა, თქვეს, რომ იპოვეს ის, მაგრამ დანამდვილებით ვერავინ ვერაფერს ამბობს, რადგან ეს გემი დაახლოებით 250 წლის წინ ჩაიძირა და, მოგეხსენებათ, მისი სარეგისტრაციო ნომრის არქივში შემონახვა შეუძლებელია. 1950-იანი წლების შემდეგ ბიუფორტი ძალიან შეიცვალა, მაგრამ არც დიდ მეტროპოლისად ქცეულა და არც რამე ამის მსგავსად. ბიუფორტი ყოველთვის პატარა ქალაქი იყო და ასეთადაც დარჩება; ჩემს პატარაობაში კი რუკაზეც ძლივს ჩანდა.

უფრო კარგად რომ წარმოიდგინოთ, ასე ვიტყვი: საარჩევნო ოლქი, რომელშიც ბიუფორტი შედიოდა, შტატის მთელ აღმოსავლეთ ნაწილს მოიცავდა - დაახლოებით ოცი ათას კვადრატულ მილს - და მისი არც ერთი ქალაქის მოსახლეობა ოცდახუთ ათასს არ აღემატებოდა. მაგრამ ბიუფორტი ამ ქალაქებთანაც კი ვერ მივიდოდა სიდიდით. რალის აღმოსავლეთიდან დანყებული, უილმინგტონის ჩრდილოეთამდე, ვირჯინიის საზღვრის მიმდებარე მთელ რეგიონს ერთადერთი წარმომადგენელი ჰყავდა - მამაჩემი. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

აღბათ, მის შესახებ გსმენიათ კიდევ. ახლაც ლეგენდადაა შემორჩენილი. მისი სახელი და გვარია უორს კარტერი. თითქმის ოცდაათი წელი კონგრესმენი იყო. არჩევნების დროს მისი მუდმივი სლოგანი იყო „უორს კარტერი წარმოადგენს -----“. იგულისხმებოდა, რომ ცარიელ ადგილას ამომრჩეველს იმ ქალაქის სახელი უნდა ჩაენერა, რომელშიც ცხოვრობდა. მახსოვს, როგორ დაეყვებოდით მე და დედა მამას საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, რათა ხალხს იგი ნამდვილ ოჯახის კაცად გაეცნო; მაშინ მანქანების ბამპერებზე მიწებებული სტიკერებიც გვხვდებოდა თვალში, წარწერებით - ოთუეი, ჩოკოვანიტი ან სევენ სფრინგზი. ახლა ასეთი რამეები აღარ ჭრის, იმ დროს კი ეს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის ყველაზე დახვეწილი ფორმა იყო. წარმომიდგენია, ეს მეთოდი ახლა რომ გამოეყენებინა, რა მოხდებოდა; ყველა მისი მოწინააღმდეგე ცარიელ ადგილას უწმანურ სიტყვებს ჩაწერდა, მაგრამ მაშინ ასეთი რამ ერთხელაც არ მომხდარა. თუმცა არა, ერთხელ იყო რაღაც

ამდაგვარი. ვიღაც დუპლინის ოლქელმა ფერმერმა იმ ადგილას ჩანერა სიტყვა მძღნერს. ამის დანახვაზე დედამ თვალეებზე ხელი ამათარა და სასწრაფოდ დაიწყო ლოცვა. უფალს ევედრებოდა, ამ უბირი ნაბიჭვრისთვის შეენდო. შეიძლება ზუსტად ასე არ უთქვამს, მაგრამ აბრი დაახლოებით ასეთი იყო. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ასე რომ, ჩემი ბატონი კონგრესმენი მამა გავლენიანი პირი იყო და ეს ყველამ კარგად იცოდა, მათ შორის მოხუცმა ჰეგბერტმაც. მაგრამ მათ კარგი ურთიერთობა არ ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ყოფნისას მამა ყოველთვის ჰეგბერტის ეკლესიაში დადიოდა, რაც, სიმართლე რომ ვთქვა, არცთუ ხშირად ხდებოდა. ჰეგბერტს ის ხომ ურყევად სწამდა, რომ მრუშები ჯოჯოხეთის პისუარების წმენდისთვის იყვნენ განწირული; ამას გარდა, იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ კომუნიზმი „ავადმყოფობაა, რომელიც კაცობრიობას ურჯულოებამდე მიიყვანს“. სიტყვა ურჯულოება სინამდვილეში არც კი არსებობდა, - ყოველ შემთხვევაში, მე ვერც ერთ ლექსიკონში ვერ მივაკვლიე - მაგრამ ჰეგბერტის მრევლმა მშვენივრად იცოდა, რას გულისხმობდა იგი ამ სიტყვაში. მათ ისიც კარგად იცოდნენ, რომ ამ სიტყვებს მამაჩემის გასაგონად ამბობდა, რომელიც თვალდახუჭული იჯდა ხოლმე და თავი ისე ეჭირა, ვითომ არც კი უსმენდა მას. მამა კონგრესის ერთ-ერთ იმ კომისიაში მუშაობდა, რომელიც აკონტროლებდა „წითელი გავლენის“ შეჭრას ქვეყნის ცხოვრების ნებისმიერ ასპექტში, მათ შორის, სახელმწიფო თავდაცვაში, უმაღლეს განათლებასა და თვით თამბაქოს მრეწველობაშიც კი. ნუ

დაგავიწყდებათ, რომ ეს ყველაფერი ცივი ომის დროს ხდებოდა; დაძაბულობა იზრდებოდა, და ჩვენც, ჩრდილოეთ კაროლინელებსაც, პირადად უნდა გვეგრძნო ეს. მამა დაულაღვად ეძებდა ისეთ ფაქტებს, რომლებისგანაც პეგბერტის ყაიდის ადამიანები შორს იყვნენ. [P]  
[SEP]

სახლში, ქადაგების შემდეგ, მამა იტყოდა ხოლმე: „პატივცემული სალივანი დღეს ჩინებულ ფორმაში იყო. იმედია, მოუსმინეთ საღვთო წერილის იმ ნაწილს, რომელშიც იესო ღარიბების შესახებ ლაპარაკობს...“ [P]  
[SEP]

- კი, მამა, რა თქმა უნდა... [P]  
[SEP]

მამა ყოველთვის სიტუაციის განმუხტვას ცდილობდა, როცა კი ეს შესაძლებელი იყო. ალბათ ამიტომაც შემორჩა კონგრესში ამდენ ხანს. ამ კაცს შეეძლო, მსოფლიოში ყველაზე მახინჯი ბავშვისათვის ეკოცნა და მერე ეთქვა: „რა სათუთი ბავშვია“, და ეს მაშინ, როცა ბავშვს აშკარად უზარმაზარი თავი ედო მხრებზე, ან კიდევ, „დარწმუნებული ვარ, ამქვეყანად უმშვენიერესი გოგონააო“ - ისეთ ბავშვზე იტყოდა, მთელი სახე ტყლიპით რომ ჰქონდა დაფარული. ერთხელ ერთი ქალი მოვიდა, თან ინვალიდის ეტლში მჯდომი ბავშვი მოიყვანა. მამამ ბავშვს შეხედა თუ არა, თქვა: „ეჭვიც არ მეპარება, რომ მთელს კლასში ყველაზე გონიერი შენ ხარ“. ასეც იყო! კი, მამას ასეთი რამეები ეხერხებოდა. მას უდავოდ შეეძლო, თავი საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ წარმოეჩინა. არა, ცუდი კაცი ნამდვილად არ იყო, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არასდროს ვუცემივარ, თითიც კი არ დაუკარებია ჩემთვის. [P]  
[SEP]

მაგრამ ისე გავიზარდე, სახლში თითქმის არასოდეს იყო. ვერ ვიტან ასეთ ლაპარაკს, რადგან დღესდღეობით მსგავს ნუნუნს ხშირად მოისმენთ იმათგან, ვისაც მშობლები თავს ევლებოდნენ და ვინც ამით თავისი უსაქციელობის ახსნას ცდილობს - მამაჩემს... არ ვუყვარდი... ამიტომაც გავხდი სტრიპტიზის მოცეკვავე და ჯერი სპრინგერის შოუში გამოვდიოდი... ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ თავი ვიმართლო ან აგისხნათ, რატომ ვარ ასეთი. არა, მე უბრალოდ ფაქტს აღვნიშნავ. მამა შინ არ იყო წელიწადში ცხრა თვეს. ვაშინგტონში ცხოვრობდა, ჩვენგან სამასი მილის დაშორებით. დედა თან არ გაჰყვა, რადგან ორივეს სურდა, მეც ბუსტად ისე გავზრდილიყავი, როგორც „თვითონ გაიზარდნენ“. [SEP]

რა თქმა უნდა, მამაჩემი თავის მამას სანადიროდაც დაჰყავდა და სათევზაოდაც, ბურთის თამაშსაც ასწავლიდა, მის დაბადების დღეებსაც ესწრებოდა - ისეთ უმნიშვნელო რაღაცეებში მონაწილეობდა, რაც ყველას ბავშვობაში ხდება ხოლმე. ჩემი მამა კი ჩემთვის უცხო იყო - წესიერად არც კი ვიცნობდი. ხუთ წლამდე მეგონა, რომ ყველა მამა სადღაც სხვაგან ცხოვრობდა. ასე მეგონა მანამ, სანამ ერთ დღეს ჩემმა საუკეთესო მეგობარმა ერიკ ჰანტერმა საბავშვო ბაღში არ მკითხა, ის ვაცი, გუშინ საღამოს შენს სახლში რომ ვნახე, ვინ არისო. მაშინღა მივხვდი, რომ რაღაც ვერ იყო კარგად. [SEP]

- მამაჩემია, - მივუგე ამაყად. [SEP]

- მართლა? - მკითხა ერიკმა, თან ჩემს ლანჩის ყუთში იქექებოდა, „მილქი ვეის“ ეძებდა. - არ ვიცოდი, მამა თუ გყავდა. [SEP]



ამის გაგონებაზე თავზარი დამეცა. [P]  
[SEP]

ასე რომ, დედის კალთაში გავიზარდე. დედაჩემი ძალიან კარგი ქალი იყო, სანდომიანი და კეთილი, ნამდვილად ისეთი დედა იყო, როგორმეც ბევრი იოცნებებდა. მაგრამ ჩემს ცხოვრებაზე ისეთი გავლენა ვერ მოახდინა და ვერც მოახდენდა, როგორც მამაკაცს შეეძლო. ამ ფაქტმა, საკუთარი მამით იმედგაცრუებასთან ერთად, ადრეულ ასაკშივე მემამბოხედ მაქცია. მაგრამ იცოდეთ, ისეთს არაფერს ვაშავებდი. დიდი დიდი, გვიან საღამოს სახლიდან გავპარულიყავი და ჩემს ძმაკაცებთან ერთად მანქანების ფანჯრები მერეცხა, ან მოხალული მიწის თხილი მეჭამა ეკლესიის უკან, სასაფლაოზე. მაგრამ ორმოცდაათიან წლებში ასეთი რამის გაგონებაზე ჩვენი თანატოლების მშობლებს გულები უსკდებოდათ და თავის ქნევით და ჩურჩულით მოძღვრავდნენ შვილებს: „კარტერს გინდა, დაემსგავსო? იცოდე, მაგის ბოლო ციხეა“ [P]  
[SEP]

ჩემზე ამბობდნენ. მე ცუდი ბიჭი ვიყავი. იმიტომ, რომ მოხალული მიწის თხილი ვჭამე სასაფლაოზე. ხომ წარმოგიდგენიათ! [P]  
[SEP]

ასე იყო თუ ისე, მამა და ჰეგბერტი ერთმანეთს ვერ ეწყობოდნენ და არა მხოლოდ პოლიტიკის გამო. როგორც ეტყობა, ერთმანეთთან ძველი ანგარიშები ჰქონდათ. ჰეგბერტი მამაზე ოცი წლით უფროსი იყო და სანამ მღვდელი გახდებოდა, მამაჩემის მამასთან მუშაობდა. ბაბუა - მიუხედავად იმისა, რომ დიდ დროს ატარებდა მამაჩემთან ერთად - მაგარი ნაბიჭვარი იყო, ნაბიჭვარზე ნაბიჭვარი. ის ქონება, რომელიც ჩემს ოჯახს ჰქონდა, სინამდვილეში მისი ნაშოვნია იყო. არ

მინდა, შეცდომაში შეგიყვანოთ და ისეთ კაცად წარმოგიდგინოთ, რომელიც თავის საქმეს ემონებოდა, მუყაითად შრომობდა და თავისი ბიზნესის ნელ-ნელა ზრდითა და წარმატებით ხარობდა. ბაბუა ამაზე ბევრად გამჭრიახი იყო. ფული მარტივად იშოვა - მშრალი კანონის დროს ბუტლეგერობდა და კუბიდან რომი შემოჰქონდა. შემდეგ მინები იყიდა და ზედ მოიჭარეები დაასახლა, რომლებსაც თამბაქო მოჰყავდათ. თამბაქოს შემოსავლის ოთხმოცდაათ პროცენტს თვითონ იღებდა და მერე, როცა მუშებს ფული დასჭირდებოდათ, სესხად აძლევდა არნახული პროცენტით. რა თქმა უნდა, ფულს უკან არასოდეს იბრუნებდა - ამის ნაცვლად, მათ ან მინას ართმევდა ან შრომის იარაღებს, თუ შემთხვევით ასეთი რამ აღმოაჩნდებოდათ. მერე დადგა დრო, რომელსაც თავად „შთაგონების მომენტს“ უწოდებდა; ადგა და ბანკი გახსნა, სახელწოდებით „კარტერის საბანკო საქმე და სესხები.“ ერთადერთი სხვა ბანკი, რომელიც ორი ოლქის რადიუსში არსებობდა, რაღაც იდუმალ ვითარებაში დაინვა, ბოლომდე დაიფერფლა და დიდი დეპრესია რომ დაიწყო, აღარც გახსნილა. ყველამ კარგად იცოდა, სინამდვილეში რაც მოხდა, მაგრამ შურისძიების შიშით (და საკმაოდ საფუძვლიანით) ხმას არავინ იღებდა. ბანკი არ იყო ერთადერთი შენობა, რომელიც იმ დროს ასეთ იდუმალ ვითარებაში დაინვა. [SEP]

სესხს აღმამფოთებლად მაღალი პროცენტით იძლეოდა. ხალხი კრედიტს ვეღარ აბრუნებდა, ბაბუას კი მინაც მეტი უგროვდებოდა და ქონებაც. როცა დეპრესიამ პიკს მიაღწია, ბაბუამ მთელი ოლქის

მასშტაბით ათობით ბიზნესი გამოისყიდა, თავდაპირველი მფლობელები არ დაუთხოვია, სამსახური ყველას შეუნარჩუნა, ხელფასიც დაუნიშნა, მაგრამ მხოლოდ იმდენს უხდიდა, რომ სამსახურიდან არ წასულიყვნენ, ან კი სად უნდა წასულიყვნენ ის სანყლები? ჰპირდებოდათ, ეკონომიკა რომ გაუმჯობესდება, თქვენს ბიზნესს უკან მოგიყიდითო. ისინიც ყოველთვის უჭერებდნენ. [P SEP]

დაპირება კი არც ერთხელ არ შეუსრულებია. ბოლოს უკვე ერთპიროვნულად აკონტროლებდა ოლქის ეკონომიკის დიდ ნაწილს და თავის გავლენას იმდენად ბოროტად იყენებდა, ვერც კი წარმოიდგენთ. [P SEP]

სიამოვნებით გეტყვოდი, რომ საშინელი სიკვდილით მოკვდა, მაგრამ ასე არ მომხდარა. ასაკოვანი გარდაიცვალა, კაიმანის კუნძულებთან ახლოს, საკუთარ იახტაზე საყვარელთან ერთად ლოგინში ნებივრობისას. ორივე ცოლზე დიდხანსაც იცოცხლა და ერთადერთ ვაჟზეც. როგორია? ხომ გადასარევია ასეთი ტიპისთვის? ცხოვრება, როგორც დავრწმუნდი, სამართლიანი არასოდეს არის. სკოლაში თუ რამეს ასწავლიან, პირველ რიგში, ეგ უნდა ასწავლონ. [P SEP]

მაგრამ ისევ ჩემს ამბავს დავუბრუნდეთ... როგორც კი ჰეგბერტი მიხვდა, რა ნაბიჯარიც ბრძანდებოდა ბაბუაჩემი, მასთან მუშაობას თავი დაანება და მღვდლად წავიდა. მერე ისევ ბიუფორტში დაბრუნდა და იმ ეკლესიაში დაიწყო სამსახური, რომელშიც ჩვენ დავდიოდით. თავისი მოღვაწეობის პირველი რამდენიმე წელი ყოველთვის ურად სიხარბის შესახებ ქადაგებდა და ხარბებისთვის გამზადებულ ცეცხლსა

და კუპრზე ლაპარაკობდა, დრო სხვა არაფრისთვის რჩებოდა. ცოლი ორმოცდასამი წლის ასაკში მოიყვანა, გოგონა, ჭეიმი სალივანი, ორმოცდათხუთმეტისას შეეძინა. მის ცოლს - პატარა, კაფანდარა ქალს, რომელიც ქმარზე ოცი წლით უმცროსი იყო - ჭეიმის გაჩენამდე ექვსჯერ მოეშალა მუცელი; მერე მშობიარობას გადაჰყვა და ჰეგბერტი ქვრივად დარჩა. მას მერე მარტო ზრდიდა თავის გოგონას. [P SEP]

იმ პიესასაც ეს ისტორია ედო საფუძვლად. [P SEP]

ხალხმა ეს ამბავი მანამდეც იცოდა, სანამ პიესას პირველად დადგამდნენ. ამ ამბავს ყვებოდნენ ყოველთვის, როცა ჰეგბერტი ვინმეს ბავშვს ნათლავდა ან დაკრძალვის ცერემონიალს ატარებდა. ეს ამბავი ყველასთვის ცნობილი იყო და, ჩემი აზრით, სწორედ ამიტომაც უყურებდნენ იმ საშობაო სპექტაკლს ასეთი ემოციებით. მას რეალური ისტორია ედო საფუძვლად და ამიტომაც იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. [P SEP]

იმ წელს მე და ჭეიმი სალივანი სკოლას ვამთავრებდით. ანგელოზის როლის შემსრულებლადაც ის აირჩიეს, ამის შანსი სხვას არავის ჰქონდა. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი კიდევ უფრო განსაკუთრებულს ხდიდა იმ წლის სპექტაკლს. მაგარი გამოვიდოდა, დიდი ამბავი ატყდებოდა, უდიდესი - ყოველ შემთხვევაში, მის გარბერის აზრით. მის გარბერი დრამის მასწავლებელი იყო. როცა მის საკლასო ოთახში პირველად შევედი, სახეზე უკვე ალმური ასდიოდა და აღტაცებული ელოდა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. [P SEP]

იმ წელს დრამის არჩევას არ ვაპირებდი. აზრადაც არ მომსვლია,

მაგრამ ან დრამა უნდა ამერჩია ან ქიმიის მეორე ნაწილი. ჩავთვალე, რომ დრამის გაკვეთილები ადვილი იქნებოდა, განსაკუთრებით, ქიმიასთან შედარებით. არც საშინაო დავალება, არც საკონტროლოები, არც რაღაც ცხრილები, არც პროტონებისა და ნეიტრონების დაბეჭირება და არც ელემენტების ერთმანეთთან დაკავშირება რაღაც ფორმულების მისაღებად... დამამთავრებელი კლასის მოსწავლისთვის ამაზე უკეთესი რა უნდა ყოფილიყო? რა თქმა უნდა, დრამის კლასი ჯობდა. დრამის კლასში რომ ვენერებოდი, მეგონა, მთელ გაკვეთილს მშვიდად ვიძინებდი, რაც ერთობ მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, - მოგეხსენებათ, ნახევარ ღამეს მინის თხილის კნატუნში ვატარებდი ხოლმე.<sup>[SEP]</sup>

პირველ გაკვეთილზე ბოლო მივედი. ის იყო, კლასში შევედი და ბარიც დაირეკა. წავედი და ბოლო მერხზე დავჯექი. მის გარბერი კლასისაკენ ბურგშეცევით იდგა და თავის სახელს და გვარს დიდი ასოებით წერდა დაფაზე, თითქოს არ ვიცოდით, ვინც იყო. იმას ყველა იცნობდა - შეუძლებელი იყო, არ გცნობოდა. უშველებელი იყო, მინიმუმ ექვსი ფუტი და ორი დუიმი, ცეცხლის ალივით წითელი თმა ჰქონდა და ღია ფერის კანი, რომელზეც, ამ ორმოც წელს გადაცილებულ ქალს, ჭორფლი კიდევ ეტყობოდა. ჭარბწონიანიც იყო, რა დასამალია და, ორას ორმოცდაათი ფუნტს მაინც ურტყამდა, თან ყვავილებიანი ბალახონების ჩაცმა უყვარდა. მუქი, სქელი, ძვლისჩარჩოიანი სათვალე ეკეთა და ყველას ასე ესალმებოდა - „სალამიიი“, ბოლო მარცვალს რაღაცნაირი ნამღერებით ამბობდა.

მის გარბერი უდავოდ იშვიათი რამე იყო, თანაც გაუთხოვარი, რაც კიდევ უფრო ართულებდა საქმეს. ასეთი გოგო ნებისმიერი ასაკის ნებისმიერ მამაკაცს შეეცოდებოდა. [P SEP]

თავისი სახელის ქვეშ მან ის მიზნები ჩამოწერა, რომელთა მიღწევაც იმ წელს სურდა. პირველ ნომრად დანერა „საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნება“, მეორედ - „საკუთარი თავის შეცნობა“, მესამედ - „საკუთარი თავის რეალიზაცია“. შეამჩნიეთ, ალბათ, რომ მის გარბერს აშკარად გართულება ჰქონდა „საკუთარ თავზე“, მოკლედ, რაღა მაგის და რაღა ფსიქოთერაპიის ინტერესები, თუმცა ამას მაშინ, ალბათ, ვერც აცნობიერებდა. მის გარბერი ამ სფეროში პიონერი იყო. არ არის გამორიცხული, ეს გარკვეულწილად მისი გარეგნობის ბრალიც ყოფილიყო; მგონი, უნდოდა, თავი რეალურზე უკეთ წარმოეჩინა. [P SEP]

მაგრამ ახლა უკვე თემიდან გადავუხვიე. [P SEP]

გაკვეთილის დაწყებამდე უჩვეულო არაფერი შემინიშნავს. ბიუფორტის საშუალო სკოლა დიდი არ იყო და კარგად ვიცოდი, რომ სკოლაშიგოგოებისა და ბიჭების თანაფარდობა ორმოცდაათი ორმოცდაათზე იყო. ამიტომ ძალიან გამიკვირდა, როცა შევნიშნე, რომ კლასში ოთხმოცდაათი პროცენტი გოგოები იყვნენ. ჩემ გარდა, იქ მხოლოდ ერთი ბიჭი იჯდა, რაც ჩემი აზრით, ურიგო სულაც არ იყო და ამან უცბად ისე აღმაფრთოვანა, რომ კინაღამ ხმამაღლა ვიყვირე: - „ახლა კი მიფრთხილდით! მოვდივარ!“ გოგოები, გოგოები, გოგოები... სულ ამაზე ვფიქრობდი. მარტო გოგოები და გოგოები, არანაირი

ტესტები და საკონტროლო წერები. [P]  
[SEP]

კარგი, ბარემ ახლავე ვალიარებ, რომ უბანში ყველაზე ჭკვიანი და სერიოზული ბიჭი ნამდვილად არ ვიყავი. [P]  
[SEP]

მის გარბერმა საშობაო პიესა გაგვაცნო და გამოგვიცხადა, რომ ნელს ანგელოზის როლს ჭეიმი სალივანი შეასრულებდა. ამის თქმა იყო და მის გარბერმა ტაშისკვრა ატეხა - ისიც ეკლესიის მრევლი იყო და ზოგიერთების აზრით, საკმაოდ რომანტიკულადაც იყო განწყობილი ჰეგბერტის მიმართ. ეს ამბავი პირველად რომ გავიგე, ვიფიქრე, რა ბედნიერებაა, ერთად რომც იყვნენ, ასაკის გამო ბავშვებს მაინც ვერ იყოლიებენ-მეთქი. წარმოიდგინეთ - გამჭვირვალე და თანაც ჭორფლიანი. ამის გაფიქრებაზე ყველას ტანში გვზარავდა, მაგრამ რა თქმა უნდა, ხმამაღლა ამაზე არ ვლაპარაკობდით, ყოველ შემთხვევაში, მის გარბერის და ჰეგბერტის გასაგონად მაინც. ჭორაობა ერთია, ბოროტად ჭორაობა კი - სულ სხვა. არც ასეთი გულქვები ვიყავით. [P]  
[SEP]

მის გარბერი კაი ხანს უკრავდა ტაშს მარტო, სანამ ბოლოს და ბოლოს არ მივხვდით, რომ ჩვენი აყოლიება უნდოდა. [P]  
[SEP]

- ადექი, ჭეიმი! - თქვა მან. ჭეიმი ადგა და შემობრუნდა. მის გარბერმა ტაშისკვრას ისე უმატა, თითქოს მის წინაშე ნამდვილი კინოვარსკვლავი მდგარიყოს. [P]  
[SEP]

ჭეიმი სალივანი კარგი გოგო იყო. ნამდვილად კარგი. ბიუფორტი იმდენად პატარა ქალაქი იყო, რომ მხოლოდ ერთი დანყებითი სკოლა გვქონდა, ამიტომაც მთელი ცხოვრება ერთ კლასში ვსწავლობდით;

მოგატყუებთ, თუ ვიტყვი, მანამდე არ დავლაპარაკებივარ-მეთქი. ერთხელ, მეორე კლასში, მთელი წელი ჩემ გვერდით იჯდა და რამდენჯერმე ცოტა ვისაუბრეთ კიდევ, მაგრამ ისე არ გამიგოთ, თითქოს მთელ ჩემს თავისუფალი დროს იმასთან ვატარებდი. პირიქით უფრო იყო. სკოლაში ვისაც ვხვდებოდი ერთი იყო და სკოლის შემდეგ - სულ სხვა. ჭეიმი ჩემი ახლობლების სიაში არასოდეს შედიოდა. <sup>[P. 56]</sup>

იმიტომ კი არა, რომ ჭეიმი მომხიბვლელი არ იყო - არა, ამის თქმა არ მინდა. არც მახინჯი იყო და არც არაფერი. საბედნიეროდ, დედას ჰგავდა. დედამისი კი, იმ სურათების მიხედვით, რომლებიც ნანახი მქონდა, ცუდი ქალი არ იყო, უკეთეს კაცსაც შეეძლო, გაჰყოლოდა. მაგრამ ჭეიმი ისეთიც არ იყო, მე რომ მიმზიდველად მომეჩვენებოდა. მიუხედავად იმისა, რომ თხელი იყო, ღია ჩალისფერი თმით და თბილი ცისფერი თვალებით, მაინც რაღაცნაირი... უბრალო გარეგნობა ჰქონდა. შეიძლება, საერთოდ ვერც კი შეგემჩნიათ. თვითონ ჭეიმის გარეგნობა და ეგეთი რამეები საერთოდ არ ანაღვლებდა, უფრო „შინაგანი სილამაზე“ აინტერესებდა, ალბათ, ამიტომაც გამოიყურებოდა ისე, როგორც გამოიყურებოდა. რაც თავი მახსოვდა, თმას მუდამ ერთნაირად ივარცხნიდა - შინაბერასავით გადატკეცილი და კუდად შეკრული ჰქონდა, სახეზე მაკიაჟის ნატამალს არ იკარებდა. მუდამ ყავისფერი ჟაკეტი და უჭრედებიანი ქვედაბოლო ეცვა. მოკლედ, ისეთი იყო, გვეგონება, ბიბლიოთეკაში მუშაობის დასაწყებად გასაუბრებაზე მიდისო. თავიდან გვეგონა, ეს მისი ცხოვრების ერთი ეტაპი იყო და ამ ეტაპიდან გამოვიდოდა, მაგრამ არც უფიქრია.



საშუალო სკოლის ბოლო სამ კლასშიც კი არ მოსულა აზრზე. ერთადერთი, რაც იცვლებოდა, მისი ტანსაცმლის ზომა იყო. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჯეიმი სხვებისაგან მარტო გარეგნობით კი არ გამოირჩეოდა, ყველასაგან განსხვავებულადაც იქცეოდა. არც სესილის კაფეში იჭდა ხოლმე უქმად და არც უსაქმურთა წვეულებებზე დადიოდა, სხვა გოგოებთან ერთად. ზუსტად ვიცი, რომ შეყვარებულის არა ჰყოლია ცხოვრებაში. რომ ჰყოლოდა, მოხუც ჰეგბერტს, ალბათ, გულიც გაუსკდებოდა. მაგრამ სასწაული რომც მომხდარიყო და ჰეგბერტს ამის უფლება მიეცა, არც ამით შეიცვლებოდა რამე. ჯეიმს ბიბლია მუდამ თან დაჰქონდა; ბიჭებს, მისი გარეგნობა და ჰეგბერტი თუ არა, ბიბლია მაინც დააფრთხოდა. ბიბლია მეც ზუსტად ისე მიყვარდა, როგორც ნებისმიერ სხვა მოზარდს, ჯეიმის კი აშკარად სიამოვნებდა მისი კითხვა, რაც ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო. არდადეგების დროს, ყოველ აგვისტოს ხომ ბიბლის მოყვარულთა სკოლაში დადიოდა, გაკვეთილებს შორის შესვენებებზეც სულ გადაშლილი ჰქონდა ხოლმე და კითხულობდა. ჩემი აზრით, ეს არანორმალურობა იყო, მერე რა, რომ მამა მღვდელი ჰყავდა. პავლე მოციქულის წერილებით ეფესელებისადმი ისე ნამდვილად ვერ გაერთობა კაცი, როგორც გოგოებთან არშიყობით, ხომ მიმიხვდით, რასაც ვგულისხმობ? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მაგრამ ჯეიმი კიდევ ბევრ სხვა რამესაც აკეთებდა. ალბათ, ბიბლიის ამდენი კითხვის ან ჰეგბერტის შეგონების გავლენით, ჯეიმი თვლიდა, რომ ადამიანი სხვებს უნდა ეხმარებოდეს და რომ ეს ძალიან

მნიშვნელოვანია; ასეც იქცეოდა. მე ვიცი, რომ მორიჰედ სითის ბავშვთა სახლში მოხალისედ დადიოდა, მაგრამ ამითაც არ კმაყოფილდებოდა. თანხების მოძიების ხან რომელ ღონისძიებას ხელმძღვანელობდა და ხან - რომელს. ყველას ეხმარებოდა, „ბოი სკაუტებით“ დაწყებული და „ინდიელი პრინცესებით“ დამთავრებული; ისიც ვიცი, რომ თოთხმეტი წლისამ თითქმის მთელი ზაფხულის არდადეგები თავისი მოხუცი მეგობლის სახლის ღებვაში გაატარა. ჭეიმის შეეძლო, ვიღაცის ბალი ისე გაემარგლა, თხოვნაც არ დასჭირვებოდა, ან ტრანსპორტის მოძრაობა შეეჩერებინა, პატარა ბავშვებს ქუჩაზე გადასვლაში რომ დახმარებოდა. ყოველდღიურ ჭიბის ფულს ზოგავდა, ობოლი ბავშვებისთვის კალათბურთის ბურთი რომ ეყიდა ან კვირა დღეს მთელი დანაზოგი ეკლესიისთვის შეენირა. მოკლედ, ისეთი გოგო იყო, რომელთან შედარებითაც ყველანი ცუდები ვჩანდით და თუკი ოდესმე ჩემკენ გამოიხედავდა, თავს მუდამ დამნაშავედ ვგრძნობდი, მაშინაც კი, როცა არაფერს ვაშავებდი. [SEP]

ჭეიმი ყველა სულიერის მიმართ კეთილი იყო. თუ სადმე დაშავებულ ცხოველს გადააწყდებოდა, აუცილებლად მის დახმარებას ეცდებოდა. ოპოსუმებზე, ციყვებზე, ძაღლებზე, კატებზე, ბაყაყებზე... განურჩევლად ყველაფერზე ზრუნავდა. ეჭიმი როულინგზი, ვეტერინარი, შორიდანვე ცნობდა და მაშინვე თავს გადააქნევდა ხოლმე, მუყაოს ყუთით ხელში მისი კარისაკენ მიმავალს რომ დაინახავდა. ყუთში მორიგი დაშავებული ცხოველი ეჭდა ხოლმე. ეჭიმი სათვალეებს მოიხსნიდა და ცხვირსახოცით წმენდდა, ამასობაში კი ჭეიმი უხსნიდა, სად და როგორ

იპოვა ეს საწყალი ქმნილება; თან უყვებოდა, რა შეემთხვა მას და როგორ. [P]  
[SEP]

- მანქანა დაეჭახა, ექიმო როულინგბ. ალბათ, უფლის ნება იყო, მე მეპოვა და გადამერჩინა. ხომ დამეხმარებით? [P]  
[SEP]

ჯემის სჯეროდა, რომ ამქვეყნად ყველაფერი უფლის გეგმისა და ჩანაფიქრის თანახმად ხდება. რა თემაზეც არ უნდა დალაპარაკებოდი, მუდამ უფლის ნებას ახსენებდა. წვიმის გამო ბეისბოლის მატჩი გადაიდო? - ალბათ იმიტომ, რომ ღმერთმა რაღაც უარესი აგვაცილა თავიდან. ტრიგონომეტრიაში მოულოდნელად საკონტროლო წერა დაგვანერინეს და მთელი კლასი ჩაიჭრა? - ალბათ უფალმა ინება, რომ უფრო დიდი გამოცდის წინაშე დავეყენებინეთ. მოკლედ, ხომ მიხვდით, როგორიც იყო. [P]  
[SEP]

რაც შეეხება ჰეგბერტს - მღვდლის შვილობა, რაღა თქმა უნდა, ადვილი ვერ იქნებოდა, მაგრამ ჯემი ამას სრულიად ბუნებრივ და კანონზომიერ რამედ მიიჩნევდა; უფრო მეტიც, ღმერთის მადლობელი იყო, ჰეგბერტის შვილად რომ გააჩინა. ხშირად უთქვამს, დალოცვილი ვარ, ასეთი მამა რომ მყავსო. ამის გაგონებაზე კაცს მხოლოდ ერთი აზრი მოუვიდოდა თავში - ნეტა ეს რომელი პლანეტიდან ჩამოვარდაო? [P]  
[SEP]

ამ უცნაურობებთან ერთად, ჯემის ჰქონდა კიდევ ერთი რამ, რაც მართლა მაგიჟებდა - მუდამ მხიარული იყო, ყოველთვის, იმის მიუხედავად, თუ რა ხდებოდა ირგვლივ. შემიძლია დავიფიცო, რომ ამ გოგოს ერთი ცუდი არ უთქვამს არავისზე და არაფერზე. მაშინაც კი

არაფერს ამბობდა, როცა არცთუ კარგად ვეყვებოდი. ქუჩაში ყოველთვის თავისთვის მიიმღეროდა და მანქანებში მსხდომ უცნობებს ხელს უქნევდა. ქუჩაში მიმავალ ჯეიმის რომ დაინახავდნენ, დიასახლისები სახლებიდან გამორბოდნენ და ზოგი რას სთავაზობდა და ზოგი - რას. ერთი რომ გოგრიანი პურით უმასპინძლდებოდა, მეორე, თუ მზე ძალიან აჭერდა, ლიმონათზე ეპატიჟებოდა. ქალაქში მცხოვრები უფროსები უკლებლივ ამ გოგოს ეთაყვანებოდნენ. „რამშვენიერი გოგონაა“ - ერთხმად იმეორებდა ყველა ჯეიმის სახელის ხსენებაზე. - „ეს ქვეყანა გაცილებით უკეთესი იქნებოდა, მაგნიარები ცოტა მეტი რომ იყვნენ.“<sup>[P]  
[SEP]</sup>

მაგრამ მე და ჩემი ძმაკაცები მათ აბრს არ ვიზიარებდით. ჩვენი აზრით, ერთი ჯეიმი სალივანიც კმაროდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ეს აზრები მაშინ მომდიოდა თავში, როცა დრამის პირველ გაკვეთილზე ჯეიმი ჩვენ წინაშე იდგა. აქვე უნდა ვაღიარო, რომ მისი შეხედვა დიდად არც მაინტერესებდა. მაგრამ როცა ჯეიმი სახით ჩვენკენ შემობრუნდა, კინალამ შოკში ჩავვარდი, თითქოს აქამდე ტყემაღზე ვიჯექი. ისევ იმავე პლედის ნაჭრის ბოლოკაბა და ყავისფერი ჟაკეტი ეცვა, რომლებიც მის ტანზე აქამდე მილიონჯერ მაინც მენახა, მაგრამ ახლა მკერდზე ორი ახალი ბორცვი გასჩენოდა, რომლებსაც ჟაკეტი ვერ უფარავდა და დავიფიცებდი, რომ სულ რაღაც სამი თვის წინ ეს ბორცვები იქ არ ყოფილა. მაკიაჟს არ ხმარობდა, მაგრამ ბრინჯაოსფერი იყო, ეტყობოდა, ბიბლიის მოყვარულთა სკოლაში სიარულისას გარუჯულიყო. მას მერე, რაც გავიცანი,

პირველად გამოიყურებოდა კარგად - თითქმის ლამაზიც იყო. რა თქმა უნდა, ეს აზრი მაშინვე უკუვაგდე, მაგრამ მან ოთახში მიმოიხედა და შემომცინა, ამ კლასში ჩემი დანახვა აშკარად გაუხარდა. ამ სიხარულის ნამდვილი მიზეზი მერეღა შევიტყვე. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

## თავი 2 <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელებას ჩეპელ ჰილში, ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში ვაპირებდი. მამაჩემს უნდოდა, სხვა კონგრესმენების შვილების მსგავსად, პარვარდში ან პრინსტონში შევსულიყავი, მაგრამ ჩემი ნიშნების პატრონს იქ არავინ მიმიღებდა. ცუდი მოსწავლე არ ვიყავი, უბრალოდ, სწავლას ნაკლებ დროს და ყურადღებას ვუთმობდი, რაც უდავოდ ეტყობოდა ჩემს ნიშნებს, მათ პატრონს კი სუროს ლიგამდე ხელი ნამდვილად არ მიმიწვდებოდა. დამამთავრებელ კლასში სწავლისას საქმე სულაც იქამდე მივიდა, შეიძლება, ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტშიც ვერ მოვხვედრილიყავი. ეს უნივერსიტეტი მამაჩემის ალმა მატერი იყო და იქ ნაცნობებიც ჰყავდა. ერთ-ერთ იმ იშვიათ შაბათ-კვირას, რომელსაც შინ ატარებდა, მამამ ჩემი გასაქაჩი გეგმა დააწყო. სკოლა ახალი დაწყებული იყო. ის-ის იყო, პირველი კვირა დამთავრდა და სადილად ვსხდებოდით. სამი დღე ოჯახში უნდა გაეტარებინა იმის გამო, რომ შრომის დღესთან დაკავშირებით სამდღიანმა უქმემ მოუწია. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- ვფიქრობ, წელს მოსწავლეთა თვითმმართველობის

პრეზიდენტობაზე უნდა იყარო კენჭი, - გამომიციხადა მან. [P]  
[SEP]

- ივნისში უკვე სკოლას ამთავრებ და პირად საქმეში პლუსად ჩაგენერება. სხვათა შორის, დედაც ასე ფიქრობს. [P]  
[SEP]

დედამ თანხმობის ნიშნად მხოლოდ თავი დაუქნია, რადგან იმ მომენტში პირი ბარდით ჰქონდა გამოტენილი. დედა საერთოდ ცოტას ლაპარაკობდა, როცა საუბარი მამას მიჰყავდა, მაგრამ თვალი ჩამიკრა. ის მართლა ძალიან კარგი ადამიანი იყო, მაგრამ ზოგჯერ მაინც მგონია, რომ მოსწონდა, როცა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილს და დაბნეულს მხედავდა. [P]  
[SEP]

- არა მგონია, გამარჯვების შანსი მქონდეს. - ამოვღერღე პასუხად. მიუხედავად იმისა, რომ მთელ სკოლაში ყველაზე მდიდარი ოჯახიშვილი ვიყავი, დიდად პოპულარული არ გახლდით. ამ პატივით ჩემი საუკეთესო მეგობარი ერიკ ჰანტერი სარგებლობდა. მას შეეძლო, ბეისბოლის ბურთისთვის ისეთი ძალით დაერთყა, რომ ბურთს საათში ოთხმოცდაათი მილის სიჩქარით ეფრინა; ფეხბურთელთა გუნდში კვოტერბეკი იყო და ისე თამაშობდა, როგორც ნამდვილ ვარსკვლავს შეეფერებოდა. მისი ნყალობით ჩვენი გუნდი ზედიზედ რამდენჯერმე გახდა შტატის ჩემპიონი. მოკლედ, მაგარ ტიპად ითვლებოდა. მისი სახელიც კი საკაიფოდ ჟღერდა. [P]  
[SEP]

- რა თქმა უნდა, გაიმარჯვებ! - სწრაფად თქვა მამამ, - ჩვენ, კარტერები, ყოველთვის ვიმარჯვებთ. [P]  
[SEP]

აი, კიდევ ერთი მიზეზი, რატომაც არ მიყვარდა მამასთან ყოფნა. იმ მცირე დროის განმავლობაშიც კი, რომელსაც შინ ატარებდა, სულ იმას

ცდილობდა, ჩემგან თავისი ასლი გამოეძერწა. მე კი, რადგან ძირითადად მის გარეშე ვიზრდებოდი, სახლში მის ყოფნას ვერ ვეგუებოდი. რამდენიმე კვირის მანძილზე ეს ჩვენი პირველი საუბარი იყო. ტელეფონზეც კი იშვიათად მელაპარაკებოდა. [P]  
[SEP]

- მე თუ არ მინდა? [P]  
[SEP]

მამამ ჩანგალი დადო. ხორცის ნაჭერი ჯერ კიდევ ჩანგლის კბილებზე იყო შერჩენილი. მკაცრად შემომხედა, ამათვალ-ჩამათვალა. კოსტიუმი ეცვა, მიუხედავად იმისა, რომ სახლში ტემპერატურა ლამის ოცდაათი გრადუსი იყო; კოსტიუმი კიდევ უფრო სერიოზულ იერს აძლევდა. ჰო, მართლა, მამაჩემს კოსტიუმი მუდამ ეცვა. [P]  
[SEP]

- ჩემი აზრით, - თქვა მან დინჯად, - არ განყენდა. [P]  
[SEP]

ვიცოდი, რომ როცა ამ ტონით ლაპარაკობდა, საქმე გადანყვეტილი იყო. ჩემს ოჯახში მუდამ ასე ხდებოდა. მამაჩემის სიტყვა კანონი იყო. სხვა რა გზა მქონდა? თანხმობა განვაცხადე, მაგრამ პრეზიდენტობაზე კენჭისყრა დიდად მაინც არ მეპიტნავებოდა. არ მინდოდა დროის უქმად ფლანგვა და გაკვეთილების შემდეგ - გესმით, გაკვეთილების შემდეგ! - კიდევ მასწავლებლებთან შეხვედრა; მთელი წელი, ყოველ კვირას იმაზე მსჯელობა, რა თემები უნდა შეგვერჩია სასკოლო წარმოდგენებისათვის ან რა ფერის უნდა ყოფილიყო გირლიანდები. თვითმმართველობის პრეზიდენტები მაშინ, ანუ იმ დროს, როდესაც მე დამამთვრებელ კლასში ვიყავი, ძირითადად ამით იყვნენ დაკავებული. რაიმე მნიშვნელოვანი გადანყვეტილების მიღების პროცესში

მონანილეობის უფლება მოსწავლეებს არ ჰქონდათ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მაგრამ ისიც მესმოდა, რომ მამა მართალი იყო. თუ ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში მოხვედრა მინდოდა, ცოტა ხელი უნდა გამენძრია. რას ვაკეთებდი, რო?! ფეხბურთს მე არ ვთამაშობდი და კალათბურთს; არც ერთ მუსიკალურ ინსტრუმენტზე არ ვუკრავდი, არც ჭადრაკის წრეზე დავდიოდი და არც ბოულინგის კლუბში ან რამე ეგეთში ვიყავი განევრიანებული. კლასშიც დიდად არ ვბრწყინავდი - ჯანდაბა, არაფერში არ გამოვიჩნეოდი! გულგატეხილმა ჩემი განსაკუთრებული უნარების ჩამოთვლა დავინყე - სია მაინცდამაინც შთამბეჭდავი არ გამოვიდა. ვიცოდი რვა სხვადასხვანაირი საზღვაო მარყუჟის შეკვრა, ცხელ ასფალტზე ფეხშიშველი სხვებზე დიდ მანძილს გავდიოდი, ფანქარს თითზე ვერთიკალურ მდგომარეობაში ოცდაათ წამს ვიჩერებდი... მაგრამ კოლეჯის ანკეტაში ასეთ რამეებს ხომ ვერ ჩავწერდი?! მოკლედ, მთელი ღამე ვინეჭი და ვფიქრობდი, სანამ ბოლოს და ბოლოს არ მივხვდი, რომ ცხოვრებაში მაჩანჩალა ვიყავი. მადლობა, მამა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მეორე დღეს დირექტორის კაბინეტში შევედი და ჩემი სახელი კანდიდატების სიაში შევატანიე. ჩემ გარდა, კიდევ ორი მოსწავლე იყრიდა კენჭს - ჯონ ფორმენი და მეგი ბრაუნი. ჯონს შანსი არ ჰქონდა, ეს ნალდად ვიცოდი. მაგარი მოსაწყენი ტიპი იყო, თუმცა კარგად კი სწავლობდა. ყოველთვის წინა მერხზე იჯდა. მასწავლებელი კითხვის დასმას ვერ ასწრებდა, რომ მაგას პასუხი უკვე მზად ჰქონდა და ხელს იწვედა. როცა გაიძახებდნენ, ყოველთვის სწორად პასუხობდა. თან



თავმომწონედ გადმოგვხედავდა ხოლმე, თითქოს გვეუბნებოდა, ნახეთ, ინტელექტით თქვენთან, უსაქმურებთან, შედარებით რამდენად მაღლა ვდგავართ. მე და ერიკი ბოლმაზე ქაღალდის ბურთულებს ვესროდით, როგორც კი მასწავლებელი ჩვენკენ ბურთით დადგებოდა.

[P]  
[SEP]

მეგი ბრაუნი სულ სხვა საქმე იყო. ისიც კარგად სწავლობდა. ბოლო სამ წელს მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრი იყო, მანამდე კი - დანყებითი კლასის პრეზიდენტი. ერთადერთი უარყოფითი ის ჰქონდა, რომ მაინცდამაინც კარგი შესახედავი ვერ იყო, იმ ზაფხულს კი ოცი ფუნტი მოემატებინა. ზუსტად ვიცოდი, მაგას არც ერთი ბიჭი არ მისცემდა ხმას. [P]  
[SEP]

კონკურენტებს თვალი რომ გადავაავლე, მივხვდი, შანსი უდავოდ მქონდა. ჩემი მომავალი ამ არჩევნებზე იყო დამოკიდებული, ამიტომ სასწრაფოდ შევიმუშავე სტრატეგია. ჯერ ერიკი დავითანხმე. [P]  
[SEP]

- რა პრობლემაა, მთელ გუნდს შენთვის მოვაცემინებ ხმას. შენ თუ ასე გჭირდება, ასეც იქნება! [P]  
[SEP]

- მაგათ შეყვარებულებს ვერა? [P]  
[SEP]

სულ ეს იყო მთელი ჩემი წინასაარჩევნო კამპანია. რა თქმა უნდა, დებატებშიც მივიღე მონაწილეობა და ყველა სულელურ კითხვასაც ვუპასუხე, მაგალითად: „რას გავაკეთებდი, თუ პრეზიდენტად ამირჩევდნენ“, მაგრამ საბოლოო ჯამში, ჩემს გამარჯვებას მაინც ერიკ ჰანტერს უნდა ვუმაღლოდე. ბიუფორტის საშუალო სკოლაში სულ ოთხასი ბავშვი სწავლობდა, ამიტომაც სპორტსმენთა ხმების

მოპოვებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ბიჭების უმრავლესობას კი სულ ეკიდა, ვის მისცემდა ხმას. ასე იყო თუ ისე, საბოლოოდ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მე მინდოდა. მოსწავლეთა თვითმართველობის პრეზიდენტად ხმათა დიდი უმრავლესობით ამირჩიეს. მაშინ ვერც წარმოვიდგენდი, რა შარში გავყავი თავი. [P SEP]

ბოლოს წინა კლასში სწავლისას ერთ გოგოსთან, ანჯელა კლარკთან, დავდიოდი. ჩემი პირველი ნამდვილი შეყვარებული იყო, თუმცა ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ რამდენიმე თვეს გაგრძელდა. ზუსტად ბაფხულის არდადეგების დანყების წინ გამცვალა ვინმე ლიუში, რომელიც ოცი წლისა იყო და მამამისის გარაჟში მექანიკოსად მუშაობდა. ამ ბიჭის მთავარი ღირსება, რომ არ მოგატყუოთ, მისი მაგარი მანქანა იყო. ყოველთვის თეთრი სპორტული მაისური ეცვა და სახელოში „ქემელის“ კოლოფი ჰქონდა გაჩრილი. სულ თავისი მანქანის, „თანდერბერდის“, კაპოტს მიყუდებული იდგა, აქეთ-იქით იყურებოდა და გოგოს არ გაატარებდა, არ მიეძახებინა: „სალამი, ფისუნია!“ მოკლედ, მაგარი ძველი იყო; ალბათ მიმიხვდით, რისი თქმაც მსურს. [P SEP]

სასწავლო წლის დანყების აღსანიშნავი ცეკვები კარს იყო მომდგარი, მე კი ამ ანჯელას გამო ჯერ შეყვარებულიც არ მყავდა. ცეკვებზე დასწრება მოსწავლეთა თვითმართველობის ყველა წევრისათვის სავალდებულო იყო. ჯერ სპორტული დარბაზის მორთვაში უნდა დავხმარებოდით, მერე კი ყველაფერი თავის

ადგილზე დაგველაგებინა; ისე, ცეკვებზე მაგრად ვერთობოდით ხოლმე. ერთ-ორ ჩემს ნაცნობ გოგოს დავურეკე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ უკვე ვიღაცეებს შეჰპირებოდნენ, მერე სხვებთან ჩამოვრეკე, ისინიც დაკავებულები იყვნენ. ბოლო კვირას ასარჩევიც აღარავინ მყავდა. მხოლოდ ისეთი გოგოებიღა იყვნენ დარჩენილი, ლინზებიანი სათვალეებით რომ დადიოდნენ და ენის ჩლიფინით ლაპარაკობდნენ. ბიუფორტი დიდი ლამაზმანების სამშობლო არასდროს ყოფილა, მაგრამ ვინმე ხომ უნდა მომეძებნა? ცეკვებზე წასვლა გოგოს გარეშე არ მინდოდა - რას იფიქრებდნენ? მე ვიქნებოდი მოსწავლეთა თვითმართველობის პირველი და ერთადერთი პრეზიდენტი, რომელიც ახალი სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავად გამართულ ცეკვებზე კენტად გამოცხადდა. მაშინ მთელი საღამო პუნშით გამომთვრალს უნიტაბთან ჩახუტებულს უნდა გამეტარებინა. ვინც ცეკვებზე მენყვილის გარეშე მიდიოდა, ის ასე „ერთობოდა“ ხოლმე. <sup>[58]</sup>

ცოტა არ იყოს, დავპანიკდი. თავის დასაწყნარებლად გასული წლის ალბომი გადმოვიღე და ფურცვლა დავიწყე, ვფიქრობდი, ეგებ ისეთ ვინმეს ნავაწყდე, ვინც თავისუფალი იქნება-მეთქი. ჯერ შარშანდელი დამამთავრებელი კლასის გოგოებს გადავხედე. ბევრი მათგანი უკვე სადღაც კოლეჯში სწავლობდა და ქალაქიდან წასულიყო, თუმცა, ზოგიერთი ჯერ კიდევ აქ იყო. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ მათთან შანსი არ მქონდა, მაგრამ მაინც დავრეკე. არც შევმცდარვარ. ვერავინ ვიპოვე. ყოველ შემთხვევაში, წამოსვლაზე ვერავინ დავითანხმე. ნელ-ნელა იმათ უარსაც შევეგუე და აღარც გულთან

მიმქონდა, მაგრამ ერთს კი გეტყვით - ვერაფერი სასიამოვნო მომენტი იყო, ამისთანა რამით შვილიშვილებთან ნაღდად ვერ დაიტრაბახებ, როცა დაბერდები. დედაჩემი ხვდებოდა, რა დღეშიც ვიყავი, ბოლოს შემოვიდა და ლოგინზე ჩამომიჭდა. [P SEP]

- თუ გოგონა ვერ იპოვე, მე წამოგყვები და თანაც სიამოვნებით, - მითხრა თანაგრძნობით. [P SEP]

- გმადლობ, დედა, - ამოვილულლულე ნაღვლიანად. [P SEP]

ოთახიდან რომ გავიდა, კიდევ უარესად გავხდი. მშობელ დედასაც კი არ ჰქონდაიმედი, რომ ვინმეს ვიშოვიდი. დედასთან ერთად ნავსულიყავი? ასი წლისაც რომ გავმხდარიყავი, ამას მაინც არ ვიზამდი! [P SEP]

ისე, ჩემნაირ დღეში ერთი სხვა ბიჭიც იყო, კერი დენისონი, თვითმმართველობის ხაზინადარი. არც იმას ჰყავდა მეგობარი გოგო. მე თუ მკითხავ, კერისნაირ ტიპთან დროის გატარება საერთოდ არავის მოუნდებოდა და ამ თანამდებობაზეც ერთადერთი მიზეზით აირჩიეს - კონკურენტი არ ჰყავდა. ამიტომ მგონია, რომ არჩევნები ძალიან სამართლიანად ჩატარდა. ჰოდა, ეს კერი სასულე ორკესტრში ტუბაზე უკრავდა და ისეთი არაპროპორციული ტანი ჰქონდა, თითქოს ზრდა შუა გარდატეხის ასაკში შეუნყვეტიაო. უზარმაზარი მუცლის და ტლანქი ხელ-ფეხის პატრონი იყო, ზუსტად ჰუვილელი ჰუბივით, თუ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ. მწივანა ხმით ლაპარაკობდა - ალბათ, ამიტომაც გამოსდიოდა ტუბაზე დაკვრა კარგად - და ტყვიამფრქვევით დაგაყრიდა კითხვებს: „სად იყავი ამ შაბათ-კვირას? კარგი დრო

გაატარე? გოგოები ხომ არ დაგიტრეფია?“ თან პასუხს კი არ ელოდებოდა - ნინ და უკან დაქროდა ისეთი სისწრაფით, კისერი გელრძობოდა მაგის ყურებით. გეფიცებით, ეგეთი ნერვების მომშლელი ტიპი ცხოვრებაში არ მენახა. გოგოს თუ ვერ ვიპოვიდი, მთელ საღამოს ჩემ გვერდზე ეგ იტრიალებდა და დარტყმული პროკურორით ტვინს გამომტამდა სულელური კითხვებით. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მოკლედ, ძებნას ვაგრძელებდი. ახლა უკვე იმ გვერდებს ვათვალიერებდი, რომლებზეც დაბალ კლასებში გადაღებული სურათები მქონდა ჩაკრული. მოულოდნელად ჭეიმი სალივანის სურათს გადავანყდი. ერთი ნამით შევჩერდი, მერე ჩემ თავს შევეკურთხე - ასეთი სისულელე რამ გაფიქრებინა-თქო. კიდევ ერთი საათი გავლიე ნორმალური გარეგნობის პარტნიორის ძებნაში და ბოლოს მივხვდი, რომ აღარავინ იყო დარჩენილი. ისევ ჭეიმის სურათს დავუბრუნდი და კარგად დავაკვირდი. ცუდად არ გამოიყურებოდა, მართლა საყვარელი ტიპი იყო. ალბათ, უარს არ მეტყვის-მეთქი, გავიფიქრე... <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ალბომი დავხურე. ჭეიმი სალივანი? ჰეგბერტის ქალიშვილი? არავითარ შემთხვევაში. გამორიცხულია. ჩემი ძმაკაცები ცოცხლად გამატყავებენ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მაგრამ საკუთარ დედასთან ერთად წასვლასთან შედარებით? მთელ ღამეს რწყევასთან შედარებით ან, ღმერთო, დამიფარე... კერი დენისონთან შედარებით? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მოკლედ, დიღემის წინაშე აღმოვჩნდი და მთელი საღამო ამაზე

ფიქრში გავატარე. ხან კარგი ვიფიქრე, ხან - ცუდი, მაგრამ ბოლოს მივხვდი, რომ სხვა გზა არ მქონდა. ცეკვებზე ჭეიმი უნდა დამეპატიჟა. ოთახში ბოლთის ცემა დავინწყე, არ ვიცოდი, როგორ მოვექცეულიყავი.

[ P ]  
[ SEP ]

და უცებ თავში საშინელმა აზრმა გამიელვა. იმ ნუთს ალბათ კერი დენისონიც იმასვე აკეთებდა, რასაც მე. ნაღდად ისიც წინა კლასების ალბომებს ათვალთქვებდა! ეს კერი დარეხვილი კი იყო, მაგრამ არც ისეთი, მთელი ღამე უნიტაბთან ჩახუტებულს რომ გაეტარებინა. დედამისი რომ გენახათ, ეგრევე დარწმუნდებოდით, რომ მაგისი არჩევანი ჩემსაზე ორჯერ უარესი იყო. ვაიდა, ჭეიმის დათრევა დაესწრო? ჭეიმი არც მაგას ეტყოდა უარს და თუ საქმეს რეალისტურად შევხედავდით, აშკარა იყო, რომ კერის სხვა არჩევანი არ ჰქონდა. ჭეიმის მეტი მას არავინ დათანხმდებოდა. ის ყველას ეხმარებოდა - ნამდვილი წმინდანი იყო - ყველას თანაბარ შანსს აძლევდა. ალბათ კერის წიკვინა ხმასაც აიტანდა, მისი გულიდან გამოსხივებულ სიკეთესაც დაინახავდა და მის შეთავაზებასაც დაუფიქრებლად მიიღებდა. [ P ]  
[ SEP ]

ჩემს ოთახში ვიჭექი და თავში ერთადერთი აზრი მიტრიალებდა - ვაითუ ჭეიმიც არ წამომყვეს ცეკვებზე-მეთქი. ასეთი რამ მანამდე არასდროს დამმართნია - იმ ღამეს თითქმის არ მიძინია. არა მგონია, აქამდე ვინმეს ამდენი ენერჯიულოს ჭეიმის სადმე დაპატიჟებაზე. გადავწყვიტე, დილითვე მივსულიყავი მასთან და დავლაპარაკებოდი, მაგრამ ჭეიმი სკოლაში არ მოვიდა. ვიფიქრე, ობლებთან იქნება

წასული მორიჰედ სითიში-მეთქი. ასე დადიოდა ყოველ თვეს. ჩვენც არაერთხელ ვცადეთ ამ საბაბით სკოლის გაცდენა, მაგრამ ნურას უკაცრავად! ამისთვის მხოლოდ ჭეიმის ათავისუფლებდნენ ხოლმე. დირექტორმა იცოდა, რომ იქ ჭეიმი ბავშვებს რაღაცეებს უკითხავდა, რაღაცეებს უკეთებდა ან, უბრალოდ, ეთამაშებოდა. ეს გოგო არც პლაჟზე გაიპარებოდა და არც სესილის კაფეში დაჯდებოდა ტყუილად. ამის გაფიქრებაც კი სასაცილო იყო. [P]  
[SEP]

- უკვე იშოვე მენყვილე? - მკითხა ერიკმა ერთ-ერთ დასვენებაზე. მშვენივრად იცოდა, რომ ვერავინაც ვერ ვიშოვე, მაგრამ მაინც მკბენდა; ძმაკაცი იყო, მაგრამ კბენას არ იშლიდა. [P]  
[SEP]

- ჭერ არა. ვჩალიჩობ. [P]  
[SEP]

კორიდორის ბოლოს კერი დენისონი თავის კარადაში იქექებოდა. დარწმუნებული ვარ, როგორც კი თვალი მოვაშორე, ბოროტი მზერა მტყორცნა. [P]  
[SEP]

რაღაც უცნაური დღე იყო. [P]  
[SEP]

ბოლო გაკვეთილზე დრო აუტანლად ნელა მიიზღაბნებოდა. თავს ვიმშვიდებდი. ვფიქრობდი, მე და კერი სკოლიდან ერთდროულადაც რომ გავიდეთ, ამ კოტიტა ფეხების პატრონი ჭეიმის სახლთან მისვლას მე რას მიმასწრებს-მეთქი. ავფორიაქდი, ადგილზე ველარ ვისვენებდი. მარის დარეკვისთანავე გამოვვარდი სკოლიდან და გავქანდი. ალბათ, საათში ასი იარდის სისწრაფით მაინც მივქროდი, მერე ვიგრძენი, რომ დავიღალე და ფერდში ჭვალი დამესო. ცოტახანში ჭვალი ისე გამიძლიერდა, სირბილის თავი აღარ მქონდა. სიმწრისაგან ნელში

მოვიკვცე და ხელი ფერდზე ნავივლე. ამ ყოფაში რომ დაგენახეთ ბიუფორტის ქუჩაში, ნაღდად ნოტრდამელი კუბიანი გეგონებოდი. [P]  
[SEP]

უცხად უკნიდან კერის მწივანა სიცილი მომესმა. შემოვტრიალდი, თან ხელები მუცელზე მივიჭირე, ტკივილი ოდნავ მაინც რომ გამეყუჩებინა, მაგრამ კერი არსად ჩანდა. ნეტა მოკლებზე ხომ არ მომიჭრა გზა და ეზო-ეზო ხომ არ გაიქცა! იმისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი, ისეთი გაიძვერა ნაბიჭვარი გახლდათ! ერთი ნუთითაც არ იყო სანდო. [P]  
[SEP]

ბანცალ-ბანცალით, მაგრამ მაინც სწრაფად მივდიოდი. მალე იმ ქუჩამდეც მივალნიე, სადაც ჭეიმი ცხოვრობდა. ოფლად ვიღვრებოდი - პერანგი მთლად სველი მქონდა - და მძიმედ ვსუნთქავდი. როგორც იქნა, მის კარს მივადექი, ერთი წამით სულის მოსათქმელად გავჩერდი და... დავაკაკუნე. მართალია, მისი სახლისაკენ თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი, მაგრამ იქ, კართან, ჩემში კვლავ პესიმისტმა გაიღვიძა. უცხად წარმოვიდგინე, რომ ჭეიმის სახლის კარს კერი გამიღებდა. წარმოვიდგინე, როგორ გამიღიმებდა გამარჯვებული კაცის იერით, როგორი თვალებით შემომხედავდა და უსიტყვოდ მაგრძნობინებდა: [P]  
[SEP]

- ბოდიში, ძმა, დაგაგვიანდა! [P]  
[SEP]

მაგრამ კერის ნაცვლად კარი ჭეიმომ გამიღო და პირველად მაშინ დავინახე, როგორი იქნებოდა ის, ჩვეულებრივი ადამიანი რომ ყოფილიყო. ჭინსები და წითელი ბლუზა ეცვა, თმა ისევ კუდად ჰქონდა შეკრული - ჩვეულებრივ გოგოს ჰგავდა. მივხვდი, რომ თუ მოინდომებდა, ძალიანაც საყვარელი ტიპი იქნებოდა. [P]  
[SEP]



- ლენდონ, - თქვა მან, კარი რომ გააღო, - რა სიურპრიზია! - ჭემის ყოველთვის ყველას დანახვა უხაროდა, მათ შორის, ჩემიც, თუმცა, მაინც მგონია, რომ ჩემმა გარეგნობამ ცოტა შეაცბუნა. - ისე გამოიყურები, თითქოს, ეს-ესაა, ვარჯიშს მორჩი, - თქვა მან. [P][SEP]

- არა, - ვიცრუე და ნარბზე ხელი გადავისვი. [P][SEP]

- ისე გაოფლილხარ, პერანგი გასანური გაქვს. [P][SEP]

- მართლა? - ვიკითხე და პერანგზე დავიხედე, - არა უშავს, ზოგჯერ მაგრად ვოფლიანდები ხოლმე. [P][SEP]

- ეგებ ექიმს ეჩვენო. [P][SEP]

- დარწმუნებული ვარ, არაფერი მჭირს. [P][SEP]

- ჰო, მაგრამ მაინც ვილოცებ შენთვის, - თქვა მან და გამიღიმა. ჭემი ყოველთვის ვიდაცისათვის ლოცულობდა. ახლა კი თავის კლუბში, ალბათ, მეც გამანევრიანებდა. [P][SEP]

- გმადლობ. [P][SEP]

ქვევით დაიხედა და ფეხები ოდნავ გააფლატუნა. [P][SEP]

- შინ შემოგიპატიჟებდი, მაგრამ მამა სახლში არ არის და მის არყოფნაში ბიჭების შემოყვანა არ შეიძლება. [P][SEP]

- არა უშავს, - ვთქვი ნაღვლიანად, - არა უშავს. აქ, ეზოში შეგვიძლია, ვილაპარაკოთ. - ჩემი ნება რომ ყოფილიყო, შინ ლაპარაკი მერჩივნა, მაგრამ რა გაენყობოდა. [P][SEP]

- ლიმონათს დალევ? ეს-ესაა, გავაკეთე. [P][SEP]

- სიამოვნებით. [P][SEP]

- ახლავე დავბრუნდები. [P][SEP]

შინ შევიდა, მაგრამ კარი ღია დარჩა და იქაურობა მოვითვალისწინებ. შევამჩნიე, რომ სახლი პატარა იყო, მაგრამ მოვლილი. ერთ კედელთან პიანინო იდგა, მეორესთან - დივანი. კუთხეში პატარა ვენტილატორი იდგა და ბრუნავდა. ჟურნალების მაგიდაზე წიგნები ელაგა - მოვუსმინოთ იესოს და რწმენა ყველაფრის პასუხია. მისი ბიბლიაც იქვე იდო და ლუკას სახარებაზე იყო გადაშლილი. [P SEP]

ჭეიმი მალე დაბრუნდა და იქვე, ვერანდაზე მდგომ სკამებზე ჩამოვსხედით. ხანდახან მათ სახლთან მიწვედა ხოლმე ჩავლა და ამიტომაც ვიცოდი, რომ საღამოობით ის და მამამისი აქ ისხდნენ ხოლმე. როგორც კი დავსხედით, მისი მეზობელი მისის პასტინგში დავინახეთ, რომელიც ქუჩის გადაღმა იდგა და ხელს გვიქნევდა. ჭეიმიმაც დაუქნია ხელი, ამასობაში დრო ვიხელთე და სკამი ცოტა გვერდზე გავაჩოჩე, მისის პასტინგს ჩემი სახე რომ არ დაენახა. მართალია, ჭეიმის საცეკვაოდ დასაპატიჟებლად ვიყავი მოსული, მაგრამ მაინც არ მინდოდა, ვინმეს აქ დავინახე - ვგებ, კერიმ უკვე დაპატიჟა, ის კი დაეთანხმა. ჯერ ჭეიმისთან ერთად ცეკვებზე გამოჩენა რა იყო და ახლა კერისნაირი ტიპის გამო მისგან უარის მოსმენა რა იქნებოდა. [P SEP]

- რას შვრები? სკამი მზეში დადგი, - მითხრა ჭეიმი. [P SEP]

- მიყვარს მზე, - მივუგე ჭიუტად, თუმცა ჭეიმი მართალი იყო, მაშინვე ვიგრძენი, როგორ დამაჭირა მზის სხივებმა, პერანგის ქვეშ კანი ამენვა და ისევ ოფლმა დამასხა. [P SEP]

- კაი, თუ ვგრე გინდა, ვგრე იყოს. აბა, რა გინდოდა გეთქვა? -

ღიმილით მკითხა მან. [P]  
[SEP]

ჭეიმიმ ამ დროს ხელი ასწია და თმის სწორება დაიწყო. ჩემი დაკვირვებით, ღერიც არ გატოკებია. ღრმად ჩავისუნთქე, გონება მოვიკრიბე, მაგრამ თავი ვერ ვაიძულე, პირდაპირ საქმეზე გადავსულიყავი. [P]  
[SEP]

- ესე იგი, დღეს ბავშვთა სახლში იყავი? - ვკითხე ამის ნაცვლად. [P]  
[SEP]

ჭეიმიმ გაოცებით შემომხედა. [P]  
[SEP]

- არა. მე და მამა ექიმთან ვიყავით. [P]  
[SEP]

- ხომ კარგად არის? [P]  
[SEP]

გაიღიმა. [P]  
[SEP]

- კი. სრულიად ჯანმრთელია. [P]  
[SEP]

თავი დავუქნიე და ქუჩას გავხედე. მისის ჰასტინგზი შინ შესულიყო. ახლომახლო აღარავინ ჩანდა. ჰორიზონტი თავისუფალი იყო, მაგრამ მე ჯერ კიდევ არ ვიყავი მზად სათქმელის სათქმელად. [P]  
[SEP]

- რა მშვენიერი დღეა! - ვთქვი დროის გასანელად. [P]  
[SEP]

- ჰო. კარგი ამინდია. [P]  
[SEP]

- თბილა კიდევ. [P]  
[SEP]

- იმიტომ, რომ მზეში ზიხარ. [P]  
[SEP]

გარშემო მიმოვიხედე და ვიგრძენი, რომ თანდათან ვიძაბებოდი. [P]  
[SEP]

- დარწმუნებული ვარ, ცაში ღრუბლის ნაფლეთიც არ არის. [P]  
[SEP]

ჭეიმიმ არაფერი მიპასუხა. რამდენიმე წამს ორივე ვდუმდით. [P]  
[SEP]

- ლენდონ, აქ ამინდზე სალაპარაკოდ მოხვედი? [P]  
[SEP]

- არა, არა. [P]  
[SEP]

- აბა, რატომ მოხვედი?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სიმართლის თქმის დრო დადგა და მეც ჩავახველე, ყელი ჩავინმინდე.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- რა ვიცი... მაინტერესებდა, სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავ ცეკვებზე წასვლას ხომ არ აპირებდი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- ოჰო! - თქვა ისეთი ხმით, თითქოს არც იცოდა, ასეთი რამ თუ არსებობდა. ადგილზე ავცქმუტდი და პასუხს დაველოდე.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- არა. წასვლას ნამდვილად არ ვაპირებდი. - თქვა ბოლოს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- მაგრამ, ვინმეს რომ ეთხოვა, წახვიდოდი?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სანამ პასუხს გამცემდა, ოდნავ შეყოვნდა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- ბუსტად არ ვიცი, - ჭეიმი ღრმად ჩაფიქრდა, - ალბათ წავიდოდი, რომ შემძლებოდა. ამ ცეკვებზე არასდროს ვყოფილვარ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- მაგარი გასართობია, - მიუგუე სწრაფად, - ძალიან მაგარი არა, მაგრამ მაინც კაია. - განსაკუთრებით იმ არჩევანთან შედარებით, რომლის წინაშეც ვდგავარ - გავიფიქრე ჩემთვის, მაგრამ ხმამაღლა არ მითქვამს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

გამიღიმა და დაამატა:<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- რა თქმა უნდა, მამას უნდა შევეუთანხმდე. თუ მეტყვის, რომ შეიძლება, მაშინ წამოვალ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

იქვე ახლოს, ხეზე ჩიტი ისე აჭიკჭიკდა, თითქოს მეუბნებოდა, აქ შენი ადგილი არ არისო. დასამშვიდებლად ამ ხმაზე ვცადე კონცენტრირება. ორი დღის წინ ასეთ რამეს ვერც გავიფიქრებდი, გაკეთებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ახლა კი ცხადად გავიგონე საკუთარი ხმა,

რომელიც იმ ჯადოსნურ სიტყვებს წარმოთქვამდა. [P]  
[SEP]

- ჩემთან ერთად წამოხვალ? [P]  
[SEP]

გაუკვირდა. მე მგონი, თავიდან ეგონა, რომ ვიღაც სხვას უნდოდა მისი დაპატიჟება. მოზარდებს ასეთი რამეები სჩვევიათ. ზოგჯერ „ნიადაგის მოსასინჯად“ მეგობრებს აგზავნიან, თავად რომ არ მოისმინონ უარი. მერე რა, რომ ჯიმი სხვა მოზარდებს არ ჰგავდა, ამგვარი რამ მასაც ექნებოდა გაგონილი, ყოველ შემთხვევაში, თეორიულად მაინც ეცოდინებოდა. [P]  
[SEP]

პასუხი მაშინვე არ გაუცია. გვერდით გაიხედა. დუმდა. მუცელში თითქოს რაღაც ჩამწყდა. მეგონა, უარის თქმას აპირებდა. თვალწინ დამიდგა დედაჩემი, რწყევა და კერი და უცბად მივხვდი, როგორ ვნანობდი, მთელი ამ წლების მანძილზე ჯიმის ასე რომ ვექცეოდი. მომაგონდა, როგორ ვაშაყირებდი, მამამისს კი მრუშს ვეძახდი ან, უბრალოდ, ზურგს უკან დავცინოდი. ამ მოგონებებმა და კიდევ იმის წარმოდგენამ, როგორ ხუთ საათს გავატარებდი კერის კომპანიაში, გამანადგურა. ამ დროს ჯიმი ჩემკენ შემოტრიალდა. სახეზე ოდნავ შესამჩნევი ღიმილი დასთამაშებდა. [P]  
[SEP]

- სიამოვნებით. ოღონდ ერთი პირობით. [P]  
[SEP]

შვეყცადე, დავმშვიდებულებიყავი. ნეტა რამე მეტისმეტად საშინელი არ მომთხოვოს-მეთქი, გავიფიქრე. [P]  
[SEP]

- გისმენ. [P]  
[SEP]

- უნდა დამპირდე, რომ არ შეგიყვარდები. [P]  
[SEP]

ისე გაიცინა, მივხვდი, რომ მეხუმრებოდა და შვებით ამოვისუნთქე.

რაც მართალია, მართალია, ზოგჯერ ჭეიმის კარგი იუმორის გრძნობა  
ჰქონდა. [P]  
[SEP]

გავუღიმე და პირობა მივეცი. [P]  
[SEP]

### თავი 3 [P] [SEP]

საერთოდ, სამხრეთელი ბაპტისტები არ ცეკვავენ, მაგრამ  
ბიუფორტში ამ წესს არ დაგიდევდნენ. ჰეგბერტის მოსვლამდე რომ  
მღვდელი გვყავდა, - სახელი არ მკითხოთ - შემწყნარებლურად  
უყურებდა სასკოლო ცეკვებს, თუ რა თქმა უნდა, ისინი უფროსების  
მეთვალყურეობით იმართებოდა, ამიტომაც ასეთი ცეკვების მოწყობა  
ტრადიციად იქცა. ჰეგბერტის მოსვლის შემდეგ რამის შეცვლა გვიანი  
გახლდათ. ჭეიმი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც ამ ცეკვებს  
არასოდეს დასწრებია და გულწრფელად რომ გითხრათ, წარმოდგენაც  
არ მქონდა, საერთოდ იცოდა თუ არა ცეკვა. [P]  
[SEP]

ისიც უნდა ვაღიარო, რომ მისი სამოსიც მაფიქრებდა, მაგრამ ამას  
ხომ ვერ ვეტყვოდი. საეკლესიო შეკრებებზე - რომელთა გამართვის  
ორგანიზატორი ჰეგბერტი იყო - მუდამ ის ძველი ჟაკეტი და  
უჭრედებიანი ბოლოკაბა ეცვა, რითაც ყოველდღე სკოლაში დადიოდა,  
მაგრამ ახალი სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავი ცეკვები  
განსაკუთრებული მოვლენა იყო. გოგოები ამ დღისთვის ახალ კაბებს  
ყიდულობდნენ, ბიჭები კი კოსტიუმებს ვიცვამდით. წელს ფოტოგრაფიც  
გვეყოლებოდა და სურათებს გადავიღებდით. ვიცოდი, რომ ჭეიმი  
ახალ კაბას ვერ იყიდდა, რადგან შეძლებული ნამდვილად არ იყო.

მღვდლობით კაცი ბევრ ფულს ვერ იშოვის, ცხადია, მაგრამ მღვდლებად მატერიალური კეთილდღეობის მოსაპოვებლად არც მიდიან, უფრო მაღალი მიზნები ამოძრავებთ ხოლმე. არც ის მინდოდა, იგივე სცმოდა, რითაც ყოველდღე სკოლაში დადიოდა. იმიტომ კი არა, რომ პირადად მე მეუკადრისებოდა, - არც ასეთი ამპარტავანი ვიყავი - უბრალოდ, არ მინდოდა, სხვებს ეთქვათ რამე. არ მინდოდა, ხალხის დასაციინი გამხდარიყო. [P SEP]

იმისთვისაც მადლობელი ვიყავი, რომ ამ არჩევანის გამო ერიკმა ბევრი არ მაღადავა. იმას თავისი გასაჭირი ჰქონდა - თავისთვის არჩევდა გოგოს. მარგარეტ ჰეისი დაპატიჟა. მარგარეტი ჩვენი სკოლის გულშემატკივართა გუნდის ლიდერი იყო. დიდად არც ის ბრწყინავდა, მაგრამ ერთი დადებითი ჰქონდა - ფეხები. ერიკმა შემომთავაზა, ცეკვებზე წყვილ-წყვილად მივიდეთო, მაგრამ არ მინდოდა, ჭეიმის უშნოდ გახუმრებოდა ან რამე ეგეთი. კარგი ბიჭი იყო, მაგრამ ზოგჯერ გულქვა ხდებოდა, განსაკუთრებით მას მერე, რაც რამდენიმე ჭიქა ბურბონს გადაჰკრავდა. [P SEP]

ცეკვების დღეს ბევრი საქმე მქონდა. მთელი ნაშუადღევი სპორტული დარბაზის მორთვას მოვანდომე, მერე - ნახევარი საათით ადრე - ჭეიმისთან უნდა მივსულიყავი მამამისთან სალაპარაკოდ - ჰეგბერტმა ასე ისურვა. არ ვიცოდი, რატომ ან რა საკითხზე. ჭეიმომ ამის შესახებ წინა დღეს მაცნობა. რომ არ მოგატყუოთ, ამ პერსპექტივას დიდად არ აღვუფრთოვანებივარ. რამდენადაც ვხვდებოდი, ცდუნებასა და იმ მოლიპულ გზაზე დამინწყებდა ლაპარაკს,

რომელთანაც მას მივყავართ. მრუშობაზე რომ ჩამოვედო სიტყვა, დარწმუნებული ვარ, იქვე მიწა გამისკდებოდა. მთელი დღე პატარ-პატარა ლოცვებს ვკითხულობდი, ღმერთს ვევედრებოდი, ჩემთვის ეს საუბარი აეცილებინა, მაგრამ ვიცოდი, რომ ჩემს თხოვნას ყურად არ იღებდა, რადგან ღმერთმა კარგად იცოდა, როგორც ვიქცეოდი წარსულში. ამაზე ფიქრიც არ მინდოდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

შხაპი მივიღე და საუკეთესო კოსტიუმში გამოვეწყე, მერე საყვავილეში შევიარე, ჭემის კორსაჟისათვის ყვავილი უნდა შემერჩია. მერე მისი სახლისაკენ გავემართე. დედამ მანქანა მათხოვა. მანქანა ქუჩაში პირდაპირ ჭემის სახლის მოპირდაპირე მხარეს გავაჩერე. საათი გამთრის დროზე ჯერ არ იყო გადაყვანილი და ჯერ კიდევ დღის სინათლე იდგა. მისი სახლისაკენ მიმავალ დაბზარულ ბილიკს გავუყევი. კარზე დავაკაკუნე და ერთი წამით შევიცადე, მერე ისევ დავაკაკუნე. ოთახის სიღრმიდან ჰეგბერტის ხმა შემომესმა „ახლავე მოვდივარ“, მაგრამ ნამდვილად არ აჩქარებულა. ალბათ, ორ წუთს მაინც ვიდექი კართან, კარი დავათვალიერე, ორნამენტებიც შევისწავლე და ფანჯრის რაფებზე გაჩენილი ბზარებიც. იქვე იდგა ის სკამებიც, რომლებზეც რამდენიმე დღის წინ მე და ჭემი ვისხედით. ის, რომელზეც მე ვიჯექი, ისევ გვერდულად იდგა. როგორც მივხვდი, მას შემდეგ მამა-შვილი იქ არ მჯდარა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

როგორც იქნა, კარი წრიპინით გაიღო. ოთახიდან გამომავალი შუქი ჰეგბერტს სახეს უჩრდილავდა და მის თმებში ირეკლებოდა. როგორც უკვე გითხარით, მოხუცი იყო, ჩემი აზრით, სამოცდათორმეტი წლისა



მინც იქნებოდა. ასე ახლოდან აქამდე არასდროს მენახა, სახის ყველა ნაოჭი კარგად დავუთვალიერე. კანი მართლაც გამჭვირვალე ჰქონდა, მე რომ მეგონა, იმაზე მეტადაც კი. [P SEP]

- გამარჯობა, ღირსო მამაო, - ვთქვი და ნერვიულობისაგან ნერწყვი ძლივს გადავყლაპე, - გვახელით, რათა ჭეიმი სასკოლო ცეკვებზე ნავიყვანო. [P SEP]

- კი, ეგ გასაგებია, მაგრამ ჯერ უნდა დაგელაპარაკო. [P SEP]

- დიახ, ბატონო. ამიტომ გვახელით ადრე. [P SEP]

- შინ შემოდი. [P SEP]

ეკლესიაში ჰეგბერტს ისე ეცვა ხოლმე, როგორც მღვდელს შეეფერებოდა, მაგრამ ახლა ნამდვილ ფერმერს ჰგავდა, კომბინეზონი და სპორტული მაისური ეცვა. სამზარეულოდან ხის სკამი გამომიტანა და ხელით მანიშნა, დაჯექიო. [P SEP]

- ვწუხვარ, რომ კართან ცოტა გალოდინე. ხვალინდელი ქადაგების ტექსტზე ვმუშაობ. - თქვა მან. [P SEP]

დავჯექი. [P SEP]

- არა უშავს, სერ. - თვითონაც არ ვიცი, ასე რატომ მივმართე, მაგრამ ისეთი გარეგნობა ჰქონდა, სხვანაირად ვერც მიმართავდი. [P SEP]

- კარგი. აბა, რა შეგიძლია, მიამბო შენ შესახებ. [P SEP]

ეს შეკითხვა სასაცილოდ და უაზროდ მეჩვენა, რადგან ჩემს ოჯახს კარგად იცნობდა. მონათვლითაც მან მომნათლა და, ბავშვობიდან მოყოლებული, ყოველ კვირადღეს ეკლესიაშიც მხედავდა. [P SEP]

- კარგი, სერ, - დავინწყე, თუმცა არ ვიცოდი, რა მეთქვა, - სკოლაში

მოსწავლეთა თვითმმართველობის პრეზიდენტი ვარ. არ ვიცი, გითხრათ თუ არა ჭეიმომ ამის შესახებ. [P] [SEP]

თავი დამიქნია. [P] [SEP]

- კი, მითხრა. განაგრძე. [P] [SEP]

- და... იმედი მაქვს, შემდეგ შემოდგომაზე ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში ჩავირიცხები. ანკეტის ფორმა უკვე გამომიგზავნეს. [P] [SEP]

კვლავ თავი დამიკრა. [P] [SEP]

- კიდევ რამის თქმა ხომ არ გინდა? [P] [SEP]

მეტი სათქმელი არაფერი მქონდა. ჩემი არსების ერთ ნაწილს მოუხდა, მაგიდის მეორე ბოლოში მდებარე ფანქრისათვის ხელი ეტაცა და თითზე ვერტიკალურ მდგომარეობაში ოცდაათი წამით გაეჩერებინა, მაგრამ ეს ის კაცი არ იყო, ვისზეც ასეთი მატრაბახობა მოქმედებდა. [P] [SEP]

- მე მგონი, არა, სერ. [P] [SEP]

- წინააღმდეგი ხომ არ ხარ, ერთი რაღაც რომ გკითხო? [P] [SEP]

- არა, სერ. [P] [SEP]

რაღაცნაირად მომაშტერდა, თითქოს ფიქრობდა, ეკითხა თუ არა. [P] [SEP]

- რატომ დაპატიჟე ცეკვებზე ჩემი ქალიშვილი? - მკითხა ბოლოს. [P] [SEP] გამიკვირდა და ისიც ვიცი, რომ ეს გაკვირვება სახებზეც დამეტყო. [P] [SEP]

- ვერ ვხვდები, რას გულისხმობთ, სერ? [P] [SEP]

- რამე ისეთის გაკეთება ხომ არ გაქვს განზრახული, რომ... უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო? [P] [SEP]

- არა, როგორ გეკადრებათ, სერ, - ვთქვი სწრაფად, ასეთი ბრალდების მოსმენას ნამდვილად არ ველოდი, - უბრალოდ, ვინმე მჭირდებოდა, ვისთან ერთადაც წავიდოდი და ამიტომ მას ვთხოვე გამოყოლა. ეს არის და ეს. [P]  
[SEP]

- რამე ეშმაკობა ხომ არ გაქვს დაგეგმილი? [P]  
[SEP]

- არა, სერ, მე მას ასეთ რამეს არ ვაკადრებ... [P]  
[SEP]

საუბარი კიდევ რამდენიმე წუთს გაგრძელდა, წაღმა-უკუღმა მიტრიალებდა კითხვებს ჩემი ნამდვილი განზრახვის შესახებ, მაგრამ ამასობაში, ჩემდა ბედად, უკანა ოთახიდან ჭეიმიც გამოვიდა. მეც და მამამისმაც ორივემ ერთდროულად მივიხედეთ მისკენ. ბოლოს და ბოლოს ჰეგბერტი ლაპარაკს მორჩა და მეც შვევით ამოვისუნთქე. ლამაზი ლურჯი ბოლოკაბა და თეთრი ბლუზა ეცვა, რომელიც მის ტანზე მანამდე არასდროს მენახა. საბედნიეროდ, თავისი ჟაკეტი კარადაში დაეტოვებინა. ცუდად არ ეცვა, მაგრამ ვიცოდი, რომ სხვებთან შედარებით მისი ჩაცმულობა ძალიან სადა გამოჩნდებოდა. თმა, როგორც ყოველთვის, ახლაც კუდად ჰქონდა შეკრული. ჩემი აზრით, გაშლილი უფრო მოუხდებოდა, მაგრამ ამის თქმას ვერ გაუუბედავდი. ჭეიმი კვლავ ჩვეულებრივად გამოიყურებოდა... ზუსტად ისევე, როგორც ყოველთვის; იმედს ვიტოვებდი, რომ ბიბლიას მაინც არ წამოიღებდა თან. ეს უკვე მეტისმეტი იქნებოდა. [P]  
[SEP]

- ძალიან მკაცრი ხომ არ ყოფილხარ ლენდონის მიმართ? - მხიარულად მიმართა ჭეიმიმ მამამისს. [P]  
[SEP]

- არა. უბრალოდ, მეგობრულად ვისაუბრეთ, - ვუპასუხე მანამ, სანამ

ჰეგბერტი ხმას ამოიღებდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ მივხვდი, რომ ჰეგბერტს ჭეიმისათვის არ უნდა ეთქვა, რა აზრის იყო ჩემზე; ახლა ამის დრო ამკარად არ იყო. [P] [SEP]

- ალბათ, ჩვენი წასვლის დროა, - თქვა ჭეიმომ. მე მგონი, რაღაც დაძაბულობა იგრძნო. მამასთან მივიდა და ლოყაზე აკოცა. - გვიანობამდე არ იჯდე და იმ ქადაგებაზე არ იმუშაო, კარგი? [P] [SEP]

- კარგი, - მიუგო მან ალერსიანად. შვილისადმი უზომო სიყვარული ისე ამკარად გამოხატა, ჩემი სულ არ მორიდებია. საქმე ის იყო, მე რა თვალით მიყურებდა. [P] [SEP]

ჰეგბერტს დავემშვიდობეთ და მანქანისკენ გავემართეთ. გზად ჭეიმის ყვავილი გავუნოდე და ვუთხარი, მანქანაში რომ ჩავსხდებით, გასწავლი, როგორ უნდა დაიმაგრო-მეთქი. კარი გავუღე, მანქანას შემოვუარე და ჩავჭექი. ჭეიმის ყვავილი უკვე მიემაგრებინა კორსაჟზე. [P] [SEP]

- იცი, სულელი არ ვარ. კორსაჟზე ყვავილის დამაგრება შემოიძლია. [P] [SEP]

მანქანა დავქოქე და სკოლისაკენ ავიღე გეზი. თან იმ დიალოგზე ვფიქრობდი, რომელიც, ის-ის იყო, ჩემსა და ჰეგბერტს შორის შედგა. [P] [SEP]

- მამას დიდად არ მოსწონხარ, - თქვა ჭეიმომ ისე, თითქოს მიხვდა, რაზეც ვფიქრობდი. [P] [SEP]

უსიტყვოდ დავუქნიე თავი. [P] [SEP]

- მისი აზრით, უპასუხისმგებლო ხარ. [P] [SEP]

თანხმობის ნიშნად ისევ დავუქნიე თავი. [P]  
[SEP]

- დიდად არც მამაშენი მოსწონს. [P]  
[SEP]

ისევ უხმოდ დავუქნიე თავი. [P]  
[SEP]

- არც შენი ოჯახი. [P]  
[SEP]

ყველაფერი ნათელი იყო. [P]  
[SEP]

- მაგრამ იცი, მე რას ვფიქრობ? - მომიტრიალდა უცბად. [P]  
[SEP]

- არა. ეგ არ ვიცი. - ამ დროისათვის ხასიათი საბოლოოდ წამხდარი  
მქონდა. [P]  
[SEP]

- ჩემი აზრით, ეს ყველაფერი უფლის ნებადა მისი გეგმის ნაწილია.  
რა გგონია, რატომ მოხდა ყველაფერი ასე? [P]  
[SEP]

აჰა, დაინყო - გავიფიქრე ჩემთვის. [P]  
[SEP]

სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რა უნდა მომხდარიყო, სადამო  
ამაზე უარესი რომ გამოსულიყო. ჩემი ძმაკაცების უმეტესობა ახლოს  
არ გვეკარებოდა, ჭეიმის კი მეგობრები ნაკლებად ჰყავდა, ამიტომაც  
ძირითადად მარტონი ვიყავით. ეს კიდევ არაფერი. როგორც  
აღმოჩნდა, ჩემი იქ ყოფნა სავალდებულო სულაც არ ყოფილა. კერის  
მენყვილე ვერ უშოვია და ის წესი სასწრაფოდ შეუცვლიათ. ეს რომ  
გავიგე, სულ გადავირიე. ჭეიმისთვის რა მექნა? მამამისმა ისეთი რამ  
მითხრა, ასე ადრე სახლში ვერც წავიყვანდი. როგორ მიმეყვანა? თან  
თვითონ მშვენივრად ერთობოდა - ამასაც ვხედავდი. ძალიან  
მოსწონდა მხატვრული გაფორმება, რაშიც მეც მიმიძლოდა ნვლილი,  
მოსწონდა მუსიკაც, ერთი სიტყვით, ყველაფერი მოსწონდა, რაც ამ  
ცეკვებთან იყო დაკავშირებული. სულ იმას მიმეორებდა, რა

შესანიშნავია ყველაფერიო. ბოლოს მთხოვა, იქნებ ეკლესიის მორთვაში დამეხმარო ერთი რომელიმე შეკრების მონყობისასო. მე ცალყბად ძლივს ამოვღერღე, დამირეკე და შემახსენე-მეთქი, იმან კი გულისხმიერებისათვის დიდი მადლობა გადამიხადა. მოკლედ, დეპრესიაში ვიყავი, ყოველ შემთხვევაში, პირველი საათის განმავლობაში მაინც, მაგრამ ჭეიმი ვერაფერს მაძინებდა. [P SEP]

თერთმეტი საათისთვის ჭეიმი უკვე შინ უნდა ყოფილიყო, ანუ ცეკვების დასრულებამდე ერთი საათით ადრე. ესეც შეღავათი იყო. როგორც კი მუსიკა ჩაირთო, ეგრევე წრეში გადავეშვით. ჩემდა გასაკვირად, მშვენივრად ცეკვავდა, მეტადრე, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ცეკვებზე საერთოდ პირველად იყო. ათითორმეტი სხვადასხვა სიმღერის რიტმზე მშვენივრად მომყვა. მერე მაგიდისკენ წავედით და ჩვეულებრივი საუბარი გავაბით. რა თქმა უნდა, ისეთი სიტყვებიც დაახვავა, როგორებიცაა: „რწმენა“, „ლხენა“ და „ხსნა“, ობლების დახმარების აუცილებლობაზეც ილაპარაკა, გბებზე დაშავებულ ცხოველებზეც, მაგრამ იმდენად ბედნიერი იყო, რომ მის გვერდით დიდხანს ცხვირის ჩამოშვება არ გამოდიოდა. [P SEP]

ასე რომ, თავიდან საქმე არც ისე ცუდად იყო, როგორც წარმომედგინა. ყველაფერი ლიუს და ანჯელას მოსვლის შემდეგ აირია. [P SEP]

ჩვენი მისვლიდან რამდენიმე წუთში გამოჩნდნენ. იმას ისევ თავისი სულელური სპორტული მაისური ეცვა, სახელოდანაც ძველებურად „ქემელის“ კოლოფი მოუჩანდა და ერთი ბოთლი ბრეოლინი ეცვა

თმაზე. ცეკვის დროს ანჭელა კისერზე ეკიდა და დიდი ტვინი არ სჭირდებოდა იმის მიხვედრას, რომ აქ მოსვლამდე რამდენიმე ჭიქა ჰქონდა გადახუხული. კაბა მართლაც თვალისმომჭრელი ეცვა - დედამისი სალონში მუშაობდა და უახლეს მოდაშიც კარგად ერკვეოდა - და ახალი მოდური ჩვევაც შეეძინა - კევს ღეჭავდა. ისე ალლაჭუნებდა, ძროხა რომ ბალახს ცოხნის. [P] [SEP]

მერე ყოჩაღმა ჭველმა ლიუმ ერთი დიდი კათხა პუნში დაურტყა და აქა-იქ სხვებიც შეთვრნენ. მასწავლებლებმა როცა გაიგეს, სასმელი მოუტანიათო, პუნში უკვე გათავებული იყო, ტიპები კი შუშის თვალებით იყურებოდნენ. შეთხვევით თვალი მოვკარი, როგორ მოიუყუდა ანჭელამ მეორე კათხა პუნში და მივხვდი, რომ ამ გოგოსთვის თვალყური უნდა მედევნებინა. მართალია, თვითონ დამადო, მაგრამ ცუდისთვის მაინც არ მემეტებოდა. ანჭელა ის გოგო იყო, ვისაც პირველად ვაკოცე ფრანგულად. იმ პირველი კოცნისას კბილები ისე მივაჭირეთ ერთმანეთს, თვალებიდან ნაპერწკლები გავყარე, სახლში კი ტკივილის გასაყუჩებლად ასპირინი დავლიე. მისდამი რაღაც გრძნობა კიდევ მქონდა შემორჩენილი. [P] [SEP]

მოკლედ, წარმოიდგინეთ - ვზივარ ჭეიმისთან და ცალი ყურით ბიბლიის სკოლაში მომხდარ სასწაულებს ვუსმენ, ცალი თვალით კი ანჭელას ვუთვალთვალე. ამასობაში ლიუმ ჩემი მზერა დაიჭირა. გაშმაგებულმა ანჭელას წელში ხელი ჩაავლო და მაგიდისკენ წაათრია, მე კი ისეთი მზერა მტყორცნა, აშკარად რომ ამბობდა: - „შენთან საქმე მაქვს, ბიჭო!“ - ხომ ხვდებით, როგორიც. [P] [SEP]

- შენ რა, ჩემს გოგოს უყურებ? - მკითხა ბოლმიანი ხმით. [P]  
[SEP]

- არა. [P]  
[SEP]

- კი. მიყურებდა, - თქვა ანჯელამ და გაურკვეველი ლულულულით დაამატა - მაშტერდებოდა. ეგ ჩემი ძველი შეყვარებულია, აი, რომ მოგიყევი, ის. [P]  
[SEP]

ლიუს თვალები დაუნვრილდა და დაუმრგვალდა, აი, ზუსტად ისე, როგორც ჰეგბერტს ემართებოდა ხოლმე. მე მგონი, ჩემს დანახვაზე ბევრს ემართებოდა ასე. [P]  
[SEP]

- აა, შენ ისა ხარ? - მკითხა აგდებულად. [P]  
[SEP]

დიდი მოჩხუბარი არ ვარ. ცხოვრებაში ერთადერთხელ ვიჩხუბე, ისიც მესამე კლასში და მაშინაც მანამ ავტირდი, სანამ ის ტიპი ხელს დამაკარებდა. ჩემი პასიური ხასიათის წყალობით ასეთ რამეებს თავს ადვილად ვარიდებდი. როცა ერიკი ჩემ გვერდით იყო, ისედაც ვერავინ ვერაფერს მიბედავდა. ამჯერად კი ერიკი სადღაც გამძვრალიყო. ტრიბუნებს უკან იქნებოდა მარგარეტთან ერთად. [P]  
[SEP]

- არ ვაშტერდებოდი, - ვთქვი ბოლოს, - და არც ის ვიცი, რა გითხრა, მაგრამ არა მგონია, სიმართლე ეთქვა. [P]  
[SEP]

თვალები დაუვიწროვდა. [P]  
[SEP]

- შენ რას ამბობ, ბიჭო, რომ ანჯელა იტყუება? - ჩამეკითხა სისინით.

[P]  
[SEP]

აღბათ დამარტყამდა კიდევ, ამ დროს საქმეში ჭეიმი რომ არ ჩარეულიყო. [P]  
[SEP]

- მე შენ გიცნობ! - მხიარულად თქვა მან და პირდაპირ სახეში



შესცინა. ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ჭეიმი ვერ ხვდებოდა, რა ხდებოდა მის ცხვირწინ. - კი, ნამდვილად გიცნობ. ქალაქის ცენტრში მუშაობ, გარაჟში. მამაშენს ჯო ჰქვია, ბებიაშენი ფოსტერ როუდიზე ცხოვრობს, მატარებლის ლიანდაგთან ახლოს. [P/SEP]

ლიუს სახეზე დაბნეულობა დაეტყო, თითქოს მრავალუცნობიანი განტოლების ამოხსნას ცდილობსო. [P/SEP]

- შენ ეგენი საიდან იცი? რა, მაგან მოგიყვა? [P/SEP]

- არა, რა სისულელეა, - მიუგო ჭეიმომ და გაეცინა. მხოლოდ ჭეიმის შეეძლო, ასეთ სიტუაციაში იუმორის გრძნობა არ დაეკარგა, - შენი სურათი ბებიაშენის სახლში ვნახე. მის სახლთან ჩავიარე და დავინახე, რომ ბებოს დახმარება სჭირდებოდა, მაღაზიიდან ჩანთებს მოათრევდა. შენი სურათი კი ბუხრის თავზე ედო. [P/SEP]

ლიუ ჭეიმის ისეთი სახით უყურებდა, გეგონება, გოგოს ყურებიდან გამოზრდილი სიმინდის ტაროები დაინახაო. [P/SEP]

ამასობაში ჭეიმი ხელს იქნევდა, თითქოს ჰაერს ინიავებსო. [P/SEP]

- არა. ჩვენ უბრალოდ ვისხედით და ვისვენებდით, ბევრი ვიცეკვეთ. აქ მაგრა დაცხა. ხომ არ შემოგვიერთდებით? თავისუფალი სკამები გვაქვს. ბებიას ამბებიც მაინტერესებს. [P/SEP]

ისეთი ბედნიერი ხმა ჰქონდა, ლიუ დაიბნა. ჩვენგან განსხვავებით, ჭეიმის მსგავსი არავინ ენახა. ერთ-ორ წამს შეიცადა, თითქოს ყოყმანობდა, დაერთყა თუ არა ბიჭისთვის, რომელიც იმ გოგოსთან ერთად იყო, ვინც ოდესღაც ბებიაშენის დაეხმარა. თუ თქვენ ვერ მიმიხვდით რას ვგულისხმობ, წარმოიდგინეთ, რა დღეში იქნებოდა

ლიუს ბენზინით გაჟღენთილი ტვინი. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ბოლოს ისე გაიძურნა, აღარაფერი უთქვამს. ანჯელაც თან წაიყვანა. ანჯელას ალბათ აღარც ახსოვდა, რა მოხდა და როგორ. ან რა ემახსოვრებოდა, იმდენი ჰქონდა დაღეული. მე და ჯემი ვუყურებდით, როგორ მიდიოდნენ და როცა კარგა მანძილით დაგვშორდნენ, შვებით ამოვისუნთქე. არც კი შემინიშნავს, რომ მთელ ამ დროს სუნთქვა მქონდა შეკრული. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- გმადლობ, - მორცხვად წავილულულე, რადგან ვხვდებოდი, რომ მაგარ დაჟუჟვას ჯემიმ გადამარჩინა. ჯემიმ! <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჯემიმ გოცებით შემომხედა და მკითხა: <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- რისთვის მიხდი მადლობას? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

არაფერი ვუპასუხე, მან კი ბიბლიის სკოლის შესახებ განაგრძო მოყოლა ზუსტად იმ ადგილიდან, სადაც გაჩერდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ამჯერად წამდვილად ვუსმენდი, ყოველ შემთხვევაში, ცალი ყურით მაინც. მინდოდა, ასე მაინც გამომეხატა მადლიერება. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მაგრამ იმ საღამოს ლიუსთან და ანჯელასთან შეხვედრა ამით არ დამთავრებულა. ორმა ჭიქა პუნშმა ანჯელას ბოლო მოუღო და გოგოების საპირფარეშოში არწყია. მთელი საპირფარეშო მოსვარა. ძველმა ბიჭმა ლიუმ, როგორც კი ანჯელას ბოცინი გაიგონა, მიატოვა და ისე ჩუმად გაიპარა, როგორც შემოიპარა. ამის მერე აღარ მინახავს. საპირფარეშოში საკუთარ წარწყევში მჯდომ ანჯელას კი, ბედის ირონიით, მაინცდამაინც ჯემი გადააწყდა. აშკარა იყო, რომ ანჯელას კარგი დღე არ ადგა. ვინმეს სახლში უნდა წაეყვანა, სანამ

მისი გმირობა მასწავლებლების ყურამდე მივიდოდა. იმ დროს მოსწავლის დათრობა მაგარი შარი იყო. რომ დაეჭირათ, სკოლიდან დროებით დათხოვნას მაინც გამოჰკრავდა ხელს, გარიცხვას თუ არა. [P. 56]

დაილოცოს მისი კეთილი გული! ჭეიმი ასეთ რამეს არ დაუშვებდა, არც მე მინდოდა, რომ ეს მომხდარიყო, თუმცა მანამდე რომ გვეკითხათ, სხვანაირად გიჰასუხებდით. ანჯელა ახლა არასრულწლოვანი კანონდამრღვევი იყო. ჰეგბერტის კანონიც დაარღვია წესიერი საქციელის შესახებ. ჰეგბერტი ამრეზით უყურებდა ნებისმიერ კანონდარღვევას და სმას. მართალია, ეს ორი ცოდვა მრუშობის რანგში არ ჰქონდა აყვანილი, მაგრამ ყველამ ვიცოდით, რომ ამგვარ რამეს სერიოზულ ცოდვად თვლიდა; იმასაც ვხვდებოდით, რომ ჭეიმიც მამამისის აზრს იზიარებდა. მაგრამ ახლა მასში გაჭირვებულის დახმარების თანდაყოლილმა ინსტინქტმა იმძლავრა. ანჯელა ალბათ „დაშავებულ ცოცხალ არსებად“ ან რაიმე ასეთად წარმოიდგინა და ეგრევე მასზე ბრუნვა დაიწყო. ერიკი მოვძებნე. ტრიბუნებს მიღმა იყო. დამთანხმდა, საპირფარეშოს კართან საყარაულოდ დამდგარიყო, სანამ მე და ჭეიმი იქაურობას მოვანესრიგებდით. ყველაფერი, უნიტაზის გარდა, წარწყვეთ იყო დასვრილი. კედლები, იატაკი, ნიჟარები - არ ვიცი, როგორ მოახერხა. ჩემს საუკეთესო ლურჯ კოსტიუმში გამოწყობილი ოთხზე ვიდრე და წარწყვეს ვწმენდდი, ანუ ვაკეთებდი იმას, რასაც ასე გავუბობდი. ოთხზე იდგა ჭეიმიც, ჩემი მენყვილე, და იმასვე აკეთებდა, რასაც მე. [P. 57]

ყურში აშკარად ჩამესმოდა კერის ნიკვინა, დამცინავი ხმა. [P. 58]

ბოლოს სპორტული დარბაზის უკანა კარიდან გამოვიპარეთ. შუაში ანჭელა გვედგა და ვიჭერდით, რომ არ ნაქცეულიყო. ერთსა და იმავეს გვეკითხებოდა, ლიუ სად არისო, ჭეიმი კი ეუბნებოდა, ნუ ნერვიულობო. უყვავებდა, ამშვიდებდა, მაგრამ ის იმდენად გათიშული იყო, არ მგონია, მიმხვდარიყო, ვინ ელაპარაკებოდა. ბოლოს და ბოლოს ანჭელა ჩემი მანქანის უკანა სავარძელზე ჩავტენეთ. დავსვით თუ არა, ვგრევე გაითიშა, მაგრამ მანქანაში რწყევა მაინც მოასწრო. ისეთი საშინელი სუნი დადგა, ცხვირზე ხელმოჭერილებს რომ არ გვევლო, ყველა ფანჯარა ჩავნიეთ. მის სახლამდე გზა უსასრულოდ გაინელა. კარი დედამისმა გაგვიღო. თავის შვილს თვალი შეავლო და შინ ისე შეათრია, ერთი მადლობაც არ უთქვამს. ალბათ, დაიბნა და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ან რა უნდა ეთქვა, ყველაფერი ისედაც ნათელი იყო. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სანამ ანჭელას სახლში მივიყვანდით, თერთმეტის ნახევარი გამხდარიყო, ამიტომ პირდაპირ ჭეიმისთან წავედით. ნამდვილად ვღელავდი, რადგან ჭეიმი საშინლად გამოიყურებოდა და საზიზღარი სუნიც უდიოდა. ჩუმად ვლოცულობდი და ღმერთს ვევედრებოდი, ჰეგბერტს არ ღვიძებოდა. ახსნა-განმარტებების თავი არ მქონდა. ალბათ ჭეიმი თავად აუხსნიდა, მაგრამ გული მიგრძნობდა, ჰეგბერტი ჩემ დასადანაშაულებელ საბაბს მაინც მონახავდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სახლის კარამდე მივაცილე და ლამპიონის შუქზე გავჩერდით. ჭეიმომ ხელები გულზე დაიკრიფა და ისე გამიღიმა, თითქოს სასიამოვნო გასეირნებიდან დაბრუნდა და ამ სამყაროს სილამაზე

სრულად შეიგრძნო. [P]  
[SEP]

- გთხოვ, მამაშენს არ უთხრა! [P]  
[SEP]

- კარგი. არაფერს ვეტყვი. - მთელი ამ დროის მანძილზე იღიმებოდა, ბოლოს კი ჩემკენ შემოტრიალდა. [P]  
[SEP]

- ძალიან კარგი დრო გავატარე. დიდი მადლობა ცეკვებზე დაპატიუებისათვის. [P]  
[SEP]

იდგა ნარწყევში ამოთხვრილი და მადლობას მიხდიდა სასიამოვნო საღამოსთვის! ჭეიმი სალივანს ნამდვილად ეხერხებოდა ადამიანის ჭკუიდან გადაყვანა. [P]  
[SEP]

## თავი 4 [P] [SEP]

ცეკვების შემდეგ მთელ ორ კვირას ჩემი ცხოვრება საკმაოდ ნორმალურად მიედინებოდა. მამა ვაშინგტონში დაბრუნდა და სახლშიც მეტი თავისუფლება მომეცა. შუალამისას ისევ შემეძლო ფანჯარაში გაძრომა და სასაფლაოზე სათარეშოდ გაპარვა. არ ვიცი, რით გვიზიდავდა ეს სასაფლაო ასე მაგრად. ეგებ, საფლავის ქვები მოგვწონდა, მოსახერხებელი დასაჯდომი იყო. [P]  
[SEP]

ძირითადად ერთ პატარა ადგილს ვსტუმრობდით ხოლმე, სადაც ასი წლის წინ გარდაცვლილი ვიღაც პრესტონები იყვნენ დაკრძალული. რვა საფლავის ქვა წრიულად იყო განლაგებული და ზედ რომ ჩამოვსხდებოდით, კარგად ვერთობოდით - მიწის თხილს წინ და უკან ვუგორებდით ერთმანეთს. ერთხელ ძმაკაცებმა გადაწყვიტეს, ამ პრესტონების ოჯახზე რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია

მოგვეგროვებინა, ამიტომ ბიბლიოთეკაში წავედით, ეგებ მათ შესახებ რამე ყოფილიყო დანერვილი. თუ ვინმეს საფლავის ქვაზე ჭდომა მოგწონს, კეთილი ინებე და მის შესახებ რამე მაინც გაიგე. ასე არ არის? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ისტორიულ ქრონიკებში ამ ოჯახზე ბევრი არაფერი ეწერა, მაგრამ მცირეოდენი საინტერესო ინფორმაცია მაინც გამოვჩხრიკეთ. გინდ დაიჭურეთ, გინდ არა - ჰენრი პრესტონი, ოჯახის მამა, ცალხელა ტყისმჭრელი ყოფილა. თურმე ხეს ისევე სწრაფად ჭრიდა, როგორც ნებისმიერი ორხელა ადამიანი. ცალხელა ტყისმჭრელის წარმოდგენა, ცოტა არ იყოს, რთული იყო, ამიტომაც ამაზე ბევრი ვილაპარაკეთ. დიდხანს ვმსჯელობდით, კიდევ რის გაკეთებას შეძლებდა ეს ტიპი ცალი ხელით, რა სისწრაფით ჩაანოდებდა ბეისბოლის ბურთს ან მოახერხებდა თუ არა არხის გადაცურვას. მართალია, დიდად მაღალინტელექტუალური საუბრები არ გვექონდა, მაგრამ, რაღა დაგიმალოთ და, მე მსიამოვნებდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ერთხელაც, ერთ შაბათ ღამეს, მე და ერიკი ჩვენს ორიოდე ძმაკაცთან ერთად იქ რო ვისხედით, მიწის თხილს ვაკნატუნებდით და ჰენრი პრესტონზე ვლაპარაკობდით, ერიკი მოულოდნელად მომიბრუნდა და მკითხა, როგორი გამოვიდა შენი და ჯემი სალივანის პაემანიო. ცეკვების შემდეგ ერიკი თითქმის არც მენახა, რადგან ფეხბურთის ჩემპიონატი ახლოვდებოდა და მისი გუნდი რამდენიმე კვირას ქალაქში არ იყო. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- არა უშავდა, - ვთქვი და მხრები ავიჩეჩე. შევეცადე, რაც შეიძლება

გულგრილი იერი მიმეღო. [P]  
[SEP]

ერიკმა ნეკნებში ისეთი მუჭლუგუნი მითავაზა, რომ ღრუტუნის მსგავსი ბგერები აღმოშნდა. ჩემზე, სულ ცოტა, ოცდაათი ფუნტით მეტს მაინც იწონიდა. [P]  
[SEP]

- დამშვიდობებისას აკოცე? [P]  
[SEP]

- არა. [P]  
[SEP]

„ბუდვაიზერის“ ქილა მოიყუდა და ერთი დიდი ყლუპი მოსვა. არ ვიცი, როგორ ახერხებდა, მაგრამ ლუდს ყოველთვის ყიდულობდა, იმის მიუხედავად, რომ ქალაქში ყველამ იცოდა, რამდენი წლისაა იყო. [P]  
[SEP]

ტუჩები ხელით მოინმინდა და ამათვალ-ჩამათვალიერა. [P]  
[SEP]

- საპირფარეოს განმენდაში რომ დაგეხმარა, იმის გამო მაინც უნდა გეკოცნა დამშვიდობების წინ. [P]  
[SEP]

- არა. არ მიკოცნია. [P]  
[SEP]

- სცადე მაინც? [P]  
[SEP]

- არა. [P]  
[SEP]

- რატომ? [P]  
[SEP]

- ეგეთი გოგო არ არის. - ყველამ ვიცოდით, რომ ეგეთი არ იყო, მაგრამ ისე გამომივიდა, თითქოს ვიცავდი. [P]  
[SEP]

ერიკი წურბელასავით გადამევიდა. [P]  
[SEP]

- მე მეგონა, მოგწონდა. [P]  
[SEP]

- შენ ხო არ უბერავ? - მივუგე გაბრაზებულმა, იმან კი ზურგში ისეთი ჩამცხო, სუნთქვა შემეკრა. ერიკთან ერთი საღამოს გატარება

ნიშნავდა, რომ მეორე დღეს ერთ-ორ ადგილას მაინც დალურჯებული ვიქნებოდი. [P][SEP]

- ჰო. შეიძლება მე ცოტას ვუბერავ, - თვალი ჩამიკრა ერიკმა, - მაგრამ შენ ჭეიმი სალივანი მაგრად გვევასება. [P][SEP]

ვიცოდი, რომ დანალმულ ველზე გადავდიოდი, მაგრამ უკან არ დავიხიე. [P][SEP]

- უბრალოდ, მარგარეტზე შთაბეჭდილების მოსახდენად გამოვიყენე და მგონი, გაჭრა კიდევ, თუ ამ ბოლო დროს მაგისგან გამოგზავნილი სასიყვარულო ბარათების რაოდენობას გავითვალისწინებთ. [P][SEP]

ერიკმა ხმამაღლა გაიციხა და ბურგში ისევ მაგრად ჩამაფეთა. [P][SEP]

- შენ და მარგარეტი - ეგ მაგარი ლადაობაა... [P][SEP]

როცა საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა, მივხვდი, რომ მიზანში გავარტყი და შვებით ამოვისუნთქე. შიგადაშიგ ვერთვებოდი, მაგრამ არ ვუსმენდი, რას ლაპარაკობდნენ. ჩემში რაღაც ხმა ლაპარაკობდა და ერიკის ნათქვამზე მაფიქრებდა. [P][SEP]

მივხვდი, რომ იმ ცეკვებზე ჭეიმი ჩემთვის საუკეთესო მენყვილე იყო, მეტადრე, განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით. არც ერთი გოგო - უფრო სწორად, არც ერთი ადამიანი - არ გააკეთებდა იმას, რაც იმან გააკეთა. მაგრამ ის, რომ კარგი არჩევანი გამომივიდა, სულაც არ ნიშნავდა, რომ ჭეიმი მომწონდა. იმ ცეკვების მერე არც კი დავლაპარაკებებოდი, თუ არ ჩავთვლით დრამის გაკვეთილებს, სადაც მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ვუთხარი. ჩემს თავს ვეუბნებოდი, რომ მოგწონებოდა, მასთან დალაპარაკებაც მოგიწონებოდა-მეთქი. რომ



მომწონებოდა, სახლში გაცილებას შევთავაზებდი; რომ მომწონებოდა, მისი სესილის კაფეში დაპატიჟების და ღვებელითა და კოლათი გამასპინძლების სურვილი გამიჩნდებოდა. მაგრამ ასეთი რამეები არ მინდოდა. ვთვლიდი, რომ სასჯელი უკვე მოვიხადე. <sup>[59]</sup>

მეორე დღეს, კვირას, ჩემს ოთახში ვიჯექი და ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში გასაგზავნ ანკეტას ვავსებდი. ჩემსსკოლის ნიშნებთან და სხვა პირად ინფორმაციასთან ერთად, ხუთ ჩვეულებრივი სახის ესესაც ითხოვდნენ. რომელიმე ისტორიულ პირთან შეხვედრის შესაძლებლობა რომ გქონდეთ, ვის აირჩევდით და რატომ? ვინ და რამ მოახდინა ყველაზე დიდი გავლენა თქვენს ცხოვრებაზე და რატომ გგონიათ, რომ ასეა. ვინ არის თქვენთვის სანიმუშო ადამიანი და რატომ? ესეს შეკითხვები სრულიად გასაგები და მოსალოდნელი იყო - ინგლისურის მასწავლებელმა გაგვაფრთხილა, რა სახის ესეები შეიძლებოდა მოსულიყო - ამგვარი რამ კლასშიც დანერგილი გვექონდა და საშინაო დავალებადაც. <sup>[60]</sup>

ინგლისური, ალბათ, ყველა სხვა საგანზე უკეთ მეხერხებოდა. პირველი კლასიდან მოყოლებული, ინგლისურში ა-ზე ნაკლები ქულა არ მიმიღია, ამიტომაც მიხაროდა, რომ განაცხადში ძირითადი აქცენტი ნერაზე კეთდებოდა. მათემატიკა რომ ყოფილიყო, მომეხაზებოდა, განსაკუთრებით, თუ ისეთი ალგებრული ამოცანა შემხვედებოდა, რომელშიც ლაპარაკია ორ მატარებელზე, სადგურიდან ერთი საათის ინტერვალით რომ გამოვიდნენ და ერთმანეთის სანინაალმდეგო მიმართულებით ორმოცი მილის სიჩქარით

მოდრაობდნენ და ა.შ. არც მათემატიკაში ვიყავი ცუდი - როგორც წესი, ჩ-ზე მაინც ვქაჩავდი, მაგრამ მათემატიკა მაინც არ იყო ჩემი ბუნებრივი მიდრეკილების სფერო; ალბათ მიმიხვდით, რისი თქმაც მსურს. [P]  
[SEP]

მოკლედ, ერთ-ერთ ესეს ვწერდი, ტელეფონმა რომ დარეკა. სახლში ერთადერთი ტელეფონი გვექონდა და ისიც სამზარეულოში გვედგა, ამიტომ კისრისტეხით ჩავირბინე ქვემოთ და ყურმილს ვეცი. ისე ვქოშინებდი, ხმა კარგად არც მესმოდა, მაგრამ ანჯელას ხმას მივამსგავსე. ჩამელიმა. მიუხედავად იმისა, რომ ყველგან არწყია და მერე ჩემი სანმენდი გახადა, მასთან ყოფნა მაინც მსიამოვნებდა. კაბაც მაგარი ეცვა, ყოველ შემთხვევაში მოსვლიდან ერთ საათს მაინც. ვიფიქრე, მადლობის სათქმელად მირეკავს-მეთქი, ან შემომთავაზებს, წავიდეთ, სენდვიჩი ან ღვეზელი ვჭამოთ. [P]  
[SEP]

- ლენდონ, შენ ხარ? [P]  
[SEP]

- ჰო, - ვუპასუხე ცივად, - მოხდა რამე? [P]  
[SEP]

ცოტა ხანს დუმდა. [P]  
[SEP]

- როგორ ხარ? [P]  
[SEP]

მაშინღა მივხვდი, რომ ანჯელა არ იყო. ჭეიმი რეკავდა, ყურმილი კინალამ ხელიდან გამივარდა. ვერ ვიტყვი, რომ მისმა გარმა გამახარა, ერთი წამით დავფიქრდი, ტელეფონის ნომერი საიდან გაიგო-მეთქი. მერე მივხვდი, რომ საეკლესიო ჩანანერებში იპოვიდა. [P]  
[SEP]

- ლენდონ? [P]  
[SEP]

- ჰო. კარგად ვარ, - ბოლოს და ბოლოს ამოვღერდე. ისევ შოკში

ვიყავი. [P]  
[SEP]

- დაკავებული ხარ? [P]  
[SEP]

- ჰო. ცოტათი. [P]  
[SEP]

- ჰო. კარგი, გასაგებია... - თქვა ჭეიმომ და ისევ გაჩუმდა. პაუზა. [P]  
[SEP]

- რა იყო, მოხდა რამე? [P]  
[SEP]

რამდენიმე წამი დასჭირდა, სანამ სათქმელს თავს მოუყრიდა. [P]  
[SEP]

- არა. მაინტერესებდა, დღეს, ცოტა მოგვიანებით, ხომ ვერ შემომივლიდი? [P]  
[SEP]

- შემოგივლიდი? [P]  
[SEP]

- ჰო. სახლში. [P]  
[SEP]

- შენთან სახლში? - გაოცების დამალვა არც კი მიცდია. მაგრამ ჭეიმომ ყურადღება არ მომაქცია და განაგრძო. [P]  
[SEP]

- რაღაც მინდა გითხრა. მნიშვნელოვანი რომ არ იყოს, არ გთხოვდი. [P]  
[SEP]

- ტელეფონზე ვერ მეტყვი? [P]  
[SEP]

- ვერა. ისე მირჩევნია. [P]  
[SEP]

- დღეს მთელი დღე დაკავებული ვარ. კოლეჯში შესასვლელ ფორმებს ვავსებ, - მივუგე მე. მინდოდა, თავიდან მომეცილებინა. [P]  
[SEP]

- ჰო. კარგი... როგორც გითხარი, მნიშვნელოვანია, მაგრამ არა უმავს, ორშაბათს სკოლაში დაგელაპარაკები... [P]  
[SEP]

მივხვდი, რომ არ მომეშვებოდა და მასთან ლაპარაკი არ ამცდებოდა. საგონებელში ჩავვარდი - რა მერჩივნა, მასთან მელაპარაკა სკოლაში, სადაც ჩემი ყველა ძმაკაცი დამინახავდა, თუ

სახლში. დიდად არც ერთი ვარიანტი არ მხიბლავდა, მაგრამ არ მავინყდებოდა, რომ რადგან ჭეიმი ერთხელ გასაჭირში დამეხმარა და გვერდზე დამიდგა, მე მისთვის, სულ ცოტა, უნდა მომესმინა მაინც. შეიძლება უპასუხისმგებლო ვარ, მაგრამ კარგი უპასუხისმგებლო ვარ, ყოველ შემთხვევაში, მინდა, რომ ასე მჭეროდეს. [P]  
[SEP]

რა თქმა უნდა, არ იყო საჭირო, ეს ყველას სცოდნოდა. [P]  
[SEP]

- არა. კარგი, დღეს ჯობია... [P]  
[SEP]

შეხვედრა ხუთ საათზე დავთქვით. დღე უსაშველოდ გაიჭიმა, წამები ძლივს მიიზღაზნებოდნენ. რომ არ დამგვიანებოდა, სახლიდან ოცი წუთით ადრე გავედი. ჩემი სახლი სანაპირო ზოლთან ახლოს, ქალაქის ისტორიულ ნაწილში იდგა, სულ რამდენიმე ნაბიჯზე იმ ადგილიდან, სადაც ოდესღაც ბლექბერდი ცხოვრობდა. ჭეიმი ქალაქის მეორე მხარეს, ლიანდაგებს გადაღმა ცხოვრობდა. იქ მისვლას ოც წუთს ნამდვილად მოვუნდებოდი. [P]  
[SEP]

ნოემბერი იყო. როგორც იქნა, ტემპერატურამ ცოტა დაიწია. აგრილდა. ერთადერთი, რაც ბიუფორტში მართლა მომწონდა, ის იყო, რომ აქ გრძელი გაზაფხული და შემოდგომა იცოდა. გაზაფხულში ზოგჯერ ძალიან ცხელოდა, ზამთარში შეიძლება მოეთოვა კიდევ, ასე, ექვს წელიწადში ერთხელ, იანვარში კი ერთი კვირა ძლიერი ყინვებიც დაეჭირა, მაგრამ, აქ ზამთარს, ძირითადად, თხელ პიჯაკშიც გაატარებდა კაცი. იმ დღეს შესანიშნავი ამინდი იყო - ტემპერატურა სადღაც სამოცდათხუთმეტ ფარენჰეიტამდე, ცაზე კი ღრუბლის არც ერთი ნაგლეჯი. [P]  
[SEP]

ჯეიმისთან დათქმულ დროზე მივვდი და კარზე დავაკაკუნე. კარი თვითონ გამიღო. თვალის ერთი შევლებითაც მივხვდი, რომ ჰეგბერტი შინ არ იყო. ისე არ ცხელოდა, ცივი ჩაი ან ლიმონათი რომ მონდომებოდა კაცს, ამიტომ ისევ ვერანდაზე დავსხედით, მაგრამ არაფერი დაგვიღვია. მზე ჩადიოდა და ქუჩაშიც არავინ იყო. ამჯერად სკამის გადადგმა აღარ დამჭირვებია, რადგან ისევ ისე გვერდულად იდგა, როგორც დავტოვე. [P]  
[SEP]

- ლენდონ, დიდი მადლობა, რომ მოხვედი. ვიცი, რომ დაკავებული ხარ, მაგრამ გმადლობ, დრო მაინც რომ გამონახე. [P]  
[SEP]

- აბა, ასეთი რა მოხდა? - ვიკითხე საქმიანად. მინდოდა, რაც შეიძლება მალე დამეღწია თავი. [P]  
[SEP]

პირველად ვხედავდი, რომ ჯეიმი ნერვიულობდა. აღარ იცოდა, ხელებისთვის რა ექნა, სად წაეღო. [P]  
[SEP]

- რაღაც მინდოდა მეთხოვა, - სერიოზული ხმით თქვა მან. [P]  
[SEP]

- გეთხოვა? [P]  
[SEP]

თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. [P]  
[SEP]

თავიდან მეგონა, ეკლესიის მორთვაში დახმარებას (ცეკვების დროს რომ მითხრა) ან დედაჩემის მანქანით ბავშვთა სახლის აღსაზრდელებთან რამის წაღებას მთხოვს-მეთქი. თვითონ ჯეიმის მართვის მოწმობა ჯერ არ ჰქონდა, და რომც ჰქონოდა, ჰეგბერტს თავისი მანქანა მუდამ სჭირდებოდა, სულ აქეთ-იქით დადიოდა, ხან - დაკრძალვაზე, ხან სად და ხან სად. სანამ საბოლოოდ სათქმელს თავს მოუყრიდა, რამდენიმე წამს დუმდა. [P]  
[SEP]

ამოიოხრა და ხელები კვლავ ერთმანეთზე გადააჭდო. [P SEP]

- მინდოდა მეთხოვა, რომ პიესაში ტომ ტორნტონის როლი შენ შეგესრულებინა, თუ რა თქმა უნდა, სანინაალმდევო არაფერი გაქვს. [P SEP]

როგორც უკვე გითხარით, პიესის მიხედვით, ტომ ტორნტონი ის კაცია, რომელიც თავისი გოგონასთვის მუსიკალურ ზარდახშას ეძებს და ანგელოზს ხვდება. ეს ამ პიესაში ერთ-ერთი მთავარი როლი იყო. [P SEP]

- რა ვიცი. არ ვიცი... - ვთქვი დაბნეულად, - მე მეგონა, ტომის როლი ედი ჯოუნსს უნდა შეესრულებინა. ყოველ შემთხვევაში, მის გარბერმა ასე გვითხრა. [P SEP]

ჰო, მართლა, ედი ჯოუნსი ერთი კერი დენისონისნაირი ტიპი იყო. გაძვალტყავებულს მთელი სახე მუნუკებით ჰქონდა დაფარული, ლაპარაკისას კი თვალები ეკარკლებოდა. ნერვული ტიპი ჰქონდა და თვალებს ნერვიულობისას კარკლავდა, ანუ პრაქტიკულად ყოველთვის. მაყურებლების წინ რომ დაგეყენებინათ, ანერვიულდებოდა და ტექსტს ისე მიაყრიდა, ვერავინ ვერაფერს გაიგებდა. უარესი რამეც სჭირდა - ენა ებმოდა და ზოგჯერ ერთი სიტყვის თქმას ერთ საათს ანდომებდა. მის გარბერმა ეს როლი მხოლოდ იმიტომ მისცა, რომ მის გარდა მსურველი არავინ იყო, მაგრამ როცა აძლევდა, ამკარად ეტყობოდა, ეს როლი მისთვის არ ემეტებოდა. ბოლოს და ბოლოს მასწავლებლებიც ადამიანები არიან, მაგრამ რა ექნა, ამ როლის თამაშის სურვილი არავის გამოუთქვამს. [P SEP]

- მის გარბერს ზუსტად ვგრე არ უთქვამს. თქვა, ედის შეუძლია ამ როლის თამაში, თუ ამის სურვილი სხვას არავის აქვსო. [P SEP]

- სხვა ვინმემ რომ ითამაშოს? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ვიცოდი, რომ სხვა არც არავინ იყო. პეგბერტის მოთხოვნით, სპექტაკლში მხოლოდ გამოსაშვები კლასის მოსწავლეებს უნდა ეთამაშათ. ამიტომაც მოვეყეცით ჩიხში. ჩვენი სკოლის დამამთავრებელ კლასებში დაახლოებით ორმოცდაათი ბიჭი სწავლობდა. ოცდაორი მათგანი ფეხბურთის გუნდში თამაშობდა, გუნდი კი შტატის ჩემპიონატში მონაწილეობდა და რეპეტიციებზე სასიარულო დრო არავის ჰქონდა. დანარჩენი ოცდაათი ბიჭიდან ნახევარი ორკესტრში უკრავდა, იმათაც გაკვეთილების შემდეგ რეპეტიციები ჰქონდათ. სასწრაფოდ გამოვთვალე, რომ დაახლოებით ათი-თორმეტი ბიჭი რჩებოდა, ვისაც ამ როლის სათამაშო დრო ექნებოდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მოკლედ, ამ როლის თამაში არ მინდოდა და არა მართო იმიტომ, რომ ამ დროს უკვე კარგად ვიცოდი, რა მოსაწყენიცაა დრამის გაკვეთილები. მთავარი ის იყო, რომ ჯეიმისთან ერთად ერთხელ უკვე გავიჩითე ცეკვებზე და ახლა იმის გაფიქრებაც კი მზარავდა, რომ დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში მთელი დღეები იმასთან, თანაც ანგელოზის როლის შემსრულებელთან, უნდა გამეტარებინა. ჯეიმისთან ერთად ერთხელ უკვე დამინახეს და ვეგე მაგრა ტეხავდა, ახლა კიდევ ყოველდღე დავენახე? ჩემი ძმაკაცები რას იტყოდნენ? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მესმოდა, რომ ეს მისთვის მნიშვნელოვანი იყო. თავისთავად ის ფაქტი, რომ ასეთი რაღაცა მოხოვა, უკვე იმას ნიშნავდა, რომ ნამდვილად მნიშვნელოვანი იყო. ჯეიმის არასდროს არავისთვის

უთხოვია დახმარება. ალბათ გულის სიღრმეში ეგონა, რომ მას არავინ დაეხმარებოდა იმის გამო, ვინც იყო. ამის გაფიქრებაზე გული მეტკინა.

[P]  
[SEP]

- ჭეფ ბანგერტზე რას იტყვი? შეიძლება უარი არ თქვას. [P]  
[SEP]

ჭეიმომ თავი გააქნია. [P]  
[SEP]

- ვერა. ვერ შეძლებს. მამამისი ავადაა და სანამ ფეხზე დადგება, მაღაზიაში იმან უნდა იმუშავოს. [P]  
[SEP]

- დარენ ვუდი? [P]  
[SEP]

- ნავში ფეხი დაუცურდა და ხელი მოიტეხა. თაბაშირი ადევს. [P]  
[SEP]

- მართლა? არ ვიცოდი. - ამკარად თავს ვარიდებდი. ჭეიმი მიხვდა.

[P]  
[SEP]

- ლენდონ, რახანია ამაზე ვლოცულობ, - თქვა სრულიად გულწრფელად და უკვე მეორეჯერამოიოხრა, - მართლა გულით მინდა, რომ წელს ეს სპექტაკლი განსაკუთრებული გამოვიდეს. ჩემთვის კი არა, მამაჩემისთვის მინდა. მინდა, რომ წლევანდელი დადგმა ყველა სხვა დადგმაზე უკეთესი იყოს. ვიცი, რამდენს ნიშნავს მისთვის ჩემი ნახვა ანგელოზის როლში; მას ხომ ეს სპექტაკლი დედაჩემს აგონებს... - შეყოვნდა. აზრებს თავი მოუყარა. - საშინელება იქნება, ეს სპექტაკლი მაინცდამაინც წელს რომ ჩავარდეს, წელს, როცა მასში მე ვმონაწილეობ. [P]  
[SEP]

ცოტა ხანს კიდევ შეიცადა. ხმაში მეტი ემოცია დაეტყო და ისევ განაგრძო. [P]  
[SEP]

- ვიცი, რომ ედი ძალიან მოინდომებს, ნამდვილად ვიცი. არც



მასთან თამაში მეუხერხულება. მართლა არ მეუხერხულება. ედი მშვენიერი ბიჭია, მაგრამ მითხრა, საბოლოოდ არ გადამინყვეტია, ვითამაშებ თუ არაო. თანაც... თანაც ზოგჯერ ბავშვები სკოლაში ისეთი დაუნდობლები არიან; მე კი არ მინდა, რომ ედის გული ატკინონ. - მაგრამ... - მან ღრმად ამოიოხრა, - სინამდვილეში მამაჩემის გულისთვის გთხოვ. ის ისეთი კარგი კაცია, ლენდონ. ხალხმა რომ დასცინოს დედაჩემის ხსოვნას, როცა ამ როლს მე შევასრულებ... გული მომიკვდება. მე და ედი კი... შენ ხომ იცი, ხალხი ამაზე რასაც იტყვის. [P] [SEP]

თანხმობის ნიშნად თავი დავეუქნიე და ენას კბილი დავაჭირე, რადგან ვიცოდი, რომ იმ ხალხში, რომელზეც ახლა ლაპარაკობდა, მეც ვიგულისხმებოდი. პრინციპში, მათ რიგებში უკვე ვიყავი კიდევ. როგორც კი მის გარბერმა გამოაცხადა, ამ როლებს ედი და ჯეიმი შეასრულებენო, მაშინვე სახელი მოვიგონეთ და „დინამიკური დუეტი“ დავარქვით. სიმართლე თუ გინდათ, ეს სახელი მე მოვიგონე. ამის გახსენებაზეც კი ცუდად გავხდი. [P] [SEP]

სკამზე ოდნავ გასწორდა და ისე ნალვლიანად შემომხედა, თითქოს ხვდებოდა, რომ უარს ვეტყოდი. რა იცოდა, რა დღეში ვიყავი. მერე განაგრძო. [P] [SEP]

- ვიცი, რომ ამგვარი გამოცდები ყოველთვის უფლის ნებაა და მისი ჩანაფიქრის ნაწილი, მაგრამ ნამდვილად არ მინდა დავიჭერო, რომ ღმერთი სასტიკია, განსაკუთრებით, მამაჩემისნაირი ადამიანის მიმართ. ის ხომ მთელ თავის ცხოვრებას ღმერთის მსახურებასა და

ადამიანებზე ზრუნვაში ატარებს. თვითონ კი ცოლი დაკარგა და მარტომ გამზარდა. ამის გამო ისე ძალიან მიყვარს... [P]  
[SEP]

ჯეიმომ გვერდზე გაიხედა, მაგრამ მის თვალებში ცრემლი მაინც შევნიშნე. მანამდე ატირებული ჯეიმი არასდროს მენახა. მგონი, ჩემი არსების ერთ ნაწილსაც ტირილი მოუნდა. [P]  
[SEP]

- ამას ჩემი გულისათვის არ გთხოვ, - თბილად თქვა მან, - ჩემთვის მართლა არ გთხოვ; უარი რომც მითხრა, მაინც შენთვის ვილოცებ, გპირდები. მაგრამ თუ გაგიჩნდება სურვილი, რამე გააკეთო ამ საოცარი ადამიანისთვის, რომელიც ამდენს ნიშნავს ჩემთვის... ეგებ გეფიქრა? [P]  
[SEP]

იმ კოკერ სპანიელის თვალებით შემომხედა, რომელმაც ეს-ესაა ხალიჩაზე მოისაქემა. ფეხებზე დავიხედე. [P]  
[SEP]

- ფიქრი არ მჭირდება. თანახმა ვარ. [P]  
[SEP]

სხვა გზა არ მქონდა. მქონდა? [P]  
[SEP]

## თავი 5 [P] [SEP]

მეორე დღეს მის გარბერს დაველაპარაკე, შესარჩევი ტური გავიარე და როლიც მივიღე. ედის არ სწყენია. პირიქით, გაუხარდა, თითქოს მხრებიდან ტვირთი ჩამოხსნესო. როცა მის გარბერმა ჰკითხა, წინააღმდეგი ხომ არ იქნები, ტომ ტორნტონის როლი ლენდონს რომ მივცეთო, სახეზე შვება გამოეხატა და მხოლოდ ცალი თვალი გადმოკარკლა. [P]  
[SEP]

- კკკი, რრრრა თქმა უუნდა, - თქვა ენის ბორძიკით, - მმმე მმესმის.

- ამის თქმას დაახლოებით ათი წამი მოანდომა. [P]  
[SEP]

მის გარბერმა მას გულისხმიერებისათვის მანანწალას როლი მისცა. დარწმუნებულები ვიყავით, ფრიადზე შეასრულებდა. მანანწალა მუნჯი იყო, მაგრამ ანგელოზს ესმოდა მისი და ყოველთვის ზუსტად იცოდა, რას ფიქრობდა. ერთხელ ისიც კი უთხრა, ღმერთი განსაკუთრებით მოწყალე ღარიბებისა და დაჩაგრულების მიმართ არისო. ამ რეპლიკით აუდიტორია უნდა მიმხვდარიყო, რომ ანგელოზი გეციდან იყო მოვლენილი. როგორც ზემოთ ვთქვი, ჰეგბერტს უნდოდა, ყველასთვის დაენახვებინა, ვისგან იღებენ ადამიანები შველასა და ხსნას. თავისთავად ცხადია, ამ მიზანს საიდანღაც უცბად გამომტყვრალი რამდენიმე რაქიტიანი მოჩვენება ვერ შეასრულებდა.

[P]  
[SEP]

რეპეტიციები მომდევნო კვირას დაიწყო. თეატრმა ჩვენი შეშვებისგან ჯერჯერობით თავი შეიკავა, ამიტომ საკლასო ოთახში ვმეცადინეობდით. დიდ სცენაზე გასვლამდე ყველა „მცირე ხარვეზი“ უნდა აღმოგვეფხვრა. ხარვეზებში იმ უნარს ვგულისხმობ, რომლის წყალობითაც ბავშვები წარა-მარა დეკორაციებს ვეჭახებოდით და რაღაც-რაღაცეებს ვაფუჭებდით. დეკორაციები ერთ ლოთბაზარა ხელოსანს, ვინმე ტობი ბუმს გაუკეთებია ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის წინ, ანუ იმ დროს, წარმოდგენა პირველად რომ დაიდგა. ეს ტობი ბუმი ადრე თეატრს რაღაც-რაღაცეებს უკეთებდა ხოლმე. ლოთბაზარა-მეთქი, იმიტომ ვთქვი, რომ ლუდის ბოთლს პირიდან არ იცილებდა თურმე და შუა დღისთვის ან, სადღაც, ასე, ორი საათისათვის, უკვე

ისეთი მთვრალი იყო, რომ ფეხზე ძლივს იდგა. მგონი, თვალეშიც ვერ იყურებოდა, რადგან, დღე ისე არ გავიდოდა, რომ შემთხვევით თითებში ჩაქუჩი ერთხელ მაინც არ ჩაერთყა. ამას რო იზამდა, გაბრაზებული ჩაქუჩს სადღაც მოისროდა და სიმწრისგან ხტუნვას დაიწყებდა, თან ყველას და ყველაფერს აგინებდა, საკუთარი დედით დანწყებული, ეშმაკით დამთავრებული. ცოტა ხანში კი, დამშვიდებული, ტკივილის დასაამებლად ერთ ბოთლს კიდევ დაურტყამდა და ისევ მუშაობას განაგრძობდა. ამდენი ჩაქუჩის ცემისგან თითების სახსრები დასიებოდა და კაკლის სიმსხო გახდომოდა. მუდმივ სამუშაოს ვერ შოულობდა. ჰეგბერტს იგი ერთადერთი მიზეზით დაექირავებინა - ხელობაში იმაზე იათს მთელ ქალაქში არავინ იღებდა. [33]

ჰეგბერტი არც სმის უფლებას აძლევდა და არც - გინების, ტობის კი ასეთ მკაცრ პირობებში მუშაობა ვერ წარმოედგინა. ამიტომაც დეკორაცია უგულოდ ნაკეთები გამოუვიდა, თუმცა, შორიდან ეს არ ეტყობოდა. რამდენიმე წელიწადში ყველაფერმა ნაწილ-ნაწილ დაიწყო დაშლა და ჰეგბერტი იძულებული იყო, თავად შეეკეთებინა ხოლმე, არადა მხოლოდ ბიბლიასთან ეხერხებოდა მუშაობა, ჩაქუჩის კაკუნი და ლურსმნების ჭედება მაგის საქმე არ იყო. დეკორაციები დაიგრიხა, ალაგ-ალაგ კი ფანერებიდან დაჟანგულმა ლურსმნებმა გამოყო თავი, ამიტომ ძალიან უნდა გვეფრთხილა. არასწორად რომ გაგვევლო და დავჭახებოდით, ან ჩვენ თვითონ დავშავდებოდით, ან ლურსმნები სცენის იატაკში ჩაერთვებოდა, დახვრეტდა და მალე სცენის იატაკი გამოსაცვლელი გახდებოდა. მაგრამ ჰეგბერტს კარს ვერ

მიუკეტავდნენ და სპექტაკლის დადგმაზე უარს ვერ ეტყოდნენ. ამიტომაც შეუთანხმდნენ, რომ მისი მსახიობები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოჰკიდებოდნენ ყველაფერს. გადანყდა - ყველა „პატარა ხარვეზის“ აღმოფხვრამდე რეპეტიციები საკლასო ოთახში ჩატარდებოდა. [P]  
[SEP]

საბედნიეროდ, სპექტაკლის დადგმის პროცესში თავად ჰეგბერტი არ მონაწილეობდა, საამისო დრო არ ჰქონდა, რადგან, როგორც მღვდელს, უამრავი სხვა რამ ჰქონდა საკეთებელი. ეს როლი მის გარბერს ერგო, რომელმაც პირველ რიგში ის გამოგვიცხადა, რაც შეიძლება მალე დაისწავლეთ თქვენი როლებიო. სარეპეტიციოდ იმდენი დრო არ გვქონდა, რამდენიც წინა წლებში. მაღლიერების დღე ნოემბრის უკანასკნელ დღეს დაემთხვა. ჰეგბერტს კი არ სურდა, სპექტაკლი ზუსტად შობის დღესასწაულის წინ გვეთამაშა, რადგან მისი აზრით, ეს „მის ნამდვილ მნიშვნელობას“ დააკნინებდა. ამიტომაც წარმოდგენის მოსამზადებლად სამი კვირაღა გვქონდა დარჩენილი. ეს დრო წინა წლებთან შედარებით ერთი კვირით ნაკლები იყო. [P]  
[SEP]

რეპეტიციები სამ საათზე დაგვეწყობო. ჭეიმომ თავისი როლი უკვე ზეპირად იცოდა, რაც ნამდვილად არ გაგვიკვირებია. თუმცა, ის კი გაგვიკვირდა, რომ ჩემი როლიც იცოდა და ყველა სხვა მონაწილისაც. არც ერთი სცენის მომზადებისას არ დასჭირვებია სცენარში ჩახედვა, მე კი წინ ფურცლების მთელი დასტა მედო და გამოშტერებული დავყურებდი, არ ვიცოდი, როდის რა მეთქვა. თავს როგორც კი ავწევდი, ჭეიმოს გაცისკროვნებულ სახეს ვხედავდი. ისეთი

გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ეს-ესაა, აღმოდებული ბუჩქი ან სხვა რამ ამის მსგავსი დაინახაო. მე გეპირად მხოლოდ მუნჯი მანანნალას რეპლიკები ვიცოდი, განსაკუთრებით, პირველ რეპეტიციაზე. ედისი შემშურდა, ყოველ შემთხვევაში, ამ მხრივ მაინც. მივხვდი, ბევრი მუშაობამომინევდა, რასაც ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი მაშინ, როცა დრამას ვირჩევდი. [SEP]

მეორე რეპეტიციისთვის სპექტაკლში მონაწილეობისადმი ჩემი კეთილშობილური გრძნობებიდან კვალიც აღარ იყო დარჩენილი. მე კი ვიცოდი, რომ სწორედ ვიქცეოდი, მაგრამ ჩემმა ძმაკაცებმა, როგორც კი წარმოდგენაში ჩემი მონაწილეობის ამბავი შეიტყვეს, ეგრევე ღადაობა დამიწყეს. [SEP]

- ეს რა გავიგე! რას შვრები? - მკითხა ერიკმა. - ჭეიმი სალივანთან ერთად თამაშობ? შენ ხო არ უბერავ? [SEP]

რალაც წავილულლულდე, ვუთხარი, რომ საამისო მიზეზი მქონდა, მაგრამ არ მომისმინა და მაშინვე მთელ სკოლას მოსდო, ჭეიმი სალივანი ევასებაო. მე, რა თქმა უნდა, ყველაფერი უარვეყავი, რამაც ყველა ერიკის ნათქვამის სიმართლეში დაარწმუნა. უფრო მეტად ამიგდეს. ერთმანეთს დაინახავდნენ თუ არა, ეგრევე ამ ამბავს ახარებდნენ. ამბავი თანდათანობით გაბერეს, ათასი კუდი გამოაბეს და სადილობის დროს სალი იმასაც ამტკიცებდა, მალე ნიშნობა ექნებათო. მომეჩვენა, რომ სალის შურდა. დიდი ხანია, მოვწონდი. ეგებ, მეც მომწონებოდა და ჩვენს შორის ორმხრივი სიყვარულის ცეცხლიც გაჩაღებულიყო, ცალი თვალი შუშის რომ არ ჰქონოდა, მაგრამ რა

მექნა, ამაზე თვალს ვერ დავხუჭავდი. მისი თვალის დანახვაზე ანტიკვარიატის მაღაზიის თაროზე შემოსმული ბუს თვალეები მაგონდებოდა და, ცოტა არ იყოს, ვიძაბებოდი. [P SEP]

მე მგონი, აქედან დამენყო ისევ ჭემის მიმართ გაღიზიანება. ვიცოდი, რომ მისი ბრალი არ იყო. ამ დღეში იმ საღამოს გამართული ცეკვებისა და ჰეგბერტის გამო ჩავვარდი, იმ ჰეგბერტის, რომელსაც არც მაშინ გამოუვლენია ჩემდამი დიდი კეთილგანწყობა. ამის შემდეგ ჩემი როლი სულ ფეხებზე დავიკიდე. რამდენიმე დღეს კლასში გამართულ რეპეტიციებზე ძლივს ვბლუყუნებდი, საკუთარი ტექსტის დაბეჭირება არც მიცდია, ვმამუნობდი, რაღაცეებს ვღადაობდი, რაზეც ყველა იცინოდა, ჭემისა და მის გარბერის გარდა. რეპეტიციის შემდეგ პირდაპირ სახლში მივდიოდი და ვცდილობდი, ამ წარმოდგენის არსებობა საერთოდ დამევიწყებინა. შინ თავს არ ვინუხებდი და სცენარს ხელს არ ვკიდებდი. ჩემს მეგობრებს ჭემის უცნაურ გამოხტომებზე ვაცინებდი და ტყუილებს ვუყვებოდი იმაზე, თუ როგორ მაიძულა მის გარბერმა ამ როლის თამაში. [P SEP]

მაგრამ ჭემის ეტყობოდა, რომ ხელიდან ადვილად არ გამიშვებდა. ყველაზე მტკივნეული წერტილიც მომიძებნა და პირდაპირ ჩემს თავმოყვარეობაზე მიიტანა იერიში. [P SEP]

რეპეტიციების დაწყებიდან დაახლოებით ერთი კვირის თავზე, ერთ შაბათ საღამოს, ერიკთან ერთად ბიუფორტის ფეხბურთის ჩემპიონატზე გახლდით. სესილის კაფეს მახლობლად, პორტთან უსაქმურად დავყიალობდით, თან ღვებელს ვჭამდით და მანქანებით მოსეირნე

ადამიანებს ვათვალისწინებდით. ამ დროს ქუჩაში ჯემი დავინახე. ჩვენგან ასი იარდის მანძილზე იყო, აქეთ-იქით იხედებოდა, ისევ ის ძველი ყავისფერი ჟაკეტი ეცვა და ხელშიც ბიბლია ეჭირა. დაახლოებით ცხრა საათი იქნებოდა; წესით, ასე გვიან გარეთ არ უნდა ყოფილიყო და რაც მთავარია, ვერ მივხვდი, ქალაქის ამ ნაწილში რას აკეთებდა. ზურგი შევაქციე და ქურთუკის საყელო ავინიე, მაგრამ მარგარეტს კი, რომელსაც ტვინის ნაცვლად ბანანი ედო თავში, მიხვდა, ჯემი ვისაც დაეძებდა. [P [SEP]]

- ლენდონ, შენი შეყვარებული მოდის. [P [SEP]]

- ეგ ჩემი შეყვარებული არ არის. შეყვარებული არ მყავს. [P [SEP]]

- მაშინ - შენი საცოლე. [P [SEP]]

მივხვდი, რომ სალის ნათქვამი იყო. [P [SEP]]

- დანიშნული არ ვარ. მორჩი! - შევეუღრინე გაბრაზებულმა. [P [SEP]]

თვალი გვერდზე გავაპარე. მაინტერესებდა, ჯემიმაც დამინახა თუ არა. მივხვდი, რომ დამინახა. ჩვენკენ მოდიოდა. თავი ისე დავიჭირე, ვითომ ვერ ვხედავდი. [P [SEP]]

- აი, მოდის. - თქვა მარგარეტმა და ჩაიციინა. [P [SEP]]

- ვიცი. [P [SEP]]

ოცი წამის შემდეგ იგივე გაიმეორა. [P [SEP]]

- აი, მოვიდა კიდევ. ხომ გითხარი, სწრაფად მოქმედებს-მეთქი. [P [SEP]]

- ვიცი, - მივუგე და კბილები გავაღრჭიალე. მარგარეტს ერთი ფეხები უვარგოდა, თორემ სხვა მხრივ ჯემის არ ჩამოუვარდებოდა, თავისი ლაპარაკით იმასაც თავისუფლად შეეძლო კაცის ჭკუიდან



გადაყვანა. [P]  
[SEP]

ისევ გვერდზე გავიხედე. ჭეიმომ შეამჩნია, რომ დავინახე. გამიღიმა და ხელი დამიქნია. მოვტრიალდი. ნაშში ჩემს გვერდით გაჩნდა. [P]  
[SEP]

- სალამი, ლენდონ! - მითხრა ისე, თითქოს ჩემს სახეზე აღბეჭდილი გაღიზიანება ვერც კი შენიშნაო. [P]  
[SEP]

- სალამი, ერიკ, მარგარეტ! - ყველას ჩამოუარა. მისალმების ნიშნად ორივემ რაღაც ნაიბურდღუნა და მისი ბიბლიისათვის თვალის ასარიდებლად გვერდზე გაიხედა. [P]  
[SEP]

ერიკს ლუდის ბოთლი ეჭირა ხელში. ჭეიმოს რომ არ დაენახა, ზურგს უკან დამალა. ჭეიმი თვით ერიკსაც კი გაუჩენდა დანაშაულის გრძნობას, მასთან დაახლოება რომ მოენდომებინა. ერთ დროს იგი ჭეიმოს მეზობლად ცხოვრობდა და მოსმენილი ჰქონდა იმის ლაპარაკი. ზურგს უკან „ხსნის ქალბატონს“ ეძახდა და ამით „ხსნის არმიასთან“ აკავშირებდა. ბრიგადის გენერალი იქნებოდაო, ლაზღანდარობდა ხოლმე ერიკი. მაგრამ როცა ჭეიმი მის წინ იდგა, ხუმრობის ხალისი ეკარგებოდა. ერიკს მისი კეთილგანწყობისდაკარგვა არ სურდა, რადგან, ფიქრობდა, რომ ჭეიმი ღმერთთან ახლოს იყო. [P]  
[SEP]

- როგორ ხარ, ერიკ? რაღაც ამ ბოლო დროს ვეღარ გხედავ, - ისე თქვა, თითქოს სხვა დროს სულ ერთად ყოფილიყვნენ. [P]  
[SEP]

ერიკმა ფეხი შეინაცვლა და ფეხსაცმელებზე დაიხედა. სახეზე დამნაშავის გამომეტყველება ჰქონდა. [P]  
[SEP]

- ჰოო. კაი ხანია, ეკლესიაში არ ვყოფილვარ. [P]  
[SEP]

ჭვიმის სახე ღიმლიმა გაუნათა. [P]  
[SEP]

- არა უშავს. თუ რა თქმა უნდა, ჩვევაში არ გადაგივა. [P]  
[SEP]

- არა. არ გადამივა. [P]  
[SEP]

ახლა, როცა აღსარების საიდუმლოს შესახებ მეც ვიცი რაღაც - კათოლიკეები შირმის იქით რომ სხედან და მღვდელს თავიანთ ცოდვებზე უამბობენ - ვხვდები, რა მდგომარეობაში ვარდებოდა ჭვიმის გვერდით ერიკი. ერთი წამით მომეჩვენა, თითქოს „ქალბატონოთიც“ კი უნდოდა, მიემართა. [P]  
[SEP]

- ლუდს ხომ არ დაღევ? - ჰკითხა მარგარეტმა. უნდოდა, გაგვეცინებოდა, მაგრამ არ გაგვეცინებია. [P]  
[SEP]

ჭვიმიმ თმაზე ხელი გადაისვა და კუდი გაისწორა. [P]  
[SEP]

- არა, არა. მადლობა. დიდი მადლობა. [P]  
[SEP]

მერე მე შემომხედა, სახეზე ნათელი დასთამაშებდა და მივხვდი, რომ მომეხაზა. ვიფიქრე, მეტყვის, სალაპარაკო მაქვს და გვერდზე გავიდეთო. ჯობდა, ასეც ექნა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ სხვა გეგმა ჰქონდა. [P]  
[SEP]

- ამ კვირაში რეპეტიციებზე ძალიან კარგად თამაშობდი. ვიცი, რომ დიდი ტექსტი გაქვს დასაზღვირებელი და დარწმუნებულებაც ვარ, მალე ისწავლი. იმისთვისაც დიდი მადლობა, რომ საკუთარი სურვილით აიღე ეს როლი. ნამდვილი ჯენტლმენი ხარ. [P]  
[SEP]

- მადლობა. - ვიგრძენი, რომ მუცელში რაღაც დამეჭიმა. შევეცადე, აღელვება არ დამტყობოდა, მაგრამ ჩემი მეგობრები პირდაპირ სახეში შემომცქეროდნენ და ცდილობდნენ მიმხვდარიყვნენ, მოვიტყუე თუ

არა, როცა ვთქვი, მის გარბერმა ეს როლი ძალით შემომტენა-მეთქი. იმედი მაქვს, ვერაფერს მიხვდნენ. [P] [SEP]

- შენს მეგობრებს შეუძლიათ, შენით იამაყონ. - თქვა ჯეიმზ და მათ გადახედა. [P] [SEP]

- ვამაყობთ კიდევ, - სასწრაფოდ მიუგო ერიკმა, - ძალიან ვამაყობთ. ლენდონი კარგი ბიჭია, მითუმეტეს, რომ ნებაყოფლობით აურჩევია ეს როლი. [P] [SEP]

ღმერთო, ოღონდ ეს არა! [P] [SEP]

ჯეიმზ ერიკს გაუღიმა და ჩემკენ შემოტრიალდა. უწინდებურად ხალისიანი იყო. [P] [SEP]

- ისიც მინდოდა მეთქვა, რომ თუ ოდესმე დახმარება დაგჭირდება, ნებისმიერ დროს შეგიძლია, მომაკითხო. შეგვიძლია, უწინდებურად ვერანდაზე დავსხდეთ, მაშინ რომ ვისხედით, ისე და ტექსტზე ვიმუშაოთ. [P] [SEP]

ერიკის ტუჩების მოძრაობით მივხვდი, როგორ დაუმარცვლა მარგარეტს სიტყვები „მაშინ რომ ვისხედით“. თქვენს მტერს, ისეთ დღეში ჩავვარდი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მუცელში პოლ ბინიანის ბოულინგის ბურთის ზომის საგანი მქონდა გაჩხერილი. [P] [SEP]

- არა. არ არის საჭირო, - ძლივს ამოვილულულე. თან გამალეებით ვფიქრობდი, როგორ გამოვმძვრალიყავი ამ სიტუაციიდან, - მე თვითონ ვისწავლი სახლში. [P] [SEP]

- ლენდონ, ზოგჯერ ასეთ რამეებს გაცილებით ადვილად სწავლობ, როცა სხვასთან ერთად მეცადინეობ ან ვინმე გიკითხავს, - საუბარში

ჩაერია ერიკი. [P]  
[SEP]

ხომ ვთქვი, ერიკი ჩემი მეგობარი იყო, მაგრამ შიგადაშიგ მკბენდა ხოლმე. [P]  
[SEP]

- არა. არ არის საჭირო, - მივუგე ერიკსაც, - მე თვითონ ვისწავლი.

[P]  
[SEP]

- ჰო. ალბათ, - ღიმილით მომიგო ერიკმა, - როლებს ცოტა უკეთ რომ ისწავლით, შეგიძლიათ, ბავშვთა სახლის აღსაზრდელების წინაშეც ითამაშოთ. გენერალური რეპეტიცია გამოგივათ. დარწმუნებული ვარ, ძალიან მოეწონებათ. [P]  
[SEP]

თითქოს თვალნათლივ დავინახე, როგორ გაუნკაპუნდა ჭემის ტვინში რაღაც ბავშვთა სახლის აღსაზრდელების გაგონებაზე. მისი სუსტი წერტილი ყველამ იცოდა. [P]  
[SEP]

- მართლა ასე გგონია? - ჰკითხა ერიკს. [P]  
[SEP]

თანხმობის ნიშნად ერიკმა სრული სერიოზულობით დაუქნია თავი.

[P]  
[SEP]

- ჰო. ეგ ლენდონმა მოიფიქრა. მე რომ ობოლი ვიყო, ასეთი რამ ძალიან გამახარებდა. [P]  
[SEP]

- მეც, - ჩაერია მარგარეტი. [P]  
[SEP]

ვიდექი და დამუნჯებული ვუსმენდი მათ ლაპარაკს, თან თავში ერთი სცენა მიტრიალებდა იულიუს კეისრიდან, სადაც ბრუტუსი კეისარს ზურგში დანას ურტყამს. ტვინში ერთადერთი აზრი მომდიოდა: **Et tu, Eric?** (შენც, ერიკ?) [P]  
[SEP]

- ლენდონის იდეა იყო? - იკითხა ჭემიმ და წარბი ზემოთ აზიდა.

შემომხედა. მივხვდი, რომ რაღაცას წონიდა და ზომავდა. [P]  
[SEP]

მაგრამ ერიკი ასე ადვილად არ შემეშვებოდა. ახლა, როცა უკვე ნიხლქვეშ ვყავდი გაგდებული, ნაწლავებსაც დამაყრევინებდა. [P]  
[SEP]

- ლენდონ, ხომ სიამოვნებით გააკეთებ ამას? ობლების დახმარებას ვგულისხმობ. [P]  
[SEP]

ასეთ რამეზე პირდაპირ უარს ხომ ვერ ვიტყვოდი, არა? [P]  
[SEP]

- ჰო, ალბათ, - ჩავილაპარაკე ყრუდ და ჩემს საუკეთესო მეგობარს მივაშტერდი. ერიკისაგან ბრწყინვალე მოჭადრაკე დადგებოდა, მაგრად ეხერხებოდა ადამიანის ჩიხში მომწყდევად. [P]  
[SEP]

- კარგი, ჭეიმი, გადავწყვიტეთ. თუ, რა თქმა უნდა, შენც თანახმა ხარ. - თან ისე ტკბილად გაიღიმა, ისე დაიშაქრა, ამდენი შაქარი მთელიშტატის სამყოფ კოლას დაატკბობდა. [P]  
[SEP]

- ჰოო... მაშინ მის გარბერს და ბავშვთა სახლის დირექტორს უნდა მოველაპარაკო. შესანიშნავი იდეაა, თუ ისინი დავითანხმე. [P]  
[SEP]

რაც მთავარია, თავად ძალიან ბედნიერი იყო. [P]  
[SEP]

დამაშამათეს. [P]  
[SEP]

მეორე დღეს თოთხმეტ საათს ვიზუთხავდი ჩემს როლს. გუთხვისას თან ჩემს მეგობრებს ვაგინებდი, თან მიკვირდა, ჩემი ცხოვრება მოულოდნელად ასეთი კალაპოტით რომ წარიმართა. ბოლო კლასში მოვლენები ისე არ ვითარდებოდა, როგორც სასწავლო წლის დასაწყისში წარმომედგინა. ობლების მთელი თაიგულის წინაშე უნდა მეთამაშა და არ მინდოდა, იდიოტურ მდგომარეობაში აღმოვჩენილიყავი. [P]  
[SEP]

## თავი 6<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჩვენი იდეა ბავშვთა სახლის აღსაზრდელების წინაშე სპექტაკლის გათამაშების შესახებ პირველ რიგში მის გარბერს გავანდეთ. ძალიან მოეწონა, თქვა, ჩინებული აზრიაო. ჩინებული მისი საყვარელი სიტყვა იყო და ხშირადაც იყენებდა, თითქმის იმავე სიხშირით, როგორც თავის წამღერებით ნათქვამ სალაამს. ორშაბათს, როცა ჩემი ტექსტი უკვე ზეპირად ვიცოდი, მითხრა - „ჩინებულია!“ ამასვე გაიძახოდა შემდეგი ორი საათის განმავლობაში ნებისმიერი სცენის დასრულების შემდეგ. რეპეტიციის ბოლოსთვის ეს სიტყვა, სულ ცოტა, ტრილიონჯერ მაინც მქონდა გაგონილი. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მის გარბერმა ჩვენი იდეა კიდევ უფრო განავრცო. დასის სხვა წევრებს ჩვენი გეგმები გააცნო და ჰკითხა, ხომ არ გეჭნებათ სურვილი, თქვენი როლები ბავშვების წინაშე თქვენც გაითამაშოთ, ობლებმა სპექტაკლით ბარემ თავიდან ბოლომდე რომ ისიამოვნონო. მაგრამ ისე ჰკითხა, რომ არჩევანი არავის დაუტოვა; კლასს თვალი მოავლო და დაელოდა, ვინ დაუქნევდა თავს თანხმობის ნიშნად, რის შემდეგაც ოფიციალურად გამოაცხადებდა მიღებულ გადაწყვეტილებას. სახეზე კუნთიც არავის შეტოვებია, ედის გარდა. იმ წუთს ბუზი შეუფრინდა ცხვირში და მაგრად დააცემინა. ბუზი ცხვირიდან გამოვარდა, მის მერხს ჩაუქროლა და პირდაპირ ნორმა ჭინის ფეხებთან დაენარცხა იატაკზე. ნორმა სკამიდან წამოხტა და ხმამაღლა იკივლა, მის გვერდით მჭდომები კი ორივე მხრიდან აღრიალდნენ: - „უუუ! თავხედი!“ დანარჩენმა ბავშვებმა კისრები წაიგრძელეს, რომ

დაენახათ, რა მოხდა, მოკლედ, მომდევნო ათ წამს კლასში სრული ჭოჭოხეთი ტრიალებდა. მის გარბერმა ასეთი რეაქცია თავის სასარგებლოდ გამოიყენა. [P]  
[SEP]

- ჩინებულია, - თქვა და საქმის განხილვა ამით დაასრულა. [P]  
[SEP]

ამასობაში ჯეიმი ალფრთოვანებას ვერ მალავდა, მოუთმენლად ელოდა, როდის დადგებოდა დღე, როცა სპექტაკლს უდემამო ბავშვების წინაშე ვითამაშებდით. რეპეტიციების დროს შესვენებებზე გვერდით გავყავდი და დაუსრულებლად მიხდიდა მადლობას იმის გამო, რომ ამ ბავშვებზეც ვიფიქრე და ვიზრუნე. [P]  
[SEP]

- შენ საიდან უნდა გცოდნოდა? - შეთქმულივით მეჩურჩულებოდა იგი. - მაგრამ მთელი წელია, ვფიქრობ, რა გავუკეთო მათ საშობაოდ. რა ხანია ვლოცულობ, რომ ეს შობა ყველასთვის განსაკუთრებული გამოვიდეს. [P]  
[SEP]

- და რატომ არის ეს შობა ასე მნიშვნელოვანი? [P]  
[SEP]

იმან შემწყნარებლურად გამიღიმა, თითქოს ისეთი რამ მეკითხოს, რაზეც პასუხის გაცემა ზედმეტია. [P]  
[SEP]

- არის და მორჩა, - მომიგო უბრალოდ. [P]  
[SEP]

შემდეგი ეტაპი მისტერ ჯენკინსთან, ბავშვთა სახლის დირექტორთან, გასაუბრება იყო. მისტერ ჯენკინსს მანამდე არასოდეს შევხვედრივარ, რადგან ბავშვთა სახლი მორიჰედ სითიში, ხიდს გადაღმა მდებარეობდა, მე კი იქ წასვლა არასდროს დამჭირვებია. მეორე დღეს ჯეიმომ სიურპრიზი გამიკეთა და მაცნობა, ამ საღამოს მისტერ ჯენკინსს ვხვდებითო. ცოტა არ იყოს ავლელდი, რადგან

სათანადოდ ჩაცმული არ ვიყავი. მართალია, ერთ ჩვეულებრივ ბავშვთა სახლში მივდიოდით, მაგრამ ყველას უნდა, კარგი შთაბეჭდილება მოახდინოს ადამიანებზე. ჭეიმივით აღელვებული არ ვიყავი (ამაში მას ვერავინ შეეძრებოდა), მაგრამ არც ბავშვებისათვის მინდოდა შობის გაფუჭება. <sup>[P]</sup><sub>SEP</sub>

ბავშვთა სახლში წასვლამდე სახლში გავიარეთ, დედაჩემისთვის მანქანა უნდა გამომერთმია, თან ვიფიქრე, ტანსაცმელსაც გამოვიცვლი-მეთქი. შინ მისვლას ათი წუთი მოვანდომეთ. ჭეიმი გზაში ჩუმად იყო, ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ ჩემს უბანში არ მივედით. ჩემი სახლის ირგვლივ ყველა სახლი დიდი და კარგად მოვლილი იყო. ჭეიმი მეკითხებოდა, რომელ სახლში ვინ ცხოვრობდა და რამდენი წლის წინ იყო აშენებული. შეკითხვებს დაუფიქრებლად ვპასუხობდი, მაგრამ როცა ჩემი სახლის კარი შევადე, მაშინლა მივხვდი, რამდენად განსხვავდებოდა ის ჭეიმის სახლისაგან. მისაღებ ოთახში რომ მიმოიხედა, სახეზე განცვიფრება დაეტყო, ყველაფერს ათვალიერებდა. <sup>[P]</sup><sub>SEP</sub>

ასეთ ლამაზ და კარგად მოწყობილ სახლში აშკარად პირველად იყო. მალე შევნიშნე, როგორ გადაჰქონდა მზერა კედელზე ჩამოკიდებული ერთი სურათიდან მეორეზე. ასე ვთქვათ, ჩემს წინაპრებს ათვალიერებდა. როგორც იმ დროს სამხრეთულ ოჯახებში იცოდნენ ხოლმე, ჩემს სახლშიც მთელი ჩემი წინაპრები კედლებზე იყვნენ გამოფენილი. იმათ სურათებს მიაშტერდა, ალბათ მსგავსებას ეძებდა, შემდეგ მზერა ავეჭბე გადაიტანა, რომელიც მართალია, უკვე



ოცი წლისა იყო, მაგრამ მაინც ახალივით გამოიყურებოდა. ავეჯი ხელნაკეთი გახლდათ. ნაწილი მაკაგონის, ნაწილი კი ალუბლის ხისაგან იყო დამზადებული, ორნამენტები ამშვენებდა. ავეჯი თითოეული ოთახისათვის საგანგებოდ იყო შექმნილი. უნდა ვაღიარო, რომ უდავოდ კარგი იყო, მაგრამ მაშინ ასეთ რამეებს დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი. ჩემთვის ეს უბრალოდ სახლი იყო და მეტი არაფერი. ამ სახლში ყველაზე მეტად ჩემი ოთახის ფანჯარა მიყვარდა, საიდანაც ზედა ვერანდაზე ვძვრებოდი. ეს იყო ხვრელი, რომლიდანაც აქაურობას თავს ვაღწევდი. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სახლი მაინც დავათვალიერებინე. ჯერ მისაღებში შევიყვანე, მერე ბიბლიოთეკაში, შემდეგ - პატარა მყუდრო კაბინეტში. ყოველი ოთახის ნახვისას ჭეიმის თვალები სულ უფრო და უფრო უფართოვდებოდა. დედა გარეთ, ვერანდაზე იყო, ირუჯებოდა, პიტნის ჭულეპს წრუპავდა და კითხულობდა. ამასობაში ჩვენიფების ხმაც შემოესმა. მოსასალმებლად შინ შემოვიდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

როგორც უკვე გითხარით, ჭეიმი ჩვენს ქალაქში მცხოვრებ ყველა უფროს ადამიანს უყვარდა, მათ შორის დედაჩემსაც. მიუხედავად იმისა, რომ ჰეგბერტის ქადაგებებში ხშირად, პირდაპირ თუ გადაკვრით, ჩვენს ოჯახზე იყო ლაპარაკი, დედა ჭეიმიზე ნაწყენი არ იყო. ის ხომ ისეთი საყვარელი და კეთილი იყო. სანამ მე ჩემს კარადაში სუფთა პერანგს და ჰალსტუხს ვარჩევდი, დედა და ჭეიმი ლაპარაკობდნენ. იმ დროს ბიჭებს ხშირად გვეკვთა ხოლმე ჰალსტუხი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ვინმე თანამდებობის პირს ვხვდებოდით.

ახალ პერანგსა და ჰალსტუხში გამოწყობილი ქვედა სართულზე რომ ჩამოვედი, მივხვდი, ჭეიმის ჩვენი გვეგების შესახებ დედაჩემისთვის უკვე ყველაფერი მოეყოლა. [P/SEP]

- ჩინებული აბრია, - თქვა ჭეიმომ და გაცისკროვნებული სახით შემომხედა, - ლენდონს ნამდვილად ოქროს გული აქვს. [P/SEP]

დედა დაფიქრდა, ხომ არაფერი მომესმა, ხომ სწორად გავიგეო, მერე მე შემომხედა და ნარბი ზემოთ აზიდა. ისე მომაშტერდა, გეგონება, უცხოპლანეტელი ვიყავი. [P/SEP]

- შენ მოგივიდა ეს აბრი? - მკითხა დედამ. როგორც ყველამ ქალაქში, იმანაც იცოდა, რომ ჭეიმი არასდროს იტყუებოდა. [P/SEP]

ჩავახველე. ერიკი მომაგონდა. დავფიქრდი, მისთვის სამაგიერო როგორ გადამეხადა. [P/SEP]

- პო. დაახლოებით. [P/SEP]

- საოცარია, - ჩაილაპარაკა დედამ. მეტი ვერაფერი მოიფიქრა. რა თქმა უნდა, საქმის დეტალები არ იცოდა, მაგრამ კარგად მიცნობდა და მიხვდა, რომ ვილაცის დაგებულ მახეში გავები. დედებმა ასეთი რამეები ყოველთვის იციან, ამიტომაც მოჭუტა თვალები და ისე დამაკვირდა, მივხვდი, ცდილობდა გამოეცნო, რა მოხდა. მის ცნობისმოყვარე მზერას ვეღარ გავუძელი, საათზე დავიხედე, სახეზე მოჩვენებითი გაოცება აღვიბეჭდე და ვითომ აქ არაფერიო, ისე ვუთხარი ჭეიმის, ჩვენი წასვლის დროა-მეთქი. დედამ ჩანთიდან მანქანის გასაღები ამოიღო, გამომინოდა და სანამ კარებამდე მივიდოდით, კიდევ ერთხელ ამხედ-დამხედა. შვებით ამოვისუნთქე,

ვიფიქრე, ახლა მაინც გადავრჩი-მეთქი, მაგრამ როცა ჭეიმი მანქანისაკენ მიმყავდა, ისევ დედაჩემის ხმა შემომესმა. [P]  
[SEP]

- ჭეიმი, როცა გენებოს, შემოგვიარე! ჩვენი სახლის კარი შენთვის მუდამ ღიაა. [P]  
[SEP]

ზოგჯერ დედამაც შეიძლება, რაღაც გაგიჩალიჩოს. [P]  
[SEP]

მანქანაში რომ ჩავჯექი, ბრაზი ჯერ კიდევ არ გამწვანებოდა და თავს აქეთ-იქით ვაქნევდი. [P]  
[SEP]

- დედაშენი საოცარი ქალია, - თქვა ჭეიმომ. [P]  
[SEP]

მანქანა დავქოქე. [P]  
[SEP]

- ჰო. ალბათ. [P]  
[SEP]

- სახლიც რა ლამაზი გაქვს. [P]  
[SEP]

- ჰო. [P]  
[SEP]

- რამდენი რამ გაქვს მომადლებული. [P]  
[SEP]

- ჰო. რაც მართალია, მართალია, დედამინაზე ჩემზე ბედნიერი კაცი არ დადის. [P]  
[SEP]

ჩემს ხმაში გარეული სარკაზმი ვერ შენიშნა. [P]  
[SEP]

ბავშვთა სახლში რომ მივედით, უკვე ბნელდებოდა. დანიშნულ დროზე რამდენიმე წუთით ადრე მოგვინია მისვლა. დირექტორი ტელეფონზე ლაპარაკობდა. მნიშვნელოვანი საუბარი ჰქონდა, ამიტომაც ლაპარაკი ვერ შეწყვიტა და მაშინვე ვერ მიგვიღო. კორიდორში მოვკალათდით. მის კართან მდგომ გრძელ სკამზე ვისხედით, ჭეიმი ჩემკენ რომ შემოტრიალდა. თავისი ბიბლია კალთაში ედო. ალბათ, მისგან რაღაც შველას ელოდა, ან შეიძლება, უბრალოდ,

ჩვევად ჰქონდა მისი თან ტარება. [P]  
[SEP]

- დღეს როლი კარგად გამოგივიდა. ტექსტი კარგად იცოდი. [P]  
[SEP]

- გმადლობ, - ჭეიმის შექება მემამყებოდა, თუმცა გული მაინც დამძიმებული მქონდა, - მაგრამ ინტონაცია ჯერ კიდევ ვერ დავხვეწე, - თამამად დავამატე, რადგან მის ეზოში ინტონაციაზე ვერ ვიმუშავებდით და დიდი იმედი მქონდა, ერთად ვიმუშაოთო, ვერ მეტყოდა. [P]  
[SEP]

- არა უშავს. ტექსტს რომ კარგად ისწავლი, მაგასაც ემველება. [P]  
[SEP]

- ჰო. იმედი მაქვს. [P]  
[SEP]

ჭეიმამ გაიღიმა და მერე საუბრის თემა შეცვალა, თითქოს სხვა რელსებზე გადამიყვანა. [P]  
[SEP]

- ლენდონ, მომავალზე ფიქრობ ხოლმე? [P]  
[SEP]

მისგან ასეთი რამის თქმას არ ველოდი. გავოცდი და შევკრთი, რადგან ეს ისეთი... ჩვეულებრივი იყო. [P]  
[SEP]

- კი, ალბათ, - მივუგე მოთმინებით. [P]  
[SEP]

- რას ელი ამ ცხოვრებისგან? [P]  
[SEP]

მხრები ავიჩიჩე და ყურადღება დავძაბე. ვცდილობდი, გამომეცნო, საით მიჰყავდა საუბარი. [P]  
[SEP]

- ჯერ არ ვიცი. მაგაზე არ მიფიქრია. მომავალ შემოდგომაზე ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდები. ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს. ჯერ უნდა მიმიღონ. [P]  
[SEP]

- მიგიღებენ. [P]  
[SEP]

- შენ რა იცი? [P]  
[SEP]

- მაგაზეც ვილოცე. [P]  
[SEP]

ეს რომ თქვა, გავიფიქრე, ახლა ჩვენი საუბარი ლოცვისა და რწმენის ძალის განხილვაზე გადავა-მეთქი, მაგრამ ჭეიმომ სულ სხვა ანკესი გადმომიგდო. [P]  
[SEP]

- კოლეჯის დამთავრების შემდეგ რას აპირებ? [P]  
[SEP]

- არ ვიცი, - მივუგე მხრების აჩეჩვით, - შეიძლება, ცალხელა ტყისმჭრელი გამოვიდე. [P]  
[SEP]

არ გასცინებია. [P]  
[SEP]

- ჩემი აზრით, მღვდელი უნდა გამოხვიდე. ადამიანებთან ურთიერთობა გეხერხება და ხალხი შენს ნათქვამს პატივით მოეკიდება. [P]  
[SEP]

რა თქმა უნდა, სრული აბსურდი და სისულელე იყო, მაგრამ ვიცოდი, რომ გულით მითხრა და კომპლიმენტად უნდა მიმეღო. [P]  
[SEP]

- მადლობა. არ ვიცი, მღვდელი გამოვალ თუ არა, მაგრამ რამეს ვიზამ. - უცბად მივხვდი, რომ საუბარი ჩიხში შევიდა და ახლა მე უნდა მეკითხა რაღაც. [P]  
[SEP]

- შენ? შენ რას აპირებ მომავალში? [P]  
[SEP]

ჭეიმო შებრუნდა და სადღაც შორს გაიხედა. უცბად დამაინტერესა, ნეტა, რას ფიქრობს-მეთქი, მაგრამ ეს აზრი ისევე უცბად გაქრა, როგორც გაჩნდა. [P]  
[SEP]

- გათხოვება მინდა, - მშვიდად თქვა მან, - მინდა, რომ საკურთხეველთან მამამ მიმიყვანოს, ეკლესიაში იყოს ყველა, ვისაც ვიცნობ, მინდა, რომ ეკლესიაში ხალხის ტევა არ იყოს. [P]  
[SEP]

- სულ ეს არის? - ქორწინების იდეის წინააღმდეგი არც მე ვიყავი,

მაგრამ ცხოვრების ერთადერთ მიზნად მისი დასახვა სისულელედ მიმამჩნდა. [P]  
[SEP]

- კი. სულ ეს არის. მე მეტი არაფერი მინდა. [P]  
[SEP]

ისე თქვა, მომეჩვენა, რომ ეშინოდა, მის გარბერით არ დარჩენილიყო. სისულელეა-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ მისი დამშვიდება ვცადე. [P]  
[SEP]

- ოდესმე აუცილებლად გათხოვდები. შეხვდები ვინმეს, ვისაც მაშინვე მოეწონები, შენც მოგეწონება და მერე ცოლობასაც გთხოვს. ისიც ვიცი, რომ მამაშენი საკურთხევლამდე სიხარულით მიგიყვანს. [P]  
[SEP]

იმაზე არაფერი მითქვამს, რომ მისი ქორწინების ცერემონიალს უამრავი ადამიანი დაესწრებოდა. ასეთ რამეს მეც კი ვერ წარმოვიდგენდი. [P]  
[SEP]

ჯეიმი ჩაფიქრდა, თითქოს, ცდილობდა გამოეცნო, რამდენად სერიოზულად ვთქვი ეს ყველაფერი, მაგრამ ვერ მივხვდი, რა გაიფიქრა. [P]  
[SEP]

- ჰო. მეც იმედი მაქვს. [P]  
[SEP]

მივხვდი, რომ ამ თემაზე ლაპარაკის გაგრძელება აღარ სურდა, არ მკითხოთ, როგორ მივხვდი, უბრალოდ მივხვდი და საუბარიც სხვა თემაზე გადავიტანე. [P]  
[SEP]

- რამდენი ხანია, რაც ამ სახლში დადიხარ? - ისე ვკითხე, სხვათა შორის, საუბრის გაგრძელების მიზნით. [P]  
[SEP]

- უკვე შვიდი წელია. პირველად რომ მოვედი, ათი წლის ვიყავი. მაშინ ბევრ აქ მცხოვრებ ბავშვზე უმცროსი ვიყავი. [P]  
[SEP]

- გსიამოვნებს აქ ყოფნა, თუ პირიქით, გასევდიანებს ხოლმე? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- ორივე. ზოგი ბავშვი აქ მართლაც საშინელი მდგომარეობის გამო მოხვდა. გული მოგიკვდება, მათი ამბები რომ მოისმინო. მაგრამ როცა ბიბლიოთეკიდან წიგნებს მოუტან და მათ სახეზე ღიმილს დაინახავ, სევდა სულ დაგავიწყდება. ამ გრძნობას ვერაფერი შეედრება. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თვალეზგაბრწყინებული ლაპარაკობდა. ამას იმისთვის არ ამბობდა, რომ თავი დამნაშავედ მეგრძნო, მაგრამ დანაშაულის განცდა არ მტოვებდა. მასთან ურთიერთობა სწორედ ამ განცდის გამო იყო აუტანელი, მაგრამ თანდათან ამასაც ვეჩვეოდი. უკვე ვიცოდი, რომ ყველანაირად მოგიდგებოდა, მაგრამ ჩვეულებრივად - არასოდეს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ამ დროს მისტერ ჯენკინსმა კაბინეტის კარი გააღო და შიგნით შეგვიპატიჟა. მისი კაბინეტი საავადმყოფოს პალატას ჰგავდა. იატაკზე თეთრი და შავი მეტლახი ეგო, კედლები და ჭერიც თეთრი იყო, კედელთან ლითონის კარადა იდგა. იმ ადგილას კი, სადაც პალატაში, წესით, საწოლი უნდა მდგარიყო, საწერი მაგიდა იდგა, თითქოს კონვეირიდან ამ წუთას ჩამოიღესო. ზედ არც ერთი პირადი ნივთი არ იდო - არც ერთი სურათი ან რამე ამდაგვარი. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჯეიმომ მისტერ ჯენკინსთან წარმადგინა. ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. დავსხედით. ძირითადად ჯეიმი ლაპარაკობდა. დიდი დაკვირვება არ იყო საჭირო, მაშინვე მიხვდებოდით, რომ ძველი მეგობრები იყვნენ. კაბინეტში რომ შევედით, მისტერ ჯენკინსმა გულში ჩაიკრა. ჯეიმომ ბოლოკაბა შეისწორა და მისტერ ჯენკინსს ჩვენი გეგმა



გააცნო. მისტერ ჯენკინსს ეს წარმოდგენა რამდენიმე წლის წინ ენახა და კარგად ესმოდა, რაზე ლაპარაკობდა ჯეიმსი. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მისტერ ჯენკინსი ჯეიმსის კარგად იცნობდა და ძალიან მოსწონდა კიდევ, ჩვენი იდეა არ მოიწონა. [P SEP]

- არა მგონია, კარგი ამრი იყოს. [P SEP]

- რატომ? - იკითხა ჯეიმსიმ და წარბები შეჭმუხნა. მისტერ ჯენკინსის ასეთმა პასუხმა მართლა შეაცბუნა. [P SEP]

მისტერ ჯენკინსმა ფანქარი აიღო და მაგიდაზე დააკაკუნა, ალბათ ფიქრობდა, როგორ აეხსნა თავისი ასეთი დამოკიდებულების მიზეზი. მერე ფანქარი დადო და ამოიხვნეშა. [P SEP]

- შესანიშნავი შემოთავაზებაა, ისიც კარგად ვიცი, რომ თქვენ რაღაც განსაკუთრებულის გაკეთება გსურთ, მაგრამ პიესა ისეთ მამაზეა, რომელიც ბოლოსდა ხვდება, როგორ უყვარს თავისი გოგონა. - დირექტორი ცოტა ხნით გაჩერდა და მერე კვლავ ფანქარი აიღო, - შობა აქ ისედაც ძალიან მძიმე დროა, არ არის საჭირო, ბავშვებს შევახსენოთ, რამდენი რამ აკლიათ ცხოვრებაში. მე მგონი, ბავშვებმა ეს რომ ნახონ... [P SEP]

სიტყვის დასრულებაც არ დასტირვებია. ჯეიმსიმ პირზე ხელები აიფარა. [P SEP]

- უი, ღმერთო ჩემო! - წამოიძახა მან, - ამაზე კი არ დავფიქრებულვარ! [P SEP]

სიმართლე რომ გითხრათ, - არც მე. მაგრამ მისტერ ჯენკინსის ნათქვამში ლოგიკა უდავოდ იყო. [P SEP]



მისტერ ჯენკინსმა მაინც მადლობა გადაგვიხადა, მერე ცოტა ხანს კიდევ ვილაპარაკეთ, გვიამბო, რის გაკეთებას გეგმავდა. [P]  
[SEP]

- პატარა ნაძვის ხეს დავდგამთ და ბავშვებს მცირე საჩუქრებს დავურიგებთ - ისეთ რამეებს, რითიც ყველა ისარგებლებს. დიდი სიამოვნებით მოგიპატიჟებდით საშობაო საღამოზე... [P]  
[SEP]

მისტერ ჯენკინსს დავემშვიდობეთ. მე და ჯემი უხმოდ წამოვედით, ერთმანეთისათვის არაფერი გვითქვამს. მივხვდი, რომ დანადვლიანებული იყო. რაც მეტ დროს ვატარებდი ჯემისთან, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ მასაც ერთმანეთის სანინაალმდეგო გრძნობები ეუფლებოდა ხოლმე - სულაც არ იყო ყოველთვის ბედნიერი და ხალისიანი. გინდ დაიჭერეთ და გინდ არა, მაშინღა მივხვდი, რომ ჯემი რაღაცით ჩვენ გვგავდა. [P]  
[SEP]

- ვნუხვარ, რომ არ გამოვიდა. - ვუთხარი თანაგრძნობით. [P]  
[SEP]

- მეც. [P]  
[SEP]

სადღაც შორს იყურებოდა და სანამ რამეს იტყოდა, ცოტა ხანს დუმდა. [P]  
[SEP]

- ნელს მათთვის რამე განსაკუთრებულის გაკეთება მინდოდა. რამე ისეთის, რაც არასდროს დაავინყდებოდათ. დარწმუნებული ვიყავი, რომ სპექტაკლი სწორედ ასეთი რამე იქნებოდა. - ამოიოხრა. - ალბათ, ღმერთს რაღაც სხვა გეგმა აქვს, რომლის შესახებაც მე ჯერ არაფერი ვიცი. [P]  
[SEP]

ცოტა ხანს ჩუმად იყო. შევხედე. ცუდად მყოფი ჯემის დანახვა გაცილებით მძიმე იყო, ვიდრე ის, როცა მის გამო თავად იყავი ცუდად.

ჭემისაგან განსხვავებით, მე ცუდად ყოფნას ვიმსახურებდი - მშვენივრად ვიცოდი, როგორი ადამიანიც ვიყავი. მაგრამ ჭემი...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- სანამ ნავალთ, ბავშვებს არ ნახავ? - ისე ვკითხე, სხვათა შორის, დუმილის დასარღვევად. მის გასამხიარულებლად სხვა ვერაფერი მოვიფიქრე. - აქ დაგელოდები, ან თუ გინდა, მანქანაში ჩავჯდები და იქ დაგიცდი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- ჩემთან ერთად რომ წამოხვიდე? - მკითხა მოულოდნელად.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სიმართლე რომ ვთქვა, არც ვიცოდი, შევძლებდი თუ არა ბავშვებთან ურთიერთობას, მაგრამ მივხვდი, რომ უნდოდა, თან ვხლებოდი. იმდენად სევდიანი იყო, ჩემდა უნებურად ვუპასუხე:<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- რა თქმა უნდა, წამოვალ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- დასასვენებელ ოთახში იქნებიან. ამ დროს ძირითადად იქ არიან ხოლმე.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

კორიდორს გავეყევით და ერთ კარგა მოზრდილ ოთახში შევედით. ოთახის შორეულ კუთხეში მაგიდაზე ტელევიზორი დაედგათ, მის გარშემო კი - ოცდაათამდე დასაკეცი ლითონის სკამი. ბავშვები სკამებზე ისხდნენ. ამკარა იყო, რომ ტელევიზორის ეკრანს კარგად მხოლოდ წინა რიგში მსხდომნი ხედავდნენ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

გარშემო მიმოვიხედე. ერთ კუთხეში პინგ-პონგის ძველი მაგიდა იდგა. მაგიდის ზედაპირი დაბზარული და მტვრიანი იყო, ბადეს კი მოძრობას არაფერი აკლდა. ზედ რამდენიმე ლითონის ჭიქა იდგა და ცხადი იყო, რომ ეს მაგიდა რამდენიმე თვის, შეიძლება, რამდენიმე წლის მანძილზეც კი არ გამოეყენებინათ. პინგ-პონგის მაგიდის

გვერდით, კედლის გასწვრივ, თაროები ეკიდა, რომლებზეც ალაგ-ალაგ სათამაშოები - კუბიკები და რაღაც კონსტრუქტორები - ელაგა. ბევრი არ იყო და რაც იყო, იმათაც ეტყობოდათ, რომ ამ ოთახში დიდი ხნის წინ დაედოთ ბინა. კედლებთან პატარა მერხებიც ენყო, რომლებზეც გაზეთები იყო დახვავებული. მერხები ფლომასტერებით იყო დაჭლაბნილი. [P] [SEP]

ერთი წამით კარის ზღურბლზე გავჩერდით. თავიდან ვერ შეგვამჩნიეს. დრო ვიხელთე და ვკითხე, აქ გაზეთებს რა უნდა-მეთქი. [P] [SEP]

- გასაფერადებელი ალბომები არ აქვთ, - წამჩურჩულა ჯეიმზი, - ამიტომ გაზეთებს ხმარობენ. - ამას რომ მეუბნებოდა, არ მიყურებდა, ბავშვებისკენ იხედებოდა და ისევ იღიმებოდა. [P] [SEP]

- ამის მეტი სათამაშოები არ აქვთ? [P] [SEP]

თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. [P] [SEP]

- ჰო. ესენი აქვთ და სათამაშო ცხოველები. უფლება აქვთ, ისინი თავთავიანთ ოთახებში იქონიონ. ამიტომაც ოთახებში ულაგიათ. [P] [SEP]

ალბათ, ის ამ ყველაფერს მიჩვეული იყო. მე კი ამ ოთახის სიღარიბემ და ნივთების სიმწირემ დამზაფრა. ვერ წარმოვიდგინე, როგორ შეიძლებოდა, ბავშვი ასეთ ადგილას გაზრდილიყო. [P] [SEP]

ბოლოს და ბოლოს მე და ჯეიმზი ოთახში შევედით. ერთმა ბავშვმა ჩვენი ფეხის ხმის გაგონებაზე მოიხედა. დაახლოებით რვა წლისა იქნებოდა, წითელი თმა და გორფლიანი სახე ჰქონდა, წინა ორი კბილი აკლდა. [P] [SEP]

- ჭემი! - ნამოიძახა ბიჭუნამ ალტაცებით. უეცრად სხვა ბავშვებმაც ჩვენკენ მოიხედეს. ბავშვები სხვადასხვა ასაკისანი იყვნენ. ხუთიდან თორმეტ წლამდე. ბიჭები უფრო მეტი იყვნენ, ვიდრე გოგონები. როგორც მერე გავიგე, თორმეტი წლის ასაკის შემდეგ მათ აშვილებდნენ - საცხოვრებლად დედობილ-მამობილებთან უშვებდნენ.

[P]  
[SEP]

- გამარჯობა, როჭერ, როგორ ხარ? - მიუგო ჭემიმ.[P]  
[SEP]

მერე როჭერი და სხვა ბავშვები გარს შემოგვეხვივნენ. რამდენიმე ბავშვმა ყურადღება არ მოგვაქცია. ტელევიზორთან განთავისუფლებულ წინა რიგში გადაინაცვლეს. ჭემიმ ერთ შედარებით უფროსი ასაკის ბავშვთან მას შემდეგ წარმადგინა, რაც მან ჰკითხა, ეს ბიჭი შენი შეყვარებული ხომ არ არისო. მისი ტონით მივხვდი, რომ ჭემიზე ისეთივე ამრის იყო, როგორისაც ჩვენ - მისი სკოლელებისუმრავლესობა.[P]  
[SEP]

- არა. უბრალოდ ჩემი მეგობარია, მაგრამ ძალიან კარგი ბიჭია, - უპასუხა ჭემიმ.[P]  
[SEP]

შემდეგი ერთი საათი ბავშვებთან გავატარეთ. უამრავი კითხვა დამაყარეს. აინტერესებდათ, სად ვცხოვრობდი, ჩემი სახლი დიდი იყო თუ პატარა, რა მანქანა მყავდა. ნამოსვლის წინ ჭემი დაჰპირდა, მალე მოგინახულებთო, მაგრამ იმას არ დაჰპირებია, შემდეგი სტუმრობის დროსაც ამ ბიჭთან ერთად ვიქნებო. [P]  
[SEP]

მანქანისკენ რომ მივდიოდით, სხვათა შორის აღვნიშნე:[P]  
[SEP]

- კარგი ბავშვები არიან. კარგია, რომ გინდა, რამით დაეხმარო. -

თან მხრები ავიჩეჩე. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჯეიმი ჩემკენ შემოტრიალდა და გაიღიმა. იცოდა, რომ მეტს ვერაფერს ვიტყოდი, მაგრამ მივხვდი, რომ ისევ იმაზე ფიქრობდა, - რა გაეკეთებინა ისეთი, რითაც მათთვის ეს შობა განსაკუთრებული იქნებოდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

## თავი 7 <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

დეკემბრის დასაწყისში, რეპეტიციების დაწყებიდან ორი კვირის თავზე, მის გარბერის გაკვეთილიდან რომ გამოვედით, უკვე გვარიანად ბნელოდა. ზამთარში რომ იცის, ისე. ჯეიმომ მთხოვა, სახლამდე ხომ ვერ მიმაცილებო. ვერ მივხვდი, რა გაცილება უნდოდა. იმ დროს ბიუფორტი სისხლის სამართლის დანაშაულების კერა ნამდვილად არ იყო. ამ ქალაქში, რამდენადაც ვიცოდი, ერთადერთი მკვლელობა მოხდა, ისიც ექვსი წლის წინ და ისიც მორისის ტავერნის მახლობლად, სადაც ძირითადად ლიუსნაირი ტიპები იკრიბებოდნენ ხოლმე. ვიღაც ტიპს დანა გაუყარეს და მოკლეს. დაახლოებით ერთ საათს ქალაქში დიდი აყალმაყალი იყო, სატელეფონო ხაზები ლამის გადაიწვა, ელდანაცემი ქალები საგონებელში ჩაცვივდნენ, ქალაქში ვინმე მანიაკი ხომ არ გამოჩნდა და უდანაშაულო მსხვერპლზე ხომ არ ნადირობსო. კარებები ჩარაბეს, კაცებმა თოფები გადატენეს და საზარელი არსების მოლოდინში ფანჯრებთან ჩასაფრდნენ. იქიდან უთვალთვალებდნენ, ქუჩებში ჩუმ-ჩუმად ვინმე ხომ არ დაძვრებო.

მაგრამ ყველაფერი იმავე ღამეს დამთავრდა იმით, რომ ვილაც ტიპი პოლიციაში თავის ფეხით მივიდა და განაცხადა, ამ მკვლელობის მიზეზი ბარში ატეხილი ჩვეულებრივი ჩხუბი იყო, რომელიც ყოველგვარ საზღვარს გასცდაო. მოკლულმა ამკარად წაგებულ იქნა ფულის გადახდაზე თქვა უარი. იმ ტიპს წაუყენეს ბრალდება - მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში - და ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთაც მიუსაჯეს. მე თუ მკითხავთ, ჩვენს ქალაქში პოლიციას დიდი არაფერი საქმე ჰქონდა, მაგრამ ჩვენი პოლიციელები ქუჩებში მაინც სერიოზული სახეებით დაიბღინებოდნენ, ან ყავის სახლში ისხდნენ და ლაპარაკში ისე ახსენებდნენ „მძიმე დანაშაულს“, გეგონება, ლინდბერგების ბავშვის გატაცების საქმე გახსნესო. [P SEP]

ჩემს სახლამდე რომ მივსულიყავი, მაინც ჯემის სახლთან უნდა ჩამევილო, უარის თქმა კი მის წყენინებას ნიშნავდა. დავთანხმდი. არასწორად ნუ გამიგებთ. მართლა არ მომწონდა. უბრალოდ, როცა დღეში რამდენიმე საათის გატარება გინევს ადამიანთან და ეს კიდევ ერთ კვირას მაინც ასე გაგრძელდება, ისეთი რამე არ უნდა გააკეთო, რომ მეორე დღეს ერთმანეთის დანახვა არ შეგეძლოთ. [P SEP]

წარმოდგენა მომავალ შაბათ-კვირას უნდა დაგვედგა. უკვე ყველა ამბზე ლაპარაკობდა. მის გარბერი იმდენად აღტაცებული იყო ჩემითა და ჯემით, რომ ყველას ეუბნებოდა, ასეთი წარმოდგენა სკოლას არასოდეს დაუდგამსო. მის გარბერს რეკლამის კეთების საუცხოო ნიჭიც აღმოაჩნდა. ქალაქში ერთადერთი რადიოსადგური გვქონდა, იმან კი იმდენი მოახერხა, რომ ამ სადგურმა ინტერვიუ, ერთის

მაგივრად, ორჯერ ჩამოართვა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- ჩინებული რამე იქნება, ჩინებული, - განაცხადა მან. გაზეთის რედაქციაშიც დარეკა და სტატიის დაწერაზე დაითანხმა, რომელშიც ჭიმიისა და ჰეგბერტს შორის არსებულ ნათესაურ კავშირზე იქნებოდა ლაპარაკი, თუმცა ამის შესახებ მთელმა ქალაქმა ისედაც კარგად იცოდა. მის გარბერი არ ცხრებოდა, სწორედ იმ დღეს გამოგვიცხადა, რომ თეატრი დარბაზში სავარძლების დამატებას აპირებდა, რადგან ამ წელს მაყურებელთა არნახულ ნაკადს ელოდა. კლასში აქა-იქ ვაი და ვუი გაისმა, თითქოს დიდი რამე მომხდარიყოს, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ზოგიერთისათვის ეს მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ნუ დაგავინყდებით, რომ კლასში ედისნაირი ტიპებიც გვყავდა. ედი ალბათ თვლიდა, რომ სხვა დროს ასეთი შანსი აღარ მიეცემოდა. ფიქრობდა, რომ ეს იქნებოდა პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, როცა ვინმე მისით შეიძლებოდა დაინტერესებულიყო. ვწუხვარ, მაგრამ, ალბათ, არ ცდებოდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ალბათ, ფიქრობთ, რომ მეც ვლელავდი, მაგრამ ასე არ იყო. ჩემი მეგობრები განუწყვეტლივ მალადავებდნენ სკოლაში. თან კაი ხანი იყო, ერთ საღამოსაც კი არ დამესვენა. მუშაობას მხოლოდ იმიტომ ვაგრძელებდი, რომ ვფიქრობდი, „კარგ საქმეს“ ვაკეთებ-მეთქი. ეს, შეიძლება, ბევრი არაფერია, მაგრამ მე სხვა მიზეზი არ მქონდა. ზოგჯერ მომწონდა კიდევ, რასაც ვაკეთებდი, მაგრამ ამას სხვასთან როგორ გავამხელდი. ხანდახან წარმოვიდგენდი, როგორ დამყურებდნენ ზეციდან თვალზე ცრემლმომგდარი ანგელოზები და

როგორ ეუბნებოდნენ ერთმანეთს, რა შესანიშნავი ყმაწვილია, ნახე, რა მსხვერპლის გაღება შეძლებიაო. [P SEP]

იმ საღამოს, ჭეიმის რომ ვაცილებდი, სწორედ ასეთ რამეებზე ვფიქრობდი. ამ დროს ჭეიმომ მოულოდნელად მკითხა: [P SEP]

- მართალია, რომ ღამღამობით შენ და შენი მეგობრები სასაფლაოზე დადიხართ ხოლმე? - ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, ჭეიმი ასეთი რამით რომ დაინტერესდა. მართალია, ეს საიდუმლო არ იყო, მაგრამ არ მეგონა, რომ ამნაირი რამეები მის ყურადღებას მიიქცევდა. [P SEP]

- ჰო. ზოგჯერ, - მივუგე და მხრები ავიჩიჩე. [P SEP]

- მერე, მინის თხილის ჭამის გარდა, იქ კიდევ რას აკეთებთ ხოლმე? [P SEP]

მიხვდით, რომ მინის თხილის ამბავიც სცოდნია. [P SEP]

- რა ვიცი, ვლაპარაკობთ... ვხუმრობთ. უბრალოდ, მოგვწონს იქ ყოფნა. [P SEP]

- არ გეშინიათ? [P SEP]

- არა. რატომ უნდა გვეშინოდეს? შენ შეგეშინდებოდა? [P SEP]

- რა ვიცი. შეიძლება. [P SEP]

- რატომ? [P SEP]

- იმიტომ, რომ ვიფიქრებდი, რამეს ხომ არ ვაშავებ-მეთქი. [P SEP]

- ცუდს არაფერს ვაკეთებთ. არც საფლავის ქვებს ვამტვრევთ და არც ნაგავს ვყრით. - ჰენრი პრესტონის შესახებ არაფერი მითქვამს, რადგან ვიცოდი, ასეთი რამის მოსმენა ჭეიმის არ ესიამოვნებოდა. მაგალითად, ნუხელ ვრიკი იმაზე მსჯელობდა, რამდენად სწრაფად



შეძლებდა პენრისნაირი კაცი ლოგინში ჩანოლას... და... ნუ, ხომ ხვდებით...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- იქ ყოფნისას ხმებისათვის თუ მოგისმენიათ? აი, მაგალითად, ტრიტინების ტრიტინის ან ფოთლების შრიალისათვის, როცა ქარი ხეებს არხევს? თუ მხოლოდ გულალმა წევხართ და ვარსკვლავებს უყურებთ?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჯემი ჩვიდმეტი წლის იყო, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა, რა აინტერესებთ მისი ასაკის მოზარდებს; ამ ასაკის ბიჭების გაგებაზე ხო ლაპარაკი ზედმეტია. ფარდობითობის თეორიას უფრო იოლად ჩანვდებოდა, ვიდრე ამას.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- არა. პრინციპში, არა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თავი ოდნავ დამიქნია.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- ოდესმე რომ იქ მოვხვედრილიყავი, პირველ რიგში ასე მოვიქცეოდი. მიმოვიხედავდი, იქაურობას დავათვალიერებდი, მერე კი ჩუმად დავტყდებოდი და ხმებს მოვუსმნედი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ამაზე ლაპარაკს არ მოველოდი, მაგრამ ეს თემა აღარ გავაგრძელე. ცოტა ხანს ჩუმად მივდიოდით. მანამდე ჯემიმ რალაცემები მკითხა ჩემ შესახებ, ახლა კი მე ჩავთვალე თავი მოვალედ, მისთვის რამე მეკითხა. უფლის გეგმაზე ან სხვა ამისთანებზე არაფერს ამბობდა, მე კი სხვა ვერაფერი მოვიფიქრე და ბოლოს ესლა ვკითხე:

<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- შენ რას საქმიანობ? იმის გარდა, რომ უდედმამო ბავშვებს უვლი, ყველა სულიერს ეხმარები და ბიბლიას კითხულობ, სხვას რას აკეთებ?

- ვალიარებ, რომ ამის თქმა თავადაც სისულელედ მომეჩვენა, მაგრამ ის მართლა ასეთ რამეებს აკეთებდა. [P]  
[SEP]

გამილიმა. მგონი, ჩემმა შეკითხვამ გააკვირვა; მაგრამ აშკარად იმან უფრო გააოცა, რომ მისი საქმიანობით დავინტერესდი. [P]  
[SEP]

- რა ვიცი. ბევრ რამეს ვაკეთებ. გაკვეთილებს ვსწავლობ, რაღაც დროს მამასთან ვატარებ. ხანდახან მე და მამა რეზუსებს ვხსნით. ასეთ რამეებს ვაკეთებ. [P]  
[SEP]

- მეგობრებთან ერთად არასოდეს დადიხარ? ისე, უბრალოდ, გასართობად? [P]  
[SEP]

- არა, - ისე მიპასუხა, მივხვდი, იცოდა, მასთან დიდხანს ყოფნა რომ არავის უნდოდა. [P]  
[SEP]

- ვიცი, რომ ერთი სული გაქვს, სკოლა დაამთავრო და კოლეჯში შეხვიდე, - ვთქვი ისე, სხვათა შორის, მხოლოდ საუბრის თემის შესაცვლელად. [P]  
[SEP]

სანამ პასუხს გამცემდა, ერთი წამით ჩაფიქრდა. [P]  
[SEP]

- არა. არ ვაპირებ, - ისე, სხვათა შორის მომიგო იმანაც. ასეთ პასუხს არ ველოდი. ჭეიმის ჩვენს კლასში ყველაზე კარგი ნიშნები პქონდა და წლის ბოლოს, თუ ყველაფერი კარგად ნავიდოდა, სკოლის დამთავრების ცერემონიაზე გამოსამშვიდობებელ სიტყვასაც, ალბათ, ის იტყოდა. ბავშვები უკვე ერთმანეთს ვენიძლავებოდით, რამდენჯერ ახსენებდა თავის სიტყვაში უფლის ნებას და გეგმას. მე ვამბობდი, თოთხმეტჯერ იტყვის-მეთქი, რადგან სულ ხუთწუთიანი სიტყვა უნდა ეთქვა. [P]  
[SEP]

- მე ვფიქრობ, იმ ადგილას მოგინდება წასვლა, სადაც მთაზე ქადაგება მოხდა. რას იტყვი? საშენო ადგილია. [P SEP]

თვალეხანთებულმა შემომხედა. [P SEP]

- ჩემი ადგილი იქ არის, არა? [P SEP]

ზოგჯერ თვალეხიდან ისეთ ელვას დააკვესებდა, პირდაპირ თვალის გუგებში გაუტარებდა კაცს. [P SEP]

- არა. მაგითომ არ მითქვამს, - ვუპასუხე სასწრაფოდ, - იმიტომ ვთქვი, რომ გავიგე, ძალიან გნდომებია მომავალ წელს იქ წასვლა. [P SEP]

მხრები ისე აიჩეჩა, არაფერი უთქვამს და სიმართლე გითხრათ, ვერც მივხვდი, ეს რას ნიშნავდა. ამასობაში მის სახლსაც მივუახლოვდით. სახლისკენ მიმავალ ბილიკზე შევჩერდით. ფარდებს მიღმა ჰეგბერტის სილუეტი დავლანდე. ლამპის შუქზე გავარჩიე, რომ ფანჯარასთან, დივანზე იჯდა. თავი ისე ჰქონდა ჩაქინდრული, ეტყობოდა, რაღაცას კითხულობდა, ალბათ, ბიბლიას. [P SEP]

- ლენდონ, გმადლობ, რომ სახლამდე მომაცილე, - ჩაილაპარაკა ჭეიმომ, ერთი შემომხედა, მიტრიალდა და წავიდა. [P SEP]

ვიდექი და ვუყურებდი, როგორ მიდიოდა სახლისკენ და უცბად მომეჩვენა, რომ ეს საუბარი ჩვენს შორის გამართულ ყველა სხვა საუბარზე უცნაური იყო. რამდენიმე უჩვეულო რამე კი თქვა, მაგრამ, ასე თუ ისე, მაინც ნორმალურად ლაპარაკობდა. [P SEP]

მეორე საღამოს რომ ვაცილებდი სახლამდე, მამაჩემზე მკითხა, როგორ არისო. [P SEP]

- რა ვიცი. ალბათ, კარგად არის. აქ იშვიათადაა ხოლმე. [P SEP]

- გენატრება ხოლმე? გიჭირს უიმისობა? [P]  
[SEP]

- ზოგჯერ. [P]  
[SEP]

- მეც მენატრება დედაჩემი. მიუხედავად იმისა, რომ არც ვიცნობდი.

[P]  
[SEP]

მაშინღა მივხვდი პირველად, რომ მე და ჯემის რაღაც საერთოც შეიძლებოდა გვექონოდა. ცოტა ხანს გავჩუმდი. [P]  
[SEP]

- ალბათ, გიჭირს, - ვუთხარი გულწრფელად - მამაჩემი ჩემთვის უცხო სავითაა, მაგრამ ხანდახან ხომ მაინც არის ჩვენთან. [P]  
[SEP]

ერთი ამომხედა და ისევ გზისკენ გადაიტანა მხერა. ხელი თავზე გადაისვა და კუდად შეკრული თმა ფრთხილად ჩამოქაჩა. შემჩნეული მქონდა, რომ ასე მაშინ იქცეოდა, როცა ნერვიულობდა ან არ იცოდა, რა ეთქვა. [P]  
[SEP]

- კი. ზოგჯერ. არასწორად ნუ გამიგებ, მამა მთელი გულით მიყვარს, მაგრამ ხშირად მიფიქრია, როგორ იქნებოდა ყველაფერი, დედა რომ მყოლოდა. მგონია, რომ მე და ის ისეთ თემებზეც ვილაპარაკებდით, რაზეც მე და მამა ვერ ვლაპარაკობთ. [P]  
[SEP]

მე მეგონა, რომ ბიჭებს გულისხმობდა. მხოლოდ მოგვიანებით შევიტყვე, რომ ვცდებოდი. [P]  
[SEP]

- მამაშენთან ცხოვრება როგორია? სახლშიც ისეთია, როგორიც ეკლესიაში? [P]  
[SEP]

- არა. იცი, რა კარგი იუმორის გრძნობა აქვს? [P]  
[SEP]

- ვის? ჰეგბერტს? - წამოვიძახე უნებურად. ასეთი რაზე ვერც კი წარმომედგინა. [P]  
[SEP]

მე მგონი, სახტად დარჩა, მამამისი სახელით რომ მოვიხსენიე, მაგრამ გაატარა და არაფერი მითხრა. მერე კი დასძინა: [P]  
[SEP]

- ნუ გიკვირს. როცა გაიცნობ, მოგეწონება. [P]  
[SEP]

- არა მგონია, როდისმე გავიცნო. [P]  
[SEP]

- ლენდონ, ყველაფერი ხდება. რა იცი, უფალი რას ინებებს? რა იცი, რა გეგმა აქვს? [P]  
[SEP]

ვერ ვიტანდი, როცა ასეთ რამეებს ამბობდა. ვიცოდი, რომ ჭეიმი ღმერთს ყოველდღე ელაპარაკებოდა, მაგრამ აბა საიდან უნდა მცოდნოდა, რას ეუბნებოდა მაგას ის „დიდი კაცი ზემოდან“. მეგონა, სამოთხის პირდაპირი ბილეთიც უკვე ჭიბეში ედო. ის ხომ ასეთი კარგი ადამიანი იყო. [P]  
[SEP]

- კი მაგრამ, როგორ უნდა გავიცნო? [P]  
[SEP]

არაფერი მიპასუხა, თავისთვის ჩაიღიმა, თითქოს რაღაც საიდუმლო იცოდა და მიმაღავდა. უკვე გითხარით, რომ ვერ ვიტანდი, როცა ასე იქცეოდა. [P]  
[SEP]

შემდეგ საღამოს მის ბიბლიაზე ვილაპარაკეთ. [P]  
[SEP]

- სულ თან რატომ დაატარებ? [P]  
[SEP]

ჩემი აზრით, იმიტომ დაატარებდა, რომ მღვდლის შვილი იყო. ამის მიხვედრას რა დიდი ფიქრი უნდოდა. ხომ ვიცოდი, რამდენად სერიოზულად უყურებდა ჰეგბერტი წმინდა წერილს და რაღაც ასეთებს. მაგრამ ბიბლია, რომელიც ჭეიმის ჰქონდა, ძველი იყო და გაცვეთილი. იმდენს ვხვდებოდი, რომ შეეძლო, ყოველ წელს ახალი ბიბლია ეყიდა, თუნდაც მხოლოდ იმისთვის, რომ ბიბლიის გამოცემის

ინდუსტრიისათვის შეეწყო ხელი ან, უბრალოდ, ღმერთისათვის თავისი განახლებული აღთქმა დაემტკიცებინა. [P SEP]

სანამ პასუხს გამცემდა, რამდენიმე ნაბიჯი გავიარეთ. [P SEP]

- დედას ბიბლიაა, - მიპასუხა ძალიან უბრალოდ. [P SEP]

- ააა! - ისე აღმომხდა, თითქოს, ჩემდა უნებურად, პატარა ლეკვისთვის დამედგას ფეხი და გამეჭყლიტოს. [P SEP]

შემომხედა. [P SEP]

- არა უშავს, ლენდონ. აბა საიდან უნდა გცოდნოდა? [P SEP]

- ძალიან ვწუხვარ. ბოდიში, არ მინდოდა... [P SEP]

- არა უშავს, შენ ხომ ცუდის თქმა არ გინდოდა. - ცოტა ხანს შეიცადა და მერე განაგრძო. - დედას და მამას ეს ბიბლია ქორნილის დღეს აჩუქეს. მაგრამ დედამ მიისაკუთრა. მთელი ცხოვრება კითხულობდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა რამე უჭირდა. [P SEP]

გამახსენდა, რამდენჯერ მოეშალა დედამისს მუცელი. ჭეიმომ კი განაგრძო. [P SEP]

- ღამე კითხულობდა ხოლმე, ძილის წინ, საავადმყოფოშიც თან ჰქონდა, ჩემზე სამშობიაროდ რომ წაიყვანეს. მერე მამას უთხრეს, რომ დედა გარდაიცვალა, იმან კი მე და ბიბლია საავადმყოფოდან ერთად გამოგვიყვანა. [P SEP]

- ძალიან ვწუხვარ, - ისევ გავიმეორე. როცა ადამიანი სევდიან ამბავს გიყვება, სიტყვებს ვერ პოულობ და ამასლა ეუბნები, მაშინაც კი, თუ ერთხელ უკვე ნათქვამი გაქვს. [P SEP]

- მხოლოდ ეს ბიბლია მაძლევს საშუალებას... მასთან ახლოს ვიყო.

ხომ გესმის? - ამას ნაღვლიანად კი არ ამბობდა, იმიტომ ლაპარაკობდა, რომ ჩემს კითხვაზე ეპასუხა. ეს კიდევ უფრო მძიმე მოსასმენს ხდიდა მის ნათქვამს. [P]  
[SEP]

მხოლოდ ამ ამბის მოსმენის შემდეგ დავფიქრდი, რა ბავშვობა ექნებოდა ჰეგბერტის ხელში. აღარ ვიცოდი, რა მეთქვა. ამ ფიქრებში ვიყავი, უკნიდან მანქანის საყვირის ხმა რომ მომესმა. გავიგონე, როგორ გაჩერდა მანქანა. გაჩერდი და შემოვტრიალდი. [P]  
[SEP]

მანქანაში ერიკი და მარგარეტი ისხდნენ. საჭესთან ერიკი იჯდა, მარგარეტი კი აქეთ, ჩვენს მხარეს იყო. [P]  
[SEP]

- ერთი ამით უყურეთ! ამას ვის ვხედავ! - წამოიძახა ერიკმა და საჭისაკენ დაიხარა, ფანჯრიდან ჩვენთვის რომ შემოეხედა. მაგისტვის არ მითქვამს, ჭეიმის შინ რომ ვაცილებდი ხოლმე, ამიტომ ტვინი სასწრაფოდ ავამუშავე, როგორმე სიტუაციიდან რომ გამოვმძვრალიყავი. ჭეიმის ამბავი სულ დამავინყდა. მოზარდის ტვინი უცნაური რამ არის. [P]  
[SEP]

- გამარჯობა, ერიკ, გამარჯობა, მარგარეტ, - მხიარულად მიესალმა ჭეიმი. [P]  
[SEP]

- აცილებ, ლენდონ? - მკითხა ერიკმა. თვალნათლივ დავინახე იმის თვალეში აცეკვებული ეშმაკუნები. [P]  
[SEP]

- ერიკს გაუმარჯოს, - ვთქვი და ვინატრე, ნეტა მინა გამსკდომოდა და ამას არ დავენახე-მეთქი. [P]  
[SEP]

- მშვენიერი სასეირნო საღამოა, არა? - მკითხა ერიკმა. ამ ჭერზე ცოტა გაბედულად იქცეოდა, ალბათ, იმიტომ, რომ ჭეიმის და მაგას

შორის მარგარეტი იყო. სხვა დროს ჯეიმის თანდასწრებით თავს ასეთი რამეების უფლებას არ აძლევდა. ახლა კი ამ შესაძლებლობას ხელიდან როგორ გაუშვებდა? აუცილებლად მიკბენდა. [P/SEP]

ჯეიმიმ გარშემო მიმოიხედა და ღიმილით თქვა: [P/SEP]

- ჰო.მშვენიერი საღამოა. [P/SEP]

ჩაფიქრებულმა ერიკმა მიმოიხედა და ღრმად ამოისუნთქა. დარწმუნებული ვარ, თავს იკატუნებდა. [P/SEP]

- მართალი ხარ. ასეთ ამინდში გარეთ ყოფნას რა ჯობია, - თქვა და ამოიოხრა. მერე ჩვენ გეტყორცნა მზერა და მხრები აიჩეჩა. - მანქანით გაგიყვანდით, მაგრამ ალბათ ფეხით სიარულს და ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ყურებას ამჯობინებთ, არა? - ისე გვითხრა, თითქოს ორივე დიდად დაგვაყვალა. [P/SEP]

- მაინც თითქმის უკვე მოსულები ვართ. ლენდონი ვაშლის ღვინოზე მინდოდა, დამეპატიჟებინა. გინდათ, თქვენც დაგპატიჟებთ? ბევრი გვაქვს. [P/SEP]

ვაშლის ღვინო? მასთან სახლში? ასეთი ჯერ არაფერი ეთქვა... [P/SEP]

ხელები ჯიბეებში ჩავინყე და კიდევ უფრო უარესისათვის მოვემზადე. [P/SEP]

- არა. გმადლობ. სესილის კაფეში მივდივართ. [P/SEP]

- ასე გვიან? ხვალ ხომ სკოლაა? - მიამიტად იკითხა ჯეიმიმ. [P/SEP]

- გვიანობამდე არ დავრჩებით, - დაჰპირდა ერიკი, - მაგრამ ახლა ნავალთ. აბა, ვაშლის ღვინით კარგ დროსტარებას გისურვებთ. [P/SEP]

- მადლობა, რომ გაჩერდით და გამოგველაპარაკეთ, - უთხრა



ჭეიმიმ. [P]  
[SEP]

ერიკმა მანქანა დაძრა და ნელა წაიყვანა. ალბათ, ჭეიმიმ იფიქრა, ერიკი ძალიან ფრთხილი მძღოლიაო. კი, როგორ არა! მაგრამ რამეს რომ დაეჭახებოდა, უსიამოვნებიდან გამოძრომას ყოველთვის ადვილად ახერხებდა. ერთხელ დედამისს უთხრა, გზაზე ძროხამ გადამირბინა და ბამპერი იმან დამიზიანაო. [P]  
[SEP]

- დე, ყველაფერი ისე უცებ მოხდა! საიდანღაც ძროხა ისე გამოვარდა, თითქოს გამოტყორცნესო, მე კი გაჩერება ვერ მოვასწარი. - ყველამ იცის, რომ ძროხები გზაზე „გამოტყორცნილებივით“ არ დადიან, მაგრამ დედამისმა დაუჭერა. ისე, თავის დროზე დედამისიც გულშემატკივართა გუნდის ლიდერი ყოფილა. [P]  
[SEP]

თვალს რომ მიეფარნენ, ჭეიმი ჩემკენ შემოტრიალდა და გამიღიმა. [P]  
[SEP]

- ლენდონ, კარგი მეგობრები გყავს. [P]  
[SEP]

- კი. ძალიან კარგი, - მივუგე თავშეკავებით. [P]  
[SEP]

ჭეიმი სახლამდე მივაცილე. ვაშლის ღვინის დასალევად არ გაჩერებულვარ. მოვდიოდი და მთელი გზა ვბუზღუნებდი. ჭეიმის მონაყოლი ბიბლიის შესახებ სრულებით გადამავიწყდა. მთელი გზა ყურში ჩამესმოდა, როგორ შაყირობდნენ ჩემზე სესილის კაფეში შეკრებილი ჩემი მეგობრები. [P]  
[SEP]

ხედავთ, რა დღეში შეიძლება ჩააგდოს კაცი თავისმა გულკეთილობამ? [P]  
[SEP]

მეორე დღით უკვე მთელმა სკოლამ იცოდა, რომ ჯიმის სახლამდე ვაცილებდი. ჩვენ შესახებ ახალი ჭორები ააგორეს და ახალი ვარაუდები გამოთქვეს. ახლა უფრო უარესებს ამბობდნენ, ვიდრე აქამდე. ისეთ დღეში ვიყავი, დიდ დასვენებაზე სასადილოშიც კი არ შევსულვარ, ბიბლიოთეკაში ვიჯექი. [P SEP]

იმ საღამოს რეპეტიცია თეატრში გვექონდა. ბოლო რეპეტიცია იყო. ამის მერე ნარმოდგენა უკვე მაყურებლის წინაშე უნდა გვეთამაშა. ბევრი საქმე გვექონდა. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ დრამწრის ბიჭებს დეკორაციები მანქანაში უნდა ჩავგეტვირთა და თეატრში წავველო. პრობლემა ის იყო, რომ ამ წრეში მართო ორი ბიჭი ვიყავით - მე და ედი. ედის კი მონესრიგებული და მობილიზებული ნამდვილად არ ეთქმოდა. როცა კარში რამე მძიმე საგანი გაგვექონდა, თავის ჰუვილურ სხეულს ვერ იმორჩილებდა. ყველაზე კრიტიკულ მომენტში, ანუ მაშინ, როცა ტვირთის გასაწონასწორებლად მისი დახმარება მჭირდებოდა, აუცილებლად რაღაცისთვის - მტვრისთვის, მწერისთვის - უნდა წამოევკრა ფეხი, დეკორაცია მთელი სიმძიმით მე უნდა დამცემოდა ხელებზე და თითები რაც შეიძლება ძალიან დამწეწვოდა კარის ჩარჩოში. [P SEP]

- ბბბოდიში, ხხხხომ არ გგვეტკინა? - მკითხავდა შენუხებული. [P SEP]

გინებას ენის წვერზე ვიჩერებდი და კბილებში ვცრიდი. [P SEP]

- სხვა დროს ცოტა ფრთხილად, კარგი? [P SEP]

მაგრამ მაინც ბარბაცებდა და თავის სხეულს ვერ იმორჩილებდა, ბუსტად ისე, როგორც ვერ დაიმორჩილებდა ციდან ჩამოვარდნილ

წვიმის წვეთს. ჩატვირთვას და გადმოტვირთვას რომ მოვრჩით, თითები ლოთბაზარა ტობის თითებს მიმიგავდა. ეგ კიდეც არაფერი. უარესი ის იყო, რომ რეპეტიციის დაწყებამდე ჭამაც ვერ მოვასწარი. სკოლიდან თეატრში დეკორაციების გადმოტანას სამი საათი მოვანდომეთ, დალაგებას კი ბუსტად მაშინ მოვრჩით, როცა ყველა თეატრში გამოცხადდა და რეპეტიციაც დაიწყო. არ დაგიმალავთ, რომ იმდღევანდელი ამბების გამო ძალიან ცუდ გუნებაზე ვიყავი. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჩემი რეპლიკები ისე უგულოდ ჩავარაკრავე, მათზე საერთოდ არ ვფიქრობდი. იმ საღამოს მის გარბერს ერთხელაც არ უთქვამს ფრაზა „ჩინებულია!“ სახეზე შეშფოთებული გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ ჭეიმომ გაუღიმა და უთხრა, ყველაფერი კარგად იქნებაო. ვიცოდი, რომ ჭეიმის რალაც-რალაცების გამოსწორება უნდოდა, მაგრამ სახლამდე გაცილება რომ მთხოვა, უარი ვუთხარი. თეატრი ქალაქის ცენტრში იყო. რომ გამეცილებინა, ჩემს სახლს კარგა მანძილით უნდა გავცდენოდი. არც ის მინდოდა, კიდეც ვინმეს გადავყროდი და დავენახე, რომ ჭეიმის ვაცილებდი. მის გარბერმა გაიგონა, ჭეიმომ სახლამდე გაცილება რომ მთხოვა; ადგა და ჩემ მაგივრად უყოყმანოდ უპასუხა, რა თქმა უნდა, სიამოვნებით გაგაცილებსო. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- სპექტაკლზე ილაპარაკებთ. ეგებ, შექმნილ სირთულეებზეც მოილაპარაკოთ. - სირთულეებში, რა თქმა უნდა, მემგულისხმობდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ასე რომ, კიდეც ერთხელ მომიწია ჭეიმის გაცილება. მიხვდა, რომ ლაპარაკის ხასიათზე არ ვიყავი, რადგან რამდენიმე ნაბიჯით მასზე წინ მივდიოდი ჭიბეებში ხელებჩაწყობილი და უკან არც ვიხედებოდი, რომ

შემემონებინა მაინც, მომყვებოდა თუ არა. რამდენიმე წუთს ასე მივდიოდით. ერთი სიტყვაც არ მითქვამს. [P]  
[SEP]

- ხასიათზე არ ხარ, ხომ? - მკითხა ჭეიმიმ ბოლოს. - დღეს თამაში არც კი გიცდია. [P]  
[SEP]

- მოკლედ, შენ ყველაფერს ამჩნევ, არა? - სარკასტული ტონით მივუგე, ისე, რომ მისკენ არც გამიხედავს. [P]  
[SEP]

- ეგებ მე შევძლო დახმარება? - მხიარულად მითხრა მან. ამ ტონმა კიდევ უფრო გამაღიზიანა. [P]  
[SEP]

- არა მგონია, შეძლო, - მივუგე უკმეხად. [P]  
[SEP]

- თუ მეტყვი, რა მოხდა, ეგებ შევძლო... [P]  
[SEP]

სათქმელის თქმა არ ვაცალე. [P]  
[SEP]

- მთელი დღე რაღაც ჯართს დავათრევდი, ლანჩის შემდეგ არაფერი მიჭამია და ახლა ერთი მილით ზედმეტი უნდა გავიარო იმისათვის, რომ სახლამდე მიგაცილო, როცა ორივემ ვიცით, რომ უჩემოდაც კარგად მიხვალ. [P]  
[SEP]

პირველად ავუნიე ხმას მასთან. მართალი გითხრათ, მომეწონა კიდევ. ეს ბრაზი დიდხანს მიგროვდებოდა. ჭეიმი ისეთი გაოცებული იყო, ხმა ვერ ამოიღო, მე კი განვაგრძე. [P]  
[SEP]

- მხოლოდ და მხოლოდ მამაშენის გამო ვაკეთებ ამას, თან იმ კაცის გამო, რომელსაც არც მოვწონვარ. ყველაფერი მაგარი სისულელეა, ნეტა თავიდანვე უარი მეთქვა. [P]  
[SEP]

- ასე იმიტომ ლაპარაკობ, რომ სპექტაკლზე ნერვიულობ. [P]  
[SEP]

უარის ნიშნად თავის გავაქნიე და სიტყვა შევანყვეტინე. თუ

დავიქოქებოდი, ველარაფერი მაჩერებდა ხოლმე. მის ოპტიმიზმს და ხალისიანობას უკვე კაი ხანს ვიტანდი, მაგრამ მეტი აღარ შემეძლო. [P SEP]

- ვერ ხვდები? - ვუპასუხე მოთმინებადაკარგულმა - სპექტაკლზე კი არ ვნერვიულობ, უბრალოდ, აქ ყოფნა არ მინდა. არ მინდა შენი გაცილება, არ მინდა, ჩემმა მეგობრებმა ილაპარაკონ ის, რასაც ლაპარაკობენ და არც შენთან ყოფნა მინდა. ისე იქცევი, თითქოს მეგობრები ვიყოთ, მაგრამ არ ვართ. ჩვენ ერთმანეთისთვის არავინ არ ვართ. მინდა, რომ ეს ყველაფერი მალე დასრულდეს და ჩემს ჩვეულებრივ ცხოვრებას დავუბრუნდე. [P SEP]

ჩემმა ასეთმა გაცხარებამ შეურაცხყო; სიმართლე გითხრათ, ვერც გაამტყუნებდა კაცი. [P SEP]

- გასაგებია, - მხოლოდ ეს ჩაილაპარაკა. მეგონა, ისიც ხმას აუნწევდა, თავის დაცვას მოჰყვებოდა, თავის სათქმელს მეტყოდა, მაგრამ არა. მხოლოდ ძირს დაიხედა და მეტი არაფერი. ახლა მგონია, რომ ცოტა არ იყოს, ტირილი უნდოდა, მაგრამ არ უტირია, ბოლოს ადგილიდან მოვნწყდი და გზა განვაგრძე. ის კი იქვე დავტოვე. ერთ წამში უკნიდან მისი ნაბიჯების ხმა შემომესმა. ჩემთან გამოლაპარაკება არ უცდია, სანამ მისი სახლისკენ მიმავალ ბილიკამდე არ მივედი. უკან რომ გამოვბრუნდი და ტროტუარს გამოვუყევი, მაშინდა მომესმა მისი ხმა. [P SEP]

- ლენდონ, გმადლობ, რომ მომაცილე. [P SEP]

ამის გაგონებაზე ავკანკალდი. მაშინაც კი, როცა პირში ასეთი ბოროტი სიტყვები მივახალე, მაშინაც კი იპოვა მადლობის თქმის

მიზები. ასეთი იყო და, მგონი, ამიტომაც ვერ ვიტანდი. [P]  
[SEP]

ან უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ საკუთარ თავს ვერ ვიტანდი. [P]  
[SEP]

## თავი 8 [P] [SEP]

ის საღამო, როცა სპექტაკლი უნდა გვეთამაშა, ცივი და სუსხიანი იყო, ცაზე ღრუბლის ნაგლეჯიც არ ჩანდა. თეატრში წარმოდგენის დაწყებამდე ერთი საათით ადრე უნდა მივსულიყავით. ცუდად ვიყავი იმის გამო, რომ წინა საღამოს ჭემის ასე უხეზად ველაპარაკე. ის ყოველთვის ძალიან კარგად მექცეოდა, მე კი გარენარით მოვექეცი. დასვენებებზე რამდენჯერმე დავინახე კორიდორში. მინდოდა, მივსულიყავი და ბოდიში მომეხადა, მაგრამ სანამ რამეს მოვახერხებდი, ბავშვების ბრბოში გაუჩინარდა. [P]  
[SEP]

თეატრში რომ მივედი, ჭემი უკვე მისული დამხვდა. დაშვებულ ფარდებთან იდგა და მის გარბერს და ჰეგბერტს ელაპარაკებოდა. ყველა რაღაცას აკეთებდა, ყველა ღელავდა, ჭემის გარდა. რაღაც მოწყვეტილივით იყო. არც კოსტიუმი ეცვა - თეთრი, ფარფატა კაბა უნდა სცმოდა, ანგელოზს უფრო რომ დამსგავსებოდა - ისევ იმ ჟაკეტში იყო, რომლითაც სკოლაში იყო მოსული. გული მიკანკალებდა, არ ვიცოდი, როგორ შემხვდებოდა, მაგრამ ამ სამეულთან მისვლა მაინც გავბედე. [P]  
[SEP]

- საღამო, ჭემი. საღამო, ღირსო მამაო... საღამო, მის გარბერ. [P]  
[SEP]

ჭემი ჩემკენ შემოტრიალდა. [P]  
[SEP]

- გამარჯობა, ლენდონ, - ჩაილაპარაკა ყრუდ. მივხვდი, რომ წინა საღამოს ჩემმა ნათქვამმა ჩააფიქრა, რადგან ისე მომესალმა, არც გაუღიმა. ვუთხარი, რომ მასთან ცალკე მსურდა ლაპარაკი. ბოდიში მოვიხადეთ და ჰეგბერტს და მის გარბერს გავეცალეთ. დავინახე, რომ ჰეგბერტმაც და მის გარბერმაც თვალი გამოგვაყოლეს, როცა ჩვენ გვერდზე, მათგან ისეთ მანძილზე დავდექით, რომ ჩვენი საუბარი ვერ გაეგოთ. [P] [SEP]

სცენას ნერვიულად მოვავლე თვალი. [P] [SEP]

- ბოდიში მინდა მოგიხადო იმის გამო, რაც ნუხელ ვითხარი, - დავინყე ენის ბორძიკით. - ალბათ, გული გატკინე, შევცდი, არ უნდა მეთქვა. [P] [SEP]

ისე შემომხედა, თითქოს არ იცოდა, დაეჭვებინა თუ არა ის, რასაც ვეუბნებოდი. [P] [SEP]

- იმაზე მეუბნები, რაც ვითხარი? - მკითხა ბოლოს. [P] [SEP]

- ცუდ ხასიათზე ვიყავი. ზოგჯერ ეგრე ვიცი ხოლმე. - მივხვდი, რომ კითხვაზე არ ვუპასუხე. [P] [SEP]

- გასაგებია, - ისე ჩაილაპარაკა, როგორც წინა საღამოს და ცარიელი დარბაზისაკენ შეტრიალდა. თვალებში ისევ ის ნალვლიანი გამომეტყველება ედგა. [P] [SEP]

- მისმინე, - ვუთხარი და ხელზე ხელი მოვკიდე, - გპირდები, გამოვისყიდი. - არ მკითხოთ, რატომ ვთქვი ეს. იმ ნუთს მხოლოდ ამის თქმა მივიჩნიე სწორად. [P] [SEP]

იმ საღამოს პირველად გაიღიმა. [P] [SEP]

- გმადლობ, - მითხრა და სახით ჩემკენ შემოტრიალდა. [P]  
[SEP]

- ჭეიმი? [P]  
[SEP]

ჭეიმი შებრუნდა. [P]  
[SEP]

- დიახ, მის გარბერ, გისმენთ. [P]  
[SEP]

- მე მგონი, დროა, შენც მოგხედოთ. - მის გარბერმა ხელით რაღაც ანიშნა. [P]  
[SEP]

- უნდა წავიდე. [P]  
[SEP]

- ვიცი. აბა, რა გისურვო, კისრის მოტეხა? - ვკითხე მე. სპექტაკლის წინ მსახიობს წარმატება არ უნდა უსურვო. ეს ცუდის ნიშანია. ამიტომაც ეუბნებიან ხოლმე მსახიობები ერთმანეთს, „კისერი გიტეხიაო“. [P]  
[SEP]

ხელი გავუშვი. [P]  
[SEP]

- გპირდები, ორივე მოვიტეხთ კისერს. [P]  
[SEP]

სცენაზე გასასვლელად უნდა მოვმზადებულიყავით და ამიტომ ჩვენ-ჩვენი გზით წავედით. მამაკაცების გასახდელში შევედი. ბიუფორტის კვალობაზე ჩვენი თეატრი საკმაოდ დახვეწილი იყო. ქალებისა და მამაკაცების გასახდელები ცალ-ცალკე გახლდათ, რის გამოც თავს სკოლის მონათვეებად კი არა, ნამდვილ მსახიობებად ვგრძნობდით. [P]  
[SEP]

ჩემი კოსტიუმი თეატრში ინახებოდა და უკვე გასახდელში მოეტანათ. რეპეტიციების დროს ზომები აგვიღეს და კოსტიუმებიც ჩვენს ტანზე გადაგვიკეთეს. გასახდელში ვიდექი, კარი რომ გაიღო და მოულოდნელად ერიკი გამომეცხადა. ედიც ოთახში იყო და თავისი მუნჯი მანანნალას კოსტიუმს იცვამდა. ერიკის დანახვაზე თვალებში შიში ჩაუდგა. ედის ერიკისაგან კვირაში ერთხელ მაინც ხვდებოდა



ხოლმე მაგრად, ამიტომ მის დანახვაზე გასახდელიდან კუდამოძუებული გავარდა. ცალი ფეხი ჯერ კიდევ შარვლის ტოტში ჰქონდა გაყრილი. ერიკმა ყურადღება არ მიაქცია და სარკის წინ, ტუმბოზე ჩამოჯდა. [P]  
[SEP]

- აბა? - ბოროტად ჩაიღიმა მან, - რას აპირებ? [P]  
[SEP]

გაოცებულმა შევხედე. [P]  
[SEP]

- ვერ გავიგე, რას მეკითხები. [P]  
[SEP]

- შტერო, სპექტაკლზე გეკითხები. ტექსტს გააფუჭებ თუ რას იზამ? [P]  
[SEP]

უარის ნიშნად თავი გავაქნიე. [P]  
[SEP]

- არა. [P]  
[SEP]

- დეკორაციებს გადააყირავებ? - დეკორაციების შესახებ ყველამ იცოდა. [P]  
[SEP]

- არც მიფიქრია. [P]  
[SEP]

- მოიცა, შენ რა, ყველაფრის ისე გაკეთებას აპირებ, როგორც საჭიროა? [P]  
[SEP]

თანხმობის ნიშნად თავი დავეუქნიე. სხვანაირად მოქცევა თავში აბრადაც არ მომსვლია. [P]  
[SEP]

დიდხანს მიყურა, გეგონება, პირველად მხედავდა. [P]  
[SEP]

- მე მგონი, ბოლოს და ბოლოს გაიზარდე, დაკაცდი, ხო იცი, ლენდონ. - არ ვიცოდი, ერიკის ეს სიტყვები ქათინაურად მიმელო თუ არა. [P]  
[SEP]

ის კი ნამდვილად ვიცოდი, რომ სიმართლეს ამბობდა. [P]  
[SEP]

პიესის მიხედვით, ტომ ტორნტონი ანგელოზს პირველად რომ

დაინახავს, გაოცდება და აღტაცებული შესცქერის. სწორედ ამიტომ დაჰყვება მას თან, როცა ანგელოზი შობის მისალოცად უბედურ ადამიანებს სტუმრობს. ტომის პირველი რეპლიკა ასეთია: - „ლამაზი ხარ!“ - ეს სიტყვები გულით უნდა მეთქვა; მაყურებელს უნდა ეგრძნო, რომ ამ დროს გულწრფელი ვიყავი. მთელი პიესა ამ ფრაზაზე იყო აგებული, ის ქმნიდა მის განწყობას და ყველაფერი მის ირგვლივ ვითარდებოდა. მაგრამ ეს ფრაზა არ გამომდიოდა. ამ სიტყვებს ისე ვამბობდი, როგორც ნებისმიერი სხვა იტყოდა ჯეიმის დანახვაზე, რა თქმა უნდა, ჰეგბერტის გარდა. ჩემს ნათქვამს დამაჯერებლობა აკლდა. ამ ეპიზოდის დროს რეპეტიციებზე მის გარბერს არც ერთხელ არ უთქვამს, ჩინებულიაო. ამიტომ ძალიან ვნერვიულობდი. ეს სიტყვები გულწრფელად რომ მეთქვა, ანგელოზის როლში სხვა ვინმე უნდა წარმომედგინა, მაგრამ იმდენი საფიქრალი მქონდა, ამისთვის აღარ მცხელოდა. <sup>[SEP]</sup>

ფარდა რომ აიხადა, ჯეიმი ჯერ კიდევ გასახდელში იყო. ახალ კოსტიუმში ჩაცმული არ მენახა; არც მაინტერესებდა. პირველ რამდენიმე სცენაში ჯეიმი მაინც არ მონაწილეობდა, რადგან ეს სცენები მართო ტომ ტორნტონისა და მისი გოგონას ურთიერთობას ეხებოდა. <sup>[SEP]</sup>

ამდენი რეპეტიცია მქონდა გავლილი და მეგონა, რომ სცენაზე გასვლისას ბევრს არ ვინერვიულებდი, მაგრამ სცენა სხვა რაღაცა ყოფილა - პირდაპირ თავში გირტყამს. თეატრის დარბაზი ბოლომდე სავსე იყო ხალხით და როგორც მის გარბერმა ივარაუდა, სკამები

მართლაც დასამატებელი გახდა. დარბაზში ოთხასი ადგილი იყო, მაგრამ ახლა დაახლოებით ოთხას ორმოცდაათი კაცი მაინც იჯდა. ამას გარდა, ხალხი კედლების გასწვრივაც იდგა. იმდენი ხალხი იყო, ნემსი არ ჩავარდებოდა. [SEP]

როგორც კი სცენაზე გავედი, დარბაზში სამარისებრი სიჩუმე ჩამოვარდა. ბუმის გაფრენის ხმას გაიგონებდა კაცი. დარბაზში ძირითადად ლილით თმაშეღებილი ხნიერი მანდილოსნები ისხდნენ, აი ისეთები, კვირაობით კლუბში ლოტოს რომ თამაშობენ და კოქტეილ „სისხლიან მერის“ სვამენ. მაგრამ უკანა რიგში ერიკი და ყველა ჩემი მეგობარი იჯდა. მათ წინაშე დგომა საშინელება იყო (ალბათ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ). მთელი დარბაზი სულგანაბული ელოდა, რას ვიტყვოდი. [SEP]

ყველანაირად ვცდილობდი, მათზე არ მეფიქრა. „ჩემი“ გოგონას როლს ცალთვალა საოცრება, ხალი ასრულებდა, რადგან მომცრო ტანისა იყო. როლები ჩვეულებრივად შევასრულეთ, ისე, როგორც რეჟეტიციის დროს გამოგვდიოდა. ტექსტი არ ჩავვიგდია, მაგრამ მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება ვერ მოვახდინეთ. მეორე აქტის დაწყების წინ, როგორც კი ფარდა დაეშვა, სასწრაფოდ შევცვალეთ დეკორაციები. ყველა აქეთ-იქით დარბოდა. ედისთან კონტაქტს ყველანაირად ვერიდებოდი და თითებიც უვნებლად გადამირჩა. [SEP]

ჭეიმი ჯერ ნანახი არ მყავდა. დეკორაციების გადაადგილებაში არ მონაწილეობდა. ალბათ, იმიტომ, რომ მისი კაბა თხელი ნაჭრისაგან იყო შეკერილი და რამეს რომ წამოსდებოდა, ეგრევე გაიხეოდა,

მაგრამ ამაზე ფიქრის დრო არც მქონდა. ვიცოდი, რომ მალე ისევ პეგბერტ სალივანის შექმნილ სამყაროში დავბრუნდებოდი. შემდეგ სცენაში მე უკვე მაღაზიების წინ მივდი-მოვდიოდი და ვიტრინებში ვეძებდი ბარდახშას, საშობაო საჩუქარს ჩემი გოგონასთვის. საიდანაც ჭეიმი უნდა შემოსულიყო, იმ ადგილთან ბურგით ვიდექი, მაგრამ სცენაზე მისი გამოჩენისას ვიგრძენი, როგორ შეეკრა სუნთქვა დარბაზში მჯდომ მაყურებელს. მანამდე მეგონა, რომ დარბაზში სიჩუმე იყო, მაგრამ ახლა მართლა ყველა და ყველაფერი გაირინდა. სწორედ იმწამს მოვკარი თვალი, როგორ აუკანკალდა ყბა პეგბერტს. ნელ-ნელა შემოვბრუნდი და ამ ყველაფრის მიზეზიც დავინახე. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჭეიმის მთელი ცხოვრება ვიცნობდი, მაგრამ ახლა თითქოს პირველად დავინახე. პირველად ვხედავდი მის ჩალისფერ თმას, შეკრულს კი არა, - გაშლილს და მხრებზე დაფენილს. ისიც შევნიშნე, რომ თმა უფრო გრძელი ჰქონდა, ვიდრე მეგონა. რამპის შუქზე ეს თმა ისე უბზინავდა, ისე უელავდა, გეგონება, ბროლის შარავანდედი ადგასო. საგანგებოდ მისთვის შეკერილ თეთრ კაბაში ჭეიმი სულ სხვანაირი იყო, სხვა არსება იყო, არაფრით ჰგავდა იმ გოგოს, რომელთან ერთადაც გავიზარდე; არც იმას, რომელთან ერთადაც ამდენ დროს ვატარებდი ბოლო ხანს. ძლივს შესამჩნევი მაკიაჟი ჰქონდა - მხოლოდ იმდენი, რომ მისი ნაკვთების სინატიფე გამოჩენილიყო. ისე იღიმოდა, თითქოს გულით რაღაც საიდუმლოს დაატარებსო; იდუმალი იყო, როგორც მის როლს შეეფერებოდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ნამდვილი ანგელოზი იყო. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მივხვდი, რომ ყბა ცოტათი ჩამომივარდა, საჭიროზე მეტხანსაც ვიდექი უხმოდ და გარინდული შევცქეროდი. შოკში ვიყავი, ხმას ვერ ვიღებდი; ბოლოს მომაგონდა, რომ ტექსტი მქონდა სათქმელი. ღრმად ჩავისუნთქე და ნელა წარმოვთქვი: [P] [SEP]

- ლამაზი ხარ! - მთელმა დარბაზმა, ლილით თმაშეღებილი ქალბატონებით დაწყებული, ჩემი მეგობრებით დამთავრებული, დაიჭერა, რომ მართალს ვამბობდი. [P] [SEP]

მთელი ამ ხნის მანძილზე ეს სცენა პირველად გამომივიდა კარგად. [P] [SEP]

## თავი 9 [P] [SEP]

თუ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ სპექტაკლს თავბრუდამხვევი წარმატება ხვდა წილად, ჩათვალეთ, რომ არაფერი მითქვამს. დარბაზი იცინოდა და ტიროდა, ასეც უნდა ყოფილიყო. სპექტაკლი განსაკუთრებული იმიტომაც გამოვიდა, რომ მასში ჭეიმი მონაწილეობდა - მგონი, მთელი დასი ჩემსავით შოკში იყო, არავინ ელოდა, რომ სპექტაკლი ასე კარგად ჩაივლიდა. სცენაზე გამოჩენილ ჭეიმის მთელი დასი ჩემსავით აღტაცებით შესცქეროდა. როლი ყველას ძალიან კარგად გამოუვიდა და სპექტაკლმაც ძალიან იმოქმედა მაყურებელზე. პირველმა წარმოდგენამ უნაკლოდ ჩაიარა, მეორე საღამოს კი, თუ დამიჭერებთ, კიდევ უფრო მეტი ხალხი მოვიდა. წარმოდგენის დასრულების შემდეგ ერიკიც კი მოვიდა და მომილოცა. გამიკვირდა, განსაკუთრებით, იმის მერე, რაც სპექტაკლის დაწყებამდე

მიტხრა. [P]  
[SEP]

- თქვენ ორმა მაგრად ითამაშეთ. შენით ვამაყოფ, ძმაო! [P]  
[SEP]

მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც მე და ერიკი ერთმანეთს ველაპარაკებოდით, მის გარბერი განუწყვეტლივ გაჰყვიროდა: „ჩინებუღია, „ჩინებუღია!“ - ვინც გამოელაპარაკებოდა, ან მის წინ შემთხვევით ჩაივლიდა, ყველას ამას უმეორებდა. იმდენჯერ თქვა, რომ, ღამე ძილშიც კი ყურში ჩამესმოდა მისი ხმა. ბოლო აქტის შემდეგ სცენაზე ფარდა რომ დაეშვა, ჯეიმის ძებნა დავინყე. იქვე იდგა, მამამისს ჰყავდა ჩახუტებული; ჰეგბერტს თვალელებში ცრემლები ედგა - პირველად ვნახე მის თვალზე ცრემლი. თმებზე ხელს უსვამდა და ეჩურჩულებოდა: „ჩემო ანგელოზო!“ ჯეიმის თვალეები დახუჭული ჰქონდა. ამის შემყურეს ყელში ბურთი მომებჭინა. [P]  
[SEP]

ბოლოს და ბოლოს მივხვდი, რომ „კარგი საქმის“ კეთება არც ისე ცუდი ყოფილა. [P]  
[SEP]

როგორც იქნა, მამა-შვილი ერთმანეთს მოშორდა და ჰეგბერტმა ამაყად ანიშნა ჯეიმის, დასის სხვა წევრებთან მისულიყო. კულისებში მას ყველამ გულითადად მიულოცა წარმატება. ჯეიმიმ მშვენივრად იცოდა, რომ როლი კარგად შეასრულა, მაგრამ ყველას მაინც ერთსა და იმავეს ეუბნებოდა, ვერ ვხვდები, ასეთი ორომტრიალი რამ გამოიწვიაო. ჩვეულებისამებრ მხიარული და ხალისიანი იყო, მაგრამ ახლა ამ მხიარულებას სილამაზეც ერთვოდა და ჩვენ წინაშე სრულიად სხვა არსება იდგა. კულისებს უკან ვიდექი და ველოდი. უნდა გამოვტყდე, რომ მეც სადღაც იგივე გრძნობა დამეუფლა, რაც

პეგბერტს. მისით ბედნიერიც ვიყავი და ამაც. როცა დამინახა, როგორ ვიდექი და ველოდი, სხვებს ბოდიში მოუხადა და ჩემკენ ნამოვიდა. მომიახლოვდა და შედგა. [P]  
[SEP]

ამომხედა და გამიღიმა. [P]  
[SEP]

- ყველაფრისათვის მადლობა, ლენდონ. შენ მამაჩემი ბედნიერ კაცად აქციე. [P]  
[SEP]

- არა, რა მადლობა. მადლობას რისთვის მიხდი? - თავს მადლობის ღირსად არ ვთვლიდი. გულწრფელად ვუთხარი. [P]  
[SEP]

ამ დროს უცნაურმა აზრმა გამიელვა. მიხვდი, რომ დღეს მას პეგბერტი ნაიყვანდა სახლში; მაშინ პირველად ვინატრე, ნეტა მე ვაცილებდე-მეთქი. [P]  
[SEP]

შემდეგი ორშაბათიდან სკოლაში ყოფნის ბოლო კვირა იწყებოდა. მერე საშობაო არდადეგები გვექონდა და ყველა საგანში საბოლოო გამოცდა უნდა ჩაგვებარებინა. ამას გარდა, ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში გასაგზავნი განაცხადის ფორმა მქონდა შესავსები, რომელსაც რეპეტიციების გამო ვერა და ვერ მოვაბი თავი. იმ კვირას ნიგნებისათვის უნდა შემეგია და მერე კი დანოლამდე განაცხადის ფორმის შევსებაზეც მეზრუნა. ამდენი საქმე მქონდა, მაგრამ ჭეიმიზე ფიქრს თავიდან ვერ ვიშორებდი. [P]  
[SEP]

სპექტაკლში ჭეიმიმ საოცარი გარდასახვა შეძლო, რამაც მაფიქრებინა, რომ მასში რალაც სინამდვილეშიც შეიცვალა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ძალიან გამიკვირდა, როცა მეორე დღეს სკოლაში, ჩვეულებისამებრ, ყავისფერი ჟაკეტში და უჭრედებიან ბოლოკაბაში

გამონყობილი მოვიდა, თან შეკრული თმით.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

შევხედე და გული დამწყდა, შემეცოდა. იმ შაბათ-კვირას მას ყველა ნორმალურად და უფრო მეტიც - განსაკუთრებულად - აღიქვამდა, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანდა, იმან კი შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა. ყველა უკეთ ექცეოდა. ისეთებმაც კი უთხრეს, რა კარგად ითამაშეო, რომლებიც მანამდე არც დალაპარაკებიან. მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ ასე დიდხანს არ გაგრძელდებოდა. ბავშვობიდან ჩამოყალიბებული დამოკიდებულება ასე იოლად არ იცვლება. ჩემი არსების ერთი ნაწილი იმასაც კი შიშობდა, ვაითუ ამის შემდეგ ეს დამოკიდებულება კიდევ გაუარესდესო. ახლა, როცა ბავშვებმა იცოდნენ, რომ მას შეეძლო, ნორმალური გარეგნობა ჰქონოდა, შეიძლება, უფრო დაუნდობლები გამხდარიყვნენ მის მიმართ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მინდოდა, გულით მინდოდა, ჩემი შთაბეჭდილებების შესახებ მომეყოლა მისთვის, მაგრამ კვირის ბოლოსთვის გადავდე. ბევრი საქმე მქონდა, მაგრამ მთავარი მიზეზი სხვა იყო - მინდოდა, მანამდე ყველაფერი კარგად მომეფიქრებინა. თავს ისევ დამნაშავედ ვგრძნობდი იმის გამო, რაც მაშინ ვუთხარი, როცა ბოლოს გავაცილე სახლამდე. მთელი იმ დროის მანძილზე, რომელიც ერთად გავატარეთ, ჯეიმი ყოველთვის კარგად მექცეოდა, მე კი ჩავიჭერი.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

სიმართლე გითხრათ, მეგონა, არც დამელაპარაკებოდა. როცა ჩემს მეგობრებთან ერთად სასადილოში უსაქმოდ ვიდექი, მივხვდი, რომ დამინახა, მაგრამ თავიც არ აუნევია, იჯდა და ბიბლიას კითხულობდა;



ჩვენკენ ერთხელაც არ გამოუხედავს. მაგრამ იმ დღეს სკოლიდან რომგამოვდიოდი, უკნიდან მისი ხმა შემომესმა. მკითხა, სახლში ხომ ვერ გამაცილებო. ჩემი სათქმელი ჯერ დალაგებული არ მქონდა, მაგრამ დავთანხმდი. წარსულის ხატრით, ხომ ხვდებით? [P][SEP]

ნუთიც არ იყო გასული, ჯემი პირდაპირ საქმეზე რომ გადავიდა. [P][SEP]

- გახსოვს, რაები მითხარი, ბოლოს რომ გამაცილე? [P][SEP]

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე და ვიფიქრე, ნეტა ამ თემაზე ლაპარაკი საერთოდ არ დაენყო-მეთქი. [P][SEP]

- ხომ დამპირდი, გამოვისყიდო? [P][SEP]

ერთი წამით დავიბენი. მეგონა, იმ სპეკტაკლში თამაშით ყველაფერი გამოვისყიდე. ჯემიმ კი განაგრძო. [P][SEP]

- სულ ვფიქრობდი, რა შეიძლება გააკეთო ჩემი ხატრით, - განაგრძო ისე, რომ სიტყვის ჩაკვეხების საშუალებაც არ მომცა, - და აი, რა მოვიფიქრე. [P][SEP]

მოკლედ, მთხოვა, წლის დასაწყისში ქალაქის ყველა მაღაზიასა და კაფეში მწნილისა და ყავის ცარიელი ქილები რომ დავდგი ხურდა ფულის ჩასაყრელად, იქნებ ისინი მომიგროვო. მწნილის ქილები მინისა იყო, ყავის კი - თუნუქის. ეს ქილები დახლებზე, სალაროსთან ახლოს ელაგა და ვისაც რამდენი უნდოდა, შიგ იმდენს ჩაყრიდა. ამ ფულს ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისათვის აგროვებდა. ჯემი მათ დასახმარებლად ხალხს პირდაპირ არასდროს სთხოვდა ფულს, უნდოდა, ეს თანხა ყველას ნებაყოფლობით გაეღო. ასეთი რამის გაკეთება, მისი აზრით, ქრისტიანული საქმე იყო. [P][SEP]

ასეთი ქილები სესილის კაფეშიც მქონდა ნანახი და „ქრაუნ სიეთარშიც“. მე და ჩემი ძმაკაცები, მოლარე თუ არ გვიყურებდა, შიგ ქალაღდის სამაგრებს და ტელეფონის ხუთცენტიან ჟეტონებს ვყრიდით ხოლმე. ისინი ისეთ ხმას გამოსცემდნენ, თითქოს რკინის მონეტა ჩააგდესო. მერე ბევრს ვიცინოდით და ვღადაობდით, ჭეიმის ასეთ ოინებს რომ ვუკეთებდით. სიცილით ვკვდებოდით, როცა ნარმოვიდგენდით, როგორ გაუხარდებოდა ჭეიმის, ქილა მძიმედ რომ მოეჩვენებოდა; რამდენი ფული ჩაუყრიათო, იფიქრებდა. მერე კი, როცა გახსნიდა, იქ მხოლოდ ქალაღდის სამაგრები და ტელეფონის ჟეტონები აღმოჩნდებოდა. ხდება ხოლმე, რომ ადამიანს თავისი ნამოქმედარის გახსენებაზე აკანკალებს. მეც სწორედ ასე დამემართა.

[P]  
[SEP]

ჭეიმომ ჩემი სახის გამომეტყველება შენიშნა. [P]  
[SEP]

- თუ არ გინდა, ნუ გააკეთებ, - აშკარად იმედგაცრუებული ჩანდა, - იმიტომ გთხოვე, რომ შობა კარზე მოგვადგა, მე კი მანქანა არ მყავს და იმ ქილების მოსაგროვებლად ძალიან დიდი დრო დამჭირდება...

[P]  
[SEP]

- არა, არა, - გავანწყვეტინე სათქმელი, - აუცილებლად დაგეხმარები. საქმე მაინც არაფერი მაქვს. [P]  
[SEP]

მიუხედავად იმისა, რომ გამოცდებისათვის სამეცადინო მქონდა და განაცხადის ფორმაც შეუვსებელი მრჩებოდა, საქმეს ოთხშაბათიდანვე შევუდექი. ჭეიმომ მომცა იმ ადგილების სია, სადაც ქილები ჰქონდა ჩამორიგებული. დედას მანქანა ვთხოვე და მეორე დღესვე დავინწყე

ჩამოვლა. ქალაქის ბოლოდან მოვყევი. სულ რაღაც სამოცი ქილა იყო. ჩემი ვარაუდით, მათ შესაგროვებლად ერთი დღეც მეყოფოდა. ამ ქილების ჩამორიგებასთან შედარებით, მათი მოგროვება დიდი არაფერი იყო. ამ საქმისთვის ჯეიმის დაახლოებით ექვსი კვირა დასჭირვებია, რადგან ჯერ ქილები მოუძებნია და მერე დაუდგამს. დღეში თურმე ორ-სამ ქილაზე მეტს ვერ დგამდა, რადგან არც მანქანა ჰყავდა და ვერც მეტ სიმძიმეს სწევდა. ჩემს თავზე მეცინებოდა, რომ მივდიოდი. აბა, სასაცილო არ იყო, რომ ამ ქილების მოგროვება მაინცდამაინც მე მიწევდა?! მაგრამ თავს ვეუბნებოდი, რომ ეს ჯეიმის პროექტი იყო და მე მის ბოლომდე მიყვანაში უნდა დავხმარებოდი. [5]

ერთი მალაზიიდან მეორეში გადავდიოდი და ქილებს ვაგროვებდი. პირველი დღის ბოლოს მივხვდი, რომ ერთი დღე ნამდვილად არ მეყოფოდა. პირველ დღეს ოც ქილაზე მეტი ვერ მოვაგროვე. ბიუფორტის ცხოვრების ერთი უბრალო თავისებურება ვერ გავითვალისწინე. ასეთ პატარა ქალაქში მალაზიაში მარტო ქილის წამოსაღებად ვერ შეხვალ; ჯერ მალაზიის პატრონს უნდა გამოელაპარაკო, მოიკითხო, მერე ვინმე ნაცნობი შეგხვდება, იმასაც უნდა მიესალმოს და მოიკითხო. ასე რომ, ვიჯექი და ვუსმენდი, როგორ დაიჭირა ერთმა ჩემმა შორეულმა ნაცნობმა უზარმაზარი თევზი; მერე მე ვუყვებოდი ვიღაცას, როგორ მიდის საქმეები სკოლაში; ვიღაცას მანქანიდან ყუთების ჩამოტვირთვაში ვეხმარებოდი; ვიღაცას ვურჩევდი, ჟურნალების სტენდის მალაზიის ბოლოში გადატანა ჯობდა, თუ სადაც იყო, იქ დატოვება. ასეთი რამეები ჯეიმის კარგად

გამოუვიდოდა, ამიტომ მეც ისე ვიქცეოდი, როგორც ის მოიქცეოდა. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ მისი პროექტი იყო. [P] [SEP]

დრო ცოტა მქონდა, ამიტომ ფულის დასათვლელად არსად ვჩერდებოდი. ერთი ქილის შიგთავსს მეორეში ვაპირქვავებდი და მაშინვე გზას განვაგრძობდი. პირველი დღის ბოლოს მთელი ფული მინის ორ დიდ ქილაში ჩაეცია. ქილები ჩემს ოთახში ავიტანე. ერთ-ერთში ორიოდე ქაღალდის კუპიურაც შევნიშნე. არც ისე ბევრი იყო, მაგრამ მანამ არ მინერვიულია, სანამ ქილები იატაკზე არ მოვაპირქვავე. მაშინლა დავინახე, რომ ხურდა ფული ძირითადად ერთცენტრიანებისაგან შედგებოდა. ქაღალდის სამაგრები და ტელეფონის ჟეტონები იმაზე ნაკლები იყო, ვიდრე მოველოდი, მაგრამ ფული რომ დავთვალე, გული მეტკინა. მხოლოდ 20 დოლარი და 32 ცენტი იყო. ეს თანხა არც 1958 წელს იყო დიდი ფული. განსაკუთრებით მაშინ, თუ ამას 30 ბავშვზე გადავანაწილებდით. [P] [SEP]

იმედი მაინც არ დამიკარგავს. ვიფიქრე, რაღაც შეცდომაა-მეთქი, მაგრამ მეორე დღეს მაინც ნავედი, რამდენიმე ათეული მძიმე ყუთი ვათრიე, კიდევ ოცი მაღაზიის მეპატრონეს ვესაუბრე და ქილებიც შევაგროვე. ამჯერად თანხამ 23 დოლარი და 89 ცენტი შეადგინა. [P] [SEP]

მესამე დღის შედეგი კიდევ უარესი იყო. ფული დავთვალე და თვალებს არ დავუჭერე. მხოლოდ 11 დოლარი და 52 ცენტი აღმოჩნდა. ეს სანაპიროს გაყოლებით ჩარიგებულ მაღაზიებსა და კაფეებში მოვაგროვე, სადაც ძირითადად ტურისტები და ჩემნაირი მოზარდები იყრიდნენ თავს. მართლა მაგრები ვართ, რაა! - გავიფიქრე

ჩემთვის. [P]  
[SEP]

როცა დავრწმუნდი, რომ ასე მცირე თანხა შეგროვდა - მხოლოდ 55 დოლარი და 73 ცენტი - საშინლად შევწუხდი. კიდევ უფრო ცუდად გავხდი, როცა გამახსენდა, რომ ეს ქილები მთელი წელი ელაგა დახლებზე და მეც ათასჯერ მქონდა ნანახი. იმ ღამეს ჭეიმისთან უნდა დამერეკა და მეთქვა, რამდენი შეგროვდა, მაგრამ ვერ დავურეკე. გაუთავებლად იმეორებდა, წელს რაიმე განსაკუთრებულის გაკეთება მინდაო, ამ თანხით კი ვერაფერს გააკეთებდა - ამას მეც კარგად ვხვდებოდი. მოვატყუე და ვუთხარი, ჯერ არ დამითვლია, მარტომ არ მინდა დავთვალო, ამიტომ ავდგეთ და ორივემ ერთად დავთვალოთ-მეთქი. თან თავი ვიმართლე, ეს ხომ ჩემი პროექტი არ არის, შენია-მეთქი. განადგურებული ვიყავი. დავპირდი, რომ ფულს ხვალ ნაშუადღევს, გაკვეთილების მერე მივუტანდი. მეორე დღე 21 დეკემბერი იყო. წლის ყველაზე მოკლე დღე. შობამდე ოთხი დღეღა რჩებოდა. [P]  
[SEP]

- ლენდონ! - წამოიძახა მან, როცა ფული დათვალა. - წამდვილი საოცრებაა! [P]  
[SEP]

- რამდენია? - ისე ვკითხე, გეგონება, ზუსტად არ ვიცოდი, რამდენიც იყო. [P]  
[SEP]

- თითქმის ორას ორმოცდაშვიდი დოლარია! - საოცრად გახარებულმა შემომხედა. ჰეგბერტი შინ იყო და ამიტომ მისაღებ ოთახში დაჯდომის ნება დამრთეს. ჭეიმომ ფულის თვლა დაიწყო. ფული კომპკებად დაანყო. თითქმის ყველა ათ- და ოცდახუთცენტიანები

იყო. ჰეგბერტი სამზარეულოს მაგიდასთან იჯდა და ქადაგების ტექსტზე მუშაობდა, მაგრამ იმანაც კი ასწია თავი, ჭეიმის მხიარული შეძახილი რომ გაიგონა. [P] [SEP]

- როგორ გგონია, საკმარისია? - ვკითხე მიამიტი სახით. [P] [SEP]

ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა. საკუთარ თვალებს არ უჭერებდა. წარმოდგენის დასრულების მერეც კი არ ყოფილა ასეთი ბედნიერი. პირდაპირ სახეში შემომხედა. [P] [SEP]

- საოცარია... შესანიშნავია, - მის ხმაში ასეთი ემოცია არასდროს შემინიშნავს, - შარშან სამოცდაათ დოლარზე მეტი ვერ მოვაგროვე. [P] [SEP]

- კარგია, რომ წელს ყველაფერი უკეთ გამოვიდა, - ძლივს ამოვილულლულე, ყელში ბურთი მქონდა გაჩხერილი, - თადარიგი რომ არ დაგეჭირა და ქილები ასე ადრე არ დაგედგა, ამდენს ნამდვილად ვერ მოაგროვებდი. [P] [SEP]

ვიცოდი, რომ ვიტყუებოდი, მაგრამ ამაზე სულაც არ ვნალვლობდი. ამჯერად ეს მიმაჩნდა სწორ საქციელად. [P] [SEP]

ჭეიმის სათამაშოების შერჩევაში არ დავხმარებივარ - ჩავთვალე, რომ თვითონ უკეთ იცოდა, რა უფრო მოეწონებოდათ ბავშვებს, მაგრამ დაიჟინა, ბავშვთა სახლში ჩემთან ერთად უნდა წამოხვიდე და საკუთარი თვალით ნახო, ბავშვები საჩუქრებს როგორ გახსნიანო. [P] [SEP]

- ლენდონ, გთხოვ, გეხვენები! - მითხრა აღელვებულმა. ისეთი ბედნიერი იყო, უარი ვერ ვუთხარი. [P] [SEP]

ასე რომ, სამი დღის შემდეგ, როცა დედა და მამა ქალაქის მერთან ბრძანდებოდნენ წვეულებაზე, ჩემს საუკეთესო პიჯაკში გამოვეწყვე,

ყველაზე კარგი ჰალსტუხი გავიკეთე და დედაჩემის მანქანისკენ წავედი. ილღიაში ჯემის საჩუქარი მქონდა ამოჩრილი. ჩემი ბოლო დოლარებით ლამაზი სვიტერი ვუყიდე. უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე. მისთვის საჩუქრის შერჩევა ადვილი საქმე არ იყო. [P SEP]

ბავშვთა სახლში შვიდ საათზე უნდა მივსულიყავი, მაგრამ მორიჰედ სითის პორტთან გადებულ ხიდთან შევფერხდი, სანამ არხზე სატვირთო გემმა არ ჩაიარა, წინ ვერ წავედი. ამიტომ რამდენიმე წუთით დამაგვიანდა. წინკარი დაკეტილი დამხვდა, მაგრამ იმდენ ხანს ვაბრახუნე, სანამ მისტერ ჯენკინსმა არ გაიგონა და კართან თავად არ მოვიდა. კარგა ხანს ჩხრეკდა გასაღებების დიდ აცმას, სანამ ბოლოს და ბოლოს საჭირო გასაღები არ იპოვა და კარიც გამიღო. შიგნით შევედი და გაყინული ხელები მოვიფშვნიტე. [P SEP]

- ააა! მოხვედი?! გელოდებოდით. წამოდი, იქ შეგიყვან, სადაც ყველამ უკვე მოიყარა თავი, - მითხრა გახარებულმა. [P SEP]

კორიდორს გავუყევით და დასასვენებელ ოთახთან მივედით, სადაც ადრეც ვიყავი ნამყოფი. ერთი წამით შევჩერდი და ღრმად ამოვისუნთქე, მერე კი ოთახში შევედი. [P SEP]

ყველაფერი იმაზე უკეთ იყო, ვიდრე წარმომედგინა. [P SEP]

ოთახის ცენტრში გირლიანდებით, ფერადი ნათურებითა და ხელნაკეთი სამშვენისებით მორთული უზარმაზარინაძვის ხე იდგა. ხის ქვეშ სხვადასხვა ზომისა და ფორმის შეფუთული საჩუქრის ყუთები მიმოფანტათ. ისინი ერთმანეთზე ელაგა, ბავშვები კი იატაკზე გვერდიგვერდ, ნახევარწრიულად ისხდნენ. თავიანთი საუკეთესო

სამოსი ეცვათ, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვიფიქრე - ბიჭებს მუქი ლურჯი შარვლები და თეთრსაყელოიანი პერანგები, გოგონებს კი - მუქი ლურჯი ბოლოკაბები და გრძელსახელოებიანი ბლუზები. ეტყობოდა, საზეიმო საღამოსთვის ყველა საგანგებოდ დაებანათ, ბიჭების უმრავლესობას თმაც ახალშეკრეჭილი ჰქონდა. [SEP]

კარის გვერდით, მაგიდაზე დოქით პუნში და ნამცხვრებით სავსე თასი იდგა. ნამცხვრები ნაძვის ხის ფორმით იყო დალაგებული და ზემოდან შაქრის მწვანე ფხვნილი ეყარა. ბავშვებთან ერთად რამდენიმე უფროსიც იჯდა; უფრო პატარა ბავშვები მოზრდილებს კალთაში ჩაესვათ. სახეებზე ეტყობოდათ, რომ ყურადღებით უსმენდნენ „შობის ღამეს“. [SEP]

ჯემი ვერსად დავინახე. ყოველ შემთხვევაში, შესვლისთანავე არ დამინახავს. ჯერ მხოლოდ მისი ხმა ვიცანი. ზღაპარს ჯემი კითხულობდა. ბოლოს დავინახე. ნაძვის ხის წინ, იატაკზე, ფეხებმოკეცილი იჯდა. [SEP]

ჩემდა გასაკვირად, თმა გაშლილი ჰქონდა, ისე, როგორც სპექტაკლის ღამეს. თავისი ძველი, ყავისფერი ჟაკეტის ნაცვლად წითელი, ოდნავ გულამოჭრილი ბლუზა ეცვა. წითლის ფონზე მისი ცისფერი თვალები ვარსკვლავებივით ციმციმებდნენ. თმებში ბრჭყვიალებისა და თეთრი ფრიალა კაბის გარეშეც მომნუსხველი იყო. ვერც ვიგრძენი, რომ მის დანახვაზე სუნთქვა შემეკრა. თვალი მოვკარი, როგორ მიღიმოდა მისტერ ჯენკინსი. ამოვისუნთქე, გავიღიმე და შევეცადე, დავმშვიდებულიყავი. [SEP]



ჭეიმი მხოლოდ ერთხელ შეჩერდა და თავი ასწია. შემამაჩნია, რომ კარში ვიდექი და ბავშვებისათვის ზღაპრის კითხვა განაგრძო. დაახლოებით კიდევ ერთ წუთს კითხულობდა, მერე ადგა, ბოლოკაბა შეისწორა, ბავშვებს შემოუარა და ჩემკენ წამოვიდა. არ ვიცოდი, საით უნდოდა, რომ წავსულიყავი, ამიტომ ადგილზე დავრჩი. [P] [SEP]

ამასობაში მისტერ ჯენკინსი სადღაც გამქრალიყო. [P] [SEP]

- ვწუხვარ, რომ უშენოდ დავიწყეთ, - თქვა, როცა მომიახლოვდა, - მაგრამ ბავშვებს გული აღარ უთმენდათ. [P] [SEP]

- არა უშავს, - ვუპასუხე და გავუღიმე. მარტო იმაზე ვფიქრობდი, რა ლამაზია-მეთქი. [P] [SEP]

- მიხარია, რომ მოხვედი. [P] [SEP]

- მეც მიხარია. [P] [SEP]

ჭეიმიმ გაიღიმა, ხელი ჩამკიდა და ოთახის სიღრმეში შემიყვანა. [P] [SEP]

- წამოდი. საჩუქრების დარიგებაში დამეხმარე. [P] [SEP]

საჩუქრების დარიგებას ერთ საათს მოვუწდი. სიამოვნებით ვუყურებდით, როგორ ხსნიდნენ ბავშვები ყუთებს. ჭეიმიმ მთელი ქალაქი შემოირბინა და თითოეულ ბავშვს საგანგებოდ უყიდა საჩუქარი. აქამდე არც ერთ მათგანს საჩუქარი ჰირადად არ მიუღია. ბავშვებს საჩუქრები ბავშვთა სახლმაც გაუკეთა და იქაურმა თანამშრომლებმაც. უნდა გენახათ, რა გაშმაგებით ახევდნენ ყუთებს შესაფუთ ქაღალდებს. ყოველი მხრიდან იმათი ალტაცებული ნივილ-კივილი ისმოდა. მომეჩვენა, რომ ასეთ საჩუქრებს არც ერთი არ ელოდა. თითოეულმა მოსალოდნელზე გაცილებით მეტი მიიღო.

ჭეიმის დაუსრულებლად უხდიდნენ მადლობას. [P SEP]

ბოლოს ორომტრიალი დამთავრდა, ყველა საჩუქარი გაიხსნა და სიტუაციაც ცოტა დაწყნარდა. მისტერ ჯენკინსი და ვილაც ქალი ოთახის დალაგებას შეუდგნენ. ამ ქალს პირველად ვხედავდი. პატარებს პირდაპირ ნაძვის ხესთან ჩასძინებოდათ. უფროსი ბავშვები თავიანთი საჩუქრებიანად თავ-თავიანთ ოთახებში გაკრეფილიყვნენ. კორიდორში შუქები ჩაექროთ. ნაძვის ხის მოსართავი ნათურები ჭადოსნურად ციმციმებდნენ, კუთხეში მიდგმული ფონოგრაფიდან ოთახში „ჩუმი ღამის“ ჰანგები იფრქვეოდა. კვლავ იატაკზე ვიჯექი ჭეიმის გვერდით, ჭეიმის კალთაში პატარა გოგონა ეჯდა. გოგონას მის კალთაში ჩასძინებოდა. აქამდე ისეთი ორომტრიალი იყო, ნორმალურად ვერც კი დავილაპარაკეთ. ორივენი ნაძვის ხის ნათურებს შევცქეროდით. მაინტერესებდა, ნეტა ჭეიმი რაზე ფიქრობს-მეთქი. ვერ ვხვდებოდი, რაზე ფიქრობდა, მაგრამ ვხედავდი, რომ ალერსიანი მზერით დაჰყურებდა მძინარე ბავშვს. მე ვფიქრობდი, არა, უფრო სწორად, ვიცოდი, რომ უხაროდა, ასეთი კარგი საღამო რომ გამოვიდა და გულის სიღრმეში მეც იმავეს ვგრძნობდი. ამ ნუთამდე ეს ღამე ყველა იმ შობის ღამეზე მშვენიერი მეჩვენებოდა, რომელიც აქამდე გამეტარებინა. [P SEP]

ჭეიმის გავხედე. სახეზე სინათლის სხივი დასთამაშებდა. ასეთი ღამაში არასოდეს არავინ მენახა. [P SEP]

- რაღაც გიყიდე, - როგორც იქნა, ამოვიღე ხმა, - საჩუქარი გიყიდე. - ხმადაბლა ვლაპარაკობდი, არ მინდოდა, მის კალთაში ჩაძინებული

გოგონა გამეღვიძებინა. არც ის მინდოდა, ჩემს ხმაში შეპარული მღელვარება ეგრძნო. [P SEP]

ხეს თვალი მოსწყვიტა, მომიტრიალდა და ნაზად გამიღიმა. [P SEP]

- რატომ შენუხდი? - ჩურჩულითვე მიპასუხა. ნამღერებასავით გამოუვიდა. [P SEP]

- ასე მინდოდა. - საჩუქარი გვერდით მედო, ავიღე და გავუნოდე. [P SEP]

- შენ თვითონ ვერ გახსნი? ხელები დაკავებული მაქვს. - გოგონას დახედა და მერე მე გამომხედა. [P SEP]

- ახლავე გახსნა საჭირო არ არის. დიდი არაფერია, - მივუგე და თან მხრები ავიჩეჩე. [P SEP]

- ნუ სულელობ. მხოლოდ შენი თანდასწრებით გავხსნი. [P SEP]

გონება მოვიკრიბე, საჩუქარს დავხედე და გახსნას შევუდექი. ვცდილობდი, არ მეხმაურა, შესაკრავ ლენტს ფრთხილად შევეხე, მერე ქალაღდი შემოვხსენიდა ყუთიც ამოვიღე. ქალაღდი გვერდზე გადავდე, ყუთს თავი ავხადე, სვიტერი ამოვაძრე და თვალწინ გავუშალე. ყავისფერი იყო. როგორსაც საერთოდ იცვამდა ხოლმე, ისეთი, მაგრამ ვიფიქრე, ახალი სვიტერი არ აწყენს-მეთქი. [P SEP]

აქამდე ისეთი ბედნიერი და გახარებული იყო, რომ მისგან მეტი აღტაცების გამოხატვას არც ველოდი. [P SEP]

- სულ ესაა. ხომ გითხარი, ბევრი არაფერია-მეთქი, - ვთქვი და თან თავი ვინუგეშე, იმედგაცრუებული ხომ მაინც არ დარჩებოდა-მეთქი. [P SEP]

- ლამაზია, ლენდონ, - გულწრფელად მითხრა ჭეიმომ, - შემდეგ რომ შეგხვდები, მაგას ჩავიცმევ. დიდი მადლობა. [P SEP]

ცოტა ხანს ჩუმად ვისხედით. ისევ ნათურებს ვუყურებდით. [P  
SEP]

- მეც მაქვს შენთვის რაღაც, - ბოლოს და ბოლოს ნამჩურჩულა ჭეიმიმ. ნაძვის ხისკენ გაიხედა. თვალი მის მზერას გავაყოლე. მისი საჩუქარი ისევ ნაძვის ხის ძირას იდო, სტენდი ეფარებოდა, გადავინიე და ავიღე. მართკუთხედის ფორმის იყო, დრეკადი და ცოტა მძიმე. კალთაში ჩავიდე და გავირინდე, გახსნა არც მიცდია. [P  
SEP]

- გახსენი, - მითხრა მან და პირდაპირ სახეში შემომხედა. [P  
SEP]

- ჭეიმი, ამას ვერ მაჩუქებ, - ვუთხარი სუნთქვაშეკრულმა. უკვე ვიცოდი, რაც იყო, არ მჭეროდა, რომ ასეთი რაღაც გააკეთა. ხელები ამიკანკალდა. [P  
SEP]

- გეხვენები, - მითხრა ძალიან ალერსიანი ხმით. მის ხმაში იმდენი სითბო იყო, მანამდე არავის ხმაში რომ არ მიგრძვნია. - გახსენი. მინდა, რომ ის შენი იყოს. [P  
SEP]

უხალისოდ დავინწყე შეფუთულის გახსნა. ქალაღდი ბოლომდე რომ მოვაცილე, სათუთად მოგვიდე ხელი, მეშინოდა, არ დავაზიანო-მეთქი. მონუსხულივით დავაშტერდი, ხელი ნელა გადავუსვი, გვარიანად გაცვეთილი ტყავის ყდა თითებით მოვსინჯე და თვალეები ცრემლებით ამევსო. ჭეიმი ჩემკენ გადმოიხარა და ხელით ხელზე შემეხო. თბილი და რბილი ხელი ჰქონდა. [P  
SEP]

ისე შევხედე, არ ვიცოდი, რა მეთქვა. [P  
SEP]

ჭეიმიმ თავისი ბიბლია მაჩუქა. [P  
SEP]

- ყველაფრისთვის გმადლობ, ყველაფრისთვის, რაც გააკეთე! ასეთი შობა არასოდეს მექონია. [P  
SEP]

არაფერი მითქვამს, ისე მივბრუნდი და ჩემი ჭიქა ავიღე, რომელშიც პუნში მესხა და იქვე, მაგიდაზე იდგა. „ჩუმი ღამის“ პანგები ისევ ისმოდა ოთახში. ყელი გამშრალი მქონდა და ერთი ყლუპი პუნში მოვსვი. ამ მომენტში ჭეიმოსთან გატარებულ ყოველ ნუთს ვიგონებდი. ვფიქრობდი იმ ცეკვებზეც და იმაზეც, რამდენი რამე გააკეთა მაშინ ჩემთვის. სპექტაკლიც გამახსენდა და ისიც, თუ როგორ ჰგავდა ნამდვილ ანგელოზს. ისიც მომაგონდა, როგორ ვეხმარებოდი ობლებისთვის ფულის შეგროვებაში და ქილების ასაკრეფად მაღაზიიდან მაღაზიაში და კაფედან კაფეში დავებოდი. [P] [SEP]

ამასობაში სუნთქვა ნელ-ნელა დამინწყნარდა. ჭერ ჭეიმოს შევხედე, მერე ჭერს, მერე ოთახში მიმოვიხედე, ყველანაირად ვცდილობდი, დავმშვიდებულიყავი, მერე მზერა ისევ ჭეიმოზე გადავიტანე. გამიღიმა, მეც გავუღიმე. ჩემი თავის მიკვირდა - ნუთუ შეიძლებოდა, რომ მე ჭეიმი სალივანისნაირი გოგო შემყვარებოდა? [P] [SEP]

[P]  
[SEP]

## თავი 10 [P] [SEP]

იმ ღამეს ბავშვთა სახლიდან ჭეიმი სახლში მანქანით წავიყვანე. ვიფიქრე, მხარზე ხელს გადავხვევ და საჭეს ისე ვმართავ-მეთქი, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ზუსტად არ ვიცოდი, რა გრძნობა ჰქონდა ჩემ მიმართ. ისეთი ძვირფასი საჩუქარი, როგორიც მან მაჩუქა, ცხოვრებაში არავისგან მიმიღია, მაგრამ მაინც ზუსტად ვიცოდი, რომ ამ წიგნს არასოდეს გადავშლიდი და ჭეიმივით მის კითხვას არ

დავინყებდი; იმასაც ვხვდებოდი, რომ ამ წიგნის ჩუქებით საკუთარი თავის ნაწილიც მაჩუქა. მაგრამ ჭეიმის თავისუფლად შეეძლო, ცალი თირკმელი ამოეჭრა და ქუჩაში სრულიად უცნობი გამვლელისთვის ეჩუქებინა, თუ იმას ეს ნამდვილად დასჭირდებოდა. ამიტომ წარმოდგენა არ მქონდა, როგორ უნდა მოვექცეულიყავი. <sup>[SEP]</sup>

ჭეიმმ ერთხელ მითხრა, სულელი კი არ ვარო; ბოლოს მეც მივხვდი, რომ სულელი მართლა არ იყო. შეიძლება... ნუ... ცოტა განსხვავებული იყო, მაგრამ იმას, ალბათ, მაინც მიხვდა, რა გავაკეთებოლი ბავშვებისათვის. მგონი, ჯერ კიდევ მაშინ მიხვდა, როცა მისაღები ოთახის იატაკზე ვისხედით და ფულს ვითვლიდით; მაშინ ამას სასწაული უნოდა. მგონი, მე მგულისხმობდა. <sup>[SEP]</sup>

მახსოვს, მაშინ ოთახში ჰეგბერტი შემოვიდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მოხუცი ჰეგბერტი ამ ბოლო დროს საკუთარ თავს აღარ ჰგავდა, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენებოდა. თავის ქადაგებებში ახლაც სულ ფულზე და მრუშებზე ლაპარაკობდა, მაგრამ - წინანდელზე მოკლედ. ზოგჯერ შუა ქადაგების დროს გაირინდებოდა სახეზე უცნაური გამომეტყველებით, თითქოს სხვა რამეზე ფიქრობდა, რაღაც ანუხებდა. <sup>[SEP]</sup>

არ ვიცოდი, რა მეფიქრა, მით უმეტეს, რომ კარგად არც ვიცნობდი. ჭეიმი მამამისს ისე ახასიათებდა, იფიქრებდით, სხვა ვიღაცაზე ლაპარაკობსო. ჰეგბერტი და კარგი იუმორი ერთად ისევე ვერ წარმომედგინა, როგორც ორი მთვარე ცაზე! <sup>[SEP]</sup>

მოკლედ, როცა ფულს ვითვლიდით, ოთახში ჰეგბერტი შემოვიდა.

თვალცრემლიანი ჭეიმი წამოდგა. ჰეგბერტმა თითქოს ვერ შეამჩნია, ოთახში რომ ვიყავი. შვილს უთხრა, შენით ვამაყოფ და ძალიან მიყვარხარო და ისევ სამზარეულოში გაფრატუნდა, ქადაგების ტექსტზე მუშაობა უნდა გაეგრძელებინა. არც კი მომესალმა. უკვე ვიცოდი, რომ ჩვენს მრევლში დიდი სულიერებით არ გამოვიჩრჩეოდი, მაგრამ მისი ასეთი საქციელი მაინც მეუცნაურა. [P SEP]

ამ ფიქრებში რომ ვიყავი, ჭეიმის გავხედე. ფანჯარაში იყურებოდა, მშვიდი სახე ჰქონდა, თითქოს იღიმებოდა კიდევ, მაგრამ მივხვდი, რომ სადღაც შორს იყო. გამეღიმა. ვინ იცის, იქნებ, ჩემზე ფიქრობს-მეთქი, გამიელვა. ხელი მისი სავარძლისაკენ გავაცოცე, მაგრამ სანამ საბურგეს შევეხებოდი, ჭეიმომ დუმილი დაარღვია. [P SEP]

- ლენდონ, - დამიძახა და ჩემკენ შემოტრიალდა, - ღმერთზე თუ ფიქრობ ხოლმე? [P SEP]

ხელი უცებ გამოვნიე. [P SEP]

მაშინ ღმერთზე ფიქრისას თვალწინ მუდამ ის ძველი სურათები წარმომიდგებოდა ხოლმე, ეკლესიებში რომ მენახა - გოლიათური აღნაგობის, პაერში მოლივლივ, თეთრ გრძელ სამოსში გამოწყობილი, გრძელი, მხრებზე დაფენილი თმით, ბეანეული საჩვენებელი თითით ან რაღაც ამის მსგავსი - მაგრამ ვიცოდი, რომ ჭეიმი ახლა ამას არ გულისხმობდა. ის უფლის გეგმაზე ლაპარაკობდა. სანამ პასუხს გავცემდი, წამით შევყოვნდი. [P SEP]

- კი, რა თქმა უნდა, მე მგონი. [P SEP]

- არ გიფიქრია, რატომ ხდება რაღაცეები ასე და არა

სხვაგვარად? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თანხმობის ნიშნად თავი დავეუქნიე. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- ბოლო დროს სულ ამაზე ვფიქრობ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- ჩვეულებრივზე მეტს? - მინდოდა მეკითხა, მაგრამ არ ვკითხე. მივხვდი, რომ კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა და გაჩუმება ვამჯობინე.

<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- ვიცი, რომ ღმერთს თითოეული ჩვენგანისთვის განკუთვნილი გეგმა აქვს, მაგრამ ზოგჯერ ვერ ვხვდები, რის თქმა უნდა. ასეთი რაღაც შენც გემართება? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ისე მეკითხა, თითქოს სულ ასეთ რამეებზე ვფიქრობდი. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- ჰოო, - ისე გავწელე, ვიფიქრე თვალს ავეუხვევ-მეთქი, - ალბათ არ არის საჭირო, ყოველთვის ყველაფერი გვესმოდეს. ზოგჯერ უბრალოდ უნდა გვწამდეს და მორჩა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

რაც მართალია, მართალია, კარგი პასუხი გამომივიდა. მგონი, ჭემისადმი გაჩენილმა გრძნობამ ჩემს ტვინს ჩვეულებრივზე სწრაფი ამროვნება ასწავლა. შევამჩნიე, რომ ჩემმა პასუხმა საგონებელში ჩააგდო. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- კი. მართალი ხარ, - ბოლოს და ბოლოს ჩაილაპარაკა ჭემიმ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

გამეღიმა და საუბრის თემა შევცვალე, რადგან ღმერთზე ლაპარაკი ადამიანს რომანტიკულ განწყობას უკარგავს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- იცი, მართლა სასიამოვნო იყო იმ ნაძვის ხესთან ჯდომა, - ვთქვი სხვათა შორის. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- კი. სასიამოვნო იყო, - დამეთანხმა მაშინვე, მაგრამ მივხვდი, რომ



ფიქრებით სხვაგან იყო. [P]  
[SEP]

- შენც ძალიან ლამაზი იყავი. [P]  
[SEP]

- გმადლობ. [P]  
[SEP]

რაღაც არ გამოდიოდა, საუბარი არ ენცობოდა. [P]  
[SEP]

- შეიძლება რაღაც გკითხო? - ვთქვი იმისათვის, რომ ფიქრებიდან გამომერკვია. [P]  
[SEP]

- რა თქმა უნდა. [P]  
[SEP]

ღრმად ჩავისუნთქე. [P]  
[SEP]

- ხვალ ეკლესიის შემდეგ და ნუ... მას მერე, რაც მამამენტან გაატარებგარკვეულ დროს... შეგიძლია, - გავჩერდი და შევხედე, - შეგიძლია, საშობაო სადილზე ჩემთან სახლში წამოხვიდე? [P]  
[SEP]

სახით ისევ ფანჯრისკენ იყო მიბრუნებული, მაგრამ შევამჩნიე, რომ ჩაელიმა. [P]  
[SEP]

- კი, ლენდონ. დიდი სიამოვნებით მოვალ. [P]  
[SEP]

შვებით ამოვისუნთქე. მე თვითონაც არ მჯეროდა, რომ ასეთი რამ ვთხოვე და მიკვირდა, როგორ მოვახერხე-მეთქი. ქუჩები საშობაო ნათურებით იყო მორთული. უკვე ბიუფორტის მოედანზე ვიყავით. ცოტა ხანში ხელი ისევ გავაპარე მისი სავარძლისკენ და ხელში ჩავკიდე. ჭიმის ხელი არ წაურთმევია. ეს ამ მშვენიერი საღამოს დაგვირგვინება იყო. [P]  
[SEP]

როცა მანქანა მისი სახლის წინ გავაჩერე, მისაღებ ოთახში შუქი ისევ ენთო და ფარდის უკან ჰეგბერტის სილუეტი მოჩანდა. ვიფიქრე, ალბათ, იმიტომ არ სძინავს, რომ აინტერესებს, ბავშვთა სახლში

სალამომ როგორ ჩაიარა, ან ეშინია, დამშვიდობებისას ჩემს ქალიშვილს არ აკოცოსო. ვიცოდი, ჰეგბერტს ეს არ მოეწონებოდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მანქანიდან რომ გადმოვედით და კარისკენ წავედით, თავს ვიმტვრევდი, დამშვიდობებისას როგორ მოვიქცე-მეთქი. ჭეიმი დუმიდა. ეტყობოდა, რომ კმაყოფილი იყო ამ დღით. ჩემი აზრით, ისიც ახარებდა, რომ მეორე დღისთვის სადილად დავპატიჟე. მახსოვს, ვფიქრობდი, რადგან იმდენად ჭკვიანია, რომ მიხვდა, რაც გავაკეთე ობლებისთვის, ალბათ ამ დაპატიჟების ამბავშიც გაერკვევა-მეთქი. მგონი ნამდვილად მიხვდა, რომ ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ჩემი ნებით დავპატიჟე. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

კიბეზე ასვლისას დავინახე, რომ ჰეგბერტმა ფარდიდან გამოიჭყიტა და მერე ისევ მიიმალა. ზოგიერთი მშობელი (ანჭელასი, მაგალითად), როგორც კი დაინახავდა, რომ უკვე მივედით, დაწყნარდებოდა და კარს მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ გააღებდა; ეს დრო კი გვეყოფოდა იმისთვის, რომ ერთმანეთისთვის თვალებში ჩაგვეხედა და გვეკოცნა. ამას ნამდვილად მოვასწრებდით. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

არ ვიცოდი, მაკოცებდა თუ არა ჭეიმი; ეჭვი მეპარებოდა. მაგრამ ახლა ისეთი ლამაზი იყო, თმაც გაშლილი ჰქონდა, თან ამ სალამოს იმდენი რამ მოხდა, რომ ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვება არ მინდოდა, თუ რა თქმა უნდა, გამომივიდოდა. მაგრამ როცა ჰეგბერტმა კარი გამოაღო, ვიგრძენი, რომ მუცელი ამიბუყბუყდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- მანქანის ხმა გავიგონე, - წყნარად თქვა მან. კანი, როგორც ყოველთვის, ახლაც მოყვითალო ფერის ჰქონდა, მაგრამ უცნაურად

დადღლილი ჩანდა. [P]  
[SEP]

- სალამი, ღირსო მამა სალივან! - ვთქვი სერიოზული ხმით. [P]  
[SEP]

- გამარჯობა, მამიკო! - ბედნიერი ღიმილით მიესალმა ჭეიმი. -  
ნეტავ შენც წამოსულიყავი, საოცარი სალამო იყო! [P]  
[SEP]

- მიხარია, რომ კმაყოფილი ხარ, - გონება მოიკრიბა ჰეგბერტმა და  
ჩაახველა. - კარგი, დასამშვიდობებლად ცოტა დროს მოგცემთ. კარს  
ღიად დავტოვებ. [P]  
[SEP]

შეტრიალდა და მისაღებ ოთახში შევიდა. მივხვდი, რომ სადაც  
იჭდა, იქიდან მშვენივრად გვხედავდა. თავი ისე ეჭირა, თითქოს  
კითხულობდა, მაგრამ ვერ ვხედავდი, ხელში რა ეკავა. [P]  
[SEP]

- ლენდონ, მშვენიერი დრო გავატარე. [P]  
[SEP]

- მეც. [P]  
[SEP]

ჰეგბერტის მზერას ვგრძნობდი. უცებ გამიელვა, ნეტავ, იმაზე რას  
იტყოდა, მანქანაში მისი შვილის ხელი ხელში რომ მეჭირა-მეთქი? [P]  
[SEP]

- ხვალ რომელ საათზე მოვიდე? - მკითხა ჭეიმი. [P]  
[SEP]

ჰეგბერტმა წარბი ოდნავ ზემოთ აზიდა. [P]  
[SEP]

- მე გამოგივლი. ხუთ საათზე განყოფს? [P]  
[SEP]

მხარს ზემოთ მამას გაჰხედა და გასძახა: [P]  
[SEP]

- მამიკო, წინააღმდეგი ხომ არ იქნები, ხვალ ლენდონთან და მის  
მშობლებთან რომ წავიდე სტუმრად? [P]  
[SEP]

ჰეგბერტმა ხელი თვალებთან მიიტანა და მოისრისა. ამოიოხრა. [P]  
[SEP]

- თუ შენთვის მნიშვნელოვანია, შეგიძლია, წახვიდე. [P]  
[SEP]

დიდად ხალისიანი თანხმობა არ იყო, მაგრამ მაინც გამეხარდა. [P]  
[SEP]

- რა მოვიტანო? - მკითხა ჭეიმიმ. ეს ტრადიციული კითხვაა სამხრეთში. [P] [SEP]

- არაფერი არ არის საჭირო. ხვალ, ხუთს რომ თხუთმეტი დააკლდება, გამოგივლი. [P] [SEP]

კიდევ ერთ ნამს ვიდევით. ხმას არც ერთი არ ვიღებდით. უცებ მივხვდი, რომ ჰეგბერტი უკვე მოთმინებას კარგავდა. რაც იქ ვიდევით, ნიგნის არც ერთი გვერდი არ გადაუფურცლავს. [P] [SEP]

- კარგი. ხვალ გნახავ, - თქვა ჭეიმიმ ბოლოს. [P] [SEP]

- კარგი. [P] [SEP]

ერთი წამით თავისი ფეხისაკენ გააპარა მზერა, მერე ისევ მე ამომხედა. [P] [SEP]

- გმადლობ, რომ სახლამდე მომიყვანე. [P] [SEP]

ამის თქმა იყო, მიტრიალდა და შინ შევიდა. კარს რომ ხურავდა, მისი სახე ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გაანათა. [P] [SEP]

მეორე დღეს ზუსტად დანიშნულ დროს მივაკითხე. თმა კვლავ გაშლილი ჰქონდა, რაც კარგად მენიშნა. ჩემი ნაჩუქარი სვიტერი ეცვა. წინა საღამოს მოცემული პირობა შეასრულა. [P] [SEP]

დედასაც და მამასაც ცოტა გაუკვირდათ, როცა ვკითხე, წინააღმდეგები ხომ არ იქნებით, სადილად ჭეიმი რომ გვეწვიოს-მეთქი. ამას განსაკუთრებული მომზადება არ სჭირდებოდა - როცა მამა შინ იყო, დედა ისედაც იმდენ რამეს აკეთებინებდა მზარეულ ჰელენს, რომ ჭეიმის კი არა, ერთ პატარა არმიასაც თავისუფლად დააპურებდა. [P] [SEP]

ჰო, მართლა, სულ დამავინყდა მზარეული. მოკლედ, სახლში მოსამსახურეც გვყავდა და მზარეულიც, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამის საშუალება გვქონდა, არამედ უფრო იმიტომ, რომ დედაჩემი დიდი ვერაფერი მეოჯახე გახლდათ. ათასში ერთხელ ჩემთვის სენდვიჩს თუ გააკეთებდა, მაგრამ მაშინაც ისე დაითხვრიდა ხელებს მდოგვით, რომ სამი-ოთხი დღე ვეღარ მოიცილებდა. რომ არა ჰქვლინო, მთელი ბავშვობა დამწვარი კარტოფილის პიურესა და დახრუკული სტეიკის ჭამა მომიწევდა. საბედნიეროდ, მამას ამის საშიშროება შეუღლებისტანვე უგრძნია. მზარეულიც და მოსამსახურეც ჩვენთან უხსოვარი დროიდან მუშაობდნენ, მე ჯერ დაბადებული რომ არ ვიყავი, იმ დროიდან. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჩვენი სახლი ბევრ სახლზე დიდი იყო, მაგრამ სასახლე ნამდვილად არ ეთქმოდა, მზარეულისა და მოსამსახურისათვის ცალ-ცალკე ოთახები არ გვქონდა და ამიტომ ისინი ჩვენთან არ ცხოვრობდნენ. მამამ ეს სახლი ისტორიული ფასეულობის გამო იყიდა. აქ ბლექბერდს ნამდვილად არ უცხოვრია (ჩემთვის ეს უფრო საინტერესო იქნებოდა), მაგრამ სამაგიეროდ აქ ერთ დროს თურმე რიჩარდ დობს სპაიტი ცხოვრობდა, კაცი, რომელმაც კონსტიტუციას მოაწერა ხელი. ნიუ ბერნის შემოგარენში, ორმოცი მილის დაშორებით, სპაიტს ფერმაც ჰქონია, სადაც დაუსაფლავებიათ კიდევ. შეიძლება, ჩვენი სახლი ისეთი ცნობილი არ იყო, როგორიც ის, სადაც სპაიტი იყო დაკრძალული, მაგრამ იმდენად ცნობილი კი იყო, რომ მამას ამით კონგრესის დერეფნებში ეტრაბახა და, ყოველთვის, როცა ჩვენს ბაღში მოსეირნე

მამას ვუყურებდი, ვხვდებოდი, რომ ოცნებობდა, თვითონაც მსგავსი მემკვიდრეობა დაეტოვებინა. ეს აზრი მანაღვლიანებდა, რადგან ვიცოდი, რომ რაც არ უნდა გაეკეთებინა, მოხუც სპაიტს მაინც ვერ გაეჭიბრებოდა. ისეთი ისტორიული მოვლენები, როგორიც ვთქვათ, კონსტიტუციაზე ხელის მოწერაა, რამდენიმე საუკუნეში ერთხელ ხდება და ამას ვერც თამბაქოს მწარმოებლებისთვის სუბსიდიების მიცემაზე მსჯელობით დაჩრდილავ და ვერც - „წითელი გავლენის“ წინააღმდეგ ბრძოლით. ამას მეც კი ვხვდებოდი. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ასე იყო თუ ისე, ჩვენი სახლი ეროვნულ ისტორიულ რეესტრში გახლდათ შეტანილი (ახლაც არის, რამდენადაც ვიცი) და მიუხედავად იმისა, რომ ჭეიმი აქ ერთხელ უკვე ნამყოფი იყო, მაინც რალაცნაირი მოწინება ეტყობოდა, როცა შემოვიდა. დედა და მამა საგანგებოდ იყვნენ გამოწყობილები, მეც კარგად მეცვა. ჭეიმის ორივემ ლოყაზე აკოცა. როცა მას დედა კოცნიდა, გამიელვა, დედაჩემმა მაჭობა, ჩემზე ადრე ჭეიმის ამან აკოცა-მეთქი. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მშვენიერი სადილი გვექონდა, ოთხნაირი კერძი მოგვართვის. ყველაფერი საკამაოდ წყნარად ჩატარდა, მაგრამ მოსაწყენი ან რამე ეგეთი არ იყო. ჩემმა მშობლებმა და ჭეიმომ, მის გარბერის სიტყვებით რომ ვთქვა, საუბარი ჩინებულად ააწყვეს. მეც მიხდოდა ჩემი საფირმო ხუმრობების ჩაკერება, მაგრამ არ გამომივიდა, ყოველ შემთხვევაში, ჩემს მშობლებთან მაინც. ჩემს ნათქვამზე მხოლოდ ჭეიმი იცინოდა. ეს კარგად მენიშნა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სადილის შემდეგ ჭეიმი ბალის დასათვალიერებლად წავიყვანე,

ზამთარი იყო, არაფერი ყვაოდა, მაგრამ მაინც. პალტოები ჩავიცვით და ზამთრის გრილ ჰაერზე გავედით. ვხედავდი, როგორ გამოდიოდა ჩვენი ამონასუნთქი პირიდან ორთქლად. [P] [SEP]

- საოცარი მშობლები გყავს, - მითხრა ჭეიმიმ. - ჰეგბერტის ქადაგებები, როგორც მივხვდი, გულთან ახლოს არ მიეტანა. [P] [SEP]

- კი, მშვენიერი. თავისებურად. განსაკუთრებით, დედაჩემია კარგი ქალი. - ასე მართლ იმიტომ კი არ ვთქვი, რომ მართალი იყო, არამედ იმიტომაც, რომ ბავშვები ჭეიმიზე ამბობდნენ ასე. ვიფიქრე, მიხვდება, რასაც ვგულისხმობ-მეთქი. [P] [SEP]

შეჩერდა და ვარდის ბუჩქებს შეხედა. რაღაც კოჟრიან ჭოხებს ჰგავდა. ვერ მივხვდი, რატომ დაინტერესდა ამ ბუჩქებით. [P] [SEP]

- მართალია, რასაც ბაბუაშენზე ამბობს ხალხი? [P] [SEP]

- კი, - მივუგე და შევეცადე, არ შემტყობოდა, რომ არ მესიამოვნა. [P] [SEP]

- სამნუხაროა. ცხოვრებაში ფულზე გაცილებით მნიშვნელოვანი რამეებიც არსებობს. [P] [SEP]

- ვიცი. [P] [SEP]

შემომხედა და ჩამეკითხა: [P] [SEP]

- მართლა იცი? [P] [SEP]

თვალი ავარიდე. არ მკითხოთ, რატომ მოვიქეცი ასე. არ ვიცი. [P] [SEP]

- ვიცი, რომ რასაც ბაბუაჩემი აკეთებდა, არასწორი იყო. [P] [SEP]

- მაგრამ შენ არ გინდა, რომ ეს გამოასწორო, ხომ? [P] [SEP]

- სიმართლე გითხრა, ამაზე არასოდეს მიფიქრია. [P] [SEP]

- რომ შეგეძლოს, გამოასწორებდი? [P] [SEP]

პირდაპირ პასუხს თავი ავარიდე. ჭეიმი შეტრიალდა. ისევ ვარდის დაკოჟრილ ღეროებს მიაშტერდა და უცბად მივხვდი, რომ უნდოდა, მეთქვა, გამოვასწორებდი-მეთქი. თვითონ აუცილებლად ასე მოიქცეოდა, თან არც კი დაფიქრდებოდა. [P]  
[SEP]

- ასე რატომ იქცევი? - წამოვიყვირე ჩემდა უნებურად. უცებ თავი ვეღარ მოვთოკე და ვიგრძენი, როგორ მომანვა სახეზე სისხლი. - რატომ ცდილობ, თავი დამნაშავედ მაგრძნობინო? მე ხომ არაფერი დამიშავებია იმის გარდა, რომ ამ ოჯახში დავიბადე? [P]  
[SEP]

ხელი გაიწოდა და ტოტს მისწვდა. [P]  
[SEP]

- მაგრამ შენ ხომ შეგიძლია, რაღაცები გამოასწორო, - წყარად მითხრა მან, - როცა ამის საშუალება გექნება? [P]  
[SEP]

მივხვდი, რასაც გულისხმობდა. გულის სიღრმეში ისიც ვიცოდი, რომ მართალი იყო. მაგრამ ასეთი გადანყვეტილების მიღებიდან ჯერ ძალიან შორს ვიყავი, თუ საერთოდ ვიზამდი ამას. მაშინ ვთვლიდი, რომ გაცილებით მნიშვნელოვანი რაღაცეები მქონდა გასაკეთებელი. საუბრის თემა შევცვალე და ჩემთვის უფრო საინტერესო საკითხზე დავიხიე ლაპარაკი. [P]  
[SEP]

- მამაშენს მოვწონვარ? - ეს იმიტომ ვკითხე, რომ მაინტერესებდა, კიდევ დამრთავდა თუ არა ჰეგბერტი ჭეიმის ნახვის ნებას. [P]  
[SEP]

ერთ წამს შეჩერდა. [P]  
[SEP]

- მამა ჩემზე ნერვიულობს. [P]  
[SEP]

- ყველა მშობელი ეგრე არ არის? [P]  
[SEP]

ჯერ ფეხებზე დაიხედა, მერე გვერდზე გაიხედა და მერეღა



შემოტრიალდა ჩემკენ. [P]  
[SEP]

- არა. მგონი, ის სულ სხვანაირად ნერვიულობს. თუმცა ის კი ნამდვილად იცის, რომ შენთან ყოფნისას ბედნიერი ვარ. ამიტომაც გამომიშვა შენს ოჯახში სადილად. [P]  
[SEP]

- ძალიან მიხარია, რომ გამოგიშვა. - ვუპასუხე გულწრფელად. [P]  
[SEP]

- მეც. [P]  
[SEP]

ერთმანეთს ცვილისფერი ნახევარმთვარის შუქზე ვუცქერდით. კინალამ ვაკოცე, მაგრამ სულ რაღაც ერთი ნამით დამასწრო მიბრუნება და ისეთი რამე თქვა, რომ შევკრთი. [P]  
[SEP]

- მამა შენზეც ნერვიულობს, ლენდონ. [P]  
[SEP]

ეს ისე მითხრა - თან ძალიან რბილად და თან ძალიან სევდიანად - რომ მივხვდი, მამამისს მხოლოდ ჩემი უპასუხისმგებლობა არ აღელვებდა; არც ის, რომ ოდესღაც ხეს ამოფარებული ათას სისულელეს ვეძახდი და არც ის, რომ კარტერების ოჯახიდან ვიყავი. [P]  
[SEP]

- რატომ? [P]  
[SEP]

- იმავე მიზეზით, რის გამოც მე ვნერვიულობ. [P]  
[SEP]

აღარ გააგრძელა. მეც აღარ ჩავეძიე. უკვე ვხვდებოდი, რომ რაღაცას მიმალავდა, რაღაც ისეთს, რის თქმაც არ შეეძლო და რაც ძალიან ანალვლიანებდა. მისი საიდუმლო მოგვიანებით გავიგე. [P]  
[SEP]

დარწმუნებული ვარ, რომ ჭეიმი სალივანისნაირი გოგოს შეყვარება ჩემს ცხოვრებაში ყველაზე უცნაური რამ იყო. მარტო იმიტომ კი არა, რომ ჭეიმის აქამდე ზედ არ ვუყურებდი, მიუხედავად იმისა, რომ ერთად ვიზრდებოდით. უფრო იმიტომ, რომ მის მიმართ ჩემი

გრძნობები ძალიან განსხვავდებოდა იმისგან, რაც აქამდე სხვა გოგოების მიმართ განმეცადა. ჯეიმისთან ყოფნა ანჯელასთან დროსტარებას არ ჰგავდა. ანჯელას ეგრევე ვაკოცე, როგორც კი პირველად დავიმართოხელე. ჯეიმისათვის კი ჯერ არც მეკოცნა, არც ხელი გადამეხვია, არც სესილის კაფეში წამეყვანა და არც - კინოში. მასთან ისეთი არაფერი გამეკეთებინა, რასაც, ჩვეულებრივ, გოგოებთან ვაკეთებდი ხოლმე, მაგრამ მაინც შემეყვარდა. [P]  
[SEP]

საქმე ის იყო, რომ არ ვიცოდი, იმას რა გრძნობები ჰქონდა ჩემ მიმართ. [P]  
[SEP]

რა თქმა უნდა, რაღაც-რაღაცეებს ვგრძნობდი და მხედველობიდან არაფერი მრჩებოდა. ბიბლიის ჩუქება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, თუმცა არც ის გამომჰარვია, რა თვალებით შემომხედა, შობის ღამეს კარი რომ მიიხურა ან თუნდაც ის, რომ როცა ბავშვთა სახლიდან მანქანით მომყავდა, ხელი არ წამართვა. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი რაღაცას ნიშნავდა - უბრალოდ, არ ვიცოდი, ამის შემდეგ რა ნაბიჯი გადამედგა. [P]  
[SEP]

საშობაო სადილის შემდეგ შინ რომ წავიყვანე, ვკითხე, ხომ არაფერი დაშავდებოდა, ზოგჯერ რომ გამოგიარო-მეთქი? მიპასუხა, „მშვენიერი იქნებაო“. ზუსტად ასე მითხრა: „მშვენიერი იქნება“. მისი თავშეკავებული პასუხი შეურაცხყოფად არ მიმიღია, რადგან ჯეიმის სწორედ ასეთი, უფროსებისნაირი ლაპარაკი იცოდა. ალბათ, ამიტომაც გამოსდიოდა მათთან ურთიერთობა ასე კარგად. [P]  
[SEP]

მეორე დღეს სახლში ფეხით მივაკითხე. პირველ რიგში ის შევნიშნე,

რომ ჰეგბერტის მანქანა ეზოში არ იდგა. როცა კარი გამიღო, უკვე ვიცოდი, რომ არ უნდა მეკითხა, შინ შესვლა შეიძლებოდა თუ არა. [P]  
[SEP]

- სალამი, ლენდონ. - ისე მომესალმა, თითქოს ჩემი დანახვა გაუკვირდაო. თმა ისევ გაშლილი ჰქონდა. ეს კარგი ნიშანი იყო. [P]  
[SEP]

- ჯემის გაუმარჯოს. - ვთქვი ძალდაუტანებლად. [P]  
[SEP]

ხელით სკამებზე მანიშნა. [P]  
[SEP]

- მამა სახლში არ არის, მაგრამ თუ გინდა, შეგვიძლია, გარეთ დავსხდეთ... [P]  
[SEP]

ძალიან გთხოვთ, არ მკითხოთ, რა როგორ მოხდა, რადგან მე თვითონაც დღემდე ვერ ამიხსნია. ერთ წამს მის წინ ვიდექი, მეგონა, ვერანდის კუთხისკენ წავიდოდით, მაგრამ სულ სხვა რაღაც გავაკეთე. სკამებისკენ წასვლის ნაცვლად, ერთი ნაბიჯი მისკენ გადავდგი და ხელზე ხელი მოვკიდე, პირდაპირ სახეში შევხედე და კიდევ უფრო ახლოს მივიწიე. უკან არ დაუხევია, მაგრამ თვალები ოდნავ გაუფართოვდა. წამის რაღაც ნაწილში გამიელვა, რომ არასწორად ვიქცეოდი და შევყოყმანდი. არ ვიცოდი, რა მექნა. შევყოვნდი, გავიღიმე და თავი რაღაცნაირად გვერდზე გადავხარე. შემდეგი, რაც მახსოვს, ის იყო, რომ დავინახე, როგორ დახუჭა თვალები და გადახარა თავი გვერდზე იმანაც. მერე მისი სახე სულ ახლოს აღმოჩნდა... [P]  
[SEP]

ეს არ იყო ხანგრძლივი კოცნა და არც ისეთი, ახლანდელ კინოებში რომ აჩვენებენ, მაგრამ საოცარი კი იყო. როგორც კიჩვენი ტუჩები ერთმანეთს შეეხო, იმწამსვე მივხვდი, რომ ეს მოგონება მთელი

ცხოვრების მანძილზე გამყვებოდა. [P]  
[SEP]

## თავი 11 [P] [SEP]

- შენ პირველი ბიჭი ხარ, ვისაც ვაკოცე, - მითხრა ჯეიმსი. [P]  
[SEP]

ახალ წლამდე რამდენიმე დღეა იყო დარჩენილი. მე და ჯეიმი სანაპიროს ფიჭვნარ გორაკზე, თბომაველების რკინის პირსთან ვიდექით. იქამდე მისასვლელად სანაპირო არხზე გადაებულ ხიდზე გადავიარეთ და კუნძულის სიღრმისაკენ გავემართეთ. მანქანით ვიყავით. ახლა იმ ადგილას მიწა მთელ შტატში ყველაზე ძვირი ღირს, მაშინ კი ეს უბრალო ქვიშის დიუნები იყო, რომელიც ზღვისპირა ეროვნულ ტყე-პარკს ესაზღვრებოდა. [P]  
[SEP]

- მივხვდი, რომ პირველი ვარ. [P]  
[SEP]

- როგორ მიხვდი? რამე არასწორად გავაკეთე? - რომ მეტყვა, რაღაც ისე არ გამოგივიდა-თქო, ალბათ, არ ენწყინებოდა, მაგრამ ტყუილი იქნებოდა. [P]  
[SEP]

- შენ ყველაზე მაგარი კოცნა იცი, - ვუთხარი და ხელი ხელზე მოვუჭირე. [P]  
[SEP]

თავი დამიქნია და სადღაც შორს, ოკეანისაკენ გაიხედა. ამ ბოლო ხანს ასეთი რამ დასჩემდა. ცოტა ხანს მეც ვდუმდი, მაგრამ მერე სიჩუმე ვეღარ ავიტანე. [P]  
[SEP]

- ჯეიმი, მოხდა რამე? - ვკითხე ბოლოს. [P]  
[SEP]

პასუხი არ გამცა. მხოლოდ თემა შეცვალა. [P]  
[SEP]

- გყვარებია ვინმე? [P]  
[SEP]

თმაზე ხელი გადავისვი და გაკვირვებით შევხედე.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- რა გაინტერესებს? აქამდე თუ მყვარებია? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ისე ვუპასუხე, როგორც ერიკმა მასწავლა, როგორც ჯემს დინი ამბობდა. ერიკმა დამარიგა, თუ რომელიმე გოგო ოდესმე ასეთ შეკითხვას დაგისვამს, ასე უპასუხო. ერიკი გოგოებთან ურთიერთობაში გაქეცილი იყო. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- სერიოზულად გეკითხები, ლენდონ. - ჯემიმ თავიდან ფეხამდე ამათვალ-ჩამათვალა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ის ფილმები, ალბათ, ჯემისავე ნანახი ჰქონდა. უკვე ვიცოდი, რომ ჯემისთან ყოფნისას თვალის ერთ დახამხამებაში ხან ზეცაში ვფრენდი, ხან კი მიწაზე ვენარცხებოდი. ვერ გეტყვით, მომწონდა თუ არა ჩვენი ურთიერთობის ეს მხარე, მაგრამ სწორედ ეს არ მადლევდა მოდუნების საშუალებას. მისმა შეკითხვამ დამაფიქრა; არ ვიცოდი, რა მეპასუხა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- კი. მყვარებია. - მივუგე ბოლოს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ისევე ოკეანეს უყურებდა. მე მგონი, იფიქრა, რომ ანჯელას ვგულისხმობდი, მაგრამ როცა იმასთან ურთიერთობა გავიხსენე, მივხვდი, რომ ის სხვა, ამისაგან სრულიად განსხვავებული გრძნობა იყო. მაშინ ასეთი არაფერი განმიცდია. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- როგორ მიხვდი, რომ ის სიყვარული იყო? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ზღვიდან მონაბერი სიო თმას ნაზად უწვავდა და მივხვდი, რომ მასთან მაგარი ბიჭის თამაში აღარ მჭირდებოდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- იცი, რა? როცა გიყვარს, გინდა, რომ მხოლოდ იმ ერთთან იყო,

სულ იმასთან და სხვა არავისთან. იმასთან ყოფნა გინდა და სხვა არაფერი და თან იცი, რომ იმასაც იგივე უნდა. [SEP]

ჯემი ჩემს პასუხზე დაფიქრდა და მერე ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა. [SEP]

- გასაგებია, - თქვა რბილად. დაველოდე, სანამ რამეს იტყოდა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს და უცბად სხვა რამესაც მივხვდი. [SEP]

შეიძლება, ჯემი ბიჭებთან ურთიერთობაში გამოცდილი არ იყო, მაგრამ მე კი თავის ჭკუაზე მათამაშებდა. [SEP]

შემდეგ ორ დღეს ისევ შეკრული თმით დადიოდა. [SEP]

ახალი წლის ღამეს ჯემი ვახშამზე დავპატიჟე. ეს ჩვენი პირველი ნამდვილი პაემანი იყო. მორიჰედ სითიში, სანაპიროზე მდებარე პატარა რესტორანში წავედით, რომელსაც „ფლოვინის რესტორანი“ ერქვა. იქ მაგიდებზე სუფრები იყო გადაფარებული, ყველა მაგიდაზე სანთელი ენთო და ყოველ თეფშთან ხუთ-ხუთი წყვილი დანა-ჩანგალი ელაგა. მიმტანები ლაქიებივით შავ-თეთრ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილი. რესტორნის ერთი კედლის გაყოლებით უზარმაზარი ფანჯრები იყო ჩამწკრივებული, იქიდან კი მდორე წყლიდან არეკლილი მთვარის შუქი მოჩანდა. [SEP]

პიანისტიკ ჰყავდათ და მომღერალიც, მაგრამ არა ყოველ ღამეს ან ყოველ შაბათ-კვირას, არამედ მხოლოდ უქმე დღეებში, როცა ბევრ სტუმარს ელოდნენ. ადგილი წინასწარ დავჯავშნე. თავიდან მე დავრეკე, მაგრამ მითხრეს, ადგილები არ გვაქვსო, მერე დედას დავარეკინე და, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, რაღაც

გამოჩნდა. ალბათ, რესტორნის პატრონს მამაჩემთან რაიმე სათხოვარი ჰქონდა, ან, უბრალოდ, მისი განაწყენება არ სურდა, ან ეგონა, რომ ბაბუაჩემი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ან რა ვიცი... [P] [SEP]

პრინციპში, ჯემის სადმე განსაკუთრებულ ადგილას დაპატიჟება დედაჩემის იდეა იყო. რამდენიმე დღით ადრე, ერთ-ერთ იმ დღეს, როცა ჯემის თმა შეკრული ჰქონდა, დედას ჩემი ამბავი მოვუყევი. [P] [SEP]

- დედა, მაგის გარდა, ვერავისზე და ვერაფერზე ვფიქრობ, - გამოვუტყდი მას, - ვიცი, რომ მოვწონვარ, მაგრამ არ ვიცი, ჩემ მიმართ იმასაც იგივე გრძნობები აქვს თუ არა. [P] [SEP]

- ნუთუ ის ამდენს ნიშნავს შენთვის? - მკითხა დედამ. [P] [SEP]

- კი. [P] [SEP]

- აბა, რაები სცადე? [P] [SEP]

- რა უნდა მეცადა? [P] [SEP]

დედას გაელიმა. [P] [SEP]

- პატარა გოგოებს, მათ შორის ჯემისაც, ძალიან უყვართ, როცა აგრძნობინებ, განსაკუთრებული ხარო. [P] [SEP]

ცოტა ხანს დავფიქრდი. დაბნეულივიყავი. აბა მე რას ვაკეთებდი?

[P] [SEP]

- ყოველდღე სახლში ვაკითხავ ხოლმე. [P] [SEP]

დედამ ხელი მუხლზე დამადო. მართალია, დიდი ვერაფერი დიასახლისი იყო და ზოგჯერ რალაცეებში არ მინდობდა, მაგრამ მაინც ძალიან საყვარელი ქალი იყო. [P] [SEP]

- ჰო. შინ მიკითხვა კარგია, მაგრამ არც თუ რომანტიკული. ისეთი

რამე უნდა გააკეთო, რომ მიახვედრო, რას გრძნობ მის მიმართ. [P/SEP]

დედამ მირჩია, სუნამო უყიდევო. ვიცოდი, რომ ჭეიმის ასეთი საჩუქარი ძალიან გაახარებდა, მაგრამ ეს აზრი დიდად მაინც არ მომეწონა. ჰეგბერტი მას კოსმეტიკის გამოყენების უფლებას არ აძლევდა - მხოლოდ მაშინ დართო ნება, როცა ანგელოზის როლს ასრულებდა. ამიტომ დარწმუნებული ვიყავი, რომ არც სუნამოს დაანებებდა. ასეც ვუთხარი დედას. მერე მირჩია, სადილად რესტორანში დაპატიჟეო. [P/SEP]

- ფული აღარ მაქვს, - მივუგე ნაღვლიანად. ჩემი ოჯახი მდიდარი იყო, ჭიბის ფულს ყოველთვის მაძლევდნენ, მაგრამ ძალიან მალე თუ შემომეხარჯებოდა, აღარ მიმატებდნენ ხოლმე. „ასე პასუხისმგებლობის გრძნობა გაგიჩნდება“, - მითხრა ერთხელ მამამ. [P/SEP]

- რა უყავი, ბანკში რომ ფული გქონდა? - მკითხა დედამ. [P/SEP]

ამოვიოხხრე. დედა ჩუმად მისმენდა, მე კი ვუხსნიდი, რაში დავხარჯე ის ფული. თხრობას რომ მოვრჩი, მის სახეზე კმაყოფილება შევნიშნე, თითქოს მიხვდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, გავიზარდე. [P/SEP]

- კარგი, არა უშავს. მაგას მე მივხედავ. შენ გაარკვიე, უნდა თუ არა წამოსვლა და თუ გამოუშვებს ღირსი მამა სალივანი. თუ წამოვა, გპირდები, რამეს მოვახერხებთ. [P/SEP]

მეორე დღეს ეკლესიაში წავედი. ვიცოდი, რომ ჰეგბერტი თავის კაბინეტში იქნებოდა. ჭეიმის ჯერ არაფერი არ ვუთხარი, რადგან ვიცოდი, რომ რესტორანში წამოსასვლელად მამამისის ნებართვა დასჭირდებოდა და გადავწყვიტე, პირველად ჰეგბერტისთვის მეკითხა.



ასე ალბათ იმიტომ მოვიქცევი, რომ ჰეგბერტი დიდი სიხარულით არ მეგებებოდა, როცა მათთან სტუმრად მივდიოდი. მათი სახლისაკენ მიმავალ ბილიკზე რომ დამინახავდა, - ჯემის მსგავსად, მასაც მეექვსე გრძნობა კარნახობდა, რომ მივდიოდი - ფარდას აწევდა, გამოიხედავდა და ისევ ჩამოაფარებდა, თითქოს, ვერ დავინახავდი. კარზე რომ დავაკაკუნებდი, გვიან მიღებდა, აქაოდა, სამზარეულოდან მოვდივარო. ჯერ კარგა ხანს მათვალაიერებდა, მერე ამოიოხრებდა, თავს გადააქნევდა და ბოლოსღა მეტყოდა გამარჯობას. [P/SEP]

მისი კარი ღია იყო და ღრიჭოში დავინახე, რომ სანერ მაგიდასთან იჯდა და ცხვირზე სათვალე ჰქონდა წამოსკუპული. რაღაც ქაღალდებს ჩასცქეროდა - ფინანსურ ანგარიშებს ჰგავდა - მივხვდი, რომ მომავალი წლის ბიუჯეტს ანგარიშობდა. რას იზამ, გადასახადებს მღვდლებიც იხდიან. [P/SEP]

კარზე დავაკაკუნე და ცნობისმოყვარე მზერით ამომხედა, თითქოს მრევლის რომელიმე წევრის მოსვლას ელოდაო, მაგრამ მე რომ დამინახა, წარბები შეჭმუნა. [P/SEP]

- გამარჯობა, ღირსო მამაო, - თავაზიანად მივესალმე, - ერთი წამით გცალიათ? [P/SEP]

ჩვეულებრივზე მეტად დაღლილი ჩანდა. გავიფიქრე, ალბათ ცუდად არის-მეთქი. [P/SEP]

- გამარჯობა, ლენდონ, - ჩაილაპარაკა დაქანცული ხმით. [P/SEP]

ამ შეხვედრისათვის ძალიან ოფიციალურად გამოვეწყე, პიტაკი მეცვა და ჰალსტუხიც მეკეთა. [P/SEP]

- შეიძლება, შემოვიდე? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თავი ძლივს შესამჩნევად დამიქნია. მის კაბინეტში შევედი. ხელით მანიშნა, სანერი მაგიდის მოპირდაპირე მხარეს მდგომ სკამზე დავმჯდარიყავი. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- რით შემიძლია დაგეხმარო? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სკამზე ნერვიულად გავსწორდი. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- იცით, სერ, რაღაც მინდოდა, მეთხოვა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ცოტა ხანს მომაშტერდა, მერელა მიპასუხა: <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- ჭემის ეხება? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- მინდოდა, მეკითხა, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, ახალი წლის ღამეს სადილად რომ დავპატიჟო? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ამოიოხრა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- სულ ეს არის? - ჩაილაპარაკა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- დიახ, სერ. როცა ინებებთ, შინ იმ დროს მოვიყვან. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სათვალე მოიხსნა, ცხვირსახოციტ განმინდა და კვლავ ცხვირზე გაიკეთა. მივხვდი, რომ დროის მოგებას ცდილობდა. დასაფიქრებლად დრო სჭირდებოდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- შენი მშობლებიც მოდიან? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- არა, სერ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- ასეთ შემთხვევაში, ალბათ, ვერ წამოვა. მაგრამ მაინც დიდი მადლობა, ნებართვა ჯერ მე რომ მთხოვე. - კვლავ ფურცლებს დახედა, რითაც მაგრძნობინა, შენი წასვლის დროაო. ავდექი და კარისაკენ წავედი. ის-ის იყო უნდა გავსულიყავი, რომ კვლავ მისკენ

შევტრიალდი. [P]  
[SEP]

- ღირსო მამაო! [P]  
[SEP]

თავი ასწია. გაუკვირდა, ისევ იქ რომ დამინახა. [P]  
[SEP]

- ბოდიში მინდა მოგიხადოთ იმისათვის, რასაც პატარაობაში ჩავდიოდი ხოლმე; იმაზეც ბოდიშს ვიხდი, რომ ჭემის ყოველთვის ისე არ ვექცეოდი, როგორც იმსახურებდა. მაგრამ ამიერიდან ყველაფერი შეიცვლება. გპირდებით. [P]  
[SEP]

ისე შემომხედა, თითქოს ჩემს სულში ჩახედვა უნდოდა. არც ეს იყო საკმარისი. [P]  
[SEP]

- მე ის მიყვარს, - ვთქვი ბოლოს. ამის გაგონებაზე მთელი ყურადღება ისევ ჩემზე გადმოიტანა. [P]  
[SEP]

- ვიცი, რომ გიყვარს, - ჩაილაპარაკა ნაღვლიანად, - მაგრამ არ მინდა, რომ მას გულიეტკინოს. - შეიძლება მომეჩვენა, მაგრამ დავინახე, რომ თვალები აუნყლიანდა. [P]  
[SEP]

- არ ვატყენ. [P]  
[SEP]

ბურგი შემაქცია და ფანჯარაში გაიხედა. უყურებდა, როგორ ნვალეებით მიიკვლევდა მზე გზას ზამთრის ღრუბლიან ცაზე. ნაცრისფერი დღე იყო, ცივი და სასტიკი. [P]  
[SEP]

- შინ ათი საათისათვის მოიყვანე, - ისე თქვა ბოლოს, თითქოს იცოდა, რომ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. [P]  
[SEP]

გავიღიმე. მინდოდა, მადლობა გადამეხადა, მაგრამ გავჩუმდი. მივხვდი, რომ მართო სურდა დარჩენა. კარისკენ რომ მივდიოდი, თვალი მისკენ გავაპარე. სახტად დავრჩი, ხელებში თავჩარგული რომ

დავინახე. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჭეიმი ერთი საათის მერე დავპატიჟე. თავიდან თქვა, არა მგონია, წამოსვლა შევძლოო, მაგრამ ვუთხარი, მამაშენმა უკვე იცის და თანახმაა-მეთქი. მივხვდი, რომ თან გაუკვირდა და თან ესიამოვნა, ასე რომ მოვიქეცი. ის კი აღარ მითქვამს, ჰეგბერტი ლამის ტიროდა, ოთახიდან რომ გამოვდიოდი-მეთქი. გარდა იმისა, რომ ჰეგბერტის ბოლომდე არ მესმოდა, არც ის მინდოდა, ჭეიმის ენერჯიულა. იმ საღამოს დედასაც ველაპარაკე. დედამ ყველაფერი ამიხსნა და ჩემთვის ბევრი რამ ნათელი გახდა. ჰეგბერტი ალბათ ხვდებოდა, რომ მისი გოგონა გაიზარდა და მის თავს თანდათან მე ვართმევდი. ყოველ შემთხვევაში იმედი მქონდა, რომ ასე იყო. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ზუსტად დანიშნულ დროს მივაკითხე. არ მითხოვია, თმა გაიშალე-მეთქი, მაგრამ ჩემი ხატრით თვითონ გაეშალა. ხიდზე უხმოდ გადავედით, სანაპიროს გავუყევით და რესტორანში შევედით. ადმინისტრატორის მაგიდას რომ ვუახლოვდებოდით, თავად პატრონი შემოგვეგება და ჩვენს მაგიდასთან მიგვიყვანა. ეს მთელს რესტორანში საუკეთესო ადგილი იყო. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

რესტორანი ხალხით იყო გადატენილი. ყველა ერთობოდა. საახალწლოდ ყველა მოდურად იყო გამოწყობილი. ჩვენს გარდა თინეიჯერი არავინ იყო, მაგრამ ჩვენც გადასარევად ვგრძნობდით თავს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ფლოვინის რესტორანში ჭეიმი პირველად იყო. რამდენიმე წუთს აქაურობას უხმოდ ათვალიერებდა. ადგმნებული და ბედნიერი ჩანდა

და მივხვდი, რომ დედამ სწორი რჩევა მომცა. [P]  
[SEP]

- შესანიშნავია, - მითხრა ბოლოს, - გმადლობ, რომ აქ მომიყვანე.

[P]  
[SEP]

- ძალიან მიხარია, თუ მოგნონს, - მიეუგე ნასიამოვნებმა. [P]  
[SEP]

- აქ სხვა დროსაც ყოფილხარ? [P]  
[SEP]

- კი. რამდენჯერმე. დედაჩემი და მამაჩემი ზოგჯერ მოდიან ხოლმე აქ, როცა მამა ვაშინგტონიდან ჩამოდის. [P]  
[SEP]

ფანჯრიდან გაიხედა და გაჩახჩახებულ გემს მიაშტერდა, რომელიც იმ ნუთს რესტორნის წინ მიცურავდა. რაღაც ერთი წამით გაოცებისაგან ხმაც ვერ ამოიღო, ბოლოს ესლა თქვა: [P]  
[SEP]

- საოცრად ლამაზი ადგილია! [P]  
[SEP]

- შენც ძალიან ლამაზი ხარ. [P]  
[SEP]

ჭიმის ლოყები შეეფაკლა. [P]  
[SEP]

- კარგი, რას ამბობ! მატყუებ? [P]  
[SEP]

- არა. არ გატყუებ. [P]  
[SEP]

სადილის მოლოდინში ხელიხელჩაკიდებულები ვისხედით და ბოლო თვეებში მომხდარ ამბებს ვისხენებდით. სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავი ცეკვებიც მოვიგონეთ; ბევრი იცინა, როცა ბოლოს და ბოლოს გამოვუტყდი, რატომაც დავპატიჟე. თან ეშმაკურად მიყურებდა და მივხვდი, რომ უთქმელადაც ყველაფერი იცოდა. [P]  
[SEP]

- კიდევ ხომ არ დამპატიჟებდი? - გამომაჯავრა უბოროტოდ. [P]  
[SEP]

სადილი უგემრიელესი იყო. ორივემ ზღვის ქორჭილა და სალათები შევუკვეთეთ. როცა ოფიციალტმა ჩვენი ცარიელი თეფშები მაგიდიდან

აალაგა, მუსიკაც დაიწყო. ერთ საათში უკვე სახლში უნდა წამეყვანა, ამიტომ სასწრაფოდ დავტაცე ხელი და საცეკვაოდ გავიყვანე. <sup>[P]</sup><sub>SEP</sub>

თავიდან მხოლოდ ჩვენ ვცეკვავდით და მთელი დარბაზიც მხოლოდ ჩვენ შემოგვცქეროდა. იატაკზე ვბზრიალებდით. მგონი, ყველა ხვდებოდა, რას განვიცდიდით იმ წუთებში ერთმანეთის მიმართ; გვიყურებდნენ და თავიანთი ახალგაზრდობა აგონდებოდათ. სევდიანად იღიმებოდნენ. დარბაზი ნახევრად ჩაბნელებული იყო და როცა წყნარი მელოდია დაიწყო, ჯეიმი თითქმის ჩავიხუტე, თვალები დავხუჭე და შევეცადე, გამეხსენებინა, ასეთი სრულყოფილი ბედნიერება ცხოვრებაში ოდესმე თუ განმეცადა; ვიცოდი, რომ არა - ასეთი რამ მანამდე არასოდეს მომსვლია. <sup>[P]</sup><sub>SEP</sub>

მე შეყვარებული ვიყავი. ეს გრძნობა ბევრად უფრო საოცარი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. <sup>[P]</sup><sub>SEP</sub>

ახალი წლის შემდეგ კვირანახევარი ერთად გავატარეთ. ვაკეთებდით იმას, რასაც ასეთ დროს შეყვარებულები აკეთებენ, თუმცა ზოგჯერ დაღლილი და გულგრილი მეჩვენებოდა ხოლმე. მდინარე ნიუზის სანაპიროზე დავდიოდით, წყალში ქვებს ვისროდით, ვლაპარაკობდით და ვუყურებდით, როგორ ცვიოდნენ ეს ქვები წყალში დგაფუნით, ხანაც ფორტ მაკონის მახლობელ სანაპიროზე მივდიოდით. მართალია, ზამთარი იყო, ოკეანეს ტყვიის ფერი ედო, მაგრამ სანაპიროზე ხეტიალი მაინც გვსიამოვნებდა. დაახლოებით ერთ საათში ჯეიმი უკვე შინ მიმყავდა, მანქანაში კი ხელიხელჩაკიდებულები ვისხედით ხოლმე. ზოგჯერ მეგონა, საცაა

ჩათვლემს-მეთქი, ხანდახან კი ჩაირთვებოდა და იმდენს ილაპარაკებდა, სიტყვას არ ჩამაკერებინებდა. [P] [SEP]

რა თქმა უნდა, ჭეიმოსთან ყოფნა ისეთი რალაცეების კეთებასაც გულისხმობდა, რაც მას სიამოვნებდა. მართალია, ბიბლიის შემსწავლელ გაკვეთილებს არ ვესწრებოდი - არ მინდოდა, მის წინაშე იდიოტად გამოვჩენილიყავი, - მაგრამ ბავშვთა სახლში ორჯერ კიდევ ვიყავი. ყოველ მისვლაზე თავს უფრო და უფრო შინაურად ვგრძნობდი. ერთხელ შეამცივნა და ცოტა ადრე მოგვიხდა წამოსვლა. მართალია, ასეთ ამბებში გამოუცდელი ვიყავი, მაგრამ მეც კი შევნიშნე, რომ სახე ანითლებული ჰქონდა. [P] [SEP]

ჩვენ იმის მერეც ვკოცნიდით ხოლმე ერთმანეთს, მაგრამ არა ყოველი შეხვედრისას და მე კოცნაზე შორს წასვლა არც კი მიცდია... არ იყო საჭირო. რალაც მშვენიერი ხდებოდა, როცა მას ვკოცნიდი - რალაც ნაზი და მართალი - და მე ესეც მყოფნიდა. რაც მეტს ვკოცნიდი, მით მეტად ვრწმუნდებოდი, რომ მთელი მისი ცხოვრების მანძილზე ჭეიმოს არასწორად ვაფასებდით, როგორც მე თვითონ, ისე სხვებიც. [P] [SEP]

ჭეიმი არ იყო მარტო მღვდლის ქალიშვილი და არც მარტო კეთილი და სათნო არსება, რომელსაც ბიბლიას კითხვა უყვარდა და ყველას ეხმარებოდა. ამასთან ერთად, ის იყო სრულიად ჩვეულებრივი ჩვიდმეტი წლის გოგო, ჩემნაირი ოცნებებითა და ჩემნაირი ეჭვებით შეპყრობილი. ყოველ შემთხვევაში, ასე მეგონა მანამ, სანამ თავად არ მითხრა. [P] [SEP]

ის დღე არასოდეს დამავინყდება. იმ დღეს სულ ჩუმად იყო, ხმას არ

იღებდა, მე კი უცნაური გრძნობა ამეკვიატა, თითქოს ვგრძნობდი, რომ რაღაც ჰქონდა ჩაფიქრებული. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სესილის კაფედან ვბრუნდებოდით და სახლამდე ვაცილებდი. შაბათი დღე იყო. ორშაბათს სკოლა ინყებოდა. საშინელი ქარი ქროდა, ძვალ-რბილში ატანდა. წინა დილიდან მოყოლებული, ჩრდილო-დასავლეთის ქარი ქროდა. რომ არ გავყინულიყავით, ერთმანეთს ვეკვროდით და ხელმკლავგაყრილები ჩვეულებრივზე ნელა მივდიოდით. ვგრძნობდი, რომ კარგად ვერ იყო. უამინდობის გამო წამოსვლა არც უნდოდა, მაგრამ ჩემი მეგობრების გულისთვის ვთხოვე და ძლივს დავითანხმე. გადაწყვეტილი მქონდა, რომ ბოლოს და ბოლოს დადგა დრო, როცა ჩვენი ურთიერთობის შესახებ იმათაც უნდა გაეგოთ. ბედის ირონიით, სესილის კაფე ცარიელი დაგვხვდა. სხვა ზღვისპირა ქალაქების მსგავსად, შუა ზამთარში სანაპიროს გასწვრივ ჩვენთანაც ყველაფერი კვდებოდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

გზაში ჩუმად იყო და მივხვდი, არ იცოდა, როგორ ეთქვა სათქმელი. მაგრამ საუბრის ასეთ დასაწყისს მაინც არ ველოდი. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- ხალხს უცნაურად ვეჩვენები, არა? - როგორც იქნა, დაარღვია სიჩუმე. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- ვერ გავიგე, ვის გულისხმობ? - პასუხი ისედაც კარგად ვიცოდი, მაგრამ მაინც ვკითხე. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- ჩვენს სკოლებს ვგულისხმობ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- არა, - ვიცრუე წარბმეუხრელად. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ლოყაზე ვაკოცე და მისი ხელი ტანზე ოდნავ მივიჭირე. სახე



დაემანჭა და მივხვდი, რომ ცოტათი ვატკინე. [P]  
[SEP]

- ხომ კარგად ხარ? - ვკითხე შენუხებულმა. [P]  
[SEP]

- კი, მშვენივრად, - მიპასუხა ჭეიმომ. უწინდებური სიმშვიდე დაუბრუნდა და იმავე თემაზე განაგრძო ლაპარაკი. [P]  
[SEP]

- შეიძლება, ერთი რალაც გთხოვო? [P]  
[SEP]

- რაც გინდა, მთხოვე. [P]  
[SEP]

- დამპირდი, რომ ამიერიდან მხოლოდ სიმართლეს მეტყვი, აღარ მომატყუებ, კარგი? [P]  
[SEP]

- კი. რა თქმა უნდა. [P]  
[SEP]

უცბად გამაჩერა და პირდაპირ სახეში შემომხედა. [P]  
[SEP]

- ახლაც მატყუებ, არა? [P]  
[SEP]

- არა, - ვუთხარი ისე, თითქოს თავს ვიცავდი, თან ვერ ვხვდებოდი, საით მიჰყავდა საუბარი, - გპირდები, რომ ამიერიდან მხოლოდ სიმართლეს გეტყვი. [P]  
[SEP]

ვთქვი თუ არა ეს, იმწამსვე მივხვდი, რომ ამ პირობის მიცემას აუცილებლად ვინანებდი. [P]  
[SEP]

გზა ისევ განვაგრძეთ. ჩემი მკლავიდან გამოყოფილ მის ხელს დავხედე და არათითთან უბარმაზბარი სისხლჩაქცევა შევნიშნე. ვერ მივხვდი, საიდან გაჩნდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ წინა დღეს აქ არაფერი ჰქონდა. თავიდან ვიფიქრე, მე ხომ არაფერი ვატკინე-მეთქი. მერეღა მივხვდი, რომ იმ ადგილს არც შევხებივარ. [P]  
[SEP]

- ხალხს უცნაური ვგონივარ, არა? - გამიმეორა ჭეიმომ. [P]  
[SEP]

ამონასუნთქი ჰაერი პირიდან ორთქლად ამომდიოდა. [P]  
[SEP]

-კი, - მივუგე და ამის თქმამ გული მატკინა. [P]  
[SEP]

- რატომ? - მკითხა მან. მონყენილი იყო. [P]  
[SEP]

ცოტა ხანს დაფიქრდი. [P]  
[SEP]

- სხვადასხვა მიზეზის გამო. - ბუნდოვანი პასუხი გავეცი, ვეცადე, ამაზე შორს არ წავსულიყავი. [P]  
[SEP]

- მაინც რატომ? მამაჩემის გამო? თუ იმის გამო, რომ მინდა, ადამიანებს ყოველთვის სიკეთე ვუკეთო? [P]  
[SEP]

ამ თემაზე ლაპარაკის გაგრძელება არ მინდოდა. [P]  
[SEP]

- ჰო. ალბათ, - ვუპასუხე ბუნდოვნად, რადგან უკეთესი ვერაფერი მოვიგონე. გამოტყერილივით ვიყავი. [P]  
[SEP]

ჯეიმი დანაღვლიანდა. ცოტა ხანს უხმოდ მივდიოდით. [P]  
[SEP]

- შენც უცნაურად გეჩვენები? - მკითხა შემდეგ. [P]  
[SEP]

ისე თქვა, გული ჩამწყდა. არ მეგონა, ასე თუ მეტკინებოდა. უკვე მის სახლთან ვიყავით. გავაჩერე და ჩემკენ მოვიზიდე. ვაკოცე. ერთმანეთს რომ მოვცილდით, ძირს დაიხედა. [P]  
[SEP]

თითი ნიკაპქვეშ ამოვდე, თავი ავუწიე და ვაიძულე, ჩემთვის თვალეებში შემოეხედა. [P]  
[SEP]

- შენ საოცარი ადამიანი ხარ, ჯეიმი. ლამაზი, კეთილი, თავაზიანი... მეც მინდა, შენნაირი ვიყო. თუ ვინმეს არ მოსწონხარ ან უცნაურად მიაჩნხარ, ეგ იმათი პრობლემაა. [P]  
[SEP]

ბამთრის ამ სუსხიანი დღისნაცრისფერ ბინდში გავარჩიე, როგორ აუთრთოლდა ქვედა ტუჩი. ტუჩები მეც მიკანკალებდა. უცბად ვიგრძენი, რომ გულიც ამიჩქარდა. თვალეებში ჩავხედე, გულიანად გავუღიმე და

რადგან ამ გრძნობის დამალვა მეტად აღარ შემეძლო, ვუთხარი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

- მიყვარხარ, ჯემი. შენზე კარგი ამ ცხოვრებაში არავინ გამაჩნია.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ასეთი სიტყვები, საკუთარი ოჯახის წევრების გარდა, არასდროს არავისთვის მითქვამს. ადრე ვფიქრობდი, რომ ასეთ რამეს სხვას ვერასოდეს ვეტყოდი; მეგონა, თქმა გამიჭირდებოდა, მაგრამ არ გამიჭირვებია. ასეთი დარწმუნებული არასდროს არაფერში ვყოფილვარ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ამ სიტყვების თქმა იყო და ჯემიმ თავი ჩაღუნა და ტირილი დაიწყო, მთელი სხეულით მომეკრო. ხელები მოვხვიე. ვერ გავიგე, რა ხდებოდა. გამხდარი იყო და მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად მივხვდი, რომ შემეძლო, მთლიანად მომენწყვდია მკლავებში. ამ ბოლო დღეებშიც კი წონაში საგრძნობლად დაეკლო. გამახსენდა, რომ საჭმელს პირს თითქმის არ აკარებდა. ჩემს მკერდში თავჩარგული დიდხანს ტიროდა. არ ვიცოდი, რა მეფიქრა. არც ის ვიცოდი, მასაც იგივე გრძნობა ჰქონდა თუ არა ჩემ მიმართ. არ ვნანობდი, ის სიტყვები რომ ვუთხარი, რადგან სიმართლე იყო. მე ხომ პირობა მივეცი, აღარასოდეს მოგატყუებ-მეთქი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

- გეხვეწები, მაგას ნუ მეუბნები, გთხოვ...<sup>[P]  
[SEP]</sup>

- მაგრამ მე მართლა მიყვარხარ, - გავუმეორე, რადგან მეგონა, რომ არ დაიჭერა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

კიდევ უფრო მწარედ ატირდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

- ძალიან ვწუხვარ, - ჩაიჩურჩულა მან, თან ქვითინებდა - ძალიან, ძალიან ვწუხვარ...<sup>[P]  
[SEP]</sup>

უცხად ყელი გამიშრა. [P]  
[SEP]

- რატომ ნუხხარ? - ვკითხე და უცხად ძალიან, ძალიან მომინდა გამეგო, ასე რა ანუხებდა. - ჩემი ამხანაგების გამო ნუხხარ? იმაზე ნერვიულობ, რას იტყვიან? ეგ მე აღარ მაინტერესებს, აღარ! - ყველაფერზე ვფიქრობდი. დაბნეული და... და შეშინებული ვიყავი. [P]  
[SEP]

კარგა ხანი გავიდა, სანამ ტირილს შეწყვეტდა. მერე გაჩერდა და ამომხედა. ისე ნაზად მაკოცა, თითქოს ლოყაზე ვიღაც გამვლელის ამონასუნთქი შემეხო, მერე ლოყაზე თითი გადამისვა. [P]  
[SEP]

- არ უნდა გიყვარდე, ლენდონ, - მითხრა მან. თვალები დანითლებული და დასიებული ჰქონდა. - შეგვიძლია, მხოლოდ მეგობრები ვიყოთ, შეგვიძლია, ერთმანეთი ვნახოთ... მაგრამ არ უნდა გიყვარდე. [P]  
[SEP]

- რატომ? - ვიყვირე ხმაჩახლეჩილმა. გონზე არ ვიყავი. [P]  
[SEP]

- იმიტომ, რომ - თქვა ბოლოს ყრუ ხმით,- ავად ვარ, ლენდონ, ძალიან ავად. [P]  
[SEP]

იმდენად უცნაურად მეჩვენა, ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა. [P]  
[SEP]

- მერე რა? რამდენიმე დღეში გაგივლის... [P]  
[SEP]

სახეზე სევდიანმა ღიმილმა გადაურბინა და სწორედ მაშინ მივხვდი, რის თქმასაც ლამობდა მთელ დღეს. თვალი თვალში გამიყარა და ბოლოს და ბოლოს ამოთქვა ის, რამაც ფეხქვეშ მინა გამომაცალა: [P]  
[SEP]

- მე ვკვდები, ლენდონ. [P]  
[SEP]

ლექცემია ჰქონია. გასულ ზაფხულს გაუგია. [P]  
[SEP]

ამის გაგონებაზე სახიდან სისხლი დამენრიტა და თვალწინ საშინელი ზმანებები დამიდგა. თითქოს დრო გაიყინა. ყველაფერს მივხვდი, ყველაფერს, რაც ჩვენს შორის მოხდა. მივხვდი, რატომ მთხოვა სპექტაკლში მონაწილეობის მიღება; მივხვდი, წარმოდგენის შემდეგ რატომ ჩაიკრა ჰეგბერტმა გულში და რატომ უთხრა, ჩემი ანგელოზო; მივხვდი, რატომ იყო ჰეგბერტი ყოველთვის ასეთი დაღლილი და რატომ ღიზიანდებოდა, როცა მათთან სახლში მხედავდა; ყველაფერს მივხვდი. [P]  
[SEP]

რატომ უნდოდა, ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისათვის იმ წელს განსაკუთრებული შობა მოენყო... [P]  
[SEP]

რატომ არ ფიქრობდა კოლეჯში ჩაბარებაზე... [P]  
[SEP]

რატომ მაჩუქა თავისი ბიბლია... [P]  
[SEP]

ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ ძალიან გაუგებარიც. [P]  
[SEP]

ჯემი სალივანს ლექცემია ჰქონდა... [P]  
[SEP]

ჯემი, საყვარელი ჯემი კვდებოდა... [P]  
[SEP]

ჩემი ჯემი... [P]  
[SEP]

- არა. არა, - ჩავჩურჩულე სულშეხუთულმა, - რაღაც შეცდომა იქნება... [P]  
[SEP]

მაგრამ არა. შეცდომა არ იყო და როცა თავიდან გამიმეორა ყველაფერი, მთელი ჩემი სამყარო უკუნმა შთანთქა. თავბრუ დამეხვა. მაგრად ჩავებლაუჭე, რომ წონასწორობა არ დამეკარგა. ქუჩაში ვიღაც ქალი და კაცი მოდიოდნენ, თავჩალუნულებს ქუდები ხელით ეჭირათ,

ქარს რომ არ წაედრო. გზაზე ძალღი გადავიდა, გაჩერდა და ბუჩქებს ყნოსვა დაუნყო. გზის გადაღმა ვიღაც დასაკვეც კიბებზე იდგა და ფანჯრიდან საშობაო ნათურებს ხსნიდა. ყველაფერი ჩვეულებრივად იყო, როგორც საერთოდ ცხოვრებაში ხდება ხოლმე. ასეთ რამეებს სხვა დროს ვერც შევამჩნევდი. ახლა კი ძალიან გავბრაზდი. თვალები დავხუჭე, ვიფიქრე, ვგებ ყველაფერმა გაიაროს-მეთქი.<sup>[P SEP]</sup>

- ძალიან ვნუხვარ, ლენდონ, - განუწყვეტლივ იმეორებდა ჯემი, თუმცა, ეს სიტყვები მე უნდა მეთქვა. ამას ახლა ვხვდები, მაშინ კი ისეთი დაბნეული ვიყავი, ხმას ვერ ვიღებდი. <sup>[P SEP]</sup>

გულის სიღრმეში ვიცოდი, რომ არაფერიც არ გაივლიდა. ისევ მოვკიდე ხელი, არ ვიცოდი, სხვა რა მექნა, თვალები ცრემლით ამევსო. მინდოდა, კლდესავით მაგრად დავმდგარიყავი, - მას ახლა ასეთი ვჭირდებოდი, - მაგრამ ვერ შევძელი. <sup>[P SEP]</sup>

ქუჩაში, მის სახლთან, დიდხანს ვტიროდით ერთად. მაშინაც ვიტყვით, როცა ჰეგბერტმა კარი გაგვიღო და ჩვენი სახეები დაინახა. იმწამსვე მიხვდა, რომ მათი საიდუმლო უკვე მეც ვიცოდი. კიდევ ერთხელ იმ დღეს ვიტყვით, როცა ეს ამბავი დედაჩემს ვუთხარი. დედამ ორივე გულში გაგვიკრა და ისე ხმამაღლა ატირდა, ჩვენი მოსამსახურე და მზარეული ექიმის გამოძახებას აპირებდნენ. ეგონათ, მამაჩემს შეემთხვა რაღაც. კვირას, როცა ჰეგბერტმა ამის შესახებ მთელ მრევლს აცნობა, სახეზე ერთი ნაკვთიც არ უკრთოდა, გამოუთქმელი ტანჯვა და შიში ერთდროულად ჰქონდა აღბეჭდილი. ქადაგების დამთავრება ვერ შეძლო, თავის სკამამდე ხელმკლავით

მიიყვანეს. [P]  
[SEP]

მთელი მრევლი ენაჩავარდნილი იდგა. ეტყობოდათ, გაგონილის დაჭერება უჭირდათ, თითქოს უნდოდათ, ეს ცნობა საშინელი ხუმრობა აღმოჩენილიყო. მერე უცბად მოთქმა-გოდება ატეხეს. [P]  
[SEP]

იმ დღეს კი, როცა ჭეიმიმ ეს ამბავი მითხრა, ჰეგბერტთან ერთად ვისხედით. ჭეიმი მოთმინებით პასუხობდა ჩემს შეკითხვებს. მითხრა, რომ არ იცოდა, რამდენი ჰქონდა დარჩენილი. ექიმები ვერაფრით დაეხმარებოდნენ. ამ დაავადების ძალიან იშვიათი ფორმა ჰქონდა, რომელიც მკურნალობის არსებულ მეთოდებს არ ექვემდებარებოდა. კი, სასწავლო წლის დასაწყისში თავს მშვენივრად გრძნობდა. ამ ავადმყოფობის შედეგები მხოლოდ ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე იგრძნო. [P]  
[SEP]

- ეს ავადმყოფობა ასე ვითარდება, - ამიხსნა ჭეიმიმ, - თავიდან კარგად არის ადამიანი, მაგრამ როცა ორგანიზმს ბრძოლა აღარ შეუძლია, ცუდად ხდება. [P]  
[SEP]

ცრემლები ძლივს შევიკავე, მაგრამ სპექტაკლზე ფიქრს თავიდან ვერ ვიშორებდი. [P]  
[SEP]

- მაგრამ ის რეპეტიციები... ის უსასრულო დღეები... ეგებ ჯობდა, არ... [P]  
[SEP]

- შეიძლება, - თქვა მან, ხელი ხელზე მომკიდა და სიტყვა გამაწყვეტინა, - არა. იმ რეპეტიციებმა გამაძლებინა. [P]  
[SEP]

\*\*\* [P]  
[SEP]

მოგვიანებით მითხრა, რომ დიაგნოზი შვიდი თვის წინ დაუსვეს.

ეჭიბმა კი მას ერთი წელი მისცა, შეიძლება უფრო ნაკლებიც... [P]  
[SEP]

ახლა შეიძლება ყველაფერი სხვანაირად ყოფილიყო. ახლა მას მოარჩენდნენ. ჭეიმი ახლა, ალბათ, იცოცხლებდა. მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ორმოცი წლის წინ ხდებოდა. [P]  
[SEP]

მას მხოლოდ სასწაული თუ იხსნიდა. [P]  
[SEP]

- რატომ არ მითხარი? [P]  
[SEP]

ეს შეკითხვა მისთვის არ დამისვამს, მაგრამ გონებიდან არ მცილდებოდა. იმ ღამეს არ მიძინია, თვალები დასიებული მქონდა. თავიდან შოკში ჩავვარდი, მერე შევეცადე, ეს საზარელი სიმართლე არ დამეჭვრებინა, მერე გავბრაზდი, მერე ისევ შოკში ჩავვარდი და ასე დაუსრულებლად. მთელი ღამე ასე გავატარე. ვნატრობდი, ეს ამბავი მართალი არ აღმოჩენილიყო და ვლოცულობდი, ნეტავ, ყველაფერი კოშმარული სიზმარივით გაქრეს-მეთქი. [P]  
[SEP]

მეორე დღეს, ანუ იმ დღეს, როცა ჰეგბერტმა ჭეიმის ავადმყოფობის შესახებ თავის მრევლს აცნობა, მის მისაღებ ოთახში ვისხედით. 1959 წლის 10 იანვარი იყო. [P]  
[SEP]

ჭეიმი ისე დათრგუნული და სასოწარკვეთილი არ იყო, როგორც მეგონა, რომ იქნებოდა. მაგრამ მან ხომ ეს შვიდი თვის წინ გაიგო. მხოლოდ მან და ჰეგბერტმა იცოდნენ; მეც კი არ მენდნენ, არაფერი მითხრეს. ამან გული მატკინა და შემაშინა კიდევ. [P]  
[SEP]

- ეს გადაწყვეტილება მე მივიღე, - ამიხსნა ჭეიმომ, - გადავწყვიტე, არავისთვის მეთქვა და მამასაც ვთხოვე, ასე მოქცეულიყო. ხომ ნახე, დღეს რა დღეში ჩავარდა ხალხი. თვალეებში ვერავინ მიყურებდა.



მხოლოდ რამდენიმე თვის სიცოცხლე რომ გქონდეს დარჩენილი, ასეთ რამეს ისურვებდი? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მივხვდი, რომ მართალი იყო, მაგრამ ეს დარდს არ მიმსუბუქებდა. ჩემს ცხოვრებაში პირველად ვერ ვხვდებოდი, რა უნდა მექნა, როგორ მოვექცეულიყავი. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჩემი ახლობლებიდან არასოდეს არავინ მომკვდარა, ყოველ შემთხვევაში, ასეთი რამე არ მახსოვდა. ბები ჩემი რომ მოკვდა, სამი წლის ვიყავი და არც მისი წესის აგება და არც მისი სიკვდილის შემდეგი რამდენიმე წელი მეხსიერებაში არ ჩამრჩენია. ბებიას შესახებ მამაც მიამბობდა და ბაბუაც, მაგრამ ეს მონათხრობები ჩემთვის მხოლოდ რაღაც ამბებად რჩებოდა, აი, ვიღაც უცნობი ქალის შესახებ რომ წამეკითხა გაზეთში, ისეთად. მამას ბებიას საფლავზეც დავყავდი, ყვავილების დასაწყობად როცა მიდიოდა ხოლმე, მაგრამ მასთან არანაირი გრძნობა არ მაკავშირებდა. მე მხოლოდ ისინი მიყვარდა, ვინც ბებია მ დამიტოვა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

არც ერთ ჩემს მეგობარს, არავის ჩემს წრეში, მსგავსი რამ არ დამართნია. ჯეიმი მხოლოდ ჩვიდმეტი წლის იყო, ჯერ კიდევ ბავშვი, და კვდებოდა, თუმცა ჯერჯერობით ძალიან ხალისიანად და მხნედ გამოიყურებოდა. შემეშინდა. ასე არასდროს შემშინებია. მარტო ჯეიმის გამო კი არა, ჩემი თავის გამოც მეშინოდა. მეშინოდა, რამე არ შემშლოდა, რამით არ გამენაწყენებინა. შეიძლებოდა, მაგალითად, რომ მისი თანდასწრებით გავბრაზებულიყავი? შეიძლებოდა, მასთან მომავალზე მელაპარაკა? ასეთი შიშის გამო მასთან ლაპარაკი

მიჭირდა, თუმცა თვითონ ჭეიმი თავდაჭერილად იქცეოდა. [P]  
[SEP]

შიშმა კიდევ უფრო უარეს რამეს მიმახვედრა. მივხვდი, რომ მაშინ, როცა ჭეიმი ჯანმრთელი იყო, ნესიერად არც კი ვიცნობდი. მასთან ურთიერთობა რამდენიმე თვის წინ დავინყე და მხოლოდ თვრამეტი დღე იყო, რაც მიყვარდა. ეს თვრამეტი დღე მთელ ცხოვრებად მეჩვენებოდა და ახლა, მას რომ ვუყურებდი, იმაზე ვფიქრობდი, კიდევ რამდენი დღე გვქონდა დარჩენილი. [P]  
[SEP]

ორშაბათს სკოლაში არ მოსულა და შინაგანმა ხმამ მიკარნახა, რომ ამ დერეფნებში ის ველარასოდეს გაივლიდა. ველარასოდეს ვნახავდი მას, ლანჩის დროს განმარტოებით მჭდომს, თავისი ბიბლიით ხელში; ვერც ბავშვების ბრბოში მოვკრავდი მის ყავისფერ ჟაკეტს თვალს, ვერ დავინახავდი, როგორ მიიკვლევდა გზას ერთი საკლასო ოთახიდან მეორისკენ. სკოლას სამუდამოდ დაემშვიდობა. ვერც ატესტატს აიღებდა. [P]  
[SEP]

აზრებს ვერ ვიკრებდი, ყურადღება მეფანტებოდა. ვიჭექი და ვუსმენდი, როგორ გვიმეორებდა ყველა მასწავლებელი მანამდე მრავალჯერ თქმულს, ერთსა და იმავეს; ვუსმენდი, მაგრამ ტვინში არაფერი შემდიოდა. ჭეიმის ამბავმა სკოლაშიც იგივე რეაქცია გამოიწვია, რაც ეკლესიაში. გოგოები ტიროდნენ, ბიჭები თავჩაქინდრულები დადიოდნენ, მის შესახებ ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს უკვე აღარ იყო. რა ვქნათ? - ხამამაღლა კითხულობდნენ დაზაფრულები და პასუხის მოლოდინში მე შემომყურებდნენ. [P]  
[SEP]

- არ ვიცი, - ვამბობდი უაზროდ. სხვა პასუხს ვერ ვპოულობდი. [P]  
[SEP]

სკოლიდან ადრე გამოვედი და ჯეიმისთან წავედი. ლანჩის მერე გაკვეთილები გავაცდინე. კარზე დავაკაკუნე. კარი ჯეიმამ გაიღო ისე, როგორც ყოველთვის მიღებდა ხოლმე, ხალისიანი იყო, თითქოს სადარდებელი არაფერი ჰქონდა. [P]  
[SEP]

- გამარჯობა, ლენდონ. რა სიურპრიზია. [P]  
[SEP]

საკოცნელად რომ გამოინია, მისკენ წავინიე და ვაკოცე, მაგრამ ტირილი მომინდა. [P]  
[SEP]

- მამა შინ არ არის, მაგრამ თუ გინდა, შეგვიძლია, ეზოში დავსხდეთ.

[P]  
[SEP]

- ამას როგორ ახერხებ? როგორ შეგიძლია, ისე დაიჭირო თავი, ვითომ არაფერი ხდება? [P]  
[SEP]

- თავი ისე არ მიჭირავს, ლენდონ, თითქოს ყველაფერი კარგად იყოს. დაიცადე, პალტოს მოვიცმევ, გარეთ დავსხდეთ და დავილაპარაკოთ, კარგი? [P]  
[SEP]

გამიღიმა და პასუხს დაელოდა. თანხმობის ნიშნად თავი დავეუქნიე, ტუჩები მაგრად მოვკუმე. მკლავზე ხელი მომითათუნა. [P]  
[SEP]

- ახლავე მოვალ. [P]  
[SEP]

სკამთან მივედი და დავჯექი, ერთ წამში ჯეიმაც შემომიერთდა. თბილი პალტო ეცვა, ხელთათმანებიც ეკეთა და ქუდიც ეხურა, რომ არ შესცივნოდა. ჩრდილო-დასავლეთის ქარი ჩადგა და ისე აღარ ციოდა, როგორც იმ შაბათ-კვირას. მაგრამ მისთვის ესეც კმაროდა. [P]  
[SEP]

- დღეს სკოლაში არ იყავი. [P]  
[SEP]

თავი ჩაქინდრა და დამიქნია. [P]  
[SEP]

- ჰო. [P]  
[SEP]

- რას აპირებ? ხომ ივლი? - პასუხი ისედაც ვიცოდი, მაგრამ მაინც მისგან მინდოდა, მომესმინა. [P]  
[SEP]

- არა, - თქვა ხმადაბლა, - აღარ ვივლი. [P]  
[SEP]

- რატომ? უკვე ასე ცუდად ხარ? - ტირილს ვიწყებდი. ჩემკენ გადმოიწია და ხელი ხელზე მომკიდა. [P]  
[SEP]

- არა. დღეს ძალიან კარგად ვარ. უბრალოდ დილაობით, სანამ მამა სამსახურშიწავა, სახლში მინდა ვიყო. მინდა, რაც შეიძლება დიდხანს ვიყო მასთან. [P]  
[SEP]

- სანამ მოვკვდები, - ალბათ, ასე უნდოდა ეთქვა, მაგრამ არ თქვა. რაღაც გულის რევის მსგავსი ვიგრძენი და პასუხის გაცემა ვერ მოვახერხე. [P]  
[SEP]

- როცა ექიმებმა პირველად მითხრეს, ავად ხარო, მირჩიეს, ეცადე, რაც შეიძლება, ნორმალური ცხოვრებით იცხოვრო და თან, რაც შეიძლება, დიდხანსო. ასე ძალებს შეინარჩუნებო. [P]  
[SEP]

- მერე, ეს ნორმალურია? - მწარედ ჩავილაპარაკე. [P]  
[SEP]

- ვიცი, რომ არ არის. [P]  
[SEP]

- არ გეშინია? [P]  
[SEP]

ველოდი, რომ არას მეტყოდა, უფროსი ადამიანივით რაიმე ბრძნულს იტყოდა ან იმის ახსნას დაიწყებდა, რამდენად შეუცნობელია ჩვენთვის უფლის ნება. [P]  
[SEP]

გვერდზე გაიხედა. [P]  
[SEP]

-კი. მეშინია. სულ მეშინია. [P]  
[SEP]

- მაშინ ასე რატომ არ იქცევი? რატომ არავის აჩვენებ, რომ გეშინია?<sup>[P]  
[SEP]</sup>

- ვიქცევი. ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა მართო ვარ. <sup>[P]  
[SEP]</sup>

- რატომ? მე არ მენდობი?<sup>[P]  
[SEP]</sup>

- არა. მაგიტომ არა. ვიცი, რომ შენც გეშინია და იმიტომ. <sup>[P]  
[SEP]</sup>

ლოცვა დავიწყე. ღმერთს სასწაულის მოხდენას ვევედრებოდი. <sup>[P]  
[SEP]</sup>

მსმენოდა, სასწაულები ხშირად ხდებოდა. ამაზე გაზეთებშიც მქონდა ნაკითხული. მაგალითად, ვიღაცას ხელ-ფეხი აუმუშავდა მას შემდეგ, რაც უთხრეს, კიდურებს ველარ დაიმორჩილებო; ვიღაცა კი რაღაც საშინელ კატასტროფას გადაურჩა მაშინ, როცა ყველანაირი იმედი უკვე გადაწურული ჰქონდა. დროდადრო ბიუფორტის შემოგარენს ერთი მოგზაური მქადაგებელი ეწვეოდა ხოლმე და კარავს შლიდა. ხალხი ამ კარვის გარშემო იკრიბებოდა და უყურებდა, როგორ კურნავდა ეს კაცი ავადმყოფებს. ერთი-ორჯერ ასეთ სანახაობას მეც დავესწარი. მაშინ ვფიქრობდი, რომ ეს რაღაც ჯადოქრობის შოუ იყო და მეტი არაფერი, რადგან იმ განკურნებულთაგან არც ერთი არ მეცნობოდა. მაგრამ ზოგჯერ მაინც ხდებოდა ისეთი რამეები, რასაც მეც კი ვერ ვუძებნიდი ახსნას. მაგალითად, ჩვენი ქალაქის ხაბაზი, მოხუცი სვინი პირველი მსოფლიო ომის მონაწილე იყო. არტილერიისტების ბატალიონში იბრძოდა. მისი ბატალიონი ერთ თვეს სანგრის გადაღმიდან განუწყვეტლივ უშენდა მტერს, ერთი თვის თავზე კი სვინი ცალი ყურით დაყრუვდა. თავს კი არ იკატუნებდა - მართლა არაფერი ესმოდა. ბავშვობაში მისი სიყრუით ვსარგებლობდით, საცხობში

შევიპარებოდით ხოლმე და დარიჩინიან ფუნთუშებს ვპარავდით. პოდა, ერთხელ სვინიც აღმოჩნდა განსაკურნავთა რიგში. როგორც კი მქადაგებელმა მხურვალე ლოცვა დაიწყო და თავზე ხელი დაადო, სვინიმ იმხელაზე შეჰკვივლა, რომ ხალხი სკამებიდან გადმოცვივდა. მოხუცი ისეთი შემინებული ჩანდა, თითქოს გახურებული შანთი დაადესო, მერე თავი გადააქნ-გადაიქნია და შეჰყვირა: „მესმის, მესმის!“ საკუთარ ყურებს არ უჭერებდა. „უფალს - თქვა მქადაგებელმა, როცა სვინი უკვე თავის სკამზე ჯდებოდა, - ყველაფერი შეუძლია. უფალს ჩვენი ლოცვა ესმის“<sup>[15]</sup>

იმ ღამეს ჯეიმის ნაჩუქარი ბიბლია ავიღე და კითხვა დავიწყე. ბიბლიის შესახებ ბევრი რამ მქონდა მოსმენილი საკვირაო სკოლაშიც და ეკლესიაშიც, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მხოლოდ ძირითადი მომენტები მახსოვდა - როგორ მოუვლინა უფალმა ეგვიპტეს შვიდი ჭირი, ისრაელიანებს რომ იქიდან გამოეღწიათ; როგორ გადაყლაპა იონა ვეშაპმა; როგორ გაიარა ქრისტემ წყალზე ან როგორ აღადგინა მან ლაზარე მკვდრეთით. მახსოვდა, რომ კიდევ სხვა მნიშვნელოვანი პერსონაჟებიც იყვნენ. ვიცოდი, რომ ბიბლიის ყოველ თავში ღმერთი რაღაც განსაკუთრებულს აკეთებდა, მაგრამ ყველა არ მისწავლია. ქრისტიანები ვიყავით და ძირითადად ახალ აღთქმას ვსწავლობდით, ამიტომაც არაფერი ვიცოდი ისუ ნავეს, რუთისა და იოელის შესახებ. პირველ ღამეს დაბადება ნავიკითხე, მეორე ღამეს გამოსვლა, შემდეგი ლევიანნი მოდიოდა, მერე რიცხვნი და მეორე რჯული. რაც უფრო შორს მივდიოდი, მით უფრო ნელა ვკითხულობდი, განსაკუთრებით იმ

ადგილებს, სადაც ყველა კანონი ახსნილი და განმარტებულია, მაგრამ კითხვას თავს მაინც არ ვანებებდი. რალაცნაირად მიზიდავდა, თავს ვერ ვერეოდი, თავადაც ვერ ვხვდებოდი, რა მჭირდა. [P]  
[SEP]

ერთ ღამეს ფსალმუნებამდე მივედი. დაღლილი ვიყავი, მაგრამ მივხვდი, რომ ეს სწორედ ის იყო, რასაც ვეძებდი. ყველამ იცის ოცდამეორე ფსალმუნი, რომელიც ასე იწყება: „უფალი ჩემი მწყემსია, არაფერი არ მომაკლდება“, მაგრამ სხვების ნაკითხვაც მინდოდა, რადგან არც ერთი ფსალმუნი სხვებზე ნაკლებ მნიშვნელოვნად არ ითვლება. ერთი საათის შემდეგ იმ მონაკვეთამდე მივედი, რომელსაც ხაზი ჰქონდა გასმული. მივხვდი, რომ ჭემის მონიშნული იქნებოდა, ალბათ, მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. აი რა ეწერა იქ:

[P]  
[SEP]

შენ მოგიხმობ, უფალო, ჩემო ბურჯო! ნუ დადუმდები ჩემთვის; ვაი, თუ დადუმდე ჩემთვის და დავემგვანო საფლავში ჩასულებს. ისმინე ჩემი მუდარის ხმა, როცა მოგიხმობ, როცა ხელებს ავწევ შენი წმიდა ტაძრისაკენ. [P]  
[SEP]

ფსალმუნის ბოლომდე ნაკითხვა ვეღარ შევძელი და ბიბლია დავხურე. ცრემლები მახრჩობდა. [P]  
[SEP]

ვიცოდი, რომ ეს ადგილი საგანგებოდ ჩემთვის ჰქონდა გახაზული.

[P]  
[SEP]

- არ ვიცი, რა ვქნა, - ჩავილაპარაკე გამეშვებულმა და დამუნჯებულმა და ჩემი ოთახის მბჟუტავ ნათურას მივაშტერდი. მე და დედა სანოლზე ვისხედით. იანვრის მინურული იყო, ჩემი ცხოვრების ყველაზე რთული

თვე გადიოდა, მაგრამ თებერვალში ყველაფერი კიდევ უფრო უარესად იქნებოდა. [P]  
[SEP]

- ვიცი, რომ ძალიან გიჭირს, მაგრამ ვერაფერს იზამ, - დაიჩურჩულა დედამ. [P]  
[SEP]

- ჰო. ჭეიმის ავადმყოფობაზე არაფერს ვამბობ, ვიცი, რომ ვერაფერს ვიზამ. ჩემს თავს და ჭეიმის რა ვუყო? [P]  
[SEP]

დედამ თანაგრძნობით შემომხედა. ორივეზე ნერვიულობდა - ჭეიმისზეც და ჩემზეც. მერე განვაგრძე. [P]  
[SEP]

- მასთან ლაპარაკი მიჭირს. რომ ვუყურებ, მხოლოდ იმ დროზე ვფიქრობ, როცა ველარც დავინახავ. სკოლაში სულ ჭეიმისზე ვფიქრობ, მის დანახვას ვნატრობ, მაგრამ როცა მასთან მივდივარ, არ ვიცი, რა ვუთხრა. [P]  
[SEP]

- არ ვიცი, ისეთი რა უნდა უთხრა, რომ ყოფა შეუმსუბუქო, თავი უკეთ აგრძნობინო. [P]  
[SEP]

- აბა რა ვქნა? [P]  
[SEP]

ნაღვლიანად შემომხედა და მომეხვია. [P]  
[SEP]

- მართლა გიყვარს, არა? [P]  
[SEP]

- ჰო. მთელი გულით მიყვარს. [P]  
[SEP]

დედა ასეთი ნაღვლიანი არასოდეს მინახავს. [P]  
[SEP]

- გული რას გკარნახობს? [P]  
[SEP]

- არ ვიცი. [P]  
[SEP]

- იქნებ მეტისმეტად ყურადღებით უსმენ? - ნაზად მითხრა დედამ. [P]  
[SEP]



მეორე დღეს ჭეიმოსთან რომ მივედი, თითქოს, ცოტა უკეთესად ვიყავი, მაგრამ ჩემს მდგომარეობას კარგად ყოფნა მაინც არ ეთქმოდა. მისვლამდე ჩემს თავს შევპირდი, ისეთს არაფერს ვეტყვი, რაც ხასიათს გაუფუჭებს-მეთქი - მიხლოდა, ისე დავლაპარაკებოდი, როგორც ადრე, როცა არაფერი ვიცოდი. ასეც მოვიქეცი. დივანზე მოვკალათდი და ჩემს მეგობრებზე დავინყე მოყოლა. ჩამოვარაკრაკე, ვინ რა თქვა და რა გააკეთა; კალათბურთის გუნდის წარმატების შესახებაც ვუამბე; ისიც ვუთხარი, ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტიდან ჯერ არავინ შემხმიანებია, მაგრამ იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში მომწერენ-მეთქი; ვუთხარი, რომ მოუთმენლად ველოდი სკოლის დამთავრებას. ისე ვლაპარაკობდი, თითქოს ორშაბათიდან ისიც მოვიდოდა სკოლაში; ამკარად მეტყობოდა, რომ ძალიან ვნერვიულობდი. ჭეიმი იღიმებოდა და სადაც საჭირო იყო, თანხმობის ნიშნად თავს მიქნევდა, შიგადაშიგ კითხვებსაც მისვამდა. მაგრამ ლაპარაკს რომ მოვრჩი, ორივემ ვიცოდით, რომ ასე სხვა დროს აღარ დავილაპარაკებდით. ასეთი საუბარი ორივესთვის ცუდი იყო. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჩემი გული სწორედ ამას მკარნახობდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ისევ ბიბლიას მივუბრუნდი. სწორ გზაზე მხოლოდ ის თუ დამაყენებდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- თავს როგორ გრძნობ? - ვკითხე რამდენიმე დღის შემდეგ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჭეიმომ კიდევ უფრო დაიკლო წონაში. კანზეც ოდნავ ნაცრისფერი გადაჰკრაავდა, ხელებზე კანქვეშ ძვლებიც მოუჩანდა. სისხლჩაქცევებიც

მოემბატა. მასთან ვიყავით სახლში, მისაღებ ოთახში ვისხედით; გარეთ სიცივეს ვერ გაუძლებდა. [P]  
[SEP]

ყველაფრის მიუხედავად, მაინც ლამაზი იყო. [P]  
[SEP]

- კარგად ვარ, - მხნედ მიპასუხა და გამიღიმა, - ექიმმა ტკივილგამაყუჩებელი გამომიწერა და ცოტა მშველის. [P]  
[SEP]

მასთან ყოველდღე დავდიოდი. დრო თან ძალიან ნელა გადიოდა და თან - ძალიან ჩქარაც. [P]  
[SEP]

- არ გინდა, რამე მოგიტანო? [P]  
[SEP]

- არა. გმადლობ. ყველაფერი კარგადაა. არაფერი არ არის საჭირო. [P]  
[SEP]

ოთახში მიმოვიხედე და ისევ მას შევხედე. [P]  
[SEP]

- იცი, ბიბლიას ვკითხულობ, - ვუთხარი ბოლოს. [P]  
[SEP]

- მართლა? - სახე გაუნათდა. ის ანგელოზი გამახსენდა, რომელსაც სპეცტაკლში თამაშობდა. არ მჭეროდა, რომ იმ დღის მერე მხოლოდ ექვსი კვირა იყო გასული. [P]  
[SEP]

- მინდა, რომ იცოდე. [P]  
[SEP]

- კარგია, რომ მითხარი. [P]  
[SEP]

- გუშინ იობის წიგნი წავიკითხე, როცა ღმერთმა იობის რწმენის გამოცდა განიზრახა. [P]  
[SEP]

გამიღიმა და მკლავზე ხელი მომისვა. ნაბი ხელი ჰქონდა. მისი შეხება სასიამოვნო იყო. [P]  
[SEP]

- სხვა რამე უნდა წავიკითხო. მაგ ეპიზოდში ღმერთი საუკეთესო კუთხით არ არის წარმოჩენილი. [P]  
[SEP]

- რატომ მოეყვა ასე? [P]  
[SEP]

- არ ვიცი. [P]  
[SEP]

- შენც იობივით ხომ არ გრძნობ თავს? [P]  
[SEP]

გაიღიმა, თვალეში ნაპერწკალი გაუკრთა. [P]  
[SEP]

- ზოგჯერ. [P]  
[SEP]

- რწმენა ხომ არ დაგიკარგავს? [P]  
[SEP]

- არა, - თქვა ჭეიმომ. ვიცოდი, რომ მას არაფერი დაუკარგავს, სამაგიეროდ, მე ვკარგავდი. [P]  
[SEP]

- გგონია, რომ თუ რწმენას არ დაკარგავ, კარგად გახდები, არა? [P]  
[SEP]

- არა მხოლოდ მაგიტომ. იმიტომაც, რომ ამის გარდა აღარაფერი დამრჩა. [P]  
[SEP]

მერე ბიბლიის კითხვა ორივემ ერთად დავიწყეთ. ვგრძნობდი, რომ ეს სწორი საქციელი იყო, მაგრამ გული მეუბნებოდა, კიდევ რაღაც გრჩება გასაკეთებელიო. [P]  
[SEP]

იმ ღამეს ვერ დავიძინე. მთელ ღამეს ვფიქრობდი, რა იყო ის რაღაც. [P]  
[SEP]

ბიბლიის კითხვამ ახალი საქმე გაგვიჩინა, ყურადღება გადაგვატანინა და ჩვენს შორისაც ყველაფერი დალაგდა. ალბათ იმიტომ, რომ იმდენს აღარ ვნერვიულობდი, ისეთი არაფერი ვთქვა ან გავაკეთო, რომ ეწყინოს-მეთქი. ბიბლიის კითხვაზე სწორი რაღა უნდა გვეკეთებინა? რა თქმა უნდა, ბიბლიაზე იმდენი ნამდვილად არ ვიცოდი, რამდენიც ჭეიმომ, მაგრამ ჩემთან ერთად კითხვა ძალიან მოსწონდა. ხანდახან მუხლზე ხელს მადებდა და უბრალოდ ჩემს ხმას

უსმენდა, ხმას, რომელიც მთელ ოთახს ავსებდა. [P SEP]

ზოგჯერ, დივანზე მის გვერდით მოკალათებული, ცალი თვალით ბიბლიას ჩავცქეროდი, ცალი თვალით კი ჭეიმის ვუყურებდი და როცა რომელიმე ფსალმუნამდე ან იგავამდე მივიდოდით, ვეკითხებოდი, ამაზე რა აზრის ხარ-მეთქი. ყოველთვის ყველაფერზე ჰქონდა პასუხი, მე კი თანხმობის ნიშნად მხოლოდ თავს ვუქნევდი ხოლმე. ხანდახან ის მეკითხებოდა ამა თუ იმ საკითხზე, შენ რა აზრის ხარო. ყველანაირად ვცდილობდი, ჭკვიანური აზრი გამომეთქვა, ზოგჯერ კი სისულელეებს ვროშავდი, ვიტყუებოდი, მაგრამ ვიცოდი, რომ მატყობდა. [P SEP]

- მართლა ასე გგონია? - მეკითხებოდა გაკვირვებული. ნიკაპზე თითს ვისვამდი და ვცდილობდი, რამე პასუხი მომეფიქრებინა. ხანდახან სულაც ჭეიმის ბრალი იყო, კონცენტრაციას რომ ვერ ვახერხებდი - ხელი ჩემს მუხლზე ედო. [P SEP]

ერთ პარასკევ საღამოს სადილად ჩვენთან ნავიყვანე. ცოტა ხნით დედაც შემოგვიერთდა, მაგრამ მერე კაბინეტში გავიდა და მარტო დაგვტოვა. [P SEP]

კარგი იყო ჭეიმისთან ერთად აქ ჯდომა. ვიცოდი, რომ მასაც სიამოვნებდა. სახლიდან თითქმის აღარ გამოდიოდა, არადა გარემოს შეცვლა სჭირდებოდა. [P SEP]

მას შემდეგ, რაც თავისი ავადმყოფობის შესახებ მითხრა, ჭეიმის თმა აღარ შეუკრავს, ისევ ისეთი თვალნარმტაცი იყო, როგორც მაშინ, როცა პირველად ვნახე გაშლილ თმაში. ვიტრინას უყურებდა, სადაც დედას ფაიფურის ჭურჭელი ეწყო, ვიტრინა შიგნიდან განათებული იყო.

გადავინიე და ხელი ხელში ჩავკიდე. [P] [SEP]

- გმადლობ, რომ მოხვედი. [P] [SEP]

ყურადღება ისევ ჩემზე გადმოიტანა. [P] [SEP]

- გმადლობ, რომ დამპატიყე. [P] [SEP]

შევჩერდი. [P] [SEP]

- მამას თავი როგორ უჭირავს? [P] [SEP]

ჭეიმომ ამოიხრა. [P] [SEP]

- ისე, რა. მამაზე ძალიან ვნერვიულობ. [P] [SEP]

- ხომ იცი, როგორ უყვარხარ? [P] [SEP]

- ვიცი. [P] [SEP]

- მეც მიყვარხარ. - ამის გაგონებაზე გვერდზე გაიხედა, თითქოს ჩემმა სიტყვებმა შეაშინაო. [P] [SEP]

- ჩვენთან ხომ კიდევ ივლი ხოლმე? მერეც ხომ ივლი, იმის მერე, რაც... [P] [SEP]

ხელი მოვუჭირე. მაგრად არ მომიჭერია, უბრალოდ, ვაგრძნობინე, რომ პირობას შევასრულებდი. [P] [SEP]

- რაკი შენ გინდა, რომ ვიარო, ვივლი. [P] [SEP]

- თუ არ გინდა, მოდი, ბიბლიას ნულარ ნავიკითხავთ. [P] [SEP]

- არა ნავიკითხოთ, - ჩუმად ვუთხარი, - მგონი, ორივეს გვინდა. [P] [SEP]

გამიღიმა. [P] [SEP]

- ძალიან კარგი მეგობარი ხარ, ლენდონ. არ ვიცი, უშენოდ რა მეშველებოდა. [P] [SEP]

მანაც ხელი მომიჭირა. ჩემს პირდაპირ იჭდა და გასხივოსნებული

სახით მიყურებდა. [P]  
[SEP]

- მიყვარხარ, ჯეიმი, - გავიმეორე ისევ. ამჯერად აღარ შეშინებია. ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა და დავინახე, როგორ გაუნათდა თვალები. ამოიოხრა და გვერდზე გაიხედა, ხელი თმაზე გადაისვა, მერე ისევ ჩემკენ შემოტრიალდა. ხელზე ვაკოცე და გავუღიმე. [P]  
[SEP]

- მეც მიყვარხარ, - ჩურჩულით მითხრა მან. [P]  
[SEP]

დიდხანს ვლოცულობდი იმისათვის, რომ მისგან ეს სიტყვები გამეგონა. [P]  
[SEP]

არ ვიცოდი, ჯეიმის ნათქვამი ჰქონდა თუ არა ჰეგბერტისთვის, რომ ვუყვარდი. მე მგონია, არა, რადგან ჰეგბერტი ძველებური რწიმით აგრძელებდა ცხოვრებას. ადრე, სკოლის შემდეგ მათთან რომ მივდიოდი, შინიდან გადიოდა. ახლაც ასევე იქცეოდა. კარზე რომ ვაკაკუნებდი, მესმოდა ხოლმე, როგორ ეუბნებოდა ჯეიმის, წასასვლელი ვარ და სახლში რამდენიმე საათში დავბრუნდებოდიო. [P]  
[SEP]

- კარგი, მამიკო, - მიუგებდა ხოლმე ჯეიმი. მერე კარს ჰეგბერტი მიღებდა. შინ შემიშვებდა თუ არა, მაშინვე ტანსაცმლის კარადას გამოაღებდა, პალტოს ჩაიცვამდა, ღილებს ბოლომდე შეიკრავდა და შინიდან გადიოდა. ძველმოდური პალტო ეცვა, გრძელი და შავი, სანგარში ჩასაცმელ ფარაჯას ჰგავდა, მაგრამ ელვა არ ჰქონდა. ასეთი პალტოები მეოცე საუკუნის დასაწყისში იყო მოდაში. პირდაპირ იშვიათად მომმართავდა, მას შემდეგაც კი, რაც გაიგო, რომ მე და ჯეიმი ბიბლიას ვკითხულობდით. [P]  
[SEP]

არ უყვარდა, როცა ჭეიმოსთან ერთად სახლში მარტო ვრჩებოდი, მაგრამ არაფერს ამბობდა, დარჩენას მაინც არ მიშლიდა. იმასაც ვხვდებოდი, რატომ არ უნდოდა, ჭეიმი ებოში დამჭდარიყო და გაციებულიყო. სხვა გზა არ ჰქონდა, მაშინ შინ უნდა დარჩენილიყო და ჩემს წასვლას დალოდებოდა. განმარტოება კი, ალბათ, ჰეგბერტსაც სჭირდებოდა. მას არასდროს უთქვამს, როგორ უნდა მოვექცეულიყავი მის სახლში - ეს მის თვალეებში ამოვიკითხე მაშინ, როცა პირველად დაგვტოვა მარტო. შესვლა მხოლოდ მისაღებ ოთახში შემეძლო, სხვაგან არსად. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჭეიმი ჭერ კიდევ თავისუფლად მოძრაობდა, მაგრამ საშინელი ზამთარი იყო. იანვრის ბოლოს მთელ ცხრა დღეს საშინლად ცივი ქარი ქროდა, მერე სამ დღეს კოკისპირულად წვიმდა. ასეთ ამინდში ჭეიმის სახლიდან გასვლა არ სურდა. მაგრამ ზოგჯერ, ჰეგბერტი რომ წავიდოდა, მე და ის რამდენიმე წუთით ვერანდაზე გავდიოდით და ზღვიდან მონაბერ სუფთა ჰაერს ვისუნთქავდით. ასეთ დროს ვგრძნობდი, როგორ ვწერვიულობდი ჭეიმიზე. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ბიბლიის კითხვისას კარზე ხან ვინ მოგვიკაკუნებდა ხოლმე და ხან ვინ. დღეში, სულ მცირე, სამი ადამიანი მაინც მოდიოდა. უბრალოდ შემოირბენდნენ ხოლმე, ზოგს საჭმელი მოჰქონდა, ზოგი კი მხოლოდ მოსაკითხად მოდიოდა. ერთხელ ერიკი და მარგარეტიც მოვიდნენ. ჭეიმის მათი შინ შემოშვების უფლება არ ჰქონდა, მაგრამ მაინც შემოიპატიჟა. მისაღებ ოთახში ვისხედით. ცოტა ხანს ვილაპარაკეთ და შევნიშნე, რომ ჭეიმის მზერას ორივე თვალს არიდებდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ორივე ნერვიულობდა. რამდენიმე ნუთი დასჭირდათ, სანამ სათქმელს თავს მოუყრიდნენ. ერიკმა თქვა, ბოდიშის მოსახდელად მოვედიო და დააყოლა, ვერ ვხვდები, ამდენ ხალხში ასეთი რამ რაღა მაინცდამაინც ჭემის უნდა დამართნოდაო. ჭემის ერიკმაც მოუტანა რაღაც. კონვერტში იღო და როცა კონვერტს მაგიდაზე დებდა, შევნიშნე, როგორ უკანკალებდა ხელი; ლაპარაკი როცა დაიწყო, ხმაზე შეეცყო, რომ ძალიან განიცდიდა. ასეთი რამ ერიკისათვის არასდროს შემიტყვია. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- შენნაირი გულის პატრონი არ შემხვედრია, - უთხრა ჭემის. ხმა გაეზზარა, - შენი სიკეთე ჩვეულებრივ რამედ მიმაჩნდა, ყოველთვის კარგად არ გექცეოდი, ამიტომ მიინდა გითხრა, რას განვიცდი ახლა. ცხოვრებაში ასე არაფერი მინანია. - შეყოვნდა და თვალის კუთხე მოიწმინდა. - შენნაირ ადამიანს, ალბათ, ველარასდროს შევხვდები. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სანამ ერიკი თვალზე მომდგარ ცრემლს ებრძოდა და სრუტუნებდა, მარგარეტმა თავი ველარ შეიკავა, დივანზე ჩამოჯდა და აზლუქუნდა. ლაპარაკის თავიც არ ჰქონდა. ერიკმა სათქმელი რომ დაამთავრა, ჭემიმ მარგარეტს ცრემლები მოსწმინდა, ნელა ადგა, გაიღიმა და პატიების ნიშნად ხელები გაშალა. გახარებული ერიკი ჩაეხუტა, თავს ველარ მოერია და ატირდა, ჭემიმ თმაზე ხელი გადაუსვა და რაღაც ჩასჩურჩულა. დიდხანს იდგნენ ასე, ერიკი ქანცის განყვეტამდე ქვითინებდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მერე მარგარეტის ჭერი დადგა. ის და ჭემიც ბუსტად ისე იდგნენ, როგორც ჭემი და ერიკი. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>



მერე ერიკი და მარგარეტი წასასვლელად მოემზადნენ, ქურთუკები ჩაიცვეს და ჭეიმის კიდევ ერთხელ შეხედეს, ალბათ, მისი სამუდამოდ დამახსოვრება სურდათ. მივხვდი, რომ უნდოდათ, ისეთი დაემახსოვრებინათ, როგორიც მაშინ იყო. მე ლამაზად მეჩვენებოდა. დარწმუნებული ვარ, იმათაც. [SEP]

- არ დანებდე, - უთხრა ჭეიმის კარისკენ მიმავალმა ერიკმა, - მე შენთვის ვილოცებ. ყველანი ვილოცებთ. - მერე მე შემომხედა და მხარზე ხელი დამადო. - შენც მაგრად იყავი. - თვალები ჩანითლებული ჰქონდა. ვიდექი და ვუყურებდი, როგორ მიდიოდნენ და ვიცოდი, რომ მათით ამაზე მეტად ვერასდროს ვიამაყებდი. [SEP]

კონვერტი მოგვიანებით გავხსენით და ვნახეთ, რომ ერიკს, ჩვენთან შეუთანხმებლად, ბავშვთა სახლისთვის 400 დოლარი შეეგროვებინა.

[SEP]

სასწაულს ველოდი. [SEP]

მაგრამ არ მოხდა. [SEP]

თებერვლის დასაწყისში ჭეიმის ტკივილები მოემატა და ექიმებმა ტკივილგამაყუჩებელი აბების დოზა გაუზარდეს. დიდი დოზისაგან თავბრუ ეხვეოდა. საპირფარეშოში ორჯერ წაიქცა კიდევ და თავი პირსაბანს მიარტყა. ამის შემდეგ ექიმებს სთხოვა, დოზა ისევ შემიმცირეთო. ექიმები უხალისოდ დათანხმდნენ. ახლა ჩვეულებრივად დადიოდა, მაგრამ ტკივილები გაუძლიერდა, ზოგჯერ მკლავის უბრალო აწევაც კი გამოუთქმელ ტანჯვას აყენებდა. ლეიკემია სისხლის დაავადებაა, რომელიც მთელ სხეულს აზიანებს.

მისგან ხსნა არ არსებობდა, სანამ გული არ შეწყვეტდა ფეთქვას. [P]  
[SEP]

დაავადებამ მთელი სხეული დაუსუსტა, კუნთებზეც გადავიდა, უბრალო რამეების კეთებაც კი ძალიან უჭირდა. თებერვლის პირველ კვირაში ექვსი ფუნტი დაიკლო, მალე სიარულიც გაუჭირდა, ძალიან მოკლე მანძილზე დადიოდა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ტკივილს გაუძლებდა, მაგრამ ამას ყოველთვის ვერც ახერხებდა. ისევ აბების მიღება დაიწყო და იმ გაუსაძლისი ტკივილის ატანას თავბრუსხვევა ამჯობინა. [P]  
[SEP]

ბიბლიის კითხვას მაინც განვაგრძობდით. [P]  
[SEP]

როცა ჯემისთან მივდიოდი, გადაშლილი ბიბლიით ხელში ტახტზე წამოწოლილი მხვდებოდა. ვიცოდი, რომ მამამისი აუცილებლად დამახვედრებდა მას აქ, თუკი ჩვენ კითხვის გაგრძელებას ვისურვებდით. თავად არაფერი უთქვამს, მაგრამ ორივემ ვიცოდით, ეს რასაც ნიშნავდა. [P]  
[SEP]

დრო აღარ მქონდა, მაგრამ გული მეუბნებოდა, რომ რაღაცის გაკეთება ჯერ კიდევ შემეძლო. [P]  
[SEP]

14 თებერვალს, წმინდა ვალენტინის დღეს, ჯემიმ „კორინთელთა მიმართ“ აირჩია და ის მონაკვეთი წამიკითხა, რომელიც ძალიან ბევრს ნიშნავდა მისთვის. მითხრა, ოდესმე ქორწილი რომ მღირსებოდა, ვისურვებდი, რომ ჯვრისწერაზე სწორედ ეს პასაჟი წაეკითხათო. აი, რა ეწერა იქ: [P]  
[SEP]

სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს. არ სჩადის უნესობას, თავისას არ

ეძიებს, არ რისხდება და არ განიზრახავს ბოროტს, არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს. ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყოველივეს ითმენს. [P]  
[SEP]

ჭეიმი ამ აღწერილობის სრული განსახიერება იყო. [P]  
[SEP]

სამი დღის მერე ცოტა დათბა. ნავიყვანე, რომ მისთვის გასაოცარი რამ მეჩვენებინა, რაღაც ისეთი, რაც, ჩემი აზრით, მანამდე ნანახი არ ექნებოდა და რის ნახვაც ძალიან გაახარებდა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა. [P]  
[SEP]

ჩრდილოეთ კაროლინის აღმოსავლეთ ნაწილი განსაკუთრებით ლამაზი და შთამბეჭდავია. დალოცვილი რამეა - ზომიერი კლიმატით და მშვენიერი ლანდშაფტით. არსად ისე სრულად არ ჩანს მისი სილამაზე, როგორც ბიუჯ ბენკსზე, ჩვენი მშობლიური სანაპიროს მახლობელ კუნძულზე. კუნძული სიგრძით ოცდაოთხი მილია, სიგანით კი - თითქმის ერთი მილი; ბუნების ნამდვილი საოცრებაა, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენაა გადაჭიმული და სანაპირო ზოლიდან სულ რაღაც ნახევარი მილითაა დაშორებული. იქაურები სიამოვნებით დაგიდასტურებენ, რომ არაფერი შეედრება ყოველ ცისმარე დღეს ულამაზესი აისისა და დაისის ხილვას მრისხანე ატლანტის ოკეანის უკიდევანო სივრცის ფონზე. [P]  
[SEP]

ჭეიმი თავიდან ფეხებამდე შეფუთნული იყო, ჩემს გვერდით იდგა თბომავლების რკინის პირსთან და ამ დიდებული სამხრეთული საღამოს ყურებით ტკბებოდა. ხელით სადღაც შორს ვანიშნე და ვუთხარი, ცოტა დაიცადე-მეთქი. ჩვენს ამონასუნთქსაც კი ვხედავდი,

ჩემს თითო ამოსუნთქვაზე მისი ორ-ორი ამოსუნთქვა მოდიოდა. სანამ იქ ვიდექით, ჭეიმი ხელით მეჭირა - შემოდგომის ფოთოლზე მსუბუქი იყო, ქარი წაიღებდა - მაგრამ ვიცოდი, რომ ეს ამაღ ღირდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ამასობაში ოკეანიდან ნელ-ნელა ამოიწვერა კრატერებით დასერილი მენამული მთვარე და მრუმე წყალს ურიცხვ ფერთა გამა გადააფრქვია. მთვარის შუქი ათასობით ნაწილად დაიშალა და ყოველი მომდევნო სხივი წინამორბედზე გაცილებით ლამაზი ჩანდა. სწორედ ამ დროს საპირისპირო მხარეს მზემ ჰორიზონტის ხაზს მიაღწია. ცა წითლად, ნარინჯისფრად და ყვითლად შეიღება, თითქოს ბეცამ კარიბჭე გახსნა და მთელი თავისი მშვენიება წმინდა მარწუხებიდან გაანთავისუფლავს. ოკეანეს მოოქროსფრო-მოვერცხლისფრო ფერი დაედო, მის ზედაპირზე ცაზე მოკიაფე ფერები ირეკლებოდა, წყალი ერთიანად ბრჭყვიალებდა, ზღაპრული სანახაობა იყო, გეგონებოდა, სამყარო ახლა იბადებოდა. მზე ჩადიოდა, თანდათან გვშორდებოდა, შორს ეღვარებდა, ბოლოს მდორედ ჩაიკარგა ტალღებში და გაუჩინარდა. მთვარე კი, პირიქით, ნელ-ნელა ამოგორდა, ცის კაბადონზე აინია, აციალდა და იქაურობას ყვითელი ფერის ათასობით სხივი მიმოაფრქვია, მერე თანდათან გაფერმკრთალდა, თავადაც ვარსკვლავს დაემსგავსა და შორს, ძალიან შორს აკიაფდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჭეიმი გარინდული შესცქეროდა ამ სანახაობას. მკლავი მაგრად მქონდა მისთვის შემოხვეული, ბერელედ და სუსტად სუნთქავდა. როცა ცა ისევ ჩაბნელდა და სამხრეთული ცის კაბადონზე პირველი

მოციმციმე ვარსკვლავები გამოჩნდა, ხელები მოვხვიე. ორივე ლოყაზე და ტუჩებზე ნაზად ვაკოცე. [P]  
[SEP]

- აი, ზუსტად ასეთ რამეს განვიცდი შენ მიმართ. [P]  
[SEP]

[P]  
[SEP]

ერთი კვირის თავზე ჯეიმზ საავადმყოფოში სიარულს მოუხშირა, მაგრამ ღამე იქ არ რჩებოდა. [P]  
[SEP]

- ჩემს სახლში მინდა, მოვკვდე. - მეტს არაფერს ამბობდა. რადგან ექიმები სხვით ვერაფრით შველოდნენ, მის სურვილებს არ ეწინააღმდეგებოდნენ. [P]  
[SEP]

ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც. [P]  
[SEP]

- სულ ამ ბოლო თვეებზე ვფიქრობ, - ვუთხარი ერთხელ. [P]  
[SEP]

მისაღებ ოთახში ვისხედით ხელიხელჩაკიდებულები და ბიბლიას ვკითხულობდით. სახე გაუხდა, თმამაც ბზინვარება დაკარგა. თვალები კი - თბილი, ცისფერი თვალები - უწინდებურად ლამაზი ჰქონდა. [P]  
[SEP]

იმაზე ლამაზი არსება მგონი, არც შემხვედრია. [P]  
[SEP]

- მეც მაგ თვეებზე ვფიქრობ. [P]  
[SEP]

- შენ თავიდანვე იცოდი, რომ იმ როლს მე შევასრულებდი, იმ პირველივე დღეს, როცა მის გარბერის გაკვეთილზე შემოვედი. ხომ ასეა? [P]  
[SEP]

თვალები ეშმაკურად აუციმციმდა. [P]  
[SEP]

- ჰო. ვიცოდი. [P]  
[SEP]

- საიდან იცოდი? [P]  
[SEP]

არაფერი მიპასუხა. უბრალოდ მხრები აიჩეჩა. რამდენიმე წუთს

ჩემად ვისხედით და უსიტყვოდ ვუყურებდით, როგორ ენარცხებოდა წვიმის წვეთები ფანჯრის მინებს. ბოლოს დუმილი დაარღვია და მკითხა: [P]  
[SEP]

- რომ გითხარი, შენთვის ვლოცულობ-მეთქი, რა იფიქრე, რისთვის ვლოცულობდი? [P]  
[SEP]

მისი ავადმყოფობა სწრაფად პროგრესირებდა. მარტის დამდეგს საგრძნობლად დამძიმდა. მეტ ტკივილგამაყუჩებლებს სვამდა, კუჭი სტკიოდა და საჭმელს ვეღარ ჭამდა. დასუსტდა და როგორც ჩანდა, საავადმყოფოში დანოლა მაინც მოუწევდა. რა მნიშვნელობა ჰქონდა, თავად სურდა ეს თუ არა. [P]  
[SEP]

მერე საქმეში დედაჩემი და მამაჩემი ჩაერივნენ და მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. [P]  
[SEP]

კონგრესის სხდომები მიმდინარეობდა, მაგრამ მამამ ყველაფერი მიატოვა და ვაშინგტონიდან სასწრაფოდ ჩამოვიდა. ალბათ დედამ დაურეკა და უთხრა, თუ ახლავე არ ჩამოხვალ, შეგიძლია, სამუდამოდ მანდ დარჩეო. [P]  
[SEP]

როცა დედამ უამბო, რა ხდებოდა ჩვენს თავს, მამამ უთხრა, ჰეგბერტი ჩემგან დახმარებას მაინც არ მიიღებს, ჭრილობები იმდენად ღრმა და მოუშუშებელია, ახლა მაგას ვეღარ გამოვასწორებთო. [P]  
[SEP]

- შენი ოჯახი აქ არაფერ შუაშია, არც სალივანი და არც ის, რაც წარსულში მოხდა, - მიუგო დედამ, - საქმე ჩვენს შვილს ეხება. მას კი პატარა გოგონა უყვარს, გოგონა, რომელსაც ჩვენი დახმარება სჭირდება. შენ, შენ უნდა მონახო რაიმე გზა და იმ გოგონას დაეხმარო.

არ ვიცი, რა უთხრამამამ ჰეგბერტს, რას დაჰპირდა, ან რად დაუჭდა ეს ყველაფერი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ჯეიმის ძვირადღირებული აპარატურა მოუტანეს, ყველა საჭირო ნამლით მოამარაგეს, თავს ორი ექთანის დააყენეს, რომლებიც დღე და ღამ მორიგეობდნენ; ექიმი კი დღეში რამდენჯერმე მოდიოდა მის გასასინჯად. [P]  
[SEP]

ჯეიმის ახლა უკვე შეეძლო, შინ დარჩენილიყო. [P]  
[SEP]

იმ ღამეს პირველად ვიტირე მამაჩემის მხარზე. [P]  
[SEP]

- რამეზე გული ხომ არ გწყდება? - ვკითხე ერთხელ ჯეიმის. თავის სანოლში ინვა საბნის ქვეშ, მკლავში მილი ჰქონდა გარტობილი და საჭირო ნამლებს უსხამდნენ. სახე ფერმკრთალი ჰქონდა, ბუმბულის წონადა იყო დარჩენილი. ძლივს დადიოდა და თუ გაივლიდა, ვინმეს უნდა სჭეროდა ხელით. [P]  
[SEP]

- გული ყველას გწყდება რაღაცაზე, ლენდონ. მაგრამ მე მაინც მშვენიერი ცხოვრებით ვიცხოვრე. [P]  
[SEP]

- მაგას როგორ ამბობ? - თავი ვერ შევიკავე და ბრაბი ვეღარ დავმალე. - ნახე, რა დღეში ხარ! [P]  
[SEP]

ხელი ხელზე სუსტად მომიჭირა და ნაზად გამიღიმა. [P]  
[SEP]

- ჰოო, ეს, - თქვა და ოთახში მიმოიხედა. - უკეთესადაც შეიძლებოდა, ვყოფილიყავი. [P]  
[SEP]

თვალეებში ცრემლები მქონდა, მაგრამ მაინც გამეცინა, მერე ჩემს თავზე გავბრაბდი. მისთვის მხარი უნდა დამეჭირა, მე კი რა ვქენი? ჯეიმამ განაგრძო. [P]  
[SEP]

- მაგრამ მე ხომ ბედნიერი ვიყავი, ლენდონ, მართლა ბედნიერი ვიყავი. მე განსაკუთრებული მამა მყავდა, რომელმაც ბევრი რამ მასწავლა ღმერთზე. წარსულს როცა ვიხსენებ, ვხვდები, რომ რითიც შემეძლო, ყველას ვეხმარებოდი. - გაჩერდა და თვალეებში შემომხედა.

- მე ხომ შეყვარებაც მოვასწარი და საპასუხო სიყვარულიც მივიღე. [P]  
[SEP]

ხელზე ვაკოცე, მერე მისი ხელი ლოყაზე მივიღე. [P]  
[SEP]

- ეს უსამართლობაა. [P]  
[SEP]

არაფერი მიპასუხა. [P]  
[SEP]

- ისევ გეშინია? [P]  
[SEP]

- კი. [P]  
[SEP]

- მეც მეშინია. [P]  
[SEP]

- ვიცი და ძალიან ვწუხვარ. [P]  
[SEP]

- რა გავაკეთო? - ვკითხე სასონარკვეთილმა. - არ ვიცი, მეტი რაღა ვქნა. [P]  
[SEP]

- წამიკითხავ? [P]  
[SEP]

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე, მაგრამ არ ვიცოდი, შევძლებდი თუ არა კითხვას. მეშინოდა, ნერვებმა არ მიმტყუნოს-მეთქი. [P]  
[SEP]

გვედრები, უფალო, მითხარი, რა ვქნა! [P]  
[SEP]

- დედა, - დავუძახე დედას იმ საღამოს. [P]  
[SEP]

- რა მოხდა? [P]  
[SEP]

პატარა კაბინეტში დივანზე ვისხედით, ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. იმ დღეს ჭემის ჩაეძინა, როცა ვუკითხავდი. ვიცოდი, რომ მოსვენება სჭირდებოდა და ამიტომ ოთახიდან უხმოდ გამოვიპარე. მაგრამ სანამ



გამოვიდოდი, ლოყაზე ნაზად ვაკოცე. უმანკო კოცნა იყო, მაგრამ ზუსტად იმ დროს ოთახში ჰეგბერტი შემოვიდა. დავინახე, როგორ აემღვრა სახე. შემომხედა. იცოდა, რომ მისი გოგონა მიყვარდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ამ სახლის წესები დავარღვიე, თუნდაც დაუნერვლი და უსიტყვო. ჭეიმი რომ კარგად ყოფილიყო, ჰეგბერტი შინ აღარასოდეს შემიშვებდა. მე თვითონ გავაღე კარი და წამოვედი.

[P]  
[SEP]

ვერაფერში დავადანაშაულებდი, ვერაფერში. ჭეიმისთან ყოფნამ ენერგია იმდენად გამომაცალა, რომ მისი საქციელი არ მწყენია. თუ ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე ჭეიმისაგან რაიმე ვისწავლე, ის იყო, რომ ადამიანები მათი განზრახვის ან ამრების მიხედვით კი არ უნდა განვსაჯოთ, არამედ მათი საქციელის მიხედვით. ვიცოდი, რომ ჰეგბერტი მეორე დღესაც შემიშვებდა სახლში. დივანზე დედაჩემის გვერდით მჯდომს თავში ასეთი ამრები მიტრიალებდა. [P]  
[SEP]

- როგორ გგონია, თითოეული ჩვენგანის არსებობას რაღაც მიზანი აქვს? - ვკითხე დედას. [P]  
[SEP]

ასეთი რამ პირველად ვკითხე, მაგრამ ჩემგან ახლა ყველაფერი მოსალოდნელი იყო. ჩემი ცხოვრების ძალიან უჩვეულო პერიოდი იდგა. [P]  
[SEP]

- მგონი. ვერ გავიგე, რას მეკითხები, - თქვა შუბლშეჭმუხნით. [P]  
[SEP]
- იცი, რას გეკითხები? როგორ უნდა მიხვდეს ადამიანი, რის გაკეთება მოეთხოვება მას? [P]  
[SEP]
- ჭეიმისთან ყოფნას გულისხმობ? [P]  
[SEP]

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. თუმცა, თავადაც დაბნეული ვიყავი. [P]  
[SEP]

- ჰო. რაღაც მაგდაგვარს. ვიცი, რომ სწორად ვიქცევი, მაგრამ...  
რაღაცას ბოლომდე მაინც არ ვაკეთებ. მთელ დროს მასთან ერთად  
ვატარებ, ვლაპარაკობთ და ბიბლიას ვკითხულობთ, მაგრამ... [P]  
[SEP]

შეგჩერდი და ამასობაში ჩემი აბრი დედამ დაასრულა. [P]  
[SEP]

- მაინც გგონია, რომ უფრო მეტს უნდა აკეთებდე? [P]  
[SEP]

თავი დავუქნიე. [P]  
[SEP]

- არ ვიცი, კიდევ რისი გაკეთება შეგიძლია, ჩემო ბიჭუნა, - ნაზად  
მითხრა დედამ. [P]  
[SEP]

- აბა, რატომ მაქვს ასეთი შეგრძნება? [P]  
[SEP]

ჩემკენ მოიწია. ცეცხლის მოთამაშე ენებს შევყურებდით. [P]  
[SEP]

- ალბათ, იმიტომ, რომ გეშინია და თავს უმწეოდ გრძნობ. შენ  
ყველაფერს აკეთებ, მაგრამ საქმე უფრო და უფრო რთულდება -  
ორივესთვის რთულდება. რაც მეტს ცდილობ, მით უიმედოდ გეჩვენება  
ყველაფერი. [P]  
[SEP]

- არის რაიმე გამოსავალი? არის საშუალება, თავი ასე რომ არ  
ვიგრძნო? [P]  
[SEP]

ხელი მომხვია და თავისკენ მიმიზიდა. [P]  
[SEP]

- არა. არარის. [P]  
[SEP]

მეორე დღეს ჭეიმი ლოგინიდან ველარ ადგა. ახლა უკვე იმდენად  
სუსტად იყო, რომ ვინმეს დახმარებითაც კი აღარ შეეძლო გავლა.  
ახლა უკვე ბიბლიასაც მის ოთახში ვკითხულობდით. [P]  
[SEP]

რამდენიმე წუთში ჩაეძინა. [P]  
[SEP]

კიდევ ერთმა კვირამ გაიარა. ჭეიმის მდგომარეობა სტაბილურად უარესდებოდა, ძალა სულ გამოეცალა, დასუსტდა. ლოგინს მიჭაჭვული უფრო პატარა ჩანდა, თითქმის სულ პატარა გოგონას დაემსგავსა. [P]  
[SEP]

- ჭეიმი, - შევევედრე იმ დღეს, - ჭეიმი, რა გაგიკეთო? [P]  
[SEP]

ჭეიმის, ჩემს საყვარელ ჭეიმის, თითოეულ ჩაძინებაზე, რამდენიმე წუთის ნაცვლად, ახლა უკვე რამდენიმე საათს ეძინა; მაშინაც კი ეძინებოდა, როცა ველაპარაკებოდი. ჩემი ხმის გაგონებაზეც არ იძვროდა; სუნთქვა გაუხშირდა და შეუსუსტდა. [P]  
[SEP]

მის საწოლთან დიდხანს ვიჭექი, ვუყურებდი და ვფიქრობდი, რა საოცრად მიყვარს-მეთქი. მისი ხელი გულთან მედო და ვგრძნობდი, როგორ ჰქონდა თითები გალეული. ცარიელი ძვლებიდა იყო დარჩენილი. ძალიან მინდოდა ტირილი, მაგრამ თავს ვიკავებდი. ხელი ლოგინზე დავადებინე და ფანჯრისაკენ შევტრიალდი. [P]  
[SEP]

რატომ დაინგრა მთელი ჩემი სამყარო ასე უეცრად? რატომ უნდა მოსვლოდა ასეთი რამ ჭეიმისნაირ ადამიანს? ვფიქრობდი, იქნებ, ამ ყველაფერს რაღაც ფარული აბრი აქვს, იქნებ, ასე იმიტომ ხდება, რომ რაღაც დიდი უნდა გვასწავლოს-მეთქი. ეგებ, როგორც ჭეიმი იტყოდა, ყველაფერი უფლის გეგმის ნაწილი იყო? ეგებ, უფალს სურდა, რომ ჭეიმი შემყვარებოდა? თუ ჩემი ნებით მოხდა ასე? რაც მეტ ხანს ეძინა ჭეიმის, მით უფრო ცხადად ვგრძნობდი ჩემ გვერდით მის ყოფნას, მაგრამ ამ შეკითხვებზე პასუხს მაინც ვერ ვპოულობდი. [P]  
[SEP]

წვიმამ გადაიღო. მოლუშული დილა იყო, მაგრამ ნაშუადღევს

ღრუბლებიდან მზემ გამოიხედა. გაბაფხულის გრილი დილა იდგა, თუმცა მაინც იგრძნობოდა, რომ ბუნება იღვიძებდა. ხეები გაკვირტულიყო, ფოთლები გასაშლელად და კიდევ ერთი გაფხულის შესაგებებლად ემზადებოდნენ. [P]  
[SEP]

მისი სანოლის გვერდით, მაგიდაზე ის ნივთები შევნიშნე, რომელთა დანახვაც ჭეიმის სიამოვნებდა. მათ შორის ერთი ფოტოსურათიც იყო. სურათი საბავშვო ბალის წინ იყო გადაღებული. პატარა ჭეიმი მამას ხელში ეჭირა. ჩანდა, რომ ეს მისი პირველი დღე იყო საბავშვო ბაღში. აქვე ენყო ბავშვთა სახლის აღსაზრდელების მიერ ჭეიმისთვის გამოგზავნილი ბარათები. ამოვიოხრე და ის ბარათი ავიღე, რომელიც სულ ზემოთ იყო. [P]  
[SEP]

ბარათზე ფანქრით უბრალო რამ ეწერა: [P]  
[SEP]

გეხვეწები, მალე გამოჯანმრთელდი. მენატრები. [P]  
[SEP]

ბარათი ლიდისაგან იყო. ლიდია იმ გოგონას ერქვა, შობის დამეს ჭეიმის კალთაში რომ ჩაეძინა. მეორე ბარათშიც დაახლოებით იგივე ეწერა. ჩემი ყურადღება როჯერის გამოგზავნილმა ბარათმა მიიპყრო. ბიჭს ცისარტყელაზე გადაფრენილი ჩიტი დაეხატა. [P]  
[SEP]

ცრემლები მახრჩობდა. ბარათი დავხურე. მეტის ატანა აღარ შემეძლო. ბარათების დასტა თავის ადგილას დავდე და წყლიანი ტიქის გვერდით გაზეთიდან ამონაჭერი ფურცელი შევნიშნე. გაზეთ „სანდემი“ გამოქვეყნებული სტატია იყო იმ სპეკტაკლის შესახებ, რომელშიც ერთად ვითამაშეთ. იქვე ჩემი და ჭეიმის ფოტოსურათი იყო დაბეჭდილი. ეს ჩვენი ერთადერთი სურათი იყო; სხვა სურათი ერთად

არ გადაგვიღია. [P]  
[SEP]

ისეთი შეგრძნება მექონდა, თითქოს ეს ყველაფერი ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა. ფურცელი თვალთან ახლოს მოვიტანე. სურათს დავაშტერდი და ის გრძნობა გამახსენდა, რომელიც მის მიმართ იმ ღამეს გამიჩნდა. კიდევ დიდხანს ვუყურე მის სახეს, ვცდილობდი, დამეჭირა რაიმე ისეთი, რაც მიანიშნებდა, რომ ჭეიმომ მაშინვე იცოდა, ხვდებოდა, წინ რაც ელოდა. ზუსტად ვიცოდი, რომ მაშინაც იცოდა, მაგრამ მის გამომეტყველებაში მსგავსი არაფერი ჩანდა. სახე ბედნიერებისაგან გაცისკროვნებული ჰქონდა. მერე ამოვიოხრე და სტატია გვერდზე გადავდე. [P]  
[SEP]

ბიბლია ისევ იქ იდო, სადაც დავტოვე, ისევ გადაშლილი იყო და მიუხედავად იმისა, რომ ჭეიმის ეძინა, ძალიან მომინდა მისი წაკითხვა. ერთ პასაჟს გადავანყდი, რომელშიც ეწერა: [P]  
[SEP]

ამას ბრძანებით კი არ ვამბობ, არამედ რათა სხვათა სინრფელით გამოვცადო თქვენი სიყვარულის ჭეშმარიტებაც. [P]  
[SEP]

ამ სიტყვების წაკითხვამ შოკში ჩამაგდო, ყელში ბურთი გამეჩხირა, კინალამ ავტირდი, მაგრამ უეცრად გონება გამინათდა. [P]  
[SEP]

ბოლოს და ბოლოს ღმერთმა მიპასუხა. მივხვდი, რაც უნდა მექნა.

[P]  
[SEP]

მანქანიდან რომ ვყოფილიყავი, ეკლესიაში ამაზე სწრაფად ვერ მივიდოდი. უმოკლესი გზით გავრბოდი, ვიღაცეების ეზოებზე გადავირბინე, ღობეებს გადავახტი, ვიღაცის ავტოფარეხშიც შევვარდი და გვერდითა კარიდან გამოვვარდი. ყველაფერი, რაც ჩემი

მშობლიური ქალაქის ჩიხებისა და შესახვევების შესახებ ვიცოდი, უცბად გამახსენდა; დიდი სპორტსმენი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ იმ წუთებში ვერაფერი შემაკავებდა, მომართული ვიყავი და ზუსტად ვიცოდი, რა უნდა მექნა. [P]  
[SEP]

ეკლესიაში რომ მივედი, ჩემი გარეგნობა არ მანალვლებდა, რადგან ვიცოდი, რომ ჰეგბერტს ასეთი რამეები ნაკლებად აინტერესებდა. შესვლისას ფეხი შევანელე, სული მოვითქვი და პირდაპირ ჰეგბერტის კაბინეტს მივაშურე. [P]  
[SEP]

ჰეგბერტმა თავი ასწია. მივხვდი, რატომაც იჭდა აქ. არ უთქვამს შემოდით, გვერდზე, ფანჯარაში გაიხედა. შინ განუწყვეტლივ, აკვიატებულად სახლს ალაგებდა, თითქოს ჯემის ავადმყოფობასთან ბრძოლას ამგვარად ცდილობსო. აქ კი მთელი მაგიდა უწესრიგოდ დაყრილი ფურცლებით ჰქონდა მოფენილი, ყველგან წიგნები იყო მიყრილ-მოყრილი. ჩანდა, რომ მათთვის არავის ეცალა. მივხვდი, რომ აქ ყოფნისას მხოლოდ ჯემიზე ფიქრობდა; ჰეგბერტი აქ სატირლად მოდიოდა. [P]  
[SEP]

- ღირსო მამაო! [P]  
[SEP]

არაფერი მიპასუხა, მაგრამ მაინც შევედი. [P]  
[SEP]

- მარტო მსურს ყოფნა. [P]  
[SEP]

დაბერებული და დატანჯული იყო, ზუსტად ისე, როგორც ისრაელიანები არიან აღწერილი დავითის ფსალმუნებში. სახე შეშლილი ჰქონდა; დეკემბრის მერე თმაც გვარიანად შეთხელებოდა. ჯემის წინაშე ალბათ ჩემზე მეტს თამაშობდა, თავსაც ხალისიანად

აჩვენებდა, ამის კეთება კი უმძიმდა და იტანჯებოდა. [P]  
[SEP]

პირდაპირ მისკენ გავემართე. ერთი ამხედ-დამხედა და ისევ ფანჯრისკენ გაიხედა. [P]  
[SEP]

- გთხოვ, - მითხრა მან. დაუძლურებული ხმა ჰქონდა; იმდენად დაუძლურებული, რომ ეტყობოდა, ჩემთან ლაპარაკის თავიც არ ჰქონდა. [P]  
[SEP]

- თქვენთან დალაპარაკება მინდა, - მტკიცედ განვუცხადე მე, - არ შეგანუხებდით, ძალიან მნიშვნელოვანი რომ არ იყოს. [P]  
[SEP]

ჰეგბერტმა ამოიოხრა. იმავე სკამზე ჩამოვჯექი, რომელზეც მაშინ ვიჯექი, როცა საახალწლოდ ჯემის რესტორანში დაპატიჟების ნებართვას ვთხოვდი. [P]  
[SEP]

მისმენდა, ჩემი განზრახვის შესახებ რომ ვუყვებოდი. [P]  
[SEP]

ლაპარაკს მოვრჩი. ჰეგბერტი ჩემკენ შემოტრიალდა. არ ვიცი, რას ფიქრობდა, მაგრამ იმაზეც მადლობელი ვიყავი, უარი რომ არ მითხრა. თვალები თითებით მოიწმინდა და ისევ ფანჯრისაკენ შეტრიალდა. [P]  
[SEP]

მგონი, ისიც შოკში იყო, იმდენად, რომ ლაპარაკის თავიც არ ჰქონდა. [P]  
[SEP]

ისევ გავიქეცი. დაღლას ვერ გვრძნობდი. მიზანი, რომელიც მამოძრავებდა, ძალასაც მმატებდა. ჯემის სახლს რომ მივალნიე, ისე შევვარდი, არც დამიკაკუნებია. ექთანი ჯემის ოთახში იყო. ჩემ დანახვაზე გამოვიდა. ვერ მიხვდა, რა დამემართა. [P]  
[SEP]

- ღვიძავს? - ვიკითხე. ერთსა და იმავე დროს თავზარდაცემულიც

ვიყავი და აგზნებულიც. [P]  
[SEP]

- დიას, - ჩურჩულით მომიგო ექთანმა, - რომ გაიღვიძა, გიკითხათ.

[P]  
[SEP]

ექთანს ბოდიში მოვუხადე ჩემი აჯაჯული ჩაცმულობისა და ანენილი თმის გამო და თავაზიანად ვთხოვე, მართო დავეტოვებინეთ. ჭემის ოთახში შევედი, კარი სანახევროდ მივიხურე. ფერმკრთალი იყო, ძალიან ფერმკრთალი, მაგრამ მისმა ღიმილმა მაგრძობინა, რომ ბრძოლას კვლავაც განაგრძობდა. [P]  
[SEP]

- გამარჯობა, ლენდონ, - თქვა მისუსტებული ხმით, - გმადლობ, რომ მოხვედი. [P]  
[SEP]

სკამი მივიდგი და მის სანოლთან ჩამოვჯექი, მისი ხელი ხელში ავიღე. სახეში რომ შევხედე, მუცელში რაღაც გამენასკვა, ტირილი მომინდა. [P]  
[SEP]

- ნელანაც ვიყავი, მაგრამ გეძინა. [P]  
[SEP]

- ვიცი ... ძალიან ვნუხვარ. თავს ვეღარ ვერევი. [P]  
[SEP]

- არა უშავს. [P]  
[SEP]

ხელი ოდნავ და მძიმედ ანია ლოგინიდან, ხელზე ვაკოცე, მერე წინ გადავიხარე და ლოყაზეც ვაკოცე. [P]  
[SEP]

- გიყვარვარ? [P]  
[SEP]

გამიღიმა. [P]  
[SEP]

- კი. [P]  
[SEP]

- გინდა, რომ მე ბედნიერი ვიყო? - ამ შეკითხვის დასმა იყო და ვიგრძენი, გულმა ბაგა-ბუგი დამინყო. [P]  
[SEP]



- რა თქმა უნდა, მინდა. [P]  
[SEP]

- მაშინ შეგიძლია, რაღაც გააკეთო ჩემთვის? [P]  
[SEP]

გვერდზე გაიხედა. სახეზე ნაღველმა გადაურბინა. [P]  
[SEP]

- არა მგონია, ახლა უკვე რამე შევძლო, - ჩაილაპარაკა სევდიანად.

[P]  
[SEP]

- მაგრამ რომ შეგეძლოს, გააკეთებდი? [P]  
[SEP]

ზუსტად ვერ აღვწერ, რას განვიცდიდი იმ დროს. ყველაფერს ერთად ვგრძნობდი - სიყვარულს, ბრაბს, სევდას, იმედს და შიშს - ყველა ეს გრძნობა გრიგალივით დაჰქროდა ჩემს გულში და ზედ ნერვიულობა ერთვოდა. ჭეიმომ გაკვირვებით შემომხედა, სული მეხუთებოდა. უცბად მივხვდი, რომ ასე არასდროს არავინ მყვარებია. მეც შევხედე და ალბათ უკვე მემილიონჯერ ვინატრე, ნეტავ, ყველაფრის გამოსწორება შემეძლოს-მეთქი. შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ჩემს სიცოცხლეს დავთმობდი მისი სიცოცხლის სანაცვლოდ. მინდოდა მეთქვა, რა აზრები მიტრიალებდა თავში, მაგრამ ჭეიმის ხმის გაგონებამ ყველა გრძნობა დამიდუმა. [P]  
[SEP]

-კი, - თქვა სუსტი ხმით. ამ ხმაში დაპირება ისმოდა. -  
გავაკეთებდი. [P]  
[SEP]

დავმშვიდდი, ისევ ვაკოცე, მერე ხელით სახეზე შევეხე და თითები ლოყაზე ნაზად გადავუსვი. გავოცდი, იმდენად რბილი კანი ჰქონდა, შემძრა მის თვალეში ჩამდგარი სინაზის დანახვამ. ახლაც კი სრულყოფილი სილამაზის განსახიერება იყო. [P]  
[SEP]

ყელში ისევ გამეჩხირა რაღაც, მაგრამ ახლა ზუსტად ვიცოდი, რაც

უნდა მექნა. მისი განკურნება ჩემს ძალებს აღემატებოდა, მაგრამ სამაგიეროდ შემეძლო, მიმეცა ის, რაზეც მთელი ცხოვრება ოცნებობდა. [P]  
[SEP]

გული ამას მიკიჟინებდა. [P]  
[SEP]

მაშინლა მივხვდი, რომ კითხვაზე, რომლის დასმასაც ახლა ვაპირებდი, ჭეიმომ პასუხი დიდი ხნის წინ გამცა; ადრე მითხრა ის, რის გაგონებაც ასე მინდოდა ახლა. იმ ღამეს მითხრა, როცა საშობაო წარმოდგენის თაობაზე მოსალაპარაკებლად მისულები მისტერ ჯენკინსის კაბინეტის კართან ვისხედით. [P]  
[SEP]

ნაზად გავუღიმე. თვითონაც ნაზად მომიჭირა ხელზე ხელი, თითქოს მაგრძნობინა, გენდობიო. მისი საქციელით გამხნევებულმა გადავინიე და ღრმად ჩავისუნთქე. ამოსუნთქვას კი ეს სიტყვები ამოვაცოლე: [P]  
[SEP]

- ცოლად გამომყვები? [P]  
[SEP]

## თავი 13 [P] [SEP]

ჩვიდმეტი წლის ვიყავი, ჩემი ცხოვრება სამუდამოდ რომ შეიცვალა და სულ სხვა გზით წავიდა. ახლა, ორმოცი წლის შემდეგ, ბიუფორტის ქუჩებში რომ დავდივარ და ჩემი ცხოვრების იმ ერთ წელიწადზე ვფიქრობ, ყველაფერი ისე ცხადად მაგონდება, თითქოს თვალწინ მიდგასო. [P]  
[SEP]

მახსოვს, როგორ მითხრა ჭეიმომ „კი“ ჩემი სუნთქვაშეკვრით დასმული კითხვის პასუხად და როგორ ავტირდით ორივე ერთად. ჰეგბერტთან და ჩემს მშობლებთან საუბარიც ცხადად მახსოვს.

მახსოვს, როგორ ვუხსნიდი მათ, რა უნდა გამეკეთებინა. ყველას ეგონა, რომ ამას მხოლოდ ჭეიმის გულისათვის ვაკეთებდი. სამივე ცდილობდა, გადავერწმუნებინე. ერთუბიაზმი განსაკუთრებით მას შემდეგ მოემატათ, რაც გაიგეს, რომ ჭეიმი დამეთანხმა. არ ესმოდათ, რომ ამას ჩემთვის ვაკეთებდი. მათთვის ამის ახსნას საკმაოდ დრო მოვანდომე. [P] [SEP]

ისე მიყვარდა, ისე ძალიან მიყვარდა, რომ მის ავადმყოფობასაც არაფრად ვაგდებდი. არც ის მაფერხებდა, რომ დიდხანს ვერ ვიქნებოდი ერთად. ასეთ რამეებზე არ ვფიქრობდი. მინდოდა, მხოლოდ გულის კარნახით მემოქმედა; ის კი მეუბნებოდა, რომ ასე უნდა მოვექცეულიყავი, ეს იყო სწორი. მნამდა, რომ ღმერთი პირადად პირველად მაშინ დამელაპარაკა და ვიცოდი, რომ მას აუცილებლად უნდა დავმორჩილებოდი. [P] [SEP]

ვიცი, რომ ზოგს აინტერესებს, ასეთი ნაბიჯი სიბრალულის გამო ხომ არ გადავდგი; იქნებ, უბრალოდ მეცოდებოდა ჭეიმი? ცინიკოსები იმასაც იტყვიან, ჭეიმის დიდი დღე მაინც არ ეწერა და განსაკუთრებულად არაფერი გაუკეთებიაო; არც ჩემი საქციელი მოეჩვენებათ დიდ რამედ. მე ორივე კითხვაზე ერთი პასუხი მაქვს - არა! რაც არ უნდა მომხდარიყო მომავალში, მე ჭეიმი სალივანზე მაინც ვიქორწინებდი. ჭეიმი სალივანს მაშინაც მოვიყვანდი ცოლად, უეცრად ის სასწაული რომ მომხდარიყო, რომელსაც ასე მხურვალედ ვევედრებოდი ღმერთს. ასე ვფიქრობდი მაშინ, ჭეიმის ცოლობა რომ ვთხოვე და ასე ვფიქრობ ახლაც - დარწმუნებული ვარ, ასე ვიბამდი. [P] [SEP]

ჭემი ჩემთვის არ იყო ქალი, რომელიც, უბრალოდ, მიყვარდა. ის ჩემთვის გაცილებით მეტს ნიშნავდა. იმ ერთი წლის განმავლობაში ჭემიმ მაქცია კაცად, რომელიც ახლა ვარ. მასწავლა, რამდენად მნიშვნელოვანია მოყვასის დახმარება; მისმა მოთმინებამ და სიკეთემ მაჩვენა, რა არის ცხოვრება. მისი მხიარულებისა და ოპტიმიზმის მსგავსი რამ აღარასდროს მინახავს. ამ ხალისსა და ოპტიმიზმს მისთვის ავადმყოფობის დროსაც არ უღალატია. [P SEP]

ჭვარი ჰეგბერტმა დაგვწერა ბაპტისტურ ეკლესიაში. გვერდით მამაჩემი მედგა; ჩემი მეჭვარე იყო. ესეც ჭემიმ მოახერხა. სამხრეთის ტრადიციით, ჭვრისწერის დროს მამა უნდა გედგას გვერდით, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ჭემის გამოჩენამდე ეს ტრადიცია ჩემთვის არაფერს ნიშნავდა. მე მამასთანაც ჭემიმ დამაახლოვა; ჩვენს ოჯახებს შორის გაჩენილი ბზარის გამთელლებაც იმან შეძლო. მას მერე, რაც მამამ ჩემთვის და ჭემისათვის გააკეთა, ყოველთვის ვიცოდი, რომ მისი სახით საიმედო დასაყრდენი მყავდა; დროთა განმავლობაში კი, მის გარდაცვალებამდე, ჩვენი ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა. [P SEP]

პატიების ფასიც ჭემიმ მასწავლა და დამანახა, როგორ გარდაქმნის იგი ადამიანს. მივხვდი, რომ იმ დღეს, როცა ერიკი და მარგარეტი ჭემისთან მოვიდნენ, მათზე წყენა გულში არ ჰქონდა. ჭემი ისე ცხოვრობდა, როგორც ბიბლია გვასწავლის. [P SEP]

ჭემი მხოლოდ ის ანგელოზი არ იყო, რომელმაც ტომ ტორნტონი იხსნა, ის იყო ანგელოზი, რომელმაც ჩვენ ყველანი გვიხსნა. [P SEP]

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ჭემის უნდოდა - ეკლესიაში

ხალხის ტევა არ იყო. ჩვენი ქორწინების დღეს, 1959 წლის 12 მარტს, ეკლესიაში ორასამდე სტუმარი იყო, უფრო მეტი კი გარეთ იდგა. ნაჩქარევად ვიქორწინეთ და საგანგებო სამზადისის დრო არ იყო, ამიტომ ზოგი პირდაპირ სამსახურიდან მოვიდა, იმ დღეს ჩვენ გვერდით რომ ყოფილიყო. ვისაც ვიცნობდი, ყველა იქ იყო - მის გარბერი, ერიკი, მარგარეტი, ედი, სალი, კერი, ანჯელა და თვით ლიუ და ბებიამისიც კი. როცა მუსიკა გაისმა, უკლებლივ ყველას თვალზე ცრემლი მოადგა. ჭეიმი სუსტად იყო, ორი კვირა ლოგინიდან არ ამდგარა, მაგრამ მაინც დაიჟინა, საკურთხევლამდე ჩემი ფეხით მივალ, მინდა, ქმართან მამაჩემმა მიმიყვანოსო. [P]  
[SEP]

- ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ლენდონ. ხომ გახსოვს, რომ ეს ჩემი ოცნების ნაწილია? - ვშიშობდი, რომ ვერ შეძლებდა, მაგრამ მაინც დავთანხმდი. კარგად ვიცნობდი, მაგრამ მისი რწმენის ძალა მაინც მაკვირვებდა. [P]  
[SEP]

ვიცოდი, რომ იმ კაბის ჩაცმას აპირებდა, რომელიც წარმოდგენის დღეს თეატრში ეცვა. ასე უცბად სხვა თეთრ კაბას ვერ ვიშოვიდით, მაგრამ ისიც მშვენივრად ვიცოდი, რომ იმ კაბაში ახლა ჩაძვრებოდა. მთელი მრევლის წინ ვიდექი და ვფიქრობდი, როგორი სანახავი იქნებოდა ჭეიმი იმ თეთრ კაბაში, როდესაც მხარზე მამაჩემის ხელის შეხება ვიგრძენი. [P]  
[SEP]

- შენით ვამაყობ, შვილო, - მითხრა მან. [P]  
[SEP]

თავი დავეუქნიე და ვუპასუხე: [P]  
[SEP]

- მე კი შენითვამაყობ, მამა. [P]  
[SEP]

ასეთი რამ ცხოვრებაში პირველად ვუთხარი მამას. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

დედა პირველ რიგში იდგა. როდესაც „საქორწინო მარშის“ ჰანგები გაისმა, თვალეზზე ცხვირსახოცი მოისვა. კარი გაიღო და ინვალიდის ეტლში მჯდომი ჯეიმი გამოჩნდა. გვერდით ექთანი ედგა. გაჭირვებით მოიკრიბა ძალა და წამოდგა, წაბორძიკდა, მაგრამ მამამისმა ხელი შეაშველა. მერე ჯეიმი და ჰეგბერტი ნელა დაადგნენ საკურთხევლისაკენ მიმავალ გზას, ეკლესიაში შეკრებილი მთელი მრევლი ადგილზე გაირინდა და სუნთქვაშეკრული მიაჩერდა მათ. შუა გზაში ჯეიმი დაიღალა, მამა-შვილი შეჩერდა, ჯეიმომ სული მოითქვა. თვალეზი დახუჭული ჰქონდა და სულ რაღაც ერთი წამით მომეჩვენა, რომ გზის გაგრძელებას ვეღარ შეძლებდა. ათი-თორმეტი წამი გავიდა მხოლოდ, მაგრამ მე ეს დრო საუკუნედ მომეჩვენა. ბოლოს უხმოდ დააქნია თავი. ჯეიმი და ჰეგბერტი ისევ დაიდრნენ ადგილიდან. ვიგრძენი, როგორ შემიქანდა სიამაყით გული. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მახსოვს, როგორ ვიდექი და ვფიქრობდი, რომ ეს იყო ყველაზე ძნელი გზა, რომელიც ოდესმე ვინმეს გაუვლია. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

დაუვინყარი იყო ეს გზა საკურთხევლისაკენ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჯეიმი და მამამისი ჩემკენ რომ გამოემართნენ, ექთანმა ეტლი წინ გამოაგორა. როცა ჯეიმი, ბოლოს და ბოლოს, ჩემ გვერდით დადგა, ხალხს სიხარულის შეძახილები აღმოხდა. აგრიალდა ტაში. ექთანმა ეტლი მოაგორა, ჯეიმი ჩაჭდა, ღონემიხდილი იყო. გავიღიმე და დავიჩოქე, რათა მეც მის სიმაღლეზე ვყოფილიყავი. მამამაც მე მომბაძა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჰეგბერტმა ჯეიმის ლოყაზე აკოცა და ცერემონიის დასაწყებად თავისი ბიბლია აიღო. ახლა საქმეში იყო ჩაფლული, ჯეიმის მამის როლიდან გამოვიდა და სადღაც სხვაგან გადაინაცვლა - იქ, სადაც თავისი ემოციების მოთოკვა შეეძლო. დიახ. დავინახე, როგორ უჭირდა მას ჩვენ წინ დგომა. სათვალეები ცხვირზე დაიკოსა, ბიბლია გადაშალა და მე და ჯეიმის გადმოგვხედა. ჰეგბერტი ზემოდან დაგვეყურებდა. მივხვდი, რომ არ ელოდა, მასზე ამდენად დაბლა თუ ვიქნებოდით. ერთ წამს ჩვენ წინ იდგა, დაბნეული ჩანდა, მერე, ყველას გასაოცრად, მანაც დაიჩოქა. ჯეიმიმ გაიღიმა. ჰეგბერტმა ჯერ მისი ხელი აიღო, მერე ჩემი და ხელები ერთმანეთისთვის ჩაგვაკიდებინა. [P SEP]

ჰეგბერტმა ცერემონია ტრადიციისამებრ დაიწყო, მერე ის პასაჟი წაიკითხა, რომელზეც ერთხელ ჯეიმიმ მიმანიშნა. ჰეგბერტმა იცოდა, რომ ჯეიმი სუსტად იყო, ამიტომ ვიფიქრე, პირდაპირ საქორწინო ფიცს დაგვადებინებს-მეთქი, მაგრამ არა. მან კიდევ ერთხელ განმაცვიფრა. ჯერ მე და ჯეიმის შემოგვხედა, მერე მრევლს მოავლო თვალი, მერე ისევ ჩვენ შემოგვხედა. თითქოს საჭირო სიტყვებს ეძებდა. [P SEP]

ჩაახველა და ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი, მისი ნათქვამი ყველას კარგად რომ გაეგონა. აი, რა თქვა მან: [P SEP]

„მე, როგორც მამამ, საკუთარი ქალიშვილი სხვას უნდა მივცე, მაგრამ ამას, ალბათ, ვერ შევძლებ“ [P SEP]

მთელი მრევლი გაირინდა. ჰეგბერტმა თავი დამიქნია, რითაც მანიშნა, მოითმინეო. თანადგომის ნიშნად ჯეიმიმ ხელზე ხელი მომიჭირა. [P SEP]

„როგორც ჩემს გულს ვერ მივცემ სხვას, ისე ჭეიმის ვერ მივცემ ვერავის. მაგრამ, სამაგიეროდ, შემიძლია, ის ბედნიერება, რომლითაც მე იგი ყოველთვის მავსებდა, სხვა ადამიანსაც გავუნანილო. ღმერთმა დაგლოცოთ“ <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მერე ბიბლია გვერდზე გადადო. ხელი გამომიწოდა, მეც ხელი ჩავკიდე. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მერე საქორწინო ფიცი დაგვადებინა. მამამ ბეჭედი მომანოდა. ის ბეჭედი მე და დედამ ერთად შევარჩიეთ. ბეჭედი ჭეიმისაც მომცა; მერე ბეჭდები ერთმანეთს თითებზე წამოვაცვით. ჰეგბერტი იდგა და გვიყურებდა, როგორ ვუკეთებდით ერთმანეთს ბეჭდებს. ამ ცერემონიალის დასრულების შემდეგ ცოლ-ქმრად გამოგვაცხადა. ჭეიმის ნაზად ვაკოცე. დედაჩემი ატირდა. ჭეიმის ხელი ხელში სათუთად მეჭირა. ღვთისა და კაცის წინაშე მას სიყვარული და ჭირსა და ლხინში ერთგულება შევფიცე. ასე კარგად თავი არასოდეს მიგრძენია. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ეს ჩემი ცხოვრების უბედნიერესი წუთები იყო. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მას შემდეგ ორმოცი წელი გავიდა, მაგრამ იმ დღის ყველა წვრილმანი მახსოვს. ასაკიც მომემატა და, ალბათ, ჭკუაც, სხვა ცხოვრებითაც ვიცხოვრე, მაგრამ ვიცი, რომ როცა ჩემი აღსასრულის დღე დადგება, სიკვდილის წინ გონებაში მხოლოდ იმდღევანდელი ხატებები გამიცოცხლდება. ჭეიმი დღესაც მიყვარს, არც ის ბეჭედი მომიძვრია თითიდან. მთელი ამ ხნის მანძილზე მისი მოხსნის სურვილი არ გამჩენია. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>



ღრმად ვისუნთქავ გაბაფხულის ჰაერს. მეც შევიცვალე და ბიუფორტიც, მაგრამ ეს ჰაერი არ შეცვლილა. ეს ისევ ჩემი ბავშვობის დროინდელი ჰაერია, ჩემი მეჩვიდმეტე წლის ჰაერი, რომელსაც, აი, ახლა ამოვისუნთქავ და ისევ ორმოცდაჩვიდმეტი წლისა გავხდები. მაგრამ არაფერია. ოდნავ მეღიმება, ცას შევცქერი და მახსენდება, რომ რაღაც კიდევ დამრჩა სათქმელი: ახლა უკვე ნამდვილად მჭერა, რომ სასწაულები ზოგჯერ მართლა ხდება. [SEP]

WiGniS EL. VerSiA  
MoamZaDa  
DiaDMA:  
DaTuCHaM

